

ნინო ორჯონიკიძე
მაია ახვლედიანი

**მსოფლიო
საბანმანათლებლო
სისტემები**

(ლექციების კურსი)

თბილისი
2014

სახელმძღვანელოს მეშვეობით გაეცნობით მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებსა და იმ ძირითად ტენდენციებს, რაც შეინიშნება განათლების დარგში მიმდინარე პერმანენტული რეფორმებისა და გლობალიზაციის ინტენსიური განვითარების პროცესში. შესაძლებლობა გექნებათ ერთმანეთს შეადაროთ სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში, მიმდინარე განათლების განვითარების მიმართულებანი და შინაარსი; დაუკავშიროთ განათლების წინაშე მდგომი პრობლემები ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებებს.

სახელმძღვანელოში აგრეთვე საუბარია თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემებზე და დემოკრატიზაციის პრობლემაზე განათლებაში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სპეციალობის მაგისტრებისათვის, ლექტორ-მასწავლებლებისთვის და ყველა იმ პირისათვის, რომელიც დაინტერესებულია განათლების დარგში მიმდინარე რეფორმებით მსოფლიოში.

Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani **World Education Systems**

This Textbook will enable you to become acquainted with educational systems and the major trends that occur in permanent reforms taking place in the fields of education and in the process of the globalization intensive development. You will be able: to compare the development trends and content of education that take place in different countries, including Georgia; to associate the problems facing the education sphere with peculiarities of the country's economic-political development.

The Textbook dwells also on the problems of modern educational systems and democratization.

The Textbook is intended for Master's degree holders specialized in sciences related to the university education, lecturer-teachers and for all those persons who are interested in reforms taking place in the fields of education throughout the world.

რედაქტორი: ზურაბ ცუცქერიძე – პედაგოგიკის დოქტორი

რეცენზენტები: იმერი ბასილაძე – სრული პროფესორი

იაგო ბალანჩივაძე – განათლების აკად. დოქტორი

ISBN-978-9941-455-28-5

წინასიტყვაობა

განათლების გლობალიზაციის ინტენსიური განვითარების პროცესში უდიდეს იმპუნელობას იძენს მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემების გამოცდილების სწავლა-განზოგადება. პირველ ყოვლისა გასათვალისწინებელია მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საგანმანათლებლო გამოცდილება: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ლათინური ამერიკის სახელმწიფოები, აზიის ქვეყნები – ჩინეთი, სამხრეთ კორეა, იაპონია, ინდოეთი, აფრიკის ქვეყნები ავსტრალია შეადგენენ მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემებს და განსაზღვრავენ მისი განვითარების ტენდენციებს.

განათლების გლობალურ სისტემას ყველა ქვეყანაში სჭირდება ცვალებად გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, კლიმატურ და სხვა რეალებთან ადაპტირება. ამჟამად ჩვენი პლანეტის სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების კურსი ისეთი განათლების მოდელების მხარდაჭერას გულისხმობს, რომელც სხვაზე მეტად პასუხობს მათ მიერ შერჩეული გლობალიზაციის სცენარს.

სახელმძღვანელოში შევეცადეთ განათლების დემოკრატიზაციის შესახებ არსებული მასალების ანალიზის გაკეთებას, მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრებათა ურთიერთშეჯერებას და დასკვნების გამოტანას.

Nino Orjonikidze, Maia Akhvlediani

World Education Systems

In the process of education globalization development, the learning and generalization of experience of the world educational systems take on special significance. First of all, proper allowance must be made for educational practices in the world's leading countries: USA, Great Britain, European countries, Russia, Latin America states, Asian countries – China, South Korea, Japan, India, African countries, and Australia compose the world's educational systems and define their development trends.

The educational global systems of all countries need to adapt to changeable geopolitical, demographic, climatic and other realities. At present, the focus of our planet's states on the economic development implies the support of those educational models, which better meet the globalization scenario they selected.

In this Textbook, we have tried to make the analysis of the existing materials related to democratization of education, views of different groups of scientists and making the relevant conclusions.

განათლება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში (მიმოხილვა)

დედამიწაზე ადამიანის ცხოვრების პირობების ცვალებადობას თან ახლავს მთელი რიგი სოციალური მოვლენებისა, რაც სახელმწიფოს მართვის სტრუქტურებისაგან კარდინალურ რეფორმებს მოითხოვს, კერძოდ, საგანმანათლებლო სფეროში. პირველ ყოვლისა, ამ მოვლენებს მიეკუთვნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის აღმავლობა, რასაც თან ახლავს წარმოების მეთოდების სრულყოფა და ადამიანის გათავისუფლება როგორც რუტინული შრომისაგან, ისე მმართველობითი მოვალეობებისაგანაც. მეორე ის არის, რომ გლობალური საინფორმაციო ქსელის გაჩენა, რამაც კაცობრიობას მისცა თვითგანათლების შეუზღუდავი შესაძლებლობა. მესამე, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელმაც თვალნათლივ გამოავლინა საბაზრო ეკონომიკის მრავალი აბსურდი და კაპიტალისტური მეურნეობრიობის სისტემის არსებითი დეფექტები, ეჭვქვეშ დააყენა ბევრი საკვანძო სოციალური პრინციპის განხორციელების აუცილებლობა. რადგან ჯერ არ არის მოძებნილი გონივრული ალტერნატივა არსებული ეკონომიკური ურთიერთობებისა, ამიტომ სახელმწიფოთა შორის სავალუტო-ფინანსური დამოკიდებულებების შემდგომი განვითარებისა და შრომის საერთაშორისო გეოგრაფიული დანაწილების პროცესის შენარჩუნების მიზანშეწონილობა ეჭვქვეშ არ დგას, თუმცა ხვალ ეს მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს. ტრადიციული სკოლა ასეთი ცვლილებებისათვის ყველა კონტინენტზე ჯერჯერობით მზად არ არის.

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პროცესი ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს საზოგადოებას, სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები ისევ ძველებურად ორიენტირებულნი არიან კონკრეტული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ საჭიროებებზე. დღეს ბევრი ქვეყნის ინტერესები მიმართულია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე და ახალგაზრდობის პროფესიულ ორიენტაციაზე, აგრეთვე ინოვაციური პერსპექტივების ძიებასა და ეროვნული საგანმანათლებლო სისტემების საერთო ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციაზე. ამავე დროს, მასშტაბური უმუშევრობა, გამოუყენებელი სამუშაო ძალის უზარმაზარი მასა მოითხოვს, მომავალი საგანმანათლებლო მოდელები უფრო მეტად ითვალისწინებდნენ მომხმარებელთა მოთხოვნებს.

როგორც ჩანს, განათლების გლობალურ სისტემას ყველა ქვეყანაში სჭირდება ცვალებად გეოპოლიტიკურ, დემოგრაფიულ, კლიმატურ და სხვა რეალიებთან ადაპტირება. ამჟამად, ჩვენი პლანეტის სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების კურსისთვის განათლების მოდელების მხარდაჭერას გულისხმობს, რომელიც სხვაზე მეტად პასუხობს მათ მიერ შერჩეული გლობალიზაციის სცენარს. მაგალითად, ამერიკული განათლების სისტემა მიმართულია მოზარდთა შეგნების ინდივიდუალიზაციასა და მსოფლიო საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან მათ ადაპტაციაზე. ეს სრულად შეესაბამება დასავლეთის სტრატეგიულ გეგმებს. რუსეთის საგანმანათლებლო პოლიტიკა გამოდის არა მარტო პიროვნების მოთხოვნილებებიდან, არამედ უფრო მეტად, საზოგადოებრივი მოთხოვნილებებიდან, რაც შეესაბამება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიას, რომელიც მიმართულია მრავალპოლუსიანი მსოფლიოს არსებობისაკენ.

მაინც რა განასხვავებს მსოფლიო სახელმწიფოთა საგანმანათლებლო სისტემებს ერთმანეთისაგან?

განათლების **ამერიკული მოდელი**, ერთი მხრივ, არ ტვირთავს ბავშვებს ზედმეტი ცოდნით, მეორე მხრივ, ცდილობს მაქსიმალურად შეაგუოს მოზარდი კონკურენტულ ურთიერთობებს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მსოფლიოში ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ამერიკელი ობიექტული ინტელექტუალურად შეზღუდულია, რაც მათთვის დამახასიათებელი საქმიანობისა და მეწარმეობისაგან არის გამოწვეული.

აშშ-ს საგანმანათლებლო სისტემის თვალსაჩინო ნაკლზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ის ვერ ამზადებს ვერც კარგად განათლებულ მოქალაქეს და ვერც პროფესიულად მომზადებულ სამუშაო ძალას. ბუნებრივია, რომ "მსოფლიო დემოკრატიის ფოსპორტი" ვერ დაეყრდნობა მხოლოდ ასეთ ობიექტულს.

ამერიკელი ახალგაზრდების მნიშვნელოვან ნაწილს სურს სწავლა და ღრმა ცოდნის მიღება საქმიანობის ამა თუ იმ სფეროში. მას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ისწავლოს ამერიკის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში, თუმცა ყველას ამის საშუალება არ აქვს. ამრიგად, ქვეყანა აძლევს ძალიან კარგ განათლებას ელიტას, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს საშუალო დონის მოქალაქეთა მაღალ საგანმანათლებლო დონეს.

ამერიკის დაწყებითი და საშუალო განათლების კრიტიკა შესაძლებელია, მაგრამ თუ არ გავითვალისწინებთ სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების გეოპოლიტიკურ სტრატეგიას, ასეთი კრიტიკა გულიბრყვილობა იქნებოდა. მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი ჰაროლდ სტივენსონი, რომელიც ათი წლის განმავლობაში იკვლევდა აშშ-ს, ჩინეთისა და რუსეთის საგანმანათლებლო სისტემებს, განათლების აზიურ სისტემას სხვაზე უფრო ეფექტიანად მიიჩნევს. მან გაარკვია, რომ წარუმატებლობის მთავარი მიზეზია აშშ-ს საზოგადოების უპატივცემულო დამოკიდებულება სასკოლო წარმატებებისადმი.

აზიურ სკოლებში, აღნიშნავს ავტორი, მრავალრიცხოვანი (მრავალმოსწავლიანი) კლასები არსებობს, სადაც მერხებზე ორ-ორი ან სამ-სამი მოსწავლე ზის; მასწავლებელი მთელ კლასს აძლევს საერთო დავალებას, ბავშვები ხმამაღლა, ყველას თვალწინ პასუხობენ, ანუ მიმდინარეობს ჯგუფური სწავლება. ამერიკულ სკოლებში კი ბავშვები ცალ-ცალკე, თითო-თითოდ სხედან, პედაგოგი დავალებას ინდივიდუალურად აძლევს, მეტწილად ტესტების სახით. ამასთან, სუსტ ბავშვებს უფრო ადვილი დავალება ეძლევათ. აქ მიაჩნიათ, რომ მთავარია არ აწყენინო ბავშვს, ყველას წინაშე არ დაამცირო, არ მიაყენო ფსიქოლოგიური ტრავმა. სტივენსონი მიიჩნევს, რომ ჯგუფური მეცადინეობისას ბავშვი სწრაფად ეგუება იმ პირობებს, რაც შემდეგ საზოგადოებაში ელოდება და იმის შიში, რომ სხვათა წინაშე არ დაამცირონ და არ გამასხარავდეს, წარმოადგენს უკეთესად სწავლის სტიმულს.

მეცნიერი პედაგოგი თუ მხედველობაში მიიღებს თავისი ქვეყნის გეოპოლიტიკური სწრაფვის კურსს, იგი თავს შეიკავებს ზოგიერთი დასკვნის გაკეთებისაგან. სწავლებისადმი ჯგუფური და კოლექტიური მიდგომები მაშინ არის კარგი, როდესაც სახელმწიფო პოლიტიკა, პირველ რიგში, სუვერენიტეტის შენარჩუნებისაკენ არის მიმართული და არა მსოფლიო საზოგადოებაში ინტეგრაციისაკენ. ამერიკა, იმის მიუხედავად, რომ ამერიკელ ერს სიმღერებს უმღერის, ასეთ ამოცანას არ სვამს. მისი მიზანია ახალი მსოფლიო წესრიგი. ის ნაკლი, რომელიც დღეს ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო მოდელებს ახასიათებს, რამდენიმე ხნის შემდეგ სოციალური პარადიგმის შეცვლასთან დაკავშირებით, შეიძლება ღირსებად იქცეს.

გერმანიის განათლების სისტემისათვის დამახასიათებელია მოსწავლეთა ადრეული დიფერენციაცია მათი აკადემიური წარმატებების გათვალისწინებით.

დაწყებით სკოლაში სწავლების მეოთხე წელს ფედერალური კანონმდებლობის მიხედვით მშობელი არჩევანის წინაშე დგება: რომელი ცხოვრებისეული გზა უნდა აირჩიოს მოზარდმა? ორწლიანი საორიენტაციო საფეხური გერმანულ სკოლაში არის პროფესიული ორიენტაციისათვის გამიზნული, სადაც მოზარდმა უნდა გაიაზროს მისი შემდგომი ცხოვრებისეული გეგმები. ძირითად სკოლაში შედიან ის ახალგაზრდები, რომლებსაც არ აქვთ მიდრეკილება ინტელექტუალური საქმიანობისაკენ და უპირატესობას ანიჭებენ პრაქტიკულ მუშურ სპეციალობებს. უფრო მომზადებული მოზარდები ირჩევენ რეალურ სკოლებს ან გიმნაზიებს, რომლის დამთავრების შემდეგ მათთვის გზა ხსნილია უმაღლესი განათლებისაკენ.

ერთობ თავისებურია **იაპონიის** სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონურ საგანმანათლებლო სისტემას საფუძვლად დაედო ამერიკული განათლების მოდელი, იგი მისგან ერთობ განსხვავებულია. "ამომავალი მზის ქვეყანაში" განათლების კულტია, რასაც აქტიურად უჭერს მხარს ოჯახი და საზოგადოება. ამიტომ არის, რომ იაპონიამ ტექნოლოგიურ უპირატესობას მიაღწია სხვა ქვეყნებთან შედარებით.

იაპონელები განუწყვეტლივ სწავლობენ, რადგან მათი ოცნებაა კონკურენციაში აჯობონ და დაჯაბნონ თავიანთი თანატოლები, კოლეგები, სხვა ხალხები და ერები. ძირითად სკოლაში სწავლების პარალელურად, უმცროსი და უფროსი კლასების მოსწავლეთა მნიშვნელოვანი ნაწილი სადამოს საათებში დადიან სარეპეტიტორო მომზადების მეცადინეობებზე ან მოსამზადებელ კურსებზე, რასაც იაპონიაში ძიუკუ ანუ "ოსტატობის სკოლა" ეწოდება. გამოთვლილია, რომ იაპონელი ბავშვები 240 დღეს სკოლაში ატარებენ და ყოველდღიურად მერხთან სხედან 8-9 საათის განმავლობაში. საშინაო დავალების მომზადებას ანდომებენ 2 საათს, მაშინ, როდესაც მათი ამერიკელი თანატოლები სკოლაში მხოლოდ 180 დღეს ატარებენ და საშინაო დავალებაზე ხარჯავენ საშუალოდ 30 წუთს.

ასეთმა დამაბულმა სასწავლო წელმა, რომელიც გაჯერებულია უამრავი საგამოცდო სტრესით, გავლენა უნდა მოეხდინა ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკაზე. ამ საქმეში სკოლას დიდ დახმარებას უწევს პროგრესული რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემა - ძენ-ბუდიზმი.

იაპონიაში განათლების მნიშვნელოვანი თავისებურებაა "კოკორო", რომელიც განათლების იდეას ნიშნავს. "კოკორო" ქართულად შეიძლება გავიგოთ, როგორც გული, სული, გონება, ჰუმანიზმი. აქ მიჩნეულია, რომ დაწყებით სკოლაში ცოდნისა და უნარჩვევების განვითარება კი არ არის მთავარი, არამედ გარემოსადმი ჰუმანური დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

იაპონური განათლების სისტემა ერთადერთია მსოფლიოში, სადაც უმაღლესი განათლება სავალდებულოა, სადაც პედაგოგის შრომა უფრო მეტად ფასობს, ვიდრე სამხედრო მოსამსახურის შრომა. იაპონიის ტექნოლოგიური შესწავლის საიდუმლო შემოქმედებითი ძალების მასობრივ გენერაციაშია. გენიალური აღმოჩენები ხდება იქ, სადაც შესაბამისი პირობებია, იაპონიაში ძალიან ცდილობენ ასეთი პირობების შექმნას.

ჩინეთის განათლების სისტემა ყოფილი საბჭოთა კავშირის სოციალისტური იდეების საფუძველზე ჩამოყალიბდა. ჩინეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე, სადაც არც ისე განვითარებულია სოციალური სტრუქტურა, ეკონომიკის აგრარული მიმართულება მეტწილ პროვინციებში, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა რეგიონი მოიცვას თანა-

მედროვე ტექნოლოგიებმა. ამის მიუხედავად, 1993 წელს მიღებულ იქნა "განათლების განვითარებისა და რეფორმის პროგრამა", აგრეთვე განათლების ინფორმატიზაციის პროგრამა და საერთაშორისო ტელესაკომუნიკაციო ქსელის შექმნის გადაწყვეტილება. განხორციელებული რეფორმის შემდეგ ჩინეთში წერა-კითხვის უცოდინარია მოსახლეობის მხოლოდ 15%. ეს ბევრად უფრო დაბალი პროცენტია, ვიდრე მეზობელ ინდოეთში, პაკისტანში და ბანგლადეშში.

გაღრმავებული, მიზანმიმართული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რაც დამახასიათებელია აშშ-ს უნივერსიტეტებისათვის, ერთობ სუსტი რგოლია ჩინეთის განათლების სისტემისათვის. სავსებით დამაჯერებელია ის მოსაზრება, რომ ტრადიციული სკოლის საქმიანობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტრადიციული ჩინური რელიგიები - კონფუციანელობა და დაოიზმი, რომლებიც მოითხოვენ მშობლებისა და მასწავლებლებისადმი უსიტყვო მორჩილებასა და პატივისცემას. როდესაც თაობიდან თაობას გადაეცემა ცოდნა, დროთა განმავლობაში იგი დოგმად იქცევა, რომლის ხელყოფა მიღებული არ არის. ისტორიულად ჩამოყალიბებული აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპები ძალიან ძნელად იცვლება.

არავინ ელოდება ჩინეთისაგან რევოლუციურ ტექნოლოგიებს და ახალ გამონათებებსა და აღმოჩენებს, მაგრამ ყველა ქვეყანაში იციან ჩინელების მიერ შესრულებული საყოველთაოდ ცნობილი ასლები.

როგორც აღვნიშნეთ, ჩინეთის განათლების სისტემა საბჭოურია, მაგრამ მას ახასიათებს აღმოსავლური სპეციფიკა, რაც გულმოდგინების, მოთმინების, შრომისმოყვარეობის მაქსიმუმი და შემოქმედებისა და ფანტაზიის მინიმუმი, რაც ხელს უშლის ჭეშმარიტების დამოუკიდებლად ძიებას.

ინდოეთის განათლების სისტემა უკანასკნელი ათწლეულია იწყებს შესვლას საინფორმაციო საგანმანათლებლო სივრცეში. ქვეყანაში, სადაც მოზრდილი მოსახლეობის ნახევარი წერა-კითხვის უცოდინარია და ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, საუკუნეთა განმავლობაში ნერგავდა სწავლების ჰუმანურ, არაძალადობრივ საშუალებებსა და ფორმებს. ინგლისის კოლონიალიზმის უღლის გადაგდების შემდეგ, ინდოეთმა დიდხანს ვერ თქვა უარი ცოდნის გადაცემის ძველინდურ მიდგომაზე, მაგრამ საერთაშორისო მდგომარეობამ და სეპარატიზმის საფრთხემ აიძულა სახელმწიფო გადაეხედა განათლების სახელმწიფო კონცეფციისათვის.

ამჟამად ინდოეთი არა მარტო ატომური სახელმწიფოა, არამედ ინტელექტუალური ტექნოლოგიების დამუშავების ერთ-ერთი ლიდერიც არის. ახალ ასწლეულში ინდოეთის მთავრობამ დაისახა ურთულესი ამოცანა: დაწყებითი და საშუალო განათლების ქსელმა მოიცვას მოსახლეობის ყველა ფენა. ამავე დროს, მილიონობით ადამიანს, რომლებიც, სოფლის მეურნეობასა და მეცხოველეობაშია დასაქმებული, სწავლის სერიოზული მოტივაცია არ აქვს. განათლებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებაზე ამ ქვეყანაში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ინდუიზმის რელიგიამ, რომელიც ქადაგებს ყოფის სხეულებრივი კონცეფციისაგან განთავისუფლებას. მეორე გაბატონებული რელიგიაა ბუდიზმი, რომელიც ქადაგებს გრძნობადი სიამოვნებისაგან გათავისუფლებას, მის დამღევას. მაგრამ დღევანდელი ინდური ფილოსოფიური აზრის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება ინდუიზმის დოგმებიდან თავდაღწეული კრიშნამურტის, შრი აურობინდოსა და ოსო შრი რადენიშას შრომები. ამ ლეგენდარულმა სამეულმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიპყრო ჭეშმარიტების მაძიებელთა გულები.

სამწუხაროდ, გამოჩენილმა ჭეშმარიტების მაძიებლებმა თავი აარიდეს სოციალური ურთიერთობების მნიშვნელოვან ასპექტზე მსჯელობას - შრომის ფსიქოლოგიის ანალიზსა და ხელისუფლების ფსიქოლოგიაზე. მატერიალური სამყაროს ბევრი ელემენტი (ავტომობილი, თვითმფრინავი, კომპიუტერი) მოწყობილია ძალიან რთულად. დღეს მათი წარმოება შეუძლებელია კოლექტიური შრომის, თანამშრომლობის გარეშე, სადაც აუცილებლად არის იერარქია და საქმიანი ურთიერთობები. დღეს აქტუალურია წარმოების მართვის ალტერნატიული მეთოდების ძიება.

დიდ ინტერესს იწვევს სწავლების ძველინდური მეთოდოლოგია. ერთი საქმეა რა ასწავლო, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია როგორ ასწავლო. ერთ-ერთ ლექციაზე, რომელზეც ინდოეთის კულტურასა და სულიერებაზე ლაპარაკობდა, ინდოელმა ბრძენმა სატია სან ბაბამ თქვა: "ძველი ინდური განათლების სისტემა ეფუძნებოდა წარმოთქმულ სიტყვას. ყველაფრის ჩაწერა არ იყო სწავლების ძირითადი მეთოდი. სტუდენტები უსმენდნენ ლექტორის მიერ გადმოცემული საგნის შინაარსს დიდი ინტერესით და იგი აისახებოდა მათ გულსა და გონებაში. ეს იყო ძირითადი მიზეზი ძველ ინდოეთში არსებული მაღალი საგანმანათლებლო სტანდარტებისა. სწავლების პროცესში ურთიერთობის ფორმა იყო მხოლოდ ზეპირი. მეცადინეობების არც მკაცრი განრიგი არ არსებობდა, არც სასწავლო გეგმები და პროგრამები. არც მთავრობა ერეოდა საგანმანათლებლო პროცესში. ამიტომ პროცესი სწავლება-სწავლა ხორციელდებოდა "გულიდან გულისკენ" მოდელის შესაბამისად. სტუდენტები გულლიად ხვდებოდნენ მასწავლებლებს, მასწავლებლები კი ავსებდნენ მათ გულს. სწორედ ამიტომ შეძლო ინდოეთმა გაევრცელებინა სიბრძნე და ცოდნა მთელს მსოფლიოში.

გაკვეთილები ძველ ინდოეთში ნებისმიერ დროს ტარდებოდა: დღის რომელ დროს ჩატარდებოდა გაკვეთილები, ამას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მასწავლებლები არანაირ გასამრჯელოს არ ლეზულობდნენ. მასწავლებელზე ზრუნვას მთლიანად კისრულობდა საზოგადოება. ადამიანები თავიანთი შესაძლებლობისა და უნარის მიხედვით იხდიდნენ იმ შენატანებს, რომელიც მიდიოდა პედაგოგთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. თავად სტუდენტები არანაირ გადასახადს არ იხდიდნენ. სწორედ ამგვარი დამოკიდებულების გამო, საგანმანათლებლო სისტემა ინდოეთში წმიდათაწმიდად ითვლებოდა და ხალხისათვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენდა. სამწუხაროდ, ინდოელები თანდათან უარს ამბობენ ამ ტრადიციებზე და ჰკარგავენ ამ ფასდაუდებელ მემკვიდრეობას.

დღევანდელი ინდოეთი, რომელსაც აქვს უზარმაზარი საგანმანათლებლო გამოცდილება "გულიდან გულისკენ" მოდელის მიხედვით, უკანმოუხედავად გადაეშვა მსოფლიო ეკონომიკური სისტემის მორევში. ეს კარგიც არის და ცუდიც. კარგია იმიტომ, რომ ინტერნეტის ეპოქაში უზარმაზარი ქვეყნის მრავალმილიონიანი მოსახლეობა ვერ დარჩებოდა ინტელექტუალურად გარიყული. თითოეულ ადამიანს, მისი საქმიანობის შინაარსისა თუ კასტური მიკუთვნებულობის მიუხედავად სჭირდება საკუთარი თავისა თუ გარესამყაროს შესახებ ცოდნა. ცუდი კი იმიტომ არის, რომ ინდოეთის სამეცნიერო და პოლიტიკურმა ელიტამ სერიოზულად მიიღო სოციალური დამოკიდებულებების კაპიტალისტური მოდელი და ცდილობს მასთან ადაპტირებას და ცდილობს დაივიწყოს საუკუნოებრივი სულიერი ტრადიციები.

ინდოეთის თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემა განუმეორებელი და უნიკალურია. იგი ამოზრდილია ძველინდური ტრადიციებიდან და ცდილობს მოერგოს

მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას, მაგრამ მთელი ქვეყნის მასშტაბით რომ შეძლოს განათლების კულტის შექმნა, მისთვის ეს ძალიან ძნელი იქნება.

ამერიკული განათლების სისტემა მხოლოდ შორეული სილუეტებით ჰგავს ინდურს. ამ სისტემაშიც დაწყებითი და საშუალო განათლების დონე შედარებით დაბალია, მაგრამ ამერიკელი ობივატელის მენტალიტეტი საშუალებას აძლევს საზოგადოებას კარგად გაერკვეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სკოლის პარალელურად, ამერიკელთა მსოფლმხედველობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რელიგია. ყველაზე მეტ გავლენას ადამიანებზე ახდენენ პროტესტანტული ორგანიზაციები (ბაპტიტები, ევანგელისტები, მორმონები) და კათოლიკური ეკლესია. თუ "ბჰაგავად გიტა" მოუწოდებს ადამიანებს ფიზიკური და სულიერი სრულყოფისაკენ, თუ იოგების სასწაულებრივი ამტანობა მთელი მსოფლიოსათვის არის ცნობილი, თუ ინდოელი გურუს სიბრძნე ემსახურება ადამიანების ცნობიერების ევოლუციას, ახალ აღქმაში მოცემული ეზოთერული მცნებები საიდუმლოებით არის მოცული ქრისტიანთათვის. საფიქრებელია, რომ აშშ-ს მთავრობა შეგნებულად არ ჩქარობს პროგრესული ცვლილებები შეიტანოს სასკოლო განათლებაში, რადგან მონდიალური სტრუქტურა ითვალისწინებს სოციალურ ურთიერთობებში ეკონომიკურ იერარქიას.

ჩინური განათლების სისტემა პრაქტიკულია იმ აზრით, რომ აქ არ წახალისდება არანაირი "სხვადასხვა აზროვნება" - ეს არის დახურული საზოგადოების იდეალური მოდელი, რომელსაც არ აწუხებს ცივილიზაციის პრობლემები. ექიმები და იურისტები, მუშები და გლეხები, პოლიტიკოსები და სასულიერო მოღვაწენი, ყველა პროფესიონალი შრომობენ თავთავიანთ ადგილებზე და არავითარ ყურადღებას არ აქცევენ საგარეო საფრთხეებს. თუ იაპონელთა საგანმანათლებლო ტექნოლოგიები წახალისებენ შემოქმედებას, საშუალებას აძლევენ ფანტაზიისა და წარმოსახვის განვითარებას, ჩინეთში სასკოლო მეთოდოლოგია ემორჩილება ცოდნის დაგროვების კლასიკურ მოთხოვნას.

განათლების **გერმანული** სისტემა, არსებითად, ახლოა ჩინურ სისტემასთან იმ განსხვავებით, რომ უმაღლესი და საშუალო განათლება გერმანიაში მთელ მოსახლეობას მოიცავს. გერმანული სიზუსტე, ჰუნქტუალობა, პრაქტიციზმი კი სავსებით შეესაბამება ჩინურ შემსრულებლობასა და ცხოვრებისადმი რაციონალურ მიდგომებს. ამავე დროს, მიუხედავად განათლების უკიდურესი დოგმატურობისა, გერმანელმა ერმა მსოფლიოს მისცა ბევრი გენიალური მეცნიერი.

რუსეთის განათლების სისტემა, ისტორიულად, გერმანული გამოცდილების გადანერგვით იქმნებოდა, ამიტომაც ის ვერ იქცა მთელი ერის კულტურული დონის ამადლების ინსტრუმენტად. საბჭოთა ეპოქაში განათლებას სოციალური ფუნქცია დაეკისრა და მეორე პლანზე იქნა გადატანილი აკადემიური ამოცანები, თუმცა სასკოლო განათლების უაღრესად მასობრიობამ და საყოველთაო ხელმისაწვდომობამ დიდი გავლენა მოახდინა საერთო სახელმწიფოებრივი კულტურის დონეზე.

ამჟამად რუსეთის განათლების სისტემა ინარჩუნებს ტრადიციულ სტრუქტურასა და მართვის სტილს, თუმცა ინტენსიურად ინერგება ახალი პედაგოგიური მიდგომები.

რუსეთის განათლების სისტემაში უკანასკნელ ათწლეულებში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, რამაც მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო მის ინტეგრაციას მსოფლიო საგანმანათლებლო პროცესებში.

განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებული შტატები მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქვეყანაა, რომელიც თავისი უაღრესად წარმატებული ეკონომიკით, პოლიტიკური წარსულითა თუ დღევანდელი დემოკრატიული წყობით სეროზულ ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა კონტინენტის სახელმწიფოებისა და ხალხების ბედზე, მათი ცხოვრებისა და ყოველდღიური საქმიანობის წესზე.

ადმინისტრაციულად აშშ იყოფა შტატებად და ერთ ფედერალურ ოლქად (კოლუმბია).

თითოეულ შტატს აქვს თავისი კონსტიტუცია და საკანონმდებლო ორგანო, რომელიც შედგება წარმომადგენელთა პალატისა და სენატისაგან. შტატს არ აქვს ფედერაციიდან გასვლის უფლება. შტატში მიღებული კანონები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ფედერალურ კანონებს. აღმასრულებელ ხელისუფლებას თითოეულ შტატში ახორციელებს გუბერნატორი, რომელიც არჩეულია ხალხის მიერ. შტატი იყოფა საგრაფოებად და მას მართავს თვითმართველობის საბჭო, ზოგან კი ქალაქის მერი და საბჭო.

ევროპელთა მიერ ჩრდილოეთ ამერიკის აღმოჩენისა და კოლონიზაციამდე დღევანდელი აშშ-ს ტერიტორია დასახლებული იყო ინდოელებით და ესკიმოსებით. ისინი პირველყოფილი თემური წყობილების დონეზე იმყოფებოდნენ.

ამერიკის კოლონიზაცია 1607-1775 წლებში განხორციელდა. პირველად იგი კოლუმბმა აღმოაჩინა 1492 წელს. ამის მერე ესპანეთმა, საფრანგეთმა, ინგლისმა, ნიდერლანდებმა და შვეციამ დაიწყეს ჩრ. ამერიკის თანმიმდევრული ათვისება. XVIII საუკუნეში რუსებმა აღმოაჩინეს ალასკა. იგი საკუთარი ქვეყნის ნაწილად გამოაცხადეს. ამერიკაში გადმოსახლებულ ევროპელთაგან ყველაზე დიდი ნაკადი ინგლისელი მოსახლეობის წრიდან იყო. სწორედ მათ შექმნეს პირველი დიდი მჭიდრო დასახლებულები (დღევანდელი ვირჯინიის ტერიტორიაზე), ხოლო ჩრდილოეთით მასაჩუსეტის მიდამოებში. XVIII საუკუნის 60-იან წლებში ინგლისელებმა თითქმის მთელი ჩრდილოეთ ამერიკა დაიპყრეს, მოახდინეს ინდიელთა სამფლობელოების მითვისება. მათ ფაქტობრივად გაანადგურეს ადგილობრივი მოსახლეობა და მის ადგილზე მონების სახით შემოყვანილი ჩრდილო აფრიკელი ზანგები დაასახლეს.

1776 წელს თომას ჯეფერსონის მიერ შედგენილი დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე ფილადელფიაში გამართულ კონტინენტალურ კონგრესზე, 4 ივლისს გამოცხადდა დამოუკიდებელი სახელმწიფოს - **ამერიკის შეერთებული შტატების** შექმნა.

1783 წელს ეს სახელმწიფო ცნო ინგლისმა. აღნიშნული პერიოდიდან მოყოლებული აშშ-ში მცხოვრებმა ხალხებმა უდიდესი და უმძიმესი წლები გამოიარეს. იყო სამოქალაქო ომები, შტატებს შორის დაპირისპირება, სოციალური სამართლიანობის სახელით გადახდილი რევოლუციები და სხვა მსგავსი კატაკლიზმები, მაგრამ მიუხედავად ამისა თავისუფლების იდეებზე აღმოცენებულმა ქვეყანამ გაუმლო და უკვე XX საუკუნის მეორე ნახევრისათვის მთელი მსოფლიოს წამყვან სახელმწიფო-პოლიტიკურ გაერთიანებად იქცა.

ამერიკის შეერთებული შტატების წინსვლა-აღმავლობაში უდიდესი როლი ითამაშა საგანმანათლებლო სისტემამ, რომელმაც ასწლეულების მანძილზე არაერთი ცვლილება განიცადა, თუმცა თავისი გახსნილობის, დემოკრატიულობისა და მოქნილობის

წყალობით უაღრესად დიდ წარმატებებს მიაღწია.

აშშ-ს ყოველ შტატს აქვს თავისი სასკოლო კანონმდებლობა. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ტიპებს. აქ არ არსებობს ერთიანი და სავალდებულო პროგრამები. მიუხედავად ამისა განათლება ამერიკის მასშტაბით ძირითადად სახელმწიფოს პატრონაჟით ხორციელდება. იგი სამ დონეზე ფინანსდება. ეს არის დაფინანსების ფედერალური დონე, რომელსაც ემატება **შტატებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის** დონეზე გაღებული დაფინანსება.

ამერიკაში არსებობს სახელმწიფო სკოლების სისტემა, ხოლო უმაღლესი განათლების სექტორი ძირითადად კერძოა. ამიტომაც ეს უკანასკნელი დაფინანსების წყაროების გასაძლიერებლად კონტინგენტს იწვევს მთელი მსოფლიოდან. საერთაშორისო საგანმანათლებლო ცენტრების მონაცემებით, მაგალითად 2003 წლისათვის განათლების საერთო მაჩვენებლები მთელი ამერიკის მასშტაბით 90%-ს აღწევს. აქედან მოსახლეობის მხოლოდ 84%-ს 25 წლის ზემოთ გააჩნდა საშუალო განათლება; 27,3%-ს კი ჰქონდა ბაკალავრის ხარისხი.

მთელიამერიკის მასშტაბით ძირითად სახელმწიფო და სასწავლო ენა არის **ინგლისური**, გარდა პუერტო-რიკოსი, სადაც წამყვანია **ესპანური ენა**.

სწავლის დაწყებისა და დასრულების ასაკი ამერიკის მასშტაბით ერთნაირი არ არის. შტატების მიხედვით სკოლაში ბავშვის მიბარების ქვედა ზღვარი 5-8 წლებს შორის მერყეობს, რაც შეეხება მისი დასრულების ასაკს, აქაც გარკვეული სხვაობაა და იგი 14-18 წლებით შემოიფარგლება.

პირველად, ანუ დაახლოებით 5 წლის ასაკში ამერიკელი ბავშვები მიდიან დაწყებით სკოლაში (ელემენტარული სკოლა), კერძოდ მის ნულ კლასში, რომელიც თავისი არსით საბავშვო ბაღის ტიპისაა. ზოგიერთ შტატში ეს კლასი სავალდებულო არ არის, თუმცა თითქმის ყველა ამერიკული ოჯახი ცდილობს თავისი შვილს ამ კლასით, რომელსაც გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით გერმანულად, კინდერგარტენს ეძახიან, დააწყებინოს სასკოლო განათლება საკუთარ პირმშოს. საგულისხმოა, რომ ჩვენი გაგებით და ჩვენებური ტრადიციით **კინდერგარტენ** პირდაპირ თარგმანში "საბავშვო ბაღს" აღნიშნავს და ასეთები აშშ-ში დამოუკიდებლად არსებობს, მაინც ოჯახები ცდილობენ ბავშვები სასკოლო "კინდერგარტენს", უფრო ზუსტად მის ამერიკულ ვარიანტს "preschool" – "სკოლის-წინას" მიაბაროს.

დაწყებითი განათლება ამერიკაში მე-5, მე-6 კლასამდე გრძელდება. ამის მერე მოსწავლე მიდის საშუალო სკოლაში (middle school), რომელიც მე-8 კლასით მთავრდება. ამას მოსდევს უმაღლესი (უფროსი) სკოლა (high school). ეს არის მე-9 და მე-12 კლასის პერიოდი, რომელიც საბოლოო ჯამში 18 წლის ასაკში მთავრდება.

აღნიშნული საგანმანათლებლო ბარიერის დამლევის შემდეგ ახალგაზრდას შეუძლია შევიდეს საზოგადოებრივ კოლეჯში (community college) ან კიდევ დაწყებით კოლეჯში (junior college), ტექნიკურ კოლეჯში (technical college), საქალაქო კოლეჯში (city college). ისინი ორწლიანია და კურსის დასრულების შემდეგ გასცემენ დოკუმენტს, რომლის ძალითაც ახალგაზრდა ითვლება საშუალო-სპეციალური განათლების მქონე პიროვნებად. მეორე გზა სწავლის გაგრძელებისა არის უნივერსიტეტის ტიპის კოლეჯში შესვლა. იგი ოთხწლიანია და სრულდება **ბაკალავრის** ხარისხის მოპოვებით. ამის შემდეგ მსურველებს შეუძლიათ 2-3 წელიწადში მოიპოვონ **მაგისტრის** ხარისხი, ხოლო ვისაც უფრო მეტის მიღწევა სურს, კვლავ აგრძელებს სწავლას და სამი წლის შემდეგ მოიპო-

ვებს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს.

ამერიკაში არსებობს სპეციალური აკრედიტაციის მქონე სასწავლო დაწესებულებები, რომელიც ანიჭებს მედიცინის დოქტორისა და სამართლის დოქტორის ხარისხს. იგულისხმება, რომ ასეთ შემთხვევაში მსურველს უნდა ჰქონდეს შესაბამისი საბაკალავრულ განათლება.

დაწყებითი და საშუალო საგანმანათლებლო დონეზე უფასო სახელმწიფო სკოლების მართვა ხორციელდება დემოკრატიული წესით არჩეული სასკოლო საბჭოების (school boards) მიერ.

სასკოლო საბჭოს წარმომადგენლები ქირაობენ მასწავლებლებს, ადგენენ და ამტკიცებენ სასწავლო პროგრამებს, განკარგავენ ფინანსებს. ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში ხორციელდება შტატის დონეზე დადგენილი პრინციპების, მოთხოვნებისა და წესების მიხედვით. შტატი უზრუნველყოფს აგრეთვე მოსწავლეთა გამოცდებს.

შედარებით დიდი მოცულობისა და შესაძლებლობების მქონე სკოლები, თავის მხრივ ქმნიან პატარ-პატარა ე. წ. "სკოლა-მაგნიტებს", რომელსაც ევალუატი მიიზიდოს განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოზარდები ტექნიკისა თუ ხელოვნების სფეროებიდან.

გარდა ზემოაღნიშნულისა ამერიკის ცალკეულ შტატებში მოქმედებს კერძო რელიგიური სკოლები. ასევე მოქმედებს ინტერნატები და ძალიან ძვირადღირებული კერძო სასწავლო დაწესებულებები, რომლებიც მოზარდებს ამზადებენ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში მოსახვედრად.

ამერიკაში აკრძალული არ არის სკოლისგარეშე, საოჯახო სწავლების პრაქტიკა. არიან მშობლები და ოჯახები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათმა შვილებმა არ უნდა იცოდნენ ადამიანისა თუ საზოგადოების ევოლუციური განვითარების თეორიები, მათივე აზრით, სკოლა სავსეა საფრთხეებით, რომელიც უკავშირდება ნარკოტიკებს, ტერორიზმს და ა. შ.

ასეთი ოჯახები ერთმანეთს ეხმარებიან, ქმნიან ჯგუფებს, თვითონვე მასწავლებლობენ და ამგვარად ორგანიზებულ გარემოში ზრდიან საკუთარშვილებს. ბევრი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ ამ გზით მიღებული განათლება და სოციალური თანაცხოვრების უნარ-ჩვევები საკმარისი არ არის.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დაწყებით სკოლაში სწავლა ხშირად 5 წლის ასაკიდან იწყება და 11-12 წლისათვის მთავრდება. ასეთ სკოლებში ხელოვნების ციკლის (სახვითი ხელოვნება, მუსიკა), ასევე ფიზიკური კულტურის გარდა ყველაფერს ერთი მასწავლებელი ასწავლის. ამ დონეზე ისწავლება არითმეტიკა (ზოგან დაწყებითი ალგებრა), კითხვა, წერა, ბუნებისმცოდნეობა, ასევე ისწავლება საზოგადოებრივ დისციპლინათა ერთგვარი ნაკრები, რომელსაც მხარეთმცოდნეობა ჰქვია. ყველაფერს ამას ემატება ზემოთნახსენები სახვითი ხელოვნება, მუსიკა და ფიზიკულტურა.

სწავლების ფორმებს შორის წამყვანი ადგილი უჭირავს მხატვრულ პროექტებს, ექსკურსიებსა და საერთოდ გართობითი შინაარსის სამუშაოებს.

რაც შეეხება საშუალო სკოლას იგი იწყება 11-12 წლის ასაკიდან და 14 წლის ასაკისთვის სრულდება. ამ ეტაპზე სწავლება საგნობრივი ხასიათისაა და ყოველ საგანს თავისი მასწავლებელი ჰყავს. საგულისხმოა, რომ საშუალო სკოლაში მოსწავლეები იყოფიან კლასების გარკვეული ტიპის მიხედვით. ესენია მათემატიკური, ინგლისური ენის, ხელოვნების, ტექნოლოგიის საბუნებისმეტყველო საგნების, ან კიდევ სოციალურ მეც-

ნიერებათა (აქვე შედის მსოფლიო ისტორია) და ფიზკულტურის კლასები. მოსწავლე ვალდებულია თვითონ აირჩიოს ერთი ან ორი საგანი (ენების, ხელოვნების, ტექნოლოგიის კლასებიდან). ამავე დონეზე იწყება მოსწავლეთა ერთგვარი დაყოფა მოსწრების დონეების, ნიჭიერებისა და შესაძლებლობების მიხედვით. მოსწავლეები, რომელიც აშკარად გამოიჩინენ თავს, შეიძლება გადაიყვანონ და დაჯგუფდნენ წინ წასულ კლასებში, სადაც უფრო სწრაფი სწავლებაა და დავალებებსაც მეტს აძლევენ. ამგვარ დაყოფას ამერიკელ სპეციალისტთა შორის ყველა არ იზიარებს, რის გამოც რიგ შტატებში ასეთი სკოლების რიცხვი, ბოლო მონაცემებით, საკმაოდ შემცირდა.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ საშუალო სკოლას მოსდევს უფროსი საშუალო სკოლის საფეხური. ეს არის ამერიკული სასკოლო განათლების ბოლო საფეხური. იგი მე-9 კლასიდან იწყება და მე-12 კლასით მთავრდება. აღნიშნულ ეტაპზე დიდი ყურადღება ექცევა საგანთა ბლოკების არჩევითობას. ასეთებია:

- საბუნებისმეტყველო საგნების 3 წლიანი ბლოკი (ქიმიის წელიწადი, ბიოლოგიის წელიწადი, ფიზიკის წელიწადი);
- მათემატიკის 3 წლიანი ბლოკი (ალგებრა, გეომეტრია, მათემატიკური ანალიზი);
- ლიტერატურის 4 წლიანი კურსი;
- სოციალურ მეცნიერებათა 2-4 წლიანი კურსები (ძირითადად შეისწავლება აშშ-ს პოლიტიკური წყობა);
- ფიზკულტურის 1 ან 2 წლიანი კურსი.

აღნიშნული საგნობრივი ბლოკების გავლის შემდეგ მოსწავლე იღებს დიპლომს, თუმცა ზოგიერთ უმაღლეს სკოლაში შესასვლელად საჭიროა 4 წლიანი უცხოური ენის კურსის გავლაც.

ეს რაც შეეხება აუცილებლად ასარჩევ საგნებს. ამის გარდა არის საგანთა სხვა ჩამონათვალიც, რომელთა რაოდენობა ცვალებადობს იმის მიხედვით თუ როგორია სკოლის ფინანსური შესაძლებლობები. ასეთებია:

- დამატებითი მეცნიერებანი (სტატისტიკა, ინფორმაცია);
- უცხოური ენები (ესპანური, ფრანგული, გერმანული, ასევე იაპონური, ჩინური, რუსული, ლათინური, ბერძნული);
- თამაშობრივი ხელოვნებანი (თეატრი, ორკესტრი, ცეკვა);
- კომპიუტერული ტექნიკა (კომპიუტერი, კომპიუტერული გრაფიკა, ვებ-დიზაინი);
- საგამომცემლო საქმე;
- შრომა (ხის დამუშავება, მანქანების რემონტი).

სასწავლო შრომის შეფასება ამერიკულ საშუალო სკოლაში ხდება სისტემით A/B/C/D/F. ამ სისტემაში A - ყველაზე მაღალი შეფასებაა, F კი არადამაკმაყოფილებელია. D - რიგ შემთხვევებში დამაკმაყოფილებელია, ზოგჯერ კი არადამაკმაყოფილებლადაც მიიჩნევა, თუ მისი მიღების სიხშირე მაღალია. ყველა შეფასებას F-ის გარდა შეიძლება მიემატოს "+" ან "-". ამერიკის ზოგიერთ სკოლაში A და F, როგორც შეფასების ფორმა საერთოდ არ არსებობს და კმაყოფილდებიან რაღაც საშუალო არითმეტიკულის გამოყენებით.

ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის ერთგვარი პარადოქსული ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ საშუალო სასკოლო დონეზე მას ძალიან ბევრი სირთულე და გაუ-

გებრობა ახასიათებს. მიუხედავად ამისა, უმაღლეს სკოლაში მდგომარეობა სრულიად იცვლება. მიჩნეულია, რომ ამერიკული უმაღლესი სასწავლებლები და იქ მოქმედი სისტემები ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აქ უმაღლეს განათლებას იღებენ კოლეჯში ან უნივერსიტეტში 4 წლის მანძილზე. ამას მსურველთათვის ემატება 2 წლიანი სამაგისტრო საფეხური და საბოლოოდ ვლენულობთ 6 წლიან ციკლს.

დღევანდელი მონაცემებით, ამჟამად ამერიკაში 4400-მდე უმაღლესი სასწავლებელი მუშაობს, სადაც სხვადასხვა სპეციალობას ეუფლება 18 მილიონამდე სტუდენტი. მათ შორის გაერო-ს მონაცემებით ნახევარ მილიონზე მეტი ახალგაზრდა აზიის ქვეყნებიდანაა. სწავლების საფასური იწყება 5000 დოლარიდან და ზოგან 40000 დოლარს აღწევს (ჰარვარდის უნივერსიტეტი).

საგულისხმოა, რომ ხელმოკლე სტუდენტებისთვის გათვალისწინებულია შეღავათები და სოლიდური სტიპენდიები.

თვითონ ამერიკელები ყოველდღიური საუბრების დროს უმაღლეს სასწავლებლებს უფრო კოლეჯს ეძახიან, ვიდრე უნივერსიტეტს.

დღევანდელ ამერიკაში ძირითადად სამი ტიპის უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებს.

პირველ მათგანს მიეკუთვნება ნამდვილი კოლეჯი, რომელიც უნივერსიტეტისაგან იმით განსხვავდება, რომ აქ მხოლოდ ასწავლიან. კოლეჯში ადგილი არ აქვს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, არ არსებობს საასპირანტო მომზადება. ასეთი კოლეჯები, როგორც წესი, კერძოა და უმეტესწილად 2000-2500 სტუდენტზეა გათვლილი. ბევრი ასეთი კოლეჯი რელიგიური მიმართულების მქონეა (ე. წ. ბიბლიური კოლეჯები). არსებობს აგრეთვე სახელოვნებო-ჰუმანიტარული კოლეჯები.

რაც შეეხება საკუთრივ უნივერსიტეტებს ისინი ორი სახისაა: **კერძო უნივერსიტეტები** და **შტატის უნივერსიტეტები**. ეს უკანასკნელი ხშირად საკმაოდ დიდია, ემსახურება მხოლოდ საკუთარ შტატში მცხოვრებ ახალგაზრდებს, თუმცა უარს არც სხვა მხრიდან მოსულებს ეუბნება, თუ კი საგნაგებოდ გაზრდილ უზარმაზარ გადასახადებს გადაიხდიან. ასეთებია, მაგალითად, ბერკლის უნივერსიტეტი, მიჩიგანისა და ვირჯინიის უნივერსიტეტები.

ამერიკული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამები გადის აუცილებელ აკრედიტაციას. თუმცა არის ისეთი სასწავლო დაწესებულებები, რომელთაც ჰქვიათ მაღალი და ჟღერადი სახელები (უნივერსიტეტი, აკადემია და სხვა მსგავსი), მაგრამ აკრედიტაციას არ გადიან. მიუხედავად ამისა, გასცემენ გარკვეულ დიპლომს, რომელიც პრაქტიკულ ცხოვრებაში მის მფლობელს შეიძლება საერთოდ არც დასჭირდეს და არც გამოადგეს. შენიშვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსათვის ეს სიტუაცია საკმაოდ ნაცნობია.

ოთხწლიან კოლეჯში მიღება მთელი ამერიკის მასშტაბით საკმაოდ რთული და ხანგრძლივი პროცესია. იგი იწყება საკმაოდ გრძელი ანკეტა-განცხადების შევსებით, სადაც ჩამოწერილი უნდა იყოს ყველა ის ნიშანი თუ შეფასება, რომელიც მოსწავლეობის დროს ახალგაზრდამ სკოლის კედლებშივე დაიმსახურა. აქვე უნდა ჩამოითვალოს ყველანაირი ჯილდო, სიგელი, დიპლომი, რაც კი მას მიუღია. გარდა ამისა, საჭიროა მოცემულ თემაზე თხზულების დაწერა, მასწავლებელთა რეკომენდაციები, ინტერვიუსა და ტესტირების გავლა ცალკეული საგნების მიხედვით და ა. შ.

ზოგიერთი, შედარებით მცირე მოცულობის უმაღლესი სასწავლებელი უპირატესობას ანიჭებს ისეთ აბიტურიენტებს, რომელთაც აქვთ წარმატებები ე. წ. სკოლის გარეშე საქმიანობის სფეროში (უკრავს რომელიმე იშვიათ ინსტრუმენტზე, ვთქვათ ფაგოტზე ან საქსაფონზე, არის ათლეტიზმის მიმდევარი, კარგად ძერწავს ან ცეკვავს და სხვ.).

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასწავლებელთა რეკომენდაციებს, სადაც ნაჩვენებია თუ რითია გამორჩეული ახალგაზრდა, რა გამოკვეთილი უნარ-ჩვევები ახასიათებს, რომელი მიმართულებით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს და ა. შ.

უმაღლეს სასწავლებელში მიღების ეს სისტემა იმდენად არაპროგნოზირებადია, რომ ბევრ აბიტურიენტს შესაბამისი დოკუმენტები ერთდროულად რამდენიმე დაწესებულებაში შეაქვს იმ იმედით, რომ სადღაც გაუმართლებს.

დიდ უნივერსიტეტებში არსებობს მოთხოვნა, რომ აბიტურიენტი გარკვეულ ფაკულტეტზე შევიდეს. ზოგან კი ასეთი მოთხოვნა არ არის და ახალგაზრდა საზოგადოდ შედის უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ხშირია სპეციალობიდან სპეციალობაზე გადასვლის შემთხვევები, თანაც ისეთი მასშტაბით, რომ ზოგჯერ ფაკულტეტიც კი იხურება.

სხვა შემთხვევებში სტუდენტი 2 სასწავლო წლის განმავლობაში იღებს ზოგად მომზადებას და ბოლოს წყვეტს თუ რა პროფესია აირჩიოს. ხშირად ძირითადი სპეციალობის გარდა სტუდენტი ირჩევს დამატებით სპეციალობას (მაჟორ-მინორის სისტემა), ზოგჯერ ორსა და მეტსაც. კურსების მოსმენის დროს სტუდენტი აგროვებს ე. წ. კრედიტებს.

შეფასების პროცესი სემესტრულია (ზოგჯერ ტრიმესტრის ფორმით). ამ დროს სტუდენტები ახარებენ გამოცდას, გადიან ტესტირებას, ასრულებენ პროექტებს, წერენ რეფერატებს და ა. შ.

ასეთია, დაახლოებით, ამერიკული საგანმანათლებლო სისტემის ზოგადი ხასიათი და თავისებურებები. მას აქვს თავისი ნაკლოვანებები და უპირატესობები. ეს უკანასკნელი იმაში გამოიხატება, რომ ამერიკული სასწავლო დაწესებულებების ტექნიკური აღჭურვის დონე, სამუშაო პირობები, ბიბლიოთეკებითუ კლას-კაბინეტები, აგრეთვე აუდიტორიები მოწყობილია იდეალთან მოახლოებულ დონეზე. პედაგოგ-ლექტორებსაქვე წარმოუდგენლად მაღალი შრომითი ანაზღაურება, სტუდენტებს ძალიან მაღალი სოციალური დაცულობა და სტიპენდიები, დიდი ყურადღება ექცევა გენდერულ ბალანსს და განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდებთან მუშაობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ამერიკული პრესა ძალიან ხშირად წერს საკუთარი ქვეყნის განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე. ამის შედეგია რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში თითქმის ყოველი 10 წლის ბოლოს ტარდება განათლების სისტემის მოდერნიზაცია-რეორგანიზაცია, ჩნდება ახალი მოთხოვნები, პრიორიტეტები და ისახება პრობლემათა გადაჭრის ახალ-ახალი გზები. ყველაფერ ამას კი, ბუნებრივია, სათანადო შედეგებიც მოსდევს.

განათლების სისტემები დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში

ბრიტანტული საშუალო სკოლა ყველაზე თვითმყოფადი განათლების სისტემაა დასავლეთ ევროპაში. ამასთან, იგი ყველაზე პრესტიჟულიც არის. ბრიტანული სკოლები მაგნიტივით იზიდავს მოსწავლეებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან.

”ასწავლიან - ბევრნი, ჩვენ - ჯენტლმენებს ვზრდით”, - ამ ფრაზას მიაწერენ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ბრიტანული სკოლის დირექტორს.

განათლება დიდ ბრიტანეთში სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის 5 წლიდან 16 წლამდე. არსებობს განათლების ორი სექტორი: სახელმწიფო (უფასო განათლება) და კერძო (ფასიანი სასწავლო დაწესებულებები, სადაც ერთ წელიწადში 40-50 ათასი დოლარია გადასახადი). ამას გარდა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან განათლების სისტემები ბრიტანეთის სხვადასხვა ნაწილებს შორის: განათლების ერთი სისტემა ჩამოყალიბდა ინგლისში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, მეორე - მოტლანდიაში.

გაერთიანებული სამეფოს ყველაზე დამახასიათებელი სკოლის ტიპია ინტერნატი, რომლის ტრადიცია ადრეულ შიდა საუკუნეებში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად ამგვარი სკოლები მონასტრებთან, კერძოდ, ბენედიქტიანურ მონასტრებთან ყალიბდებოდა. თუმცა, სამონასტრო სკოლა-პანსიონები ქველმოქმედების მიზნით იხსნებოდა. უკვე ათასხუთასი წელია ბრიტანული პანსიონატები ფასიანია.

ამჟამად სკოლა-ინტერნატებს ”არისტოკრატიულობის” რეპუტაცია აქვთ. საქმე ის არის, რომ ამ ტიპის სკოლებში ერთ დროს გაიზარდნენ ბრიტანელთა ის თაობები, რომლებმაც თითქმის მსოფლიოს ნახევარი დაიმორჩილეს. ახლაც, ზოგიერთი პანსიონი, რომლებიც მრავალი ასწლეულია ერთსა და იმავე ჭერქვეშ არსებობს, ერთი და იგივე სახელწოდებით, შეიძლება კლუბად იწოდებოდეს. ამ კლუბის წევრები არიან ყოფილი იმპერიის ყველაზე არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლები.

ამ სკოლების გვერდით, სამეფოში არსებობს ბევრი სხვა ტიპის სასწავლო დაწესებულება. მოსწავლეთა ასაკის მიხედვით. ისინი იყოფიან სრული ციკლის სკოლებად, ეს დაახლოებით ჩვენი უწყვეტი განათლების კონცეფციის ანალოგიურია, რაც გულისხმობს - ”საბავშვო ბაღიდან უმაღლესი სკოლის გამოსაშვებ სადამომდე” - სისტემას; აგრეთვე, არის სკოლები თითოეული ცილკეული ასაკის ბავშვებისათვის. ეს არის: ბაგაბაღები 2-დან 7 წლამდე, რომლებშიც, ჩვეულებრივი საბავშვო ბაღისთვის დამახასიათებელი მეცადინეობების პარალელურად, ასწავლიან აგრეთვე კითხვას და წერას; დაწყებითი სკოლა, 7 წლიდან 13 წლამდე, რომელიც განსაკუთრებული გამოცდებით მთავრდება, რომლის გარეშე შემდგომი გზა დაკეტილია.

ამას გარდა, არსებობს ალტერნატიული სისტემა - Primary School, სადაც 4 წლიდან 11 წლამდე მოზარდები სწავლობენ, რომლებიც შემდეგ გადადიან Secondary School-ის სტადიაზე.

დაწყებითი სკოლის შემდეგ მოდის უფროსი სკოლა, სადაც 13 წლიდან 18 წლამდე მოზარდები სწავლობენ. აქ მოსწავლეები ჯერ გადაიან ორწლიან სწავლებას გამოცდების ჩასაბარებლად, რასაც მოსდევს კიდევ ერთი ორწლიანი პროგრამა. პარალელურ სისტემაში ეს ასაკი ”იკეტება” კიდევ ერთი ტიპის სკოლით, რომელშიც 11 წლიდან სწავლობენ. სკოლის ეს ტიპი გიმნაზიის ანალოგიურია, სადაც მოზარდები გაღრმავებული პროგრამებით სწავლობენ. ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოსაშვები კლასის მოსწავლეები სპეციალური პროგრამით სწავლობენ და უნივერსიტეტში შესასვლელად ემ-

ზადებიან. აქ სწავლობენ მოზარდები 16-დან 18 წლის ასაკამდე.

ბრიტანეთში დღემდე ძლიერია გოგონებისა და ვაჟების ცალ-ცელკე სწავლების ტრადიცია. განსაკუთრებით კარგად ჩანს იგი სწორედ ტრადიციულ სკოლებში, ახალი ფორმაციის სკოლებში შერეული არიან გოგონები და ბიჭები.

რაც შეეხება საკუთრების ფორმებს, დიდ ბრიტანეთში ფართოდ არის წარმოდგენილი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სკოლები. უფასო განათლების გარანტიას, რა თქმა უნდა, სახელმწიფო უზრუნველყოფს, მაგრამ (გერმანიის ანალოგიურად), წარმატებული კარიერისათვის საჭიროა "ნორმალური" სკოლის დამთავრება. ასეთი სკოლები კი, ტრადიციულად, კერძო სკოლებია (სწორედ ასეთი იყო საკუთრების რეფორმის პრევალირებული მიმართულება XX საუკუნეში) და იგი ერთობ ძვირი უჯდებათ მშობლებს.

სავალდებულო სწავლება ბრიტანეთში მოქმედებს 16 წლის ასაკამდე. ამის შემდეგ იწყებს მოქმედებას საგანმანათლებლო კრედიტები. ამასთან, მის დაბრუნებას უმაღლესის კურსდამთავრებული იწყებს სამუშაოზე მოწყობის შემდეგ, წელიწადში 21 ათასი ფუნტის ოდენობით,თუ ასეთი სამუშაო არ არის, ვალის დაბრუნება სავალდებულო არ არის.

მოსწავლეთა **ცოდნის შეფასებას** ხშირად მიმართავენ ტესტებს.

სწავლების შედეგების კონტროლი მოიცავს სამ განსხვავებულ ელემენტს:

- შემოწმება;
- აღრიცხვა;
- დიაგნოსტიკა.

კონტროლი ორიენტირებულია ცოდნის, ჩვევების, უნარების სტანდარტებზე. სტანდარტების შესაბამისად გამოიყოფა მოსწავლეთა მიღწევების სამი დონე:

- დამახსოვრება;
- ცოდნის არასაშტატო სიტუაციაში გამოყენების უნარი;
- ცოდნისა და უნარის გამოყენება რეალურ ცხოვრებაში.

მიმდინარე შემოწმებასთან ერთად არსებობს ცოდნის საგამოცდო შემოწმება:

- დაწყებით სკოლაში ორჯერ - 7 და 11 წლიანი ბავშვებისათვის;
- ორჯერ საშუალო სკოლაში - 14 და 16 წლიანი მოზარდებისათვის.

ნიშნებს წერენ მასწავლებლები და საგამოცდო კომისიის დამოუკიდებელი წევრები.

პროფესიული განათლება ბრიტანეთში ითვალისწინებს პროფესიული მზაობის ოთხ დონეს:

- **პირველი დონე**- კომპეტენტურობა, რაც საშუალებას აძლევს მის მფლობელს შეასრულოს ერთფეროვანი სამუშაო.
- **მეორე დონე**- სამუშაოს დამოუკიდებლად და პასუხისმგებლურად შესრულების უნარი;
- **მესამე დონე**- რთული და ორიგინალური სამუშაოს შესრულების უნარი;
- **მეოთხე დონე**- სპეციალური პერსონალური დავალების შესრულების უნარი.

პროფესიული სწავლება ხორციელდება:

- გაერთიანებულ სკოლებში;
- ტექნიკურ (პროფესიულ) კოლეჯებში;
- საწარმოებში არსებულ პროფესიული მომზადების ცენტრებში;
- დასაქმების ცენტრებში.

განსაკუთრებული ადგილი უკავია პროფესიულ კოლეჯებს, სადაც შეიძლება განხორციელდეს პროფესიული მომზადება კვალიფიციური მუშიდან საშუალო დონის სპეციალისტამდე.

აქვე შეიძლება მომზადდეს ახალგაზრდა უმაღლეს ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებაში შესასვლელად.

კოლეჯები მჭიდროდ უკავშირდებიან წარმოებაში სწავლებას. პროფესიულ კოლეჯში სწავლის ვადები მერყეობს 1-დან 5 წლამდე.

გერმანიის სახელმწიფო უზრუნველყოფს 9-წლიანი უფასო სავალდებულო განათლებას საზოგადოებრივ სასწავლო დაწესებულებებში. გერმანიაში არსებობს საზოგადოებრივი და კერძო სკოლები.

სწავლება იწყება 6 წლიდან ერთიან დაწყებით სკოლაში (I-IV კლასები), ე. ი. 6-დან 10 წლამდე (ან 12 წლამდე ბერლინსა და ბრანდერბურგში). აქ ბავშვები სწავლობენ კითხვას, ანგარიშს, წერას, სწავლობენ ბუნებისმეტყველებას. დაწყებით სკოლებს შორის განსხვავება ძირითადად მდგომარეობს სწავლების ხარისხში.

განათლების სისტემა დაწყებითი სკოლის ზევით 3 საფეხურიანი სტრუქტურისაა:

- ძირითადი სკოლა;
- რეალური სკოლა;
- გიმნაზია.

სკოლის ეს ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მიზნებით, დანიშნულებით, ზოგადი განათლების დონით:

- ძირითადი სკოლა (მე-5 - მე-10 კლასები), სადაც სწავლობენ შესაბამისი ასაკის მოზარდთა 50%, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მიიღონ არასრული ზოგადი, შემდეგში კი პროფესიული განათლება.
- რეალური სასწავლებელი (5-10 ან მე-7-მე-10 კლასები) იძლევა არასრულ ზოგად განათლებას პროფესიულ-პრაქტიკული მიმართულებით; აქ სწავლობენ ფიზიკას, ქიმიას, ბიოლოგიას, უცხოურ ენებს და სხვა აკადემიურ დისციპლინებს. რეალური სასწავლებლის მოსწავლეებს უფლება ეძლევათ სწავლა განაგრძონ საშუალო, შემდეგ კი უმაღლეს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებაში.
- გიმნაზია (მე-5-მე-13 ან მე-7-მე-13 კლასები) იძლევა სრულ საშუალო განათლებას და იმის უფლებას, რომ შევიდეს მისი კურსდამთავრებული უნივერსიტეტის ტიპის უმაღლეს სასწავლებელში. გიმნაზიაში სავალდებულო სასწავლო დისციპლინებია გერმანული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა, ბიოლოგია, ფიზიკური აღზრდა, მუსიკა, რელიგია. პროფილის მიხედვით გომნაზიებს სთავაზობენ სასწავლო პროგრამების ვარიანტებს.

როგორც წესი, გიმნაზია სპეციალიზდება სამი ძირითადი მიმართულებით: ჰუმანიტარული (ენა, ლიტერატურა, ხელოვნება), საზოგადოებრივი (საზოგადოებრივი მეცნიერებები) და ტექნიკური (საბუნებისმეტყველო საგნები, მათემატიკა, ტექნიკა). სწავლის დამთავრების შემდეგ გაიცემა დიპლომი საშუალო განათლების შესახებ (აბიტური). გერმანული აბიტური უთანაბრდება ჩვენებურ სრული საშუალო განათლების ატესტატსა და ბრიტანულ დიპლომს A-Level-ს. გიმნაზია ორიენტირებულია უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებაზე.

მოცემული სამი ტიპის სასწავლებლების გარდა, არსებობს აგრეთვე საერთო სკო-

ლები. მათში შერწყმულია გიმნაზიისა და რეალური სკოლის სხვადასხვა თავისებურებანი. ამ სკოლების კურსდამთავრებულებს ერთდროულად ეძლევათ ჰუმანიტარული და ტექნიკური განათლება.

სახელმწიფო სკოლების პარალელურად, სახელმწიფო ნიმუშის ატესტატებს გაცემენ აგრეთვე კერძო სასწავლო დაწესებულებები. ესენი, როგორც წესი, არიან რელიგიური, ელიტარული, დახურული სკოლები. საგანმანათლებლო მომსახურების სპექტრი, რომელსაც ახორციელებენ კერძო სასწავლებლები, სახელმწიფოებრივზე ფართოა. მაგალითად, მხოლოდ ასეთ სკოლებშია შესაძლებელი უცხოელმა მოსწავლემ მიიღოს გერმანული ატესტატი.

გერმანიაში კერძო სკოლები სწავლებისათვის უფრო მეტ საფასურს ითხოვენ, ვიდრე საფრანგეთის ანალოგიური სასწავლებლები. მაგალითად, პრესტიჟულ გერმანულ სკოლებში სასწავლო წლის სრული გადასახადი 40000 ევროა.

საშუალო სასწავლო დაწესებულებებში ცოდნის შემოწმების ექვსდონიანი შეფასების სკალა გამოიყენება; თითოეულ მათგანს შეესაბამება ქულათა (ბალების) ჯამი, რაც შეფასების ტენდენციის გათვალისწინებით განისაზღვრება:

- საუკეთესო (1) = 15-დან 13 ბალამდე;
- კარგი (2) = 12-დან 10 ბალამდე;
- დამაკმაყოფილებელი (3) = 9-დან 7 ბალამდე;
- დამაკმაყოფილებელზე (4) დაბალი = 6-დან 4 ბალამდე;
- სუსტი (5) = 3-დან 1 ბალამდე;
- არადამაკმაყოფილებელი (0) = 0 ბალი.

პროფესიულ სწავლებაში არსებობს საწარმოებში მოსწავლეობის სისტემა. ამ სისტემაში ჩაბმულები ამავე დროს პროფესიონალიზებულ სასწავლო დაწესებულებებში 2-3 წლის განმავლობაში სწავლობენ.

ფუნქციონირებენ აგრეთვე ამალლებული ტიპის პროფესიული სკოლები - ამა თუ იმ სპეციალობის სკოლები, რომლებიც გათვალისწინებულია 1-4-წლიანი სწავლებისათვის: სამედიცინო, კომერციული და ა. შ.

სხვადასხვა პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ ტექნიკურ სასწავლებლებში. საშუალო პროფესიულ განათლებაში ვიწრო სპეციალიზაციიდან გადადიან ფართო კვალიფიკაციაზე, რომელიც რამდენიმე სპეციალობას მოიცავს.

შემოღებულია პროფესიული სწავლების შემდეგი ორგანიზაცია:

- 1 დღე - სკოლაში;
- 4 დღე - საწარმოში.

სკოლაში მეცადინეობას ატარებენ პედაგოგები, საწარმოში ოსტატი-ინსტრუქტორები.

საფრანგეთის განათლების სისტემა

საფრანგეთში განათლება ექვსი წლიდან თექვსმეტ წლამდე სავალდებულოა, ანუ, სავალდებულოდ ითვლება ათწლიანი განათლება, რაც ფაქტობრივად საშუალო სკოლის სავალდებულობას ნიშნავს. ბუნებრივია, რომ სავალდებულო განათლებას სახელმწიფო აფინანსებს. უფასო სასკოლო განათლება ითვლება განათლების დემოკრატიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშნად.

საფრანგეთის განათლების ძირითადი პრინციპებია: სწავლების თავისუფლება (სახელმწიფოებრივი და კერძო სასწავლო დაწესებულებები), უფასო განათლება, განათლების ნეიტრალიტეტი ანუ მისი დეპარტიულობა. დეპარტიულობა ამ შემთხვევაში ნიშნავს სასწავლო დაწესებულების თავისუფლებას პარტიული ზეგავლენებისაგან. დეპარტიულობა არ განიხილება, როგორც დეპოლიტიზირება, რადგან განათლება ვერცერთ საზოგადოებაში ვერ იქნება აპოლიტიკური.

საფრანგეთის განათლების სისტემა რამდენიმე საფეხურისაგან შედგება. ეს არის:

- დაწყებითი განათლება, რაც მოიცავს 3-4 წლიან სკოლამდელ აღზრდას და ხუთწლიან დაწყებით სკოლას;
- საშუალო განათლება, რაც გულისხმობს 4 წლიან სწავლებას კოლეჯში და 3 წლიან სწავლებას ლიცეუმში;
- უმაღლესი განათლება, რაც შესაძლებელია საშუალო განათლების დამადასტურებელი დიპლომის მიღების შემდეგ.

განათლებაზე ყოველწლიურად საფრანგეთში იხარჯება საერთო ეროვნული პროდუქტის 6,1%.

2009 წლის მონაცემის მიხედვით, საფრანგეთის დაწყებითი და საშუალო განათლების სასწავლო დაწესებულებებში სწავლობდა 12 016 484 მოსწავლე. კერძო საგანმანათლებლო დაწესებულების წილი დაწყებითი და საშუალო განათლების სისტემაში - 16,9% შეადგენს, უმაღლესი განათლების სისტემაში კი - 14%.

დაწყებითი განათლება.

საფრანგეთში დაწყებითი განათლება ორსაფეხურიანია. ეს არის საბავშვო ბაღი და დაწყებითი სკოლა. საბავშვო ბაღში ბავშვის მიყვანა სავალდებულო არ არის, მაგრამ დღეისათვის 3 წლიდან 5 წლამდე ასაკის ბავშვების თითქმის 100% საბავშვო ბაღში დადის.

საბავშვო ბაღი.

საბავშვო ბაღი, როგორც ითქვა, სავალდებულო არ არის. ეს სასწავლო დაწესებულება გამიზნულია ორიდან ხუთ წლამდე ბავშვებისათვის. ორი წლის ასაკის ბავშვები საბავშვო ბაღის მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 20,9% შეადგენენ. სამი წლიდან ხუთწლამდე ასაკის ბავშვების თითქმის ასი პროცენტი საბავშვო ბაღებში იზრდებიან.

საბავშვო ბაღში ბავშვები სამ, ზოგჯერ კი ოთხ ჯგუფად არიან დაყოფილნი. პირველი და მეორე ჯგუფის ბავშვები შეადგენენ 1-ელ საგანმანათლებლო ციკლს, მესამე ჯგუფი მოიცავს მეორე საგანმანათლებლო ციკლს, რომელშიც შედის დაწყებითი სკოლის პირველი ორი კლასი.

საბავშვო ბაღის საგანმანათლებლო ამოცანებია:

- მეტყველების განვითარება და წერისათვის მომზადება;

- სკოლისათვის და მომავალი მოსწავლის სტატუსისათვის მომზადება;
- თვითგამოხატვა;
- სამყაროს აღმოჩენა საკუთარი შემეცნების გზით;
- აღქმის, გრძნობების, წარმოსახვის, შემოქმედებითი უნარების განვითარება.

დაწყებითი სკოლა.

განათლება დაწყებით სკოლაში იწყება მოსამზადებელი კურსით ექვსწლიანი ბავშვებისათვის და საბოლოოდ მოიცავს ხუთ სხვადასხვა დონეს (კლასს): პირველი წელი 6 წლის ბავშვებისათვის, მეორე წელი 7 წლის ბავშვებისათვის, მესამე წელი 8 წლის ბავშვებისათვის, მეოთხე წელი 9 წლის ბავშვებისათვის და მეხუთე წელი 10 წლის ბავშვებისათვის.

ძირითადი განათლების ციკლი, რომელიც საბავშვო ბაღის უფროს ჯგუფში იწყება, ეს ის პერიოდია, როდესაც ყალიბდება საბაზო დაწყებითი ცოდნა, ისეთი, როგორც არის მეტყველება, კითხვა და წერა, შემდგომი წარმატებული სწავლების საფუძვლები. მოსწავლე თანდათანობით ხდება დამოუკიდებელი.

საფრანგეთის განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი განრიგით, რომელიც სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებს ეხება, უზრუნველყოფს საკმარის დროს შვიდივე ძირითადი მიმართულებისათვის, ცხადია, თითოეულისათვის ცალ-ცალკე:

- მეტყველებისა და ფრანგული ენის დაუფლება;
- თანაცხოვრება;
- მათემატიკა;
- სამყაროს შემეცნება;
- მხატვრული განათლება.

საშუალო განათლება.

სასუალო განათლება ორ საფეხურიანია (კოლეჯი და ლიცეუმი) და შვიდი წელი გრძელდება.

კოლეჯი.

კოლეჯში სწავლა სავალდებულოა, ოთხ წელს გრძელდება (მეექვსედან მესამე კლასამდე) და სამ ციკლად არის დაყოფილი:

- **ადაპტაციის ციკლი**- მეექვსე კლასი. ამ კლასში ღებულობენ დაწყებითი სკოლის ყველა კურსდამთავრებულს გამოცდების გარეშე. კოლეჯში სწავლების პირველი წლის მიზნებია: დაწყებით სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცება და ერთ მთლიანობად გადაქცევა, ბავშვების მომზადება დამოუკიდებელი სწავლისათვის. ამ კლასში ირჩევენ ბავშვები პირველ უცხო ენას.
- **ცენტრალური ციკლი**- მეხუთე და მეოთხე კლასი. ამ ციკლის მიზანია უკვე ათვისებული ცოდნისა და უნარების განმტკიცება და გაღრმავება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აკადემიურ მოსწრებასა და ლიცეუმში პროფესიული მიმართულებების არჩევისათვის მომზადებას. მეხუთე კლასში იწყება ქიმია და ფიზიკა. აქვე შეიძლება აირჩიოს ლათინური ენა, რომელიც ფაკულტატიურად ისწავლება. მეოთხე კლასში ირჩევენ მეორე უცხო ენას.

- **პროფესიული ორიენტაციის ციკლი**- მესამე კლასი. იგი ამზადებს მოსწავლეებს სამი მიმართულებიდან ერთ-ერთის ასარჩევად. ეს მიმართულებებია - ზოგადი განათლება, ტექნიკური ან პროფესიული მიმართულებანი. მესამე კლასში იქმნება ძველბერძნული ენის შესწავლის შესაძლებლობა. ამასთან მოსწავლეებს შეუძლიათ აირჩიონ 3-6 საათიანი მოდული "პროფესიული ცხოვრების შესავალი". მესამე კლასის ბოლოს მოსწავლეები აბარებენ ეროვნულ გამოცდებს და ღებულობენ დიპლომებს. ამ გამოცდების შედეგები არანაირ გავლენას არ ახდენენ შემდეგ კლასში გადასვლაზე.

მესამე კლასის ბოლოს მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაეწერონ ზოგადსაგანმანათლებლო ან ტექნოლოგიური ლიცეუმის მეორე კლასში ან შევიდნენ პროფესიულ ლიცეუმში, სადაც შეუძლიათ მიიღონ გარკვეულ პროფესიაში პროფესიული ვარგისიანობის სერტიფიკატი.

ლიცეუმი.

საფრანგეთში არსებობს სამი ტიპის ლიცეუმი: ზოგადსაგანმანათლებლო, ტექნოლოგიური და პროფესიული. პირველი ორი ტიპის ლიცეუმებში (ზოგადსა და ტექნოლოგიურში) სწავლება სამწლიანია. ზოგადსაგანმანათლებლო ტიპის ლიცეუმში გამოცდების შედეგად მოსწავლეს აძლევენ ზოგადი ბაკალავრიატის მოწმობას, რაც უფლებასაძლევს მას მიიღოს უმაღლესი განათლება. ტექნოლოგიური ლიცეუმის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები აბარებენ გამოცდებს ტექნოლოგიური ბაკალავრიატის მოწმობის მისაღებად, რაც იძლევა უნივერსიტეტში სწავლის უფლებას უკვე არჩეული სპეციალობის მიხედვით.

პროფესიულ ლიცეუმში სწავლება ორწლიანია, რომლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები ღებულობენ მოწმობას პროფესიული განათლების შესახებ და პროფესიული ვარგისიანობის დამადასტურებელ სერტიფიკატს, რაც არ იძლევა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას. პროფესიული ბაკალავრიატის მოწმობის აღება შეიძლება ლიცეუმში სამწლიანი კურსის გავლის შემდეგ.

უმაღლესი განათლება.

უმაღლესი განათლება მხოლოდ იმათთვის არის ხელმისაწვდომი, ვისაც ბაკალავრიატის საფეხური აქვს გავლილი. საფრანგეთის უმაღლესი განათლების სისტემა უმაღლესი სასწავლებლების დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ასევე მრავალფეროვანია შემოთავაზებული სასწავლო დისციპლინები.

იურისდიქცია.

უმაღლესი სასწავლებლების უმეტესობა სახელმწიფოებრივია და ტრადიციულად განათლების სამინისტროს ემორჩილება. უმაღლესი განათლება ზოგჯერ სამინისტროს სტრუქტურაში არსებულ სახელმწიფო სამდივნოს დაქვემდებარებაში იყო.

უმაღლესი განათლების ტიპები საფრანგეთში.

ხანმოკლე უმაღლესი განათლება. სწავლება ორი-სამი წელი, რომლის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულები ღებულობდნენ ორი სახის დიპლომს, რომლებიც არსებითად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამ სახის უმაღლესი განათლების სასწავლო

დაწესებულებები ძირითადად ამზადებენ სპეციალისტებს წარმოებისა და მომსახურების სფეროსათვის.

ხანგრძლივი უმაღლესი განათლება ხორციელდება უნივერსიტეტებსა და უმაღლეს სკოლებში.

უმაღლესი განათლების სექმატური სისტემა ბოლინიის პროცესამდე შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

- 18 წლიანები - პირველი ციკლი (2 წლიანი. გაიცემა სერთიფიკატი საერთო სა-უნივერსიტეტო განათლების შესახებ).
- 21 წლიანები - მეორე ციკლი (1 წლიანი სწავლება. შეესაბამება ჩვენი საუნივერსიტეტო სწავლების მეოთხე კურსს).
- 22 წლიანები - მესამე ციკლი (1 წლიანი სწავლება. ამის შემდეგ განისაზღვრება, თუ რომელი მიმართულებით განაგრძობს სწავლას).
- 23 წლიანები - მესამე ციკლი (1 წლიანი სწავლება. გაიცემა გადრმავებული სწავლების დიპლომი, რაც გულისხმობს კვლევითი მუშაობის ჩვევებს).
- 24 წლიანები - პოსტსაუნივერსიტეტო განათლება, დოქტორანტურა (3-4 წლიანი სწავლებით).

2002 წელს დეკრეტით შემოღებულ იქნა ხარისხების ახალი სისტემა: ბაკალავრი - ლიცენციატი (3 წლიანი სწავლება), მაგისტრი (2 წლიანი), დოქტორი (3-4 წლიანი). აღნიშნული დეკრეტით სწავლების რეგლამენტი მკაცრად განსაზღვრული არ არის. მაგისტრის ეროვნული დიპლომი: მაგისტრი მკვლევარი და პროფესიული მაგისტრი. სტუდენტი პრაქტიკულად ყოველწლიურად ღებულობს ნაციონალურ დიპლომს, რომელიც რომელიმე საუნივერსიტეტო დიპლომს შეესაბამება, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნის განათლების ფრანგული დოკუმენტების გაგების საქმეში.

ფრანგული უმაღლესი სასწავლებლების ტიპები.

უმაღლესი სკოლები.

უმაღლესი სკოლები ფრანგული საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი თავისებურებაა. ეს სკოლები ფაქტობრივად დაპირისპირებულია ფრანგული საუნივერსიტეტო განათლების სახელმწიფოებრივ სისტემასთან და ძალიან ძნელია მისი შედარებითი კლასიფიკაცია საერთაშორისო დონეზე. უმაღლეს სკოლაში სწავლა საფრანგეთში უფრო პრესტიჟულად ითვლება, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტებში. საფრანგეთის უნივერსიტეტებს რაღაც მეორეხარისხოვნობის დამლა აქვთ, რადგან აქ სტუდენტთა კონტინგენტის შერჩევა არ ხდება და სწავლება უფასოა.

სახელმწიფო უმაღლეს სკოლებზე იხარჯება განათლებისათვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრების 30%, მაშინ, როდესაც ამ ტიპის სკოლებში სწავლობს სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%. თითოეული სტუდენტის დაფინანსება უნივერსიტეტებში 2005 წლის მონაცემებით სახელმწიფო ბიუჯეტს 4470 ევრო უჯდება, ხოლო უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად მოსწავლეთა მომზადება კი 13880 ევრო ანუ დაახლოებით ორჯერ მეტი. ზოგიერთი მონაცემით, ეს განსხვავება კიდევ უფრო მეტია: წელიწადში 6800 ევრო ჯდება სტუდენტის დაფინანსება, ხოლო მოსამზადებელი კურსების მსმენელისა 24 ათასი ევრო.

უნივერსიტეტებისაგან განსხვავებით, უმაღლეს სკოლაში საჭიროა რთული მისაღები გამოცდების ჩაბარება აბიტურიენტთა დიდი კონკურსის პირობებში. უმაღლეს

სკოლაში მოხვედრა ერთობ რთულია, მაგრამ მათი დამთავრების შემდეგ პროფესიული პერსპექტივა შეუდარებლად კარგია: კურსდამთავრებულებს არა მარტო დასაქმება აქვთ გარანტირებული, არამედ ყველაზე პრესტიჟული სამუშაო ადგილებიც სახელმწიფო თუ კერძო სექტორში.

ზოგიერთი უმაღლესი სკოლის მსმენელები სტიპენდიებს ღებულობენ, როგორც მომავალი სახელმწიფო მოსამსახურეები. სახელმწიფო ხელისუფლებისა და კერძო მეწარმეთა ინიციატივით შეიქმნა სასწავლებლები კონკრეტული ეკონომიკური სფეროებისა თუ სახელმწიფო ორგანოთა მოსამსახურეების მომზადებისათვის. მაგალითად, უმაღლესი ნორმალური (პედაგოგიური) სკოლები ამზადებენ მასწავლებლებს, პოლიტიკური სკოლა და სენ-სირის სასწავლებელი ამზადებს სამხედრო სპეციალისტებს; ნაციონალური ისტორიულ-საარქივო სკოლა ამზადებს არქივარიუსებსა და ეროვნულ ფასეულობათა მცველებს. უმაღლეს სკოლას მიეკუთვნება აგრეთვე ხუთი კათოლიკური ინსტიტუტი.

ყველა საგანმანათლებლო და კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო დაწესებულებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციასთან არსებულ ნაციონალურ სკოლას. ეს სკოლა პირველ ადგილზეა არა მარტო განათლებისა და სწავლების დონით; არამედ კარიერული ზრდისა და ცხოვრებისეული წარმატებების პერსპექტივებითაც.

ამ სკოლაში სწავლა უფასოა და ყველა ხარჯს საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტი კისრულობს. სკოლის ერთი მსმენელის სწავლის დაფინანსება წელიწადში 56303 ევრო ჯდება, რაც ამერიკის უნივერსიტეტებში ერთი სტუდენტის სწავლის დაფინანსებაზე მაღალია.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციასთან არსებულ სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა (დაახლოებით ექვსი ათასი კურსდამთავრებული 1945 წლიდან) გახდა წამყვანი პოლიტიკური მუშაკი, ფრანგული ინსტიტუციების ხელმძღვანელი, პარლამენტარი, უმაღლესი ჩინოვნიკი, დიპლომატი, უმაღლესი ფინანსური და ადმინისტრაციული საქმიანობის მაკონტროლებელი, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე, ბანკირი და ა. შ. ამ სკოლის კურსდამთავრებულთაგან ორი საფრანგეთის პრეზიდენტი გახდა, შვიდი - პრემიერ-მინისტრი, ბევრი მინისტრი, პრეფექტი, სენატორი და ეროვნული კრების დეპუტატი.

უმაღლესი სკოლის პროგრამებში, ჩვეულებრივ, ორი ციკლია. პირველია ორწლიანი მოსამზადებელი ციკლი, რომელიც შეიძლება გაიარო როგორც უმაღლესი სკოლის ბაზაზე, ისე ზოგიერთი ელიტალური ლიცეუმის ბაზაზეც. მეორე ციკლის დამთავრების შემდეგ სტუდენტი ღებულობს უმაღლესი სკოლის დიპლომს. სწავლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებული ვალდებულია 6-10 წლის განმავლობაში იმუშაოს სახელმწიფო სამსახურში, რითაც უნდა აუნაზღაუროს სახელმწიფოს მის განათლებაზე დახარჯული ფული.

ამ სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების გარდა, საფრანგეთში არის ბევრი სპეციალური სკოლა, რომლებიც უწყებრივ დაქვემდებარებაშია.

საფრანგეთი და ბოლონიის პროცესი.

საფრანგეთმა ძალიან სწრაფად დაიწყო **ბოლონიის პროცესის** იდეების განხორციელება. ჯერ კიდევ 1999 წელს შემოიღეს ოსტატის (მასტერის) ხარისხი, რომელიც ავტომატურად ენიჭებათ მათ, ვისაც ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დიპლომი აქვთ.

აღსანიშნავია ის, რომ საფრანგეთში მიმდინარე უმაღლესი განათლების რეფორმას (რომელმაც სამსაფეხურიანი განათლება და შესაბამისი აკადემიური ხარისხი დაამკვიდრა) რაიმე ცვლილება განათლების კანონში არ გამოუწვევია. რეფორმა ხორციელდება მთავრობის დეკრეტებისა და სამინისტროს დადგენილებების საფუძველზე. 1999 წელს შემოღებულ იქნა პროფესიული ლიცენციანტის ხარისხი, რაც ბოლონიის დეკლარაციის მოთხოვნით განხორციელდა. ეს გამოწვეული იყო ევროპის ბაზარზე პირველი ციკლის ხარისხის შრომაზე მოთხოვნილებით (კლასიკური ლიცენციანტი აქამდე ამ მოთხოვნებს ვერ პასუხობდა). რეფორმაში ჩაება უნივერსიტეტთა უმრავლესობა. ეს პირველ რიგში გამოწვეული იყო მათი მატერიალური დამოკიდებულებით: რეფორმაზე უარის თქმის შემთხვევაში მათ შეუმცირებოდათ სახელმწიფო დაფინანსება. სახელმწიფომ უმაღლესი სასწავლებლების ავტონომია გამოაცხადა, თუმცა გარდაქმნა საკმაოდ ცენტრალიზებულად ხორციელდება. გარდაქმნის პროცესი სხვადასხვაგვარად ხორციელდება. ზოგიერთი უმაღლესი სასწავლებელი სიახლეებს ერთდროულად ნერგავს, ზოგიერთები კი თანდათობით, სპეციალური პროექტების ორგანიზაციის გზით. ძირითადი პრობლემა, რასაც წააწყდნენ უნივერსიტეტები, არის ლიცენციანტის სტატუსის გაურკვევლობა: აქვს ლიცენციანტს დამოუკიდებელი საგანმანათლებლო დოკუმენტის ღირებულება, თუ იგი შემდგომი განათლების მიღების ქვედა საფეხურს წარმოადგენს.

რსფსრ განათლების სისტემა

რუსეთის განათლების სისტემა მრავალსაფეხურიანია და იგი უწყვეტი განათლების კონცეფციის მიხედვით არის აგებული.

განათლების სისტემის პირველი საფეხურია **საბავშვო ბაღი**.

საბავშვო ბაღი არის საგანმანათლებლო დაწესებულება სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის (როგორც წესი 3-დან 7 წლამდე). საბავშვო ბაღი არის სკოლამდელი ბავშვების სასწავლო დაწესებულებების ერთ-ერთი სახე რუსეთის ფედერაციაში. საბავშვო ბაღების სისტემა ემსახურება ბავშვების პირველდაწყებით სოციალიზაციას, თანატოლებთან ურთიერთობის უნარის განვითარებას. საბავშვო ბაღების სისტემაში ხდება აგრეთვე სკოლაში სწავლებისათვის ბავშვების მინიმალურ დონეზე მომზადება.

საბავშვო ბაღების კლასიფიკაცია.

- ზოგადი განვითარების მიმართულების საბავშვო ბაღი. მაგალითად, ფიზიკური, ინტელექტუალური, მხატვრულ-ესთეტიკური მიმართულებისა;
- ბავშვის განვითარების ცენტრი - საბავშვო ბაღი;
- კომბინირებული სახის საბავშვო ბაღი. ასეთია უმრავლესობა. ამ ბაღებში საერთო ჯგუფებთან ერთად, არის განვითარების ნორმალური ხაზიდან გადახრილი ბავშვები; როგორც წესი, ძირითადად ეს არის ლოგოპედიური ჯგუფები;
- კომპენსირების საბავშვო ბაღები - სპეციალიზებული და სანატორიული ჯგუფები; ასეთ ბაღებში ხდება ზოგიერთი ქრონიკული დაავადების კორექცია. სპეციალიზებულ ბაღებში, სანატორიულ ჯგუფებისაგან განსხვავებით, ქრონიკული დაავადების მქონე ბავშვები იმ ჯგუფებში სწავლობენ, სადაც ჯანმრთელი ბავშვები არიან.

საბავშვო ბაღის ამა თუ იმ სახის შესაბამისად ხდება სწავლების პროგრამის შემუშავება.

თამაშები საბავშვო ბაღში.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის თამაშს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მათთვის თამაში არის სწავლაც, შრომაც და გარემოს შემეცნებისა და აღზრდის საშუალებაც.

დაწყებითი სკოლა.

დაწყებითი სკოლა საშუალო განათლების საფეხურია. იგი მოიცავს 1-3 ან 1-4 კლასებს (ზოგიერთ ქვეყანაში 1-6 კლასებს). ამ საფეხურზე მოსწავლეებს ეძლევათ ყველაზე აუცილებელი და ამავე დროს ზედაპირული ცოდნა, უყალიბდებათ შემეცნებითი ინტერესები, პატივისცემა და სიყვარული სულიერებისა და ზნეობრიობისადმი, აგრეთვე ლოგიკური აზროვნება.

რუსეთის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე ამჟამად ისწავლება წერა (სუფთა წერა 1-ლი კლასის 1-ელ ნახევარში), რუსული ენა, მშობლიური ენა (არასრულ სკოლებში), კითხვა, მათემატიკა, მხარეთმცოდნეობა, ისტორია (მე-3 კლასიდან), გარესამყარო, უცხოური ენა (მე-2 კლასიდან), სახვითი ხელოვნება, მუ-

სიკა, სიმღერა (გუნდური), უსაფრთხოება, ფიზკულტურა, შრომა (შრომითი სწავლება). შეიძლება ამას ემატებოდეს კიდევ ერთი საგანი - ხელოვნების შესავალი.

ყველა ჩამოთვლილ საგანს, ხელოვნების შესავლის, მუსიკის, გუნდისა და ფიზკულტურის გარდა, როგორც წესი, ასწავლის ერთი მასწავლებელი - კლასის ხელმძღვანელი. დანარჩენ საგნებს ასწავლიან სხვა პედაგოგები. მუსიკასა და გუნდს, ჩვეულებრივ, ერთი მასწავლებელი ასწავლის.

პირველ კლასში მხოლოდ დადებითი ნიშნები იწერება (4 – "კარგი" და 5 – "საუკეთესო"). ასევე დაშვებულია საშინაო დავალების რვეულში სახუმარო ბეჭდების დასმა (წითელი, მწვანე, ლურჯი ფერისა) მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებლად შესრულებული საშინაო დავალებისათვის. მეორე კლასიდან იწერება ყველა ნიშანი ოფიციალურად, მათ შორის მეოთხედური და წლიური ნიშნები. მოსწავლეებს აქვთ დღიურები. სასწავლო წლის ბოლოს, წლის წარმატებით დასრულებისათვის ("5" - ფრიადზე), მოსწავლეებს მიეცემათ ქების სიგელები; ასევე, იმათ, ვინც სასწავლო წელი კარგი ნიშნებით ("4" ან "4" და "5") დაამთავრა გადაეცემათ მაძლობის წერილები.

შეფასების სისტემა.

სკოლებში არ ასხვავებენ შეფასებასა (როგორც სწავლების პროცესში უკუკავშირის ხარისხობრივ ინფორმაციას) და შეფასების ნიშანს (შეფასების რაოდენობრივ გამოხატულებას). ამიტომ შეფასება ეწოდება როგორც საკუთრივ შინაარსობრივ, ისე ნიშნით შეფასებას.

რუსეთის სკოლებში, როგორც წესი, გამოიყენება შეფასების ხუთბალიანი სისტემა (1-დან 5-მდე). არადაამაკმაყოფილებლად ითვლება "1" და "2" (ოფიციალური სახელწოდება - არადაამაკმაყოფილებელი), "3" (დამაკმაყოფილებელი ან საშუალო). ეს ნიშანი არის მინიმალურად დამაკმაყოფილებელი ან არასრული კომპეტენციის დონე. ნიშანი "4" (ოფიციალურად დასახელება - "კარგი"), ზოგჯერ მას "საშუალოზე მაღალს" უწოდებენ და ნიშანი "5" ("ფრიადი") არის ყველაზე მაღალი შესაძლებლობის გამოხატულება.

ცოდნის დონე სამ ბალსა და უფრო ზევით, ითვლება მოსწრებად, ამასთან 4 ბალი და ზევით ხარისხიან ცოდნად მიიჩნევა. მაგალითად, ოფიციალურ დოკუმენტებში ასე აღინიშნება: კლასის მოსწრება - 80%, ცოდნის ხარისხი - 70% ანუ მოსწავლეთა 80% აქვს შეფასება "3" და უფრო მაღალი ნიშნები, მათ შორის 70% კი მხოლოდ "4" და "5".

ზოგჯერ შეფასების ნიშანს ემატება პლიუსი ან მინუსი. მაგალითად "4+" (ოთხი პლიუსით), რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ნიშან "4"-ზე მაღალია ან "5"- (ხუთი მინუსით), რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ იგი ნაკლებია "5"-ზე. როგორც წესი, ეს "მინუსები" და "პლიუსები" შემდგომში არსად არის მხედველობაში მიღებული. მეოთხედურ, წლიურ შეფასებებსა და ატესტატში "პლიუსები" და "მინუსები" არ არის გათვალისწინებული.

არადაამაკმაყოფილებელ ნიშნებთან მინუსები და პლიუსები არ გამოიყენება. ოფიციალურ დოკუმენტებში (მაგალითად, საკლასო ჟურნალში) პლიუსებისა და მინუსების შეტანა აკრძალულია.

არსებობს შეფასების დიფერენცირებული სისტემა (10 ბალიანი, 12 ბალიანი და 20 ბალიანიც კი). 20 ბალიანი შეფასების სისტემა გამოიყენება საფრანგეთის სკოლებში, 12 ბალიანი - უკრაინაში, 10 ბალიანი - ბელორუსიაში, მოლდავეთში, ლიტვაში, ლატვიაში, საქართველოში.

სკოლები რუსეთში.

სხვადასხვა დროს სკოლები რუსეთში მოიცავდა X-XII კლასებს, რომელიც 4 საფეხურად იყოფოდა - სკოლამდელი, უმცროსი, საშუალო და უფროსი საფეხურები. სკოლის დამთავრების შემდეგ, გამოსაშვები გამოცდების შედეგების გათვალისწინებით მოსწავლე ღებულობს "სიმწიფის ატესტატს".

სკოლა ფუნქციონირებს სახელმწიფოს (რეგიონალურ ან მუნიციპალურ ბიუჯეტზე), კერძო პირისა და საზოგადოებრივი გაერთიანების ხარჯზე; აგრეთვე, არსებობს რელიგიური კონფესიების მიერ დაფინანსებული სკოლები.

განათლების დონის მიხედვით სკოლა იყოფა დაწყებით, არასრულ საშუალო, საშუალო და უმაღლესი სკოლის საფეხურებად. არასრულ საშუალო სკოლას აგრეთვე ძირითად სკოლასაც უწოდებენ. სქესის მიხედვით არსებობს ქალთა, ვაჟთა და შერეული სწავლების სკოლები; რელიგიასთან დაკავშირებით კი არსებობს საერო და რელიგიური (კონფესიური) სკოლები.

თანამედროვე რუსეთში საგანმანათლებლო დაწესებულებანი, რომლებიც ზოგად საშუალო განათლებას აძლევენ მოზარდებს, მოიცავენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, ლიცეუმებსა და გიმნაზიებს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შედიან 6 ან 7 წლის ბავშვები და 17 ან 18 წლის ასაკში ამთავრებენ მას. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტანდარტული სასკოლო პროგრამები გათვლილია 10-12 კლასებზე.

სასწავლო წელი იწყება 1 სექტემბერს და მთავრდება მაისში ან ივნისში.

არსებობს სასწავლო წლის დაყოფის ორი ძირითადი ფორმა:

- ოთხ მეოთხედად დაყოფა. ყოველი მეოთხედის ბოლოს არის არდადეგები - ზაფხულის, შემოდგომის, ზამთრისა და გაზაფხულის არდადეგები;
- ტრიმესტრად დაყოფა. ტრიმესტრები დაყოფილია 5 ბლოკად, ბლოკებს შორის გათვალისწინებულია ერთკვირიანი არდადეგები და III და I სემესტრს შორის მოქცეულია ზაფხულის არდადეგები, ან სასკოლო პროგრამა იყოფა სემესტრებად და 7 დღიანი არდადეგები გათვალისწინებული არ არის და არის მხოლოდ სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი არდადეგები. არსებობს ისეთი ვარიანტიც, როცა ერთმანეთს მოსდევნენ 5-6 კვირიანი სასწავლო მოდულები (პერიოდები) ერთკვირიანი არდადეგებით. 2 ასეთი პერიოდი (მოდული) შეადგენს ერთ ტრიმესტრს. X-XI კლასებში სასწავლო წელი, როგორც წესი, ორ ნაწილად იყოფა (ორი სემესტრი).

ყოველი მეოთხედის ან სემესტრის ბოლოს იწერება შემაჯამებელი ნიშნები ყველა სასწავლო საგანში, წლის ბოლოს კი წლიური შეფასება. ზოგ შემთხვევაში სემესტრული შეფასების ნაცვლად ან სემესტრულ შეფასებასთან ერთად იწერება ნახევარწლიური შეფასება. წარუმატებელი მოსწავლე, ანუ ის ვინც "არადაამაკმაყოფილებელი" წლიური შეფასება მიიღო, დარჩება იმავე კლასში მეორე წლით.

ბოლო სასწავლო წლის დასასრულს, აგრეთვე მე-9 კლასის დამთავრებისას, მოსწავლეები აბარებენ გამოცდებს სასწავლო საგანთა ერთ ნაწილში. ამ გამოცდებისა და წლიური შეფასების გათვალისწინებით დაიწერება შეფასების ნიშნები "სიმწიფის ატესტატში". იმ საგნებში, რომლებიც არ არის საგამოცდო დისციპლინები, ატესტატის ნიშნები გამოიყვანება წლიური შეფასების მიხედვით.

9 წლიანი სწავლება ყველასთვის სავალდებულოა. X და XI კლასებში სწავლა სავალდებულო არ არის. XI კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლე ღებულობს მოწმობას

სრული საშუალო განათლების შესახებ, 9 კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლე ღებულობს ძირითადი სკოლის დამთავრების ატესტატს და მას შეუძლია სწავლა განაგრძოს პროფესიულ სასწავლებელში ან საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში, სადაც პროფესიულ სწავლებასთან ერთად, სრულ საშუალო განათლებასაც მიიღებს. ამას გარდა, 9 კლასის დამთავრების შემდეგ მოზარდს შეუძლია სწავლა განაგრძოს საშუალო სპეციალურ სასწავლებელში (ტექნიკუმში, კოლეჯში, სამედიცინო, პედაგოგიურ სასწავლებლებში), სადაც შეუძლია მიიღოს საშუალო სპეციალური განათლება და შესაბამისი კვალიფიკაცია.

უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ახალგაზრდას მოეთხოვება სრული საშუალო განათლება: სრული საშუალო განათლების ატესტატი ან პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ან ტექნიკუმის დიპლომი.

სკოლების უმეტესობაში 5 დღიანი სამუშაო კვირაა (ზოგან 6 დღიანი კვირა); ყოველდღიურად ტარდება 4-8 გაკვეთილი (არაუმეტეს 5 გაკვეთილისა I-IV კლასებში, არაუმეტეს 6-სა V-VI კლასებში). გაკვეთილები 45 წუთიანია (არსებობს აგრეთვე 35 წუთიანი გაკვეთილები). გაკვეთილები დაყოფილია 5-20 წუთიანი შესვენებებით. საკლასო მეცადინეობების გარდა, მოსწავლეები ასრულებენ საშინაო დავალებებს (უმცროს კლასებში, პედაგოგის გადაწყვეტილებით, შეიძლება მოსწავლეებს დავალებები არ მიეცეთ).

ზოგადი საშუალო განათლების სისტემაში შეიძლება იყოს სპეციალიზებული საშუალო სკოლები ან ცალკეული კლასები (პროფილურისწინა, პროფილური) მთელი რიგი საგნების გაღრმავებული სწავლებით - უცხოური ენების, ფიზიკა-მათემატიკური, ქიმიის, ბიოლოგიური და ა. შ. კლასები. ჩვეულებრივი კლასებისაგან იგი განსხვავდება სპეციალიზებულ საგნებში დამატებითი დატვირთვით. ბოლო ხანებში ვითარდება გახანგრძლივებული დღის სკოლები, სადაც ბავშვები არა მარტო ზოგად განათლებას ღებულობენ, არამედ, ამასთან ერთად, მათთან ტარდება დიდი მოცულობის კლასგარეშე საქმიანობა, ფუნქციონირებენ საგნობრივი წრეები, სექციები და დამატებითი განათლების სხვა საშუალებანი.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გარდა რუსეთში არის ბავშვთა დამატებითი განათლების დაწესებულებანი - მუსიკალური, მხატვრული, სპორტული და სხვა სახის სკოლები. ეს სკოლები, რა თქმა უნდა, არ წყვეტენ ზოგადი განათლების ამოცანას.

რუსურ-ს სკოლებში 2005 წელს 2000 წელთან შედარებით, მოსწავლეთა რაოდენობა 12377-ით შემცირდა.

გიმნაზიები.

გიმნაზია ბერძნული წარმომავლობის სიტყვაა და პირდაპირი გაგებით ნიშნავს შენობას, სადაც გიმნასტიკური ვარჯიშები ტარდება, სპორტულ დარბაზს. ამჟამად იგი სახელმწიფო სასწავლო დაწესებულებაა.

პირვანდელი დანიშნულებით გიმნაზიები გვხვდება ძველ საბერძნეთში, ეგვიპტეში, სირიაში და მცირე აზიის სხვა სახელმწიფოებში, სადაც წვდებოდა ბერძნული და რომაული ისტორიული საზღვრები.

ცნება "გიმნასტიკაში" 1912 წლამდე ყოველგვარი ფიზიკური ვარჯიში იგულისხმებოდა. გიმნაზიაში სწავლობდნენ ფარიკაობას, მუშტით ბრძოლას, მხედრულ ნადირობას, ჰიგიენას, ცეკვებს, მუსიკას, რიტორიკას, მათემატიკას.

ძველბერძნულ, მერე კი ძველრომაულ იმპერიაში გიმნაზიებში სწავლების ხასია-

თი მუდმივად იცვლებოდა. იმდროინდელი კულტურა ფიზიკურ განათლებას ზოგად განათლებაზე მაღლა აყენებდა. შემდეგ თანდათან პრიორიტეტი მოიპოვა გონებრივმა განათლებამ.

გიმნაზიები რუსეთის იმპერიაში პრესტიჟული საშუალო სასწავლო დაწესებულება იყო და საფუძვლიან განათლებას იძლეოდა. გიმნაზიის კურსდამთავრებული მზად იყო საუნივერსიტეტო განათლებისათვის. თანამედროვე რუსეთში გიმნაზიებს უმნიშვნელო ადგილი უკავია განათლების ერთიან სისტემაში.

კოლეჯები რუსეთში.

კოლეჯი რუსეთში წარმოადგენს საშუალო პროფესიულ სასწავლო დაწესებულებას. მისი კურსდამთავრებულები ლეზულობენ ტექნიკოსის, მენეჯერის, იურისტის, ბანკის მუშაკის და ა. შ. კვალიფიკაციას. კოლეჯის დიპლომი უფლებას აძლევს მის მფლობელსწავლა განაგრძოს უმაღლეს სასწავლებელში (თუ მას არ აქვს სრული საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა დამთავრებული).

რუსეთის განათლების სისტემაში **კოლეჯი** წარმოადგენს საშუალო პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებას და ფაქტობრივად იგი სინონიმია ტერმინისა "ტექნიკუმი". ამ ორ ცნებას შორის არსებული განსხვავება განსაზღვრულია საშუალო პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ტიპობრივი დებულების მიხედვით, რომელიც რუსეთის ფედერაციის მთავრობის მიერ არის დამტკიცებული:

- ა) ტექნიკუმი არის საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საბაზო მომზადების საშუალო პროფესიული განათლების ძირითად საგანმანათლებლო პროგრამებს;
- ბ) კოლეჯი არის საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საბაზო მომზადების საშუალო პროფესიული განათლების ძირითად პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებსა და გადრმავებული მომზადების საშუალო პროფესიული განათლების პროგრამებს".

კოლეჯში მიღება ხდება ძირითადი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების ატესტატის (9 კლასის დამთავრების მოწმობა), ასევე სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი მოწმობის (11 კლასი) საფუძველზე. კოლეჯში შესვლის უფლებას ასევე იძლევა დაწყებითი პროფესიული განათლების (პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი ან პროფტექნიკური ლიცეუმი) დიპლომი ან საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების დამადასტურებელი სერტიფიკატი.

საშუალო პროფესიული განათლება რუსეთის კოლეჯში შეიძლება მიიღო ზოგადი საშუალო განათლების შემდეგ, 2-3 წლიანი სწავლებით (არაუმეტეს 3 წლისა), რაც სპეციალობის ხასიათსა და შინაარსზეა დამოკიდებული; 9 კლასიანი (ძირითადი სკოლის) განათლების შემდეგ კოლეჯში სწავლა 4 წლიანია.

კოლეჯის მოსწავლეებს აქვთ სტუდენტის სტატუსი. მათ ეძლევათ სტუდენტის ბილეთი და ჩათვლის წიგნაკი. კოლეჯის დამთავრების შემდეგ გაიცემა დიპლომი საშუალო პროფესიული განათლების შესახებ და მიენიჭება კვალიფიკაცია "ტექნიკოსი", "უფროსი ტექნიკოსი" და ა. შ.

რუსეთში არსებობს ცნება "უმაღლესი კოლეჯი". ამ ცნებაში, ჩვეულებრივ, მოიაზრება უმაღლეს სასწავლებელთან არსებული საშუალო პროფესიული სასწავლო დაწესებულება.

უნივერსიტეტები.

1724 წელს გაიხსნა და 1766 წელს დაიხურა სანკტ-პეტერბურგის აკადემიური უნივერსიტეტი (ფუნქციონირებდა როგორც პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის ნაწილი. 1755 წელს გაიხსნა მოსკოვის უნივერსიტეტი. მისი შექმნის დეკრეტი გამოქვეყნდა 1755 წლის 25 იანვარს, რომელსაც ხელს აწერდა რუსეთის იმპერატორი ელიზავეტა პეტროვნა.

რუსეთის იმპერიაში მოსკოვის საიმპერატორო (ახლანდელი მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტი) და პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტების გარდა არსებობდა მთელი რიგი უნივერსიტეტები.

უნივერსიტეტებში, ჩვეულებრივ, 4 ფაკულტეტი ფუნქციონირებდა: ისტორიულ-ფილოლოგიური, ფიზიკა-მათემატიკური, იურიდიული და სამედიცინო ფაკულტეტები.

რუსეთის ფედერაციაში 1990-იან წლებში მოქმედებდა 40-ზე მეტი სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამას გარდა არსებობს სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ფონდების მიერ დაარსებული უნივერსიტეტები.

ამავე დროს რუსეთის ფედერაციაში არსებობს სახელმწიფო უნივერსიტეტების რამდენიმე ტიპი: ფედერალური, ნაციონალური კვლევითი უნივერსიტეტები, ასევე განსაკუთრებული სტატუსის მქონე უნივერსიტეტები.

ამჟამად რუსეთში ფუნქციონირებს საკმაოდ ბევრი არასახელმწიფოებრივი უნივერსიტეტები. პირველი კერძო უნივერსიტეტი გახდა რუსულ-ამერიკული საერთაშორისო უნივერსიტეტი, რომელიც ფუნქციონირებს მოსკოვში.

უცხოური თეორიები განათლების გზების შესახებ

სკოლის მუშაობის თეორიული ბაზა მთელ მსოფლიოში მუდმივ განახლებასა და კორექტირებას განიცდის. ამ მუდმივ პროცესს ხელს უწყობს ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორი: მუდმივად მზარდი ცოდნის მოცულობა, ბავშვობის ბუნების კვლევის შედეგები, სასწავლო დაწესებულებათა მუშაობის გამოცდილება და სხვა. სკოლას რეგულარულად სჭირდება გარკვეული ხშირად ერთობ სერიოზული ცვლილებები. მაგალითად, 60-70-იანი წლების მეცნიერულ-ტექნიკურმა და ტექნოლოგიურმა რევოლუციამ და ინფორმაციულად ორიენტირებული საზოგადოებისაკენ შემობრუნებამ 80-90-იან წლებში სასკოლო განათლების წინაშე მაღალი მოთხოვნები დააყენეს. სკოლა აუცილებლად უნდა მოვიდეს შესაბამისობასი წარმოების, მეცნიერებისა და კულტურის ახალ დონესთან. ამრიგად, სკოლის მუშაობის, სასკოლო განათლების განახლება აქტუალური და გარდაუვალი ამოცანაა.

მსოფლიო თანამეგობრობა განსაზღვრავს ახალი განათლების შინაარსს. ამ პროცესში იგი ეჯახება ზღვარსგადასულ სტანდარტიზაციასა და რეგლამენტაციას, რითაც იქმნება იმის ილუზია, რომ თითქოს ყველაფრის სწავლება შეიძლება მკაცრი ლოგიკური თანამიმდევრობით. ხშირად უგულებელყოფენ იმის აუცილებლობას, რომ სწავლების საშუალებით წახალისდეს საღი აზრი, ცნობისმოყვარეობა, ექსპერიმენტირებისაკენ ლტოლვა. განათლებას (განსაკუთრებით ევროპაში) ჯერ კიდევ აწევს აბსტრაქტული სწავლების ტვირთი, რომლის მიხედვითაც მთავარი არ არის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება.

როგორც რუსი მეცნიერები მიუთითებენ, განსაკუთრებული სიტუაცია შეიქმნა რუსეთში 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში.

კერძოდ, ამ პერიოდში მნიშვნელოვნად შესუსტდა განათლებისაკენ ტრადიციულად ძლიერი მისწრაფება. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 1989 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ 10%-მა გამოთქვა სწავლის სურვილი. 1987 წელს გამოკითხულ უფროსკლასელთა 50%-მა განათლება სოციალურ ღირებულებათა ჩამონათვალის შუაგულსი მოაქცია, მეგობრობის, სიყვარულის, ძალის, პოპ-მუსიკის, ფულისა და სექსის შემდეგ. როგორც ვარაუდობენ, რუსეთის მოსახლეობის ცხოვრების დონის დაცემამ განათლებისადმი დამოკიდებულებაზეც იმოქმედა, თუმცა 90-იანი წლების შუახანებიდან კვლავ ამაღლდა განათლებისადმი ინტერესი, სტაბილურად იზრდება კონკურსები უმაღლეს სასწავლებლებში. ამგვარი ტენდენცია იმაზე მიუთითებს, - როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, - რომ საზოგადოებაში აღორძინდა იმის შეგნება, რომ განათლება აუცილებელია ცხოვრებაში წარმატების მიღწევისათვის.

სხვადასხვა ქვეყანაში განათლების მნიშვნელობა და მიზნები რომ გავიაზროთ, აუცილებელია ეროვნული ტრადიციების გათვალისწინება. ინგლისში განათლებას მომავალი სოციალური მდგომარეობის შესაბამისად აფასებენ; გერმანიასა და საფრანგეთში შესამჩნევია ინტელექტუალური განათლების პატივისცემა; აშშ-ის განათლებას პრაგმატისტულად უდგებიან. ინგლისელი მეცნიერი მ. სადლერი ამგვარ სიტუაციას რომ აღწერს, შენიშნავს: "როცა განათლებაზე ჩამოვარდება სიტყვა, გერმანელი კითხულობს - რა ეცოდინება. ფრანგს აინტერესებს როგორი იქნება გამოცდები, ამერიკელს - რის გაკეთებას შესძლებს, ინგლისელს - კარიერა".

თანამედროვე მსოფლიოს მზარდი ინტეგრაციისა და ინტერნაციონალიზაციის

პირობებში იცვლება განათლების მიზნები და ამოცანები. ამის ტიპური მაგალითია დიდი ბრიტანეთის განათლების ეროვნული კომიტეტის მოხსენებაში გადმოცემული იდეები (1993). ეფექტიანი განათლების მთავარი ამოცანა, - ნათქვამია მოხსენებაში, - ვასწავლოთ აღსაზრდელებს წარმატების მიღწევა.

სასკოლო განათლებასთან დაკავშირებული საკითხები აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკური ლიდერების ყურადღების ცენტრშია. მნიშვნელოვანი სასკოლო რეფორმების ინიციატორები იყვნენ მ. ტეტჩერი (ინგლისი), ი. ნაკასონე (იაპონია), პრეზიდენტები: რეიგანი, ბუში, კლინტონი (აშშ), ჟისკარ დესტენი (სფარანგეთი) და ა. შ.

სასკოლო განათლების საკითხებზე მუშაობს ბევრი ეროვნული ცენტრი, პირველ ყოვლისა პედაგოგიური უნივერსიტეტები, საუნივერსიტეტო კათედრები და დეპარტამენტები. გარდა ამისა, ამ თემებზე მუშაობენ სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი პედაგოგიური ცენტრები: განათლების ეროვნული აკადემია (აშშ), ეროვნული პედაგოგიური ინსტიტუტი და პედაგოგიური დოკუმენტაციის ცენტრი (საფრანგეთი), განათლების აკადემია (რუსეთი), პედაგოგიური კვლევის ეროვნული ინსტიტუტი (იაპონია) და სხვ.

დასავლეთელ და რუს მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ სასკოლო განათლების თეორიის-დამუშავებაში თავიანთი ძალები უნდა გააერთიანონ სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა. ამჟამად საკოორდინაციო ფუნქციას ასრულებს ისეთი სამეცნიერო ცენტრები, როგორც არის: აღზრდის ინტერნაციონალური ბიურო (შვეიცარია), პედაგოგიკური კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტი (გერმანია), საერთაშორისო პედაგოგიური ცენტრი (საფრანგეთი), განათლების საერთაშორისო ინსტიტუტი (აშშ) და სხვები.

მოწინავე სახელმწიფოები ქმნიან სასკოლო განათლების დიდმასშტაბიან პროექტებს. არის ენობრივი ბარიერების ლიკვიდირების სერიოზული ცდებიც. დასავლეთ ევროპის ქვეყნების განათლების მინისტრებმა დაამტკიცეს პროგრამები - "ერაზმუსი" (1987) და "ლინგვა" (1989), სადაც უცხოური ენის შესწავლა ნავარაუდევია უკვე დაწყებით სკოლაში, საშუალო სკოლაში კი ბავშვმა ორი უცხოური ენა უნდა იცოდეს. 1996 წელს "საერთაშორისო ბაკალავრიატის" სასწავლო დაწესებულებები ფუნქციონირებდნენ თითქმის 80 ქვეყანაში. ამ სასწავლებლის კურსდამთავრებულებს ეძლევათ დიპლომი, რომელიც უფლებას აძლევთ მათ სწავლა განაგრძონ მსოფლიოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში.

დღეს ბევრი პედაგოგი ფიქრობს, რომ ამჟამინდელი სკოლა მოძველდა, "უნდა შევცვალოთ არა მინისტრები, არამედ სკოლა, - წერს ფრანგი მეცნიერი ა. მადელენი, - რადგანაც ამაზეა დამოკიდებული სკოლის არსებობის ბედ-იღბალი". მის აზრს იზიარებს ამერიკელი ე. ტოფლერი, რომელიც მოუწოდებს სკოლის კონსერვატიზმის დამსხვრევისაკენ.

დღეს პედაგოგიკის თეორეტიკოსები გვთავაზობენ სკოლის კრიზისიდან გამოყვანის ორ ძირითად გზას: **წინმსწრები** და **ინტენსიური** სწავლების გზებს. წინმსწრებმა სწავლებამ მოსწავლეები უნდა მოამზადოს მომავალი სოციალური, ეკონომიკური, კულტურული გარდაქმნებისათვის. ინტენსიური სწავლება ორიენტირებულია არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ ცვლილებებზე სასკოლო განათლებაში.

ამ დიდაქტიკურ კონცეფციებს საფუძვლად უდევს სხვადასხვა კრიტერიუმები და მიდგომები. ეს შეიძლება იყოს სასწავლო პროცესის მეთოდების რეორგანიზაციის იდეა, უახლესი ტექნიკის გამოყენება სწავლებაში, პედაგოგიური ფსიქოლოგიის ახალი მონაცე-

მების გათვალისწინება და ა. შ.

დასავლეთის პედაგოგიკაში თვალშისაცემ დიდაქტიკურ კონცეფციებს შეიძლება მივაკუთვნოთ ტრადიციული პარადიგმა, რაციონალისტური მოდელი და ფენომენოლოგიური მიმართულება. იდეური პლურალიზმის პირობებში ხშირად გვთავაზობენ ისეთ თეორიულ მოდელებს, სადაც ერთდროულად არის ასახული განსხვავებული დიდაქტიკური პარადიგმები.

დიდაქტიკურ ტრადიციონალიზმთან განსაკუთრებით ახლოა სკოლის "კონსერვატიული როლის" შენარჩუნების იდეა. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლამ უნდა შეინახოს და მომავალ თაობებს გადასცეს წარსულის კულტურა. სასკოლო განათლების მიზანია ახალგაზრდა თაობისათვის ადამიანური ცივილიზაციის კულტურული ღირებულებების გადაცემა. ტრადიციონალიზმის მომხრეებს გადაწყვეტილი აქვთ ახალი სიცოცხლე მიანიჭონ აკადემიურ განათლებას, რაც ტრადიციული სასწავლო დისციპლინების სწავლებას გულისხმობს სტანდარტული პროგრამების ფარგლებში.

დასავლეთ ევროპაში ტრადიციული დიდაქტიკის გავლენა მუდამ ძლიერი იყო. ტრადიციონალიზმი, მაგალითად, დამახასიათებელია ფრანგული პედაგოგიკური აზროვნებისათვის. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ალენი (ვ. შარტიე) თავის დიდაქტიკურ მითითებებში ერთგულია ფორმალური განათლებისა და მთავარ ყურადღებას უთმობს ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებას. სწავლების მთავარი მიზანი, - ალენის აზრით, - არის "გონების გიმნასტიკა", "ცოდნაზე მონადირე მშვიერი აზრის" ჩამოყალიბება. ამას რომ მივაღწიოთ, მოსწავლეს რაც შეიძლება მცირე მოცულობის ცოდნა უნდა მიეცეთ. მისივე აზრით, განათლების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეებმა აითვისონ ფუნდამენტური იდეები და გამოცდილებანი, რაზეც შემდგომში დაშენდება აუცილებელი პროფესიული ცოდნა. ცოდნის ათვისებასთან ერთად, მოსწავლემ უნდა ისწავლოს საკუთარი შემეცნებითი საქმიანობის მართვა.

ალენის მოსაზრებანი პრინციპულად ემთხვევა ჩვენს პედაგოგიკაში დამკვიდრებულ შეხედულებებს, რომელიც ზოგიერთ ფსევდორეფორმატორს კომუნისტური რეჟიმის პროდუქტი ჰგონია ან XIX საუკუნის უიმედო გადმონაშთად მიიჩნევს. მაგალითად, ალენს მიაჩნია, რომ თუ დაწყებით სკოლაში სწავლების "მთავარი კომპასი" თვალსაჩინოებაა, საშუალო სკოლაში ძირითადია აბსტრაქტული აზროვნება. მისი აზრით, მოსწავლეებს უნდა ვასწავლოთ სიძნელეთა მაღალ, მაგრამ მისაწვდომ დონეზე. ამასთან იგი გვირჩევს ჩავრთოთ სწავლების პროცესში თამაშის ელემენტები. ალენს სწამს, რომ შესაძლებელია მოსწავლის ყურადღების დაპყრობა და მართვა, გულგრილობისა და მოწყენილობის დაძლევა სწავლების პროცესში. ამის მიღწევა შეიძლება, თუკი მოსწავლეს დასაძლევ სიძნელეს შევთავაზებთ, საკუთარ ძალებში დავარწმუნებთ.

ალენის არგუმენტაციამ განვითარება ჰპოვა ზოგიერთ სოციოპედაგოგიურ კონცეფციაში (ჟ. მაჟო, ლ. კარო, ჟ. კაპელი და სხვ.).

სასკოლო განათლების ტრადიციონალიზმისაკენ მობრუნების ტენდენცია აშკარად არის გამოხატული ამერიკულ პედაგოგიკურ აზროვნებაშიც (გ. კეველტი, დ. რავიჩი, ც. ფინი და სხვები), სადაც გამოცოცხლდა აკადემიური განათლების იდეა. ისინი თანდათან სცილდებიან პრაგმატიზმს სწავლებაში. ბევრი ამერიკელი მეცნიერი პედაგოგი პირველ პლანზე აყენებს მტკიცე, მეცნიერულად სტრუქტურირებულ სწავლებას.

დასავლეთის სასკოლო განათლებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლის **რაციონალისტური მოდელი**. მის ავტორებს მიაჩნიათ, რომ მოსწავლე ახალგაზრდობა

უნდა დაეუფლოს ცოდნას და შეეგუოს ცნობიერების სოციალურ პირობებს სასკოლო განათლების საშუალებით.

სკოლის რაციონალისტური მოდელის კარგი ილუსტრაციაა "სკოლა-ფაბრიკა" (რაზეც ჩვენ ამ ორი ათეული წლის წინ ვწერდით ქართულ სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალში). გერმანელი პედაგოგი ო. ფინკი ასე ახასიათებს ამ სახის სკოლასა და თეორიას: "ისინი ადამიანს უყურებენ, როგორც ნედლეულს, როგორც მასალას, რომელიც დაგემორჩილება (დაემორჩილება დამუშავებას) თუ მართვისა და ზეგავლენის სწორ მეთოდებს გამოვიყენებთ".

აქვე შევნიშნავთ, რომ სწავლებისა და აღზრდისადმი ასეთი მიდგომა დამახასიათებელი იყო გასული საუკუნის 20-იანი წლების საბჭოური პედაგოგიკისათვის. 30-იანი წლებში ეს მიდგომა საფუძვლიანად დაარღვია სწავლებისადმი პედოლოგიურმა მიდგომამ, მაგრამ 30-იანი წლების ბოლოს მაშინდელმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ კანონით აკრძალა პედოლოგიური მიდგომა სწავლებისადმი და საბჭოური სკოლა კვლავ დიდი ხნით დაუბრუნდა (70-იან წლებამდე) 20-იანი წლების თეორიასა და პრაქტიკას.

სასკოლო ცოდნას რაციონალისტები განიხილავენ როგორც ობიექტური ფაქტების სისტემას. მასწავლებელი - "მენეჯერი" არეგულირებს მოსწავლეების მიერ ამ ფაქტების ათვისებას. მოსწავლეთა როლი მეტწილად პასიურია. ისინი ითვისებენ ე. წ. "ქცევის რეპერტუარს" (ცოდნა, უნარი, ჩვევა), რაც აუცილებელია საზოგადოებაში ცხოვრებისათვის. ასე უცქერიან სასწავლო პროცესს ბიჰევიორისტული (ქცევისმიერი) ორიენტაციის პედაგოგები (ამერიკელები პ. ბლუმი, რ. ტაილერი, ბ. სკინერი და სხვები). ისინი ამტკიცებენ, რომ ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება გადავიყვანოთ ქცევისმიერი ტერმინების ენაზე, რომლებიც აღნიშნავენ ადამიანისათვის დამახასიათებელი ყველა სახის რეაქციას (აზრი, გრძნობა და მოქმედება).

სხვა შეხედულება აქვთ სასკოლო განათლებაზე ფენომენოლოგიური მიმართულებების წარმომადგენლებს. ისინი ქადაგებენ სწავლების ჰუმანურ მიმართულებას და მიაჩნიათ, რომ სწავლება უნდა იყოს პერსონალური, თითოეული მოსწავლის პიროვნების შესაბამისი. ფენომენოლოგიური მიმართულების ერთ-ერთი მამამთავარია ამერიკელი მეცნიერი ა. მასლოუ.

დიდაქტიკაში ფენომენოლოგიურ მიმართულებას მიეკუთვნება "ახალი პედაგოგიკის" ზოგიერთი კონცეფცია და თეორია, მაგალითად, "ღია სწავლება", "არადირექტიული დიდაქტიკა" და სხვ. "ღია სწავლების" წარმომადგენლებმა ააღორძინეს პრაგმატისტული განათლება ("სწავლება მოქმედების საშუალებით"). ისინი მაგალითად, ამერიკელი ც. პეტერსონი, მიიჩნევენ, რომ მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება თვითონ აირჩიონ მიზანი, პრობლემები და მოქმედების სახეები. მასწავლებელი ამ შემთხვევაში "შემეცნების წყაროა", რომელიც აიოლებს შემეცნების პროცესს.

დასავლეთში თუ თანამედროვე დიდაქტიკის შემუშავების ცენტრი აშშ-ა. აღმოსავლეთში ამგვარი ცენტრი უეჭველად რუსეთია. რუსმა მეცნიერებმა (ვ. კრაევსკი, ი. ლერნერი, მ. სკატკინი) დაამუშავეს სასკოლო განათლების კონცეფციები, კერძოდ, ზოგადი საშუალო განათლების კონცეფცია.

განათლების გლობალურ მიზნად მათ მიაჩნიათ ახალგაზრდა თაობის მიერ სოციალური გამოცდილების საფუძვლების ათვისება:

1. ბუნების, საზოგადოების, ტექნიკის, ადამიანისა და მოქმედების შესახებ ცოდნა;

2. უნარ-ჩვევების განვითარება;
3. შემოქმედებითი საქმიანობის გამოცდილება;
4. სამყაროსა და საქმიანობისადმი ემოციურ-ღირებულებითი დამოკიდებულების გამოცდილება.

განათლების შინაარსში მთავარი, - მათი აზრით, - არის სოციალური დაკვეთა, რომელიც უნდა "ითარგმნოს" პედაგოგიკის ენაზე. ამისათვის ჯერ უნდა შემუშავდეს განათლების შინაარსის შესახებ ზოგადი თეორიული წარმოდგენები, შემდეგ კი წარმოდგენა სასწავლო საგნის დონეზე, ბოლოს კი წარმოდგენა სასწავლო მასალაზე. ამრიგად, სწავლების შინაარსი რეალურად არსებობს მხოლოდ სასწავლო პროცესში. ეს პროცესი მოითხოვს ინფორმაციის შეგნებულ აღქმასა და მის დამახსოვრებას. მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთდაკავშირებული მოქმედება უნდა აისახოს სწავლების მეთოდებში. მოსწავლეებმა აუცილებლად უნდა გაიარონ ცოდნის ათვისების ორი ეტაპი:

1. შეგნებული აღქმა და დამახსოვრება;
2. მისი გამოყენება. რეალურ სასწავლო პროცესში.

ეს დონეები ვარიანტულად ცვლიან ერთმანეთს.

იაპონიაში განათლების მიზნად მიჩნეულია მომზადების დადგენილი დონის მიღწევა და ახალი ცოდნის და უნარ-ჩვევების მოპოვებისათვის საჭირო გარკვეული უნარ-თვისების ჩამოყალიბება. როგორც იაპონელი მეცნიერები ტაკელა მასანო და სუბუკი სინიჩი აღნიშნავენ, უკანასკნელ წლებში განათლების მიზანმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა: მაღლდება ზოგადი განათლების დონე, შემოღებულია ახალი სასწავლო დისციპლინები და სასწავლო საქმიანობის სახეები და ფორმები. განათლების შინაარსი იცვლება ახალი ცხოვრებისეული პრიორიტეტების შესაბამისად. კერძოდ, დღის წესრიგშია ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის აუცილებლობა, განათლების გადაქცევა უფრო მეტად მოტივირებულ პროცესად და ა. შ.

ჩინეთის განათლების სისტემა

გასული სდაუკუნის მეორე ნახევარში ჩინეთმა სასწაული მოახდინა განათლებაში. მან მთელი მსოფლიოს საგანმანათლებლო ხარჯების 2% დახარჯა საზოგადოებრივ განათლებაზე და გადაჭრა სავალდებულო 9 წლიანი განათლების პრობლემა. 2001 წლისათვის განათლების სამივე საფეხურმა (დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი) მოიცვა 229 მილიონი ადამიანი. ზრდის ტემპმა ორჯერ გადააჭარბა ანალოგიურ პერიოდში საერთო მსოფლიო მაჩვენებელს. ამჟამად დაწყებით სკოლაში მთელი ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი ასაკის მოზარდთა 98,58% ღებულობს განათლებას, საშუალო სკოლის დაწყებით საფეხურზე ჩარიცხულია შესაბამისი ასაკის ახალგაზრდათა 90%. მოწიფულობის ასაკის ახალგაზრდათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობა 5%-მდე შემცირდა.

უკანასკნელ წლებში განათლება ვითარდება გაღრმავების მიმართულებით და სულ უფრო ფართო სფეროებს მოიცავს. 10 წლის წინ ცოტამ თუ იცოდა საქმიანი ადმინისტრირების ოსტატის ხარისხის შესახებ, 2003 წელს 63 უმაღლესმა სასწავლებელმა 30 ათასი სპეციალისტი მიიღო საქმიანი ადმინისტრირების ოსტატად მომზადებისათვის. ამდენივე კაცი მიიღეს საზოგადოებრივი ადმინისტრირების ოსტატის მომზადების კურსებზე.

ყოველწლიურად იზრდება საერთაშორისო სტუდენტობის რიცხვი და გაცვლითი პროგრამები განათლების სფეროში. ჩინეთი ის ქვეყანაა, რომელიც ყველაზე მეტ მოსწავლეს აგზავნის უცხოეთში სასწავლებლად. 1979 წლიდან საზღვარგარეთის 103 ქვეყანაში გაიგზავნა 582 ათასი კაცი, მათგან 160 ათასი სწავლის დასრულების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში. ამავე დროს სწრაფად იზრდება იმ მოსწავლეთა რიცხვი, ვინც უცხოეთიდან სასწავლებლად ჩადის ჩინეთში. მხოლოდ 2003 წელს ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა 86 ათასი უცხოელი სტუდენტი, მსოფლიოს 170 ქვეყნიდან,

განათლების სწრაფი განვითარების მნიშვნელოვანი მიზეზია განათლების დაფინანსების ზრდა. 1998 წლიდან განათლების დაფინანსება ყოველწლიურად 1%-ით იზრდება. 2003 წელს განათლებისათვის გამოიყო 349,14 მილიარდი იუანი, რაც ერთიანი შიდა პროდუქტის 3,41%-ს შეადგენს. მთავრობის უახლოესი მიზანია უახლოეს დროს განათლების დაფინანსება გაიზარდოს და ერთიანი შიდა პროდუქტის 4% შეადგინოს.

არასავალდებულო განათლების გავრცელების ეტაპზე ჩინეთი ახორციელებს განაწილების სისტემაში წილობრივ მონაწილეობის პოლიტიკას. იმისათვის, რომ შეუმსუბუქოს ოჯახებს განათლების არასავალდებულო ეტაპზე შვილების სწავლის დაფინანსება, ჩინეთის მთავრობა ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს; კერძოდ, ჩინეთმა შექმნა სტიპენდიების სისტემა, სწავლისა და შრომის შეერთების პირობები, სუბსიდირების სისტემა. სახელმწიფო იძლევა შეღავათიან კრედიტებს სწავლის დასაფინანსებლად და ა. შ.

მთავრობამ ივალდებულა, უახლოეს 10-20 წელიწადში საზოგადოებას შეუქმნას კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობანი განათლების დარგში, კერძოდ სახალხო მეურნეობის სპეციალისტთა მომზადებაში. განზრახულია, რომ 2020 წელს ყოველ 100 ათას კაცზე 13 ათასი უმაღლესი განათლების სპეციალისტი და 31 ათასი საშუალო განათლების მქონე ადამიანი მოვა. წერა-კითხვის უცოდინარობა და მცირემცოდნეობა 3%-მდე შემცირდება. სწავლების საშუალო ვადები 8 წლის ნაცვლად 11 წელი გახდება.

საბაზო განათლება.

საბაზო განათლება მოიცავს სკოლამდელ სწავლებას, სავალდებულო ცხრაწლიან განათლებას დაწყებითი სკოლიდან დაბალი საფეხურის საშუალო სკოლამდე. საშუალო სკოლის უმაღლეს საფეხურზე სწავლებას, ინვალიდი ბავშვების სპეციალურ განათლებასა და განათლებას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ჩარჩოებში.

ამჟამად ჩინეთში 200 მილიონზე მეტი მოზარდი სწავლობს დაწყებით და საშუალო სკოლებში. სკოლამდელთა ჩათვლით ეს არის მთელი მოსახლეობის მეექვსედი. ამიტომ, საბაზო განათლება მთავრობის პრიორიტეტად ითვლება და იგი განიხილება, როგორც სოციალური ინფრასტრუქტურისა და განათლების მთელი სისტემის უმნიშვნელოვანესი ნაწილი.

უკანასკნელ წლებში მტკიცე ნაბიჯებით მიიწევეს წინ განათლება საშუალო სკოლის უმაღლეს საფეხურზე. 2003 წელს ამ ტიპის სკოლებში მიღებულ იქნა 7,52 მილიონი მოსწავლე, ანუ 3,1-ჯერ მეტი, ვიდრე 1998 წელს. ამჟამად, ამ ტიპის სკოლებში მოსწავლეთა რაოდენობა მოსწავლეთა მთელი კონტინგენტის 42,8%-ს შეადგენს, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების შესაბამის მონაცემებს.

სახელმწიფო გამოჰყოფს მნიშვნელოვან ასიგნებებს სასკოლო საქმის გაუმჯობესებისათვის. ახალი სასკოლო შენობების მშენებლობებთან ერთდ, სახელმწიფომ გამოჰყო მნიშვნელოვანი კაპიტალი ძველი შენობების რემონტისა და რეკონსტრუქციის მიზნით. ძირითადად საქმე ეხება დაწყებითი და საშუალო სკოლების შენობებს ძირითადად სასოფლო რაიონებში. მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალდაბანდებები თითოეულ მოსწავლეზე გაანგარიშებით, მიმდინარეობს სასწავლო ლაბორატორიებისა და სახელმძღვანელოების განახლების პროცესი.

ჩინეთის მთავრობამ მიზნად დაისახა ჩინეთის განათლების სისტემის განვითარების მიახლოება საშუალოდ განვითარებული ქვეყნების განათლების სისტემებთან 2010 წლისათვის.

განათლების მდგომარეობა სოფლად.

ჩინეთში მოსახლეობის დიდი ნაწილი სასოფლო რაიონებში ცხოვრობს. სოფელში სავალდებულო განათლება მოიცავს 160 მილიონ ადამიანს. 2003 წლიდან სოფლად განათლებას არნახული ყურადღება დაეთმო. სრულიად ჩინეთის სამუშაო თათბირზე, რომელიც სოფლად განათლების საკითხებს მიეძღვნა, წამოაყენეს სოფლად განათლების განვითარების კონკრეტული მიზნები და დაისახა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ღონისძიებები.

ჩინეთის განათლების სამინისტროს გეგმით, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ხელისუფლება განახორციელებს ღონისძიებებს, რომელიც მიმართული იქნება დასავლეთ რეგიონებში სავალდებულო ცხრაწლიანი განათლების განვითარებისაკენ. რა თქმა უნდა, აქ კვლავ პრიორიტეტულად რჩება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისაკენ მიმართული ღონისძიებები. ამავე დროს, აქტიურად მიმდინარეობს თანამედროვე დისტანციური სწავლების განვითარება სოფლის საშუალო და დაწყებით სკოლებში; მიმდინარეობს სავალდებულო განათლების გაჯანსაღებისა და სრულყოფის პროცესი სასოფლო რაიონებში.

უმაღლესი განათლება.

სტაბილურად ვითარდება უმაღლესი განათლება ჩინეთში. 2003 წელს მთელ ჩინეთში 2003 უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებდა, სადაც სწავლობდა 19 მილიონი სტუდენტი. ეს არის სტუდენტური ასაკის ახალგაზრდობის 17%. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ჩინეთი შედის მასობრივი განათლების განხორციელების პერიოდში. იუნესკოს "უმაღლესი განათლების მდგომარეობის შესახებ მსოფლიოში", რომელიც 2003 წლის 23 ივნისს გამოქვეყნდა, მითითებულია: ჩინეთის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა ძალიან მოკლე დროში გაიზარდა ორჯერ. უმაღლესი განათლების მასშტაბით ჩინეთს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში.

1993 წელს დაიწყო მსოფლიო დონის პირველი კლასის 100 უნივერსიტეტის სისტემის ჩამოყალიბება. 708 უმაღლესი სასწავლებელი გადაკეთდა 302 მრავალპროფილიან უნიკალურ უმაღლეს სასწავლებლად. უმაღლესი სასწავლებლების შერწყმამ შესაძლებელი გახადა საფუძვლიანი გარდაქმნების განხორციელება უმაღლესი სასწავლებლების მართვაში, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. შეიქმნა სპეციალური სახელმწიფო ფონდი იმ 30 უმაღლესი სასწავლებლების მხარდასაჭერად, რომლებიც მსოფლიოს მოწინავე სასწავლებლების რიგში იხსენიებიან.

მრავალი წელია ფართოვდება სტუდენტთა მიღება უმაღლეს სასწავლებლებში. 1999-2002 წლებში უმაღლესში შემსვლელთა რიცხვი 1,6 მილიონიდან 3,2 მილიონამდე გაიზარდა. 2003 წელს ჩვეულებრივ უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს 3,82 მილიონი სტუდენტი, 620 ათასით მეტი წინა წელთან შედარებით, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ასპირანტურებში ამავე წელს შევიდა 269 ათასი მაძიებელი, ანუ 66 ათასით მეტი წინა წელთან შედარებით.

შესამჩნევად განმტკიცდა სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალი უმაღლეს სასწავლებლებში. მათი წვლილი ეკონომიკურ აღმშენებლობასა და სოციალურ განვითარებაში ყოველდღიურად შესამჩნევი ხდება. განმტკიცდა თანამშრომლობა საწარმოებსა, სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებს შორის, რაც ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების დანერგვას, გაჩნდა ახალი, მეცნიერებატევადი დარგები და ახალი სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქცია.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებები.

სახელმწიფო აქტიურად უჭერს მხარს საზოგადოებრივ საწყისებზე სასწავლო დაწესებულებების შექმნას. ჩინეთის კანონი არასახელმწიფოებრივი განათლების მხარდაჭერის შესახებ გამოქვეყნდა 2002 წელს და მოქმედება დაიწყო 2003 წლის 1 სექტემბრიდან. 2003 წლის ბოლოს ჩინეთში 60 ათასი არასახელმწიფოებრივი სასწავლო დაწესებულება იყო, სადაც 11,16 მილიონი ადამიანი სწავლობდა. მათ შორის იყო 12002 უმაღლესი სასწავლებელი (აქ არ შედის ის 133 არასახელმწიფოებრივი უმაღლესი სასწავლებელი, რომლებსაც უფლება აქვთ გასცენ სახელმწიფო დიპლომი).

საზოგადოებრივ საწყისებზე სასწავლო დაწესებულების შექმნამ წარმოშვა იმის შესაძლებლობა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივად ჩამოყალიბებულიყო უმაღლესი სკოლები. ბევრი უცხოური უნივერსიტეტი სწორედ ამ გზით დამკვიდრდა ჩინეთში. ამან გაამდიდრა ჩინეთის განათლების სისტემა, ხოლო ჩინელ ახალგაზრდებს გაუზიარდა კიდევ ერთი შესაძლებლობა იმისა, რომ მიიღონ თანამედროვე განათლება.

ქსელური განათლება.

ჩინეთში ქსელური განათლება უკვე რამდენიმე წელია არსებობს და თანდათან დიდ მასშტაბებს ეუფლება. ამ სისტემის გარშემო მსხვილი ფირმების გაერთიანებამ ქსელური განათლება განათლებაში ინვესტირების ძლიერ კერად აქცია. ქსელური განათლებიდან ყველაზე მეტ სარგებელს ღებულობენ შორეული რაიონებისა და განათლების თვალსაზრისითნაკლებად განვითარებული რეგიონების ახალგაზრდები, აგრეთვე მისაღებამოცდებზე ჩაჭრილი აბიტურიენტები, აგრეთვე ისინი, რომლებიც მუშაობენ და ონლაინ რეჟიმში მომუშავე უნივერსიტეტებში ღებულობენ პროფესიულ მომზადებას.

განათლების სამინისტრომ უფლება მისცა 68 უმაღლეს სასწავლებელსა და ცენტრალურ რადიოსა და ტელევიზიას გასწიონ პროპაგანდა დისტანციური სწავლების ექსპერიმენტული ცენტრების შექმნის მიზნით. 2003 წლის ბოლოსთვის ამ უმაღლესმა სასწავლებლებმა უკვე შექმნა ქვეყანაში 2027 არაუმაღლესი განათლების ცენტრი, რომელიც მოიცავს ათ ერთობ მნიშვნელოვან დისციპლინას 140 პროფესიისათვის. ამ ცენტრებში უკვე დარეგისტრირებულია 1,373 მილიონი მოსწავლე.

განათლების ხელმისაწვდომობის ფართოსპექტრიანი ტექნოლოგიის თანდათანობითი დანერგვა ხელს უწყობს ქსელური განათლების განვითარებას. ჩინეთის საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი ქსელის ფარგლებში, რომლის ჩამოყალიბება დაიწყო 1994 წლიდან, შეიქმნა ინფორმაციის ჩქაროსნული გადაცემის ქსელი 20 ათასი კილომეტრის საერთო მოცულობით. მას აქვს 28 საერთაშორისო და ადგილობრივი საინფორმაციო არხი, ფარავს ქვეყნის მთავარ ქალაქებს და ინტერნეტის ქსელებში მეორე ადგილი უკავია თავისი მასშტაბებით. ეს ქსელი მოკლე დროში შეუერთდა 2000 წელს ჩინეთში შექმნილ საგანმანათლებლო ქსელს თანამგზავრული ხაზოვანი მულტიმედიური კავშირის მეშვეობით. ეს იქცა თანამედროვე დისტანციური სწავლების საყრდენად.

განსაკუთრებული და პროფესიული განათლება.

ჩინეთში განსაკუთრებულ განათლებას დიდი ყურადღება ექცევა, მიღებულია მთელი რიგი კანონებისა, რომელიც ინვალიდების მიერ განათლების მიღების უფლებასა და გარანტიებს განსაზღვრავს. ამჟამად ჩინეთში არის 1655 სპეციალური განათლების სასწავლო დაწესებულება, სადაც 365 ათასი მოსწავლე სწავლობს; ქვეყანაში ფუნქციონირებს 1029 პროფესიული მომზადების კურსები ინვალიდებისათვის და 2898 კურსები ნორმალური ახალგაზრდებისათვის; შექმნილია აგრეთვე 1700 გამაჯანსაღებელი ცენტრი ყრუ-მუნჯებისათვის, სადაც მომზადება გაიარა 70 ათასზე მეტმა ბავშვმა. 2003 წელს 3 ათასამდე მეტი ინვალიდი ჩაირიცხა ჩვეულებრივ უმაღლეს სასწავლებელში.

1996 წელს გამოქვეყნდა "კანონი პროფესიული განათლების შესახებ ჩინეთში". პროფესიულ განათლებას ძირითადად იძლევიან პროფესიული უმაღლესი სასწავლებლები, პროფტექნიკური სასწავლებლები, ტექნიკუმები, პროფესიული საშუალო სკოლები, მოსამზადებელი ცენტრები, ტექნიკური სკოლები მოზრდილთათვის და საზოგადოებრივი კურსები.

ეკონომიკური სტრუქტურის რეგულირებასა და ურბანიზაციის განვითარების უკეთესად ხელშეწყობის მიზნით, უკანასკნელ წლებში სახელმწიფომ განახორციელა ქმედითი ღონისძიებები პროფესიული განათლების რეფორმირების მიმართულებით, რაც ორიენტირებული იყო შრომით დასაქმებაზე. მაღალხარისხიან და კვალიფიციურ

კადრებზე საზოგადოების მოთხოვნილების მკვეთრი ზრდის დაკმაყოფილების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროფესიული განათლების ორ მიმართულებას: თანამედროვე წარმოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროსათვის მწვავედ დეფიციტური მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების პროექტს და პროექტს, რომელიც ითვალისწინებს სოფლიდან ქალაქში ჩამოსული ადამიანების პროფესიულ მომზადებას. პროფესიული განათლების ტემპების დაჩქარების მიზნით, დასავლეთის ღარიბ რაიონებში სახელმწიფო სესხების საფუძველზე ჩამოყალიბდა პროფესიული მომზადების 186 ცენტრი.

პედაგოგთა არმია.

ჩინეთის მთავრობა განუხრელად ახორციელებს ღონისძიებებს პედაგოგთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელფასების მომატების მიზნით. 1985 წლიდან ჩინეთში ყოველწლიურად აღინიშნება მასწავლებლის დღე. პედაგოგთა პროფესიული დონის ამაღლების მიზნით მთავრობამ დაამუშავა მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ქსელური კავშირის განვითარების პროგრამა. ამ პროგრამის მიზანია, განათლების ინფორმატიზაციის საშუალებით ხელი შეუწყოს მასწავლებელთა სწავლების მოდერნიზაციას, თანამგზავრული ტელევიზიისა და ინტერნეტის გამოყენებით გაუწიოს დახმარება პედაგოგების უწყვეტი გადამზადების საქმეს.

დღეისათვის უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგთა შორის 9,5% პროფესორია, 30% დოცენტი. ახალგაზრდობა და საშუალო ასაკის ხალხი არის წამყვანი ძალა პედაგოგიკაში. უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგები, რომელთა ასაკი 45 წლის ფარგლებშია და სკოლაში კი 35-ის დარგლებში შეადგენენ მთელი კონტინენტის, შესაბამისად, 79%-სა და 46%-ს.

უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები ეწევიან ფართო კვლევა-ძიებით საქმიანობას და ამ დარგის მთავარ ძალას წარმოადგენენ. ამჟამად, ჩინეთის ყველა უმაღლეს სასწავლებელში მუშაობს 280 აკადემიკოსი ანუ მეცნიერებათა აკადემიის წევრთა საერთო რაოდენობის 40,7%, 234 საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, რაც საინჟინრო აკადემიის წევრთა 35,3%-ს შეადგენს.

განათლების სისტემა ინდოეთში

ინდოეთის რესპუბლიკა სამხრეთ აზიაში მდებარეობს. ტერიტორიის მიხედვით ინდოეთი მეშვიდე ადგილზეა მსოფლიოში, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით იგი მეორეა.

ინდოეთი მრავალი და მრავალმხრივი ცივილიზაციის სამშობლოა. სწორედ ინდოეთის ტერიტორიაზე სხვადასხვა საუკუნეში ჩამოყალიბდა ისეთი რელიგიური სისტემები, როგორცაა ინდუიზმი, ბუდიზმი, სიკჰიზმი და ჯაინიზმი.

ინდოეთი ფედერალური რესპუბლიკაა და 28 შტატისაგან შედგება, ამის გარდა არის 6 მოკავშირე ტერიტორია და დედაქალაქ დელის ნაციონალური ოლქი.

ინდოეთის მთელს ტერიტორიაზე ორი სახელმწიფო ენა (ინდური და ინგლისური) მოქმედებს, თუმცა მთელ რიგ ოლქებში თუ სამოკავშირეო ტერიტორიებზე ადგილობრივი ენებიც ფუნქციონირებს.

ინდოეთი დიდი კულტურისა და მდიდარი ისტორიის მქონე ქვეყანაა. მთელი შუა საუკუნეებისა და მისი მომდევნო ეპოქების მანძილზე ინდოეთის ტერიტორიაზე, სადაც დიდ მონგოლთა იმპერიის ნანგრევებიდან არა ერთი პატარა სახელმწიფო აღმოცენდა, გაუთავებელი სამარი ბატალიები მიმდინარეობდა. XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის პირველი ნახევრისათვის ინგლისელმა კოლონიზატორებმა მოახერხეს ინდოეთის დაპყრობა და იქ საკუთარი წეს-კანონების დამყარება.

საგულისხმოა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრამდე ინდოეთის ცალკეულ მხარეებს აკონტროლებდნენ პორტუგალიელი, ფრანგი და ინგლისელი კოლონიზატორები, რომელთაც მართველობის საკუთარი წესი და შესაბამისი კულტურული პოლიტიკა გააჩნდათ. ამის შედეგი ის გარემოებაა, რომ ინდოეთში გვიან პერიოდამდე არ არსებობდა ერთიანი საგანმანათლებლო სისტემა. მხოლოდ 1950 წლის კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ 1960 წლიდან 14 წლის ასაკამდე ყველა ბავშვს მიეცემოდა უფასო დაწყებითი განათლება. მაშინ ამ დებულების რეალიზება ვერ მოხერხდა და ქვეყნის ხელმძღვანელობამ ეს კონსტიტუციური ვადა 1985 წლამდე გადასწია.

საბოლოო ჯამში აღნიშნული პერიოდისათვის განზრახული რეალობად იქცა. ამჯერად, ინდოეთში დაწყებითი სკოლა უფასოა, სწავლება მშობლიურ ენაზე მიმდინარეობს, მრავალეროვან რეგიონებში კი სწავლება რეგიონალურ ენაზეა.

ინდოეთის სკოლებში სრული საშუალო განათლების მიღება რამდენიმე ეტაპად ხორციელდება. პირველი ეტაპი მათ შორის არის ე. წ. საბაზო სკოლა, სადაც მოსწავლეები 6-დან 14 წლამდე სწავლობენ. ეს არის უფასო და სავალდებულო სასკოლო ეტაპი, რომელიც ორ ციკლად იყოფა. პირველ ციკლს დაწყებითი, მეორეს კი შუალედური დაწყებითი ჰქვია.

პირველი ციკლის მანძილზე, რომელიც ორწლიანია, საშუალო განათლებას იღებენ 9-10 წლის მოზარდები. მათ ასწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო ან პროფესიულ სკოლებში.

როდესაც მოზარდებს 11-12 წელი უსრულდებათ, მათთვის იწყება საშუალო განათლების მეორე ციკლი, რომელიც ხორციელდება უფროს საშუალო სკოლებში ან კიდევ უმცროს კოლეჯში. აქ სრულდება სრული საშუალო განათლება. ორივე ტიპის სასწავლებელში ასათვისებელი მასალის ოდენობა, ასევე საგანთა სწავლების თანმიმდევრობა ისეა მოწყობილი, რომ ახალგაზრდას გაუიოლოს უმაღლეს სასწავლებელში შეს-

ვლა.

საგულისხმოა, რომ საშუალო განათლების პირველი ციკლის დასრულებისას მოსწავლეები იღებენ შესაბამის სერტიფიკატს. რაც შეეხება მათ, ვინც მეორე ციკლი დაასრულა რაიმე დოკუმენტის მიღებამდე უნდა ჩააბაროს სპეციალური გამოცდები, რომელსაც ატარებს ან შტატის შესაბამისი სტრუქტურები, ამ კიდეც განათლების ცენტრალური საბჭო. ამის მერე სკოლის ან უმცროსი კოლეჯის კურსმოსმენილი იღებს მოწმობას სრული საშუალო განათლების მიღების თაობაზე. მხოლოდ ეს დოკუმენტი უხსნის გზას ინდოელ ახალგაზრდებს უმაღლესი განათლებისაკენ.

დაახლოებით იგივე პროცედურების გავლა უწევს მათ, ვინც ტექნიკურ სკოლებში გარკვეულ პროფესიას ეუფლებოდა. დამთავრებისას ეს უკანასკნელნი სწორედ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს იღებენ.

ახლა იმის შესახებ თუ რას წარმოადგენს ინდური უმაღლესი განათლების სისტემა.

”გაეროსა” და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით ინდოეთის უმაღლესი განათლების სისტემა უდიდესია მთელი მსოფლიოს მასშტაბით. იგი მოიცავს დაახლოებით 240 უნივერსიტეტს და 10600 კოლეჯს, რომელთა უმეტესობაც უნივერსიტეტების მფლობელობაშია. ამის გარდა ინდოეთში მოქმედებს 40-მდე უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც თავისი სტატუსით გათანაბრებულია უნივერსიტეტთან.

ინდურ უნივერსიტეტებში შეისწავლება ყველა ის პროფესია და მასთან დაკავშირებული საგნები, რომელიც ცნობილია თანამედროვე სამეცნიერო წრეებში. უნივერსიტეტები, რომლებიც ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურების მიერაა დაფინანსებული იწოდება ეროვნულ უნივერსიტეტებად. ამის გარდა, არსებობს შტატების უნივერსიტეტები. ეს უკანასკნელნი, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, თავისი მასშტაბით არ არის იმ რანგისა და მნიშვნელობის, როგორც ეროვნული უნივერსიტეტები. სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ უმაღლეს სასწავლებლებს შორის არის ე. წ. ტექნოლოგიური ინსტიტუტები, რომელთაც ხელისუფლება განსაკუთრებულად აფასებს და შესაბამისად ზრუნავს კიდეც მათი მასშტაბების გასაფართოებლად.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ ინდოეთში მოქმედებს ისეთი ტიპის უმაღლესი სასწავლებლები, განსაკუთრებით შტატების დონეზე, სადაც სრული საუნივერსიტეტი განათლების მიღება არ ხერხდება. ეს არის პროფესიულ-ტექნიკურ განათლებაზე ორიენტირებული სასწავლებლები, რომელიც პოლიტექნიკურებად იწოდება.

ასეთი უმაღლესი სასწავლებლები კომპლექტდება იმ კონტინგენტის ბაზაზე, რომელმაც 10-კლასიანი განათლება და შესაბამისი სერტიფიკატი მიიღო. პოლიტექნიკუმებში სასწავლო პროგრამები 1-დან 3 წლამდე გრძელდება. აქ შეისწავლება თითქმის ყველა პროფესია გარდა მედიცინის დარგებისა. პოლიტექნიკუმების კურსმოსმენილს საშუალება ეძლევა განათლება გააგრძელოს სრულ უნივერსიტეტებში. ამ შემთხვევაშითუ ახალგაზრდა ამგვარ დაინტერესებას არ გამოიჩენს, მას უკვე მიღებული დიპლომით აქვს უფლება შრომითი მოწყობისა.

თანამედროვე ინდოეთში ფუნქციონირებს 1200-ზე მეტი პოლიტექნიკუმი. ზოგი მათგანი ძალიან მაღალი დონისაა და ცალკეული პროგრამების მიხედვით უმაღლესი ნაციონალური დიპლომის გაცემის უფლებასაც კი ფლობს.

ინდურ უნივერსიტეტებში მოსახვედრად საჭიროა საკმაოდ მკაცრი საკონკრუსო გამოცდების ჩაბარება. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მისაღები გამოცდების შემდეგ სტუდენტებთან ტარდება სპეციალური ინტერვიუ, რომელიც ახალგაზრდას ეხმარება კარ-

გად გაერკვეს საკუთარ არჩევანში და სწავლა სწორედ იმ მიმართულებით გააგრძელოს, რომელიც მის ნიჭს, უნარსა და შესაძლებლობებს შეეფერება.

ინდურ უნივერსიტეტებს შორის ზოგი შედარებით მცირეა თავისი კონტინგენტით (1000-3000 სტუდენტი), ზოგი კი ჭეშმარიტად გიგანტია (100 000 სტუნდეტზე მეტი). მაგალითად, კალკუტის, ბომბეის, რაჯხასტანის, ასევე, მაჰათმა განდის სახელობის უნივერსიტეტებში 150 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს. საერთოდ, კი ინდურ უნივერსიტეტებში სტუდენტთა რიცხვი მიმდინარე ეტაპზე 6,5 მილიონს აჭარბებს. არის უნივერსიტეტები, რომელთაც მხოლოდ ერთი ფაკულტეტი და ერთი სპეციალობა აქვთ. ასეთთა შორისაა უნივერსიტეტები, რომლებიც ინდურ მუსიკასა და ცეკვას, ან კიდევ ბენგალურ ენას ასწავლიან. ამავე ტიპისაა ბომბეის ქალთა უნივერსიტეტი და ა. შ.

მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკის მიხედვით, ინდური უმაღლესი სასწავლებლები ანიჭებენ ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს.

განათლების სისტემა იაპონიაში

რამდენიმე ასეული წლის წინ თუ იაპონია ჩაკეტილი ქვეყანა იყო, ახლა ეს ძლიერი სახელმწიფო ღიაა მთელი მსოფლიოსათვის. ის საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ახლა ფუნქციონირებს, 1947 წელს ჩამოყალიბდა და არსებობის განმავლობაში რამდენიმე რეფორმა განიცადა, რამაც იგი ერთ-ერთ წამყვან ქვეყნად აქცია.

იაპონიის საგანმანათლებლო სისტემას ახასიათებს ბრიტანული, ამერიკული და ფრანგული განათლების სისტემების ნიშნები, რაც ორგანულად არის შერწყმული იაპონიის ტრადიციებსა და სახელმწიფო-ეროვნულ ინტერესებთან.

ღირებულებათა იერარქიასა და პრიორიტეტთა შორის იაპონელებისათვის უმაღლესი ღირებულება არის განათლება. ამ ქვეყანაში განათლებისათვის ფულითარ ენანებათ. იაპონელებს ესმით, რომ განათლებაში ინვესტიციების განხორციელება განაპირობებს მათივე ბრწყინვალე მომავალს. კარგ განათლებას გარკვეული კაპიტალდაბანდებები სჭირდება. უნივერსიტეტის კურსდამთავრებული იაპონელი დარწმუნებულია, რომ მას ელოდება პრესტიჟული მაღალანაზღაურებადი სამუშაო წარმატებულ კორპორაციაში, მაგალითად ისეთში, როგორც არის "მიცუბიში" ან "იამახა" და ეს სამუშაო მთელი ცხოვრება შენარჩუნებული იქნება. იაპონიაში მიღებულია პრინციპი "მუდმივად დაქარავებული", რაც საშუალებას აძლევს ქვეყნის მოქალაქეს დაიკავოს ღირსეული ადგილი საზოგადოებაში, პრესტიჟული განათლება კი იმის შანსია, რომ წარმატებით იყოს გამოყენებული მოცემული შესაძლებლობა.

იაპონიის საგანმანათლებლო სისტემა მოიცავს სკოლამდელ, დაწყებით, არასრულ, სრულ საშუალო და უმაღლეს განათლებას. ამასთან, თითოეული ეტაპი გულისხმობს შემდეგს: კარგ დაწყებით სკოლაში სწავლა იმის გარანტიას იძლევა, რომ მოსწავლე გადავიდეს პრესტიჟულ საშუალო სკოლაში, შემდეგ კი შევიდეს უნივერსიტეტში.

სკოლამდელთა განათლება.

იაპონიაში სკოლამდელი დაწესებულებები წარმოადგენენ ბავშვის სოციალიზაციის ერთ-ერთ საფეხურს: აქ სწავლობენ ბავშვები თანატოლებთან ურთიერთობას, ხდება მათი ადაპტაცია კოლექტივთან, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს სწრაფ და უმტკივნეულო შეგუებას სკოლაში სწავლების პროცესთან. იაპონიის საბავშვო ბაღებში ასევე ყურადღება ეთმობა ბავშვებში დამოუკიდებლობის განვითარებას. ამასთან, ბავშვებს ასწავლიან საკუთარი ჯანმრთელობის გაფრთხილებას და გარემოს დაცვას მავნე ზემოქმედებისაგან, რომელიც ძირითადად ადამიანებისგან მომდინარეობს.

სკოლამდელი დაწესებულებები იაპონიაში იყოფა ბავშვების მოვლის სახელმწიფო ცენტრებად და კერძო საბავშვო ბაღებად.

სასწავლო წელი იაპონიაში იწყება აპრილში და მთავრდება მარტში. იგი დაყოფილია ტრიმესტრებად: აპრილი-ივლისი, სექტემბერ-დეკემბერი, იანვარი-მარტი. არდადეგები იაპონიაში ზაფხულში, ზამთარში და გაზაფხულშია. იაპონიაში სასწავლო წელი 240 დღით განისაზღვრება (შაბათი სასწავლო დღეა).

იაპონიაში მოქმედებს თორმეტწლიანი სასკოლო განათლების სისტემა.

დაწყებითი სკოლა.

დაწყებით სკოლაში ბავშვებს ექვსი წლის ასაკიდან ღებულობენ. დაწყებითი სკოლა ექვსწლიანია. დაწყებითი სკოლების უდიდესი უმრავლესობა სახელმწიფოებრივია, ამასთან არის კერძო სკოლები, მაგრამ იქ სწავლა ფასიანია.

ძირითადი სასწავლო დისციპლინები იაპონიის დაწყებით სკოლაში არის მშობლიური ენა, მათემატიკა, ბუნებისმცოდნეობა, საზოგადოებათმცოდნეობა, ეთიკა, მუსიკა, ფიზკულტურა, შრომა, ხატვა, უცხოური (ინგლისური) ენა. დაწყებით სკოლაში ბავშვმა უნდა აითვისოს 1850 იეროგლიფი (იმისათვის, რომ თავისუფლად კითხვა შეძლო, საჭიროა 3000 იეროგლიფის დამახსოვრება).

აქ არის ისეთი 'საგანიც', როგორც არის "სპეციალური საქმიანობა". ეს გულისხმობს ბავშვების სავალდებულო კლასგარეშე საქმიანობას.

არასრული საშუალო სკოლა.

არასრულ საშუალო სკოლაში (უმცროს საშუალო სკოლაში) სწავლება სამწლიანია. სასწავლო დისციპლინებში სწავლება მნიშვნელოვნად ღრმავდება, სასწავლო კურსებს სხვადასხვა მასწავლებლები უძღვებიან. კლასების მოსწავლეთა შემადგენლობა მრავალრიცხოვანია: საშუალოდ თითოეულ კლასში 39-45 ბავშვია, ამიტომ კლასები მეცადინეობაზე იყოფა ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში 4-5 მოსწავლეა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უცხოური ენის (ინგლისური ენის) შესწავლას.

მეცადინეობების დამთავრების შემდეგ მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა წრეების მუშაობაში, სადაც სადამომდე რჩებიან.

არასრული საშუალო განათლების მიღება (სწავლების ხანგრძლივობა 9 წელია) სავალდებულოა.

სრული საშუალო განათლება.

იმის მიუხედავად, რომ სრულ საშუალო სკოლაში (უფროს საშუალო სკოლაში) სწავლა სავალდებულო არ არის, იაპონელი ბავშვების უმრავლესობა არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას განაგრძობს შემდეგ საფეხურზე.

ამ საფეხურზე სწავლის ხანგრძლივობა სამი წელია.

სრულ საშუალო სკოლაში მიღება ხდება არასრული საშუალო სკოლის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

სრული საშუალო სკოლები არის როგორც სახელმწიფოებრივი, ისე კერძო; ამ სკოლებში სწავლა ფასიანია, მიუხედავად მათი სტატუსისა. ზოგადი საშუალო განათლების მიღების პარალელურად მოსწავლეებს შეუძლიათ მიიღონ პროფესიული განათლება, აითვისონ ესა თუ ის პროფესია.

ასეთი სკოლები სწავლების პროფილის მიხედვით იყოფიან აკადემიურ, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ, ზოგად და სახელოვნებო სკოლებად.

სრულ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა ცოდნის შეფასება ხდება უმაღლესი სკოლის სისტემით, ამ სკოლის დამთავრების დოკუმენტის მიღებისათვის მოსწავლემ უნდა მოაგროვოს ჩათვლების 80 ერთეული (ქულა).

ამას გარდა, იაპონელი მოსწავლეები დადიან ეგრეთწოდებულ ძზიუკუში - სალა-

მოს ”სარეპეტიტორო სკოლაში”. ეს არის სპეციალური კერძო სკოლები, რომლებიც დამატებით მეცადინეობებს სთავაზობენ ყველა ასაკის მოსწავლეებს. ძვირუკუ მუშაობს მოსწავლეთა გადასახადების საფუძველზე. ეს სასწავლებლები იყოფა აკადემიურ და არაკადემიურ სასწავლებლებად. ეს სკოლები კარგი დამხმარე საშუალებაა სასკოლო პროგრამების ათვისებაში, გამოცდებისათვის მომზადებაში, იმ ხარვეზების აღმოფხვრაში, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს მოსწავლეს სხვადასხვა მიზეზით: ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით სკოლის გაცდენის გამო.

არაკადემიურ ძვირუკუში მოსწავლეებს სთავაზობენ ხელოვნების შესახებ ცოდნას, მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვირის სწავლებას.

კოლეჯი.

იაპონური კოლეჯი საშუალო სპეციალური სასწავლებელია. არსებობს უმცროსი, ტექნოლოგიური და სპეციალური მომზადების კოლეჯები.

უმცროს კოლეჯშისწავლება ორწლიანი პროგრამით ხორციელდება. მეტწილ შემთხვევაში ეს კოლეჯები გოგონებისთვის არის განკუთვნილი. ეს დაწესებულებები უფრო მეტად კერძო მფლობელობაშია და მოსწავლეებს სთავაზობენ ჰუმანიტარულ, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური პროფილის ცოდნას.

ამ ტიპის სასწავლებელში შესასვლელად აუცილებელია სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და მისაღები გამოცდების ჩაბარება.

უმცროსი კოლეჯის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის მეორე ან მესამე კურსზე.

საქმიანობის სხვადასხვა სფეროში სამოღვაწეოდ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტებს ამზადებენ **ტექნოლოგიური კოლეჯები**უთწლიანი პროგრამებითა და ორწლიანი პროგრამებით. პირველ შემთხვევაში მოსწავლეს უნდა ჰქონდეს არასრული საშუალო განათლება, მეორე შემთხვევაში კი სრული საშუალო განათლება. ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებებში სწავლობენ ელექტრონიკას, მანქანათმშენებლობას, მშენებლობას და ა. შ.

სპეციალური პროფესიული მომზადების კოლეჯები (სკოლები)წარმოადგენენ პროფესიული განათლების კერებს, მაგრამ მათკურსდამთავრებულებს ეს არ აძლევს უფლებას სწავლა განაგრძონ უმცროს ან ტექნიკურ კოლეჯსა და უმაღლეს სასწავლებელში. აქ შეიძლება მოსწავლე გახდეს დიზაინერი, ავტომექანიკოსი, თერძი, მზარეული და ა. შ.

უმაღლესი განათლება.

იაპონიის უმაღლესი განათლების სისტემა მოიცავს სრული ციკლის უნივერსიტეტებს (ოთხწლიანი სწავლებით), დაჩქარებული ციკლის უნივერსიტეტებსა (ორწლიანი სწავლებით) და ტექნიკურ ინსტიტუტებს (სწავლების 5 წლიანი კურსით).

იაპონური უნივერსიტეტები ორი ტიპის არის - სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები.

სახელმწიფო უნივერსიტეტში მოსახვედრად ორი გამოცდის გავლაა საჭირო: ჯერ უნდა ჩააბაროთ ”პირველ საფეხურზე მიღწეული წარმატების ზოგადი ტესტი” (ამას ატარებს უნივერსიტეტში მიმღები ნაციონალური ცენტრი) და თვით ამ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები. ამ გამოცდებზე დაიშვებიან ის აბიტურიენტები, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ტესტირება.

თუ უნივერსიტეტი კერძოა, მაშინ მისაღები გამოცდები ბარდება უშუალოდ ამ უმაღლეს სასწავლებელში. ზოგიერთი კერძო უნივერსიტეტი თავიანთ სტრუქტურაში მოიცავს დაწყებით და საშუალო სკოლებს, ამიტომ მოსწავლეებს აქვთ იმის შანსი, რომ ყოველი საფეხურის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების გარეშე.

იაპონიაში ყველაზე პრესტიჟული სახელმწიფო უნივერსიტეტებია ტოკიოს, კიოტოსა და ოსაკას უნივერსიტეტები. ამასთან, აღსანიშნავია ჰოკაიდოსა და ტოხოკუს უნივერსიტეტები. პოპულარული კერძო უნივერსიტეტებია ტიუოს, ნიხონის, ვასედას, ვიძის, ტიკაისა და კანსაის უნივერსიტეტი ოსაკაში.

უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები წარმატებით რომ ჩააბარონ იაპონელმა მოსწავლეებმა (აბიტურიენტებმა), მათ ბევრი და შეუპოვრად უნდა იმეცადინონ. თვითონ ”საგამოცდო რბოლა” კი ფიზიკური და სულიერი ძალების ინტენსიურ ხარჯვას უკავშირდება. ისე, რომ უნივერსიტეტში ჩარიცხულთა სიაში მოხვედრა გამარჯვების ტოლფასია. თითოეულ იაპონელ აბიტურიენტებს მინიჭებული აქვს შიფრი და უნივერსიტეტში მოხვედრილთა სია ნომრების სვეტს მოგაგონებთ.

იაპონიის უნივერსიტეტების უმრავლესობაში მიღებულია სწავლების სემესტრული სისტემა, ხოლო შეფასება ხორციელდება ჩათვლის ქულებით.

შეცდომა იქნება იმის ფიქრი, რომ ბეჯითი იაპონელი სტუდენტები მარტო იმით არიან დაკავებულები, რომ მიჯაჭვულნიარიათ წიგნებზე, რეფერატებზე, მოხსენებებზე. სწავლის პარალელურად ისინი ცხოვრობენ ჩვეულებრივი ახალგაზრდული ცხოვრებით: დადიან სხვადასხვა ღონისძიებებზე, მისდევენ მუსიკას, სპორტს.

იაპონურ უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია გულისხმობს ზოგადმეცნიერული და სპეციალური დისციპლინების გამიჯვნას.

სტანდარტული სწავლება უნივერსიტეტში ოთხწლიანია: პირველი ორი წელი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას ეთმობა, შემდეგი ორი წელი კი სპეციალიზაციას. ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება გულისხმობს ზოგადმეცნიერული დისციპლინების სწავლებას: ეს არის ისტორია, ლიტერატურა, ფილოსოფია, უცხოური ენები, საზოგადოებათმცოდნეობა; ამასთან, აუცილებელია მომავალი სპეციალობების მიხედვით სპეცკურსების გავლა. სამედიცინო, სტომატოლოგიური, სავეტერინარო ფაკულტეტები მოითხოვენ სწავლის გაგრძელებას კიდევ ორი წლით.

სწავლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი. მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად კიდევ ორი წელი სწავლაა საჭირო, ხოლო დოქტორის ხარისხისათვის - კიდევ სამი წელი. მხედველობაში მიიღება მიღებული ქულების რაოდენობა და ზოგიერთი სხვა ”დამატებითი ძალისხმევა”. მაგალითად, ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად საჭიროა 124-დან 150 ქულამდე. მაგისტრის მაძიებელმა უნდა მოაგროვოს 30 ბალი, ჩააბაროს გამოცდები და დაიცვას დისერტაცია. დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად საჭიროა 50 ქულის ანუ ბალის დაგროვება, გამოცდების ჩაბარება და დისერტაციის დაცვა, რომელიც დაფუძნებული იქნება სამეცნიერო მუ-

შაობაზე, საკუთარ გამოკვლევებზე.

იაპონიის განათლების კანონში, რომელიც 1947 წელს მიიღეს, ნათქვამია, რომ სკოლას ეკისრება ერის ჩამოყალიბების მისია. რომელიც ერთგული იქნება მშვიდობისა და ადამიანობის იდეალებისადმი. მაგალითად, 1966 წელს განათლების ცენტრალურმა საბჭომ გამოსცა "იდეალური იაპონელის აღწერილობა", სადაც თექვსმეტი შესაბამისი დამახასიათებელი ნიშანია ჩამოთვლილი:

- პერსონალური თვისებები: იყოს თავისუფალი, განივითაროს ინდივიდუალობა, იყოს დამოუკიდებელი, მართოს თავისი სურვილები, ჰქონდეს მოწიწების გრძნობა;
- მეოჯახის თვისებები: შეეძლოს გადააქციოს თავისი სახლი სიყვარულის, დასვენების, აღზრდის ადგილად;
- საზოგადოებრივი თვისებები: იყოს სამუშაოს ერთგული, ხელი შეუწყოს საზოგადოების კეთილდღეობას, იყოს შემოქმედი ადამიანი, პატივი სცეს სოციალურ ღირებულებებს;
- მოქალაქეობრივი თვისებები: იყოს პატრიოტი, პატივს სცემდეს სახელმწიფოს სიმბოლიკას, დაეუფლოს საუკეთესო ეროვნულ თვისებებს.

ზნეობრივი აღზრდის პროგრამაში, რომელიც საშუალო სკოლისათვის არის გამიზნული, რამდენიმე განყოფილებაა: "ქვევის ძირითადი წესების სწავლება" 14 პარაგრაფისაგან შედგება, "საზოგადოებრივი ქვევის ნორმების დაცვა ყოველდღიურ ცხოვრებაში" 18 პარაგრაფს მოიცავს, 22 პარაგრაფია განყოფილებაში "ცხოვრების წარმართვა ისე, როგორც ღირსეულ ადამიანს შეეფერება".

ყველა ეს დოკუმენტი იმაზე მეტყველებს, რომ სასკოლო აღზრდამ ხელი უნდა შეუწყოს სულიერად მდიდარი ადამიანის აღზრდას.

განათლების სისტემა კორეაში

სამხრეთ კორეის დაწყებით სკოლაში სწავლობენ მოზარდები 8-დან 14 წლის ასაკამდე. დაწყებით სკოლაში სწავლობენ შემდეგ საგნებს (სია ამომწურავი არ არის):

- კორეული ენა;
- მათემატიკა;
- ზუსტ მეცნიერებათა საფუძვლები;
- საზოგადოებრივი მეცნიერებანი;
- ენები;
- სახვითი ხელოვნება;
- მუსიკა.

ჩვეულებრივ ყველა ჩამოთვლილ საგანს ერთი მასწავლებელი, კლასის ხელმძღვანელი ასწავლის, თუმცა შეიძლება სპეციალიზებული საგანი სხვა მასწავლებელმა ასწავლოს (მაგალითად, ფიზიკულტურა ან უცხოური ენების).

საგანმანათლებლო სისტემის საფეხურებზე მოსწავლეთა გადაადგილება დაწყებითი სკოლიდან უმაღლეს სასწავლებლამდე, დამოკიდებულია მხოლოდ მოსწავლის ასაკზე და არა რაიმე სახის გამოცდების ჩაბარების შედეგებზე.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ინგლისური ენის სწავლება იწყებოდა საშუალო სკოლის საფეხურზე, ახლა კი იგი დაწყებითი სკოლის მესამე კლასიდან ხდება სავალდებულო საგანი. კორეული ენა რადიკალურად განსხვავდება ინგლისური ენისაგან, განსაკუთრებით გრამატიკის თვალსაზრისით, ამიტომ მისი დაუფლება დიდ სიმძნელებს უკავშირდება, რაც ხშირად მშობლების შემფოთების მიზეზი ხდება. ამიტომ, ბევრ მშობელს თავისი შვილები კერძო სასწავლო დაწესებულებაში შეჰყავს, რაც დამატებითი სწავლების ფუნქციის რეალიზაციას წარმოადგენს. სულ უფრო ბევრი სკოლა ცდილობს მოიზიდონ და სწავლებაში ჩააბან უცხოელი მოსწავლეები, რომელთათვისაც ინგლისური ენა მშობლიურია.

საზოგადოებრივი (დაწყებითი) სკოლების გვერდით, სამხრეთკორეაში არის კერძო სკოლებიც. ამ სკოლების სასწავლო პროგრამები ასე თუ ისე შეესაბამება სახელმწიფო სკოლებისას, თუმცა იგი ბევრად უფრო მაღალ დონეზე ხორციელდება: უფრო მცირე რაოდენობის მოსწავლეებზე, უფრო მეტი რაოდენობის მასწავლებლებია გათვალისწინებული, სწავლებაში შემოაქვთ ახალი სასწავლო დისციპლინები და აწესებენ განათლების უფრო მაღალ სტანდარტებს. აქედან გასაგებია ბევრი მშობლის სწრაფვა, თავისი შვილი მოაწყოს სწორედ ასეთ სკოლაში. თუმცა ეს სურვილი, ხშირად, სურვილად რჩება კერძო სკოლაში მაღალი გადასახადის გამო: 130 დოლარი თვეში. მართალია ეს ფასი იმაზე დაბალია, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა თუ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ კორეელების შემოსავლების პირობებში იგი მძიმე ტვირთია.

1996 წლამდე დაწყებით სკოლას კორეაში "საჯარო სკოლა" ერქვა, ამის შემდეგ უწოდეს მას "დაწყებითი სკოლა", რაც ეროვნული ცნობიერების დაცვა-განმტკიცების ამოცანებით იყო ნაკარნახევი.

კორეის სასკოლო განათლება იყოფა საშუალო და უმაღლეს საფეხურებად. მისაღები გამოცდები საშუალო სკოლაში გააუქმეს 1968 წელს. 1980-იანი წლების დასასრულს მოსწავლეები ჯერ კიდევ აბარებდნენ მისაღებ გამოცდებს [თუმცა საკონკურსო

შეჯიბრება გამოირიცხა], თუმცა ჩარიცხვის შედეგები ამა თუ იმ უმაღლეს თუ საშუალო სკოლაში, განისაზღვრებოდა ან შემთხვევითი ფაქტორებით, ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ადრე თუ სკოლების რანგი განისაზღვრებოდა მოსწავლეთა დონით, ახლა ეს გათანაბრებულია სახელმწიფოს მხარდაჭერისა და ღარიბ მოსწავლეთა რაოდენობის გადანაწილების მიხედვით. ამის მიუხედავად, სკოლების სრული გათანაბრება ვერ მოხდა. მაგალითად, სეულში, იმ მოსწავლეებს, ვინც კარგად ჩააბარა მისაღები გამოცდები, საშუალება მიეცათაერჩიათ პრესტიჟული სასწავლებლები, მაშინ, როდესაც დანარჩენები გადანაწილდნენ მათ რაიონზე მიბმულ სკოლებში. რეფორმა შეეხო როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სკოლებს, სადაც მოსწავლეთა მოხვედრას მკაცრად აკონტროლებს განათლების სამინისტრო.

სხვა ქვეყნებისაგან, მაგალითად აშშ-ს სკოლებისაგან განსხვავებით, სადაც კლასის-ნომერი 1-დან მე-12 კლასამდე იზრდება, კორეაში სწავლების ყოველ საფეხურზე ათვლა 1-დან იწყება. მაგალითად, დაწყებითი სკოლის 1-ლი კლასი, როდესაც მოსწავლე გადადის საშუალო სკოლის საფეხურზე, ის კვლავ 1-ლი კლასიდან იწყებს სწავლას: საშუალო სკოლის პირველი კლასი.

კორეის საშუალო სკოლა 3 კლასს მოიცავს. მოსწავლეთა უმრავლესობა ამ სკოლაში 12 წლის ასაკში შედის და მას 15 წლის ასაკში ამთავრებს.

დაწყებითი სკოლისაგან განსხვავებით, სამხრეთ კორეულ საშუალო სკოლებში მოსწავლეებს წაეყენებათ ბევრად უფრო მაღალი მოთხოვნები. მკაცრად კონტროლდება ტანსაცმლის ფორმა და ვარცხნილობა, რასაც შესაბამისი ინსტრუქციები არეგულირებენ. ისევე, როგორც დაწყებით სკოლაში, მოსწავლეები დღის უმეტეს ნაწილს ერთსა და იმავე კლასში ატარებენ თანაკლასელებთან ერთად. კლასის ხელმძღვანელს განსაკუთრებული ფუნქცია და როლი აკისრია და მათ ბევრად უფრო მაღალი ავტორიტეტი აქვთ, ვიდრე ამერიკულ სკოლებში.

საშუალო სკოლის მოსწავლეებს დღეში ექვსი გაკვეთილი უტარდებათ. ამასთან, ტარდება მე-7 გაკვეთილიც, რომელიც ამა თუ იმ სპეციალიზაციისათვის არის განკუთვნილი.

უმაღლესი სკოლისაგან განსხვავებით, სასწავლო გეგმები ცალკეული სკოლებისათვის ნაკლებად განსხვავებულია. სასწავლო პროგრამების ძირითადი ბირთვი მკაცრად განსაზღვრულია:

- მათემატიკა;
- კორეული და ინგლისური ენები;
- ზუსტი მეცნიერებები.

”დამატებით” საგნებში იგულისხმება:

- სხვადასხვა სახელოვნებო საგნები;
- ფიზკულტურა;
- ისტორია;
- ჩინური იეროგლიფები (ხანჩა);
- ეთიკა;
- საოჯახო ეკონომიკის მართვა;
- კომპიუტერული წიგნიერების გაკვეთილები.

რომელი საგნები რომელ კლასში უნდა შეისწავლებოდეს, ეს წლიდან წლამდე განიცდის კორექციას.

მეცადინეობის ხანგრძლივობა 45 წუთია. 2008 წლის მონაცემებით, მოსწავლეები სკოლაში მეცადინეობას ესწრებოდნენ მთელი დღის განმავლობაში ორშაბათიდან პარასკევამდე, აგრეთვე ნახევარ დღეს ყოველ პირველ, მესამე და მეხუთე შაბათს. შაბათობით მოსწავლეებისაქმიანობენ სხვადასხვა წრეებში.

1960 წლის ბოლოს მთავრობამ გააუქმა საშუალო სკოლაში მისაღები გამოცდები და ისეთი სისტემა შემოიღო, რომელიც გულისხმობს საშუალოსკოლაში ჩარიცხვას შემთხვევითობის პრინციპით. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ ასე თუ ისე გაეთანაბრებინათ მოსწავლეთა დონე სკოლებში, მაგრამ მდიდარ და ღარიბ რაიონებს შორის განსხვავება მაინც დარჩა. ბოლო დრომდე სკოლების უმრავლესობაში გოგონები და ბიჭები ცალ-ცალკე სწავლობენ, მაგრამ ბოლო დროს, ახლადგახსნილ სკოლებში შემოიღეს სხვადასხვა სქესის მოსწავლეთა ერთად სწავლება. სხვა სკოლებშიც თანდათან მკვიდრდება შერეული კონტინენტის სწავლება.

ისევე როგორც დაწყებით სკოლაში, საშუალო სკოლაში მოსწავლეები კლასიდან კლასში გადადიან აკადემიური მოსწრების მდგომარეობის მიუხედავად. შეფასების ნიშნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საშუალო სკოლის ბოლო კლასში, რადგან მას განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას, მაგრამ ეს ეხება იმდენად, ვისაც სურს მეცნიერული კარიერა გაიკეთოს და არა პროფესიონალურ ტექნიკური კარიერა. სხვა შემთხვევაში, შეფასების ნიშნით შეიძლება მშობლები გაახაროს ბავშვმა ან თავისი ამბიციის დაიკმაყოფილოს.

კორეის სკოლებში არსებობს განსაზღვრულ საგნებში გამოცდების რამდენიმე სტანდარტული ფორმა. "სამეცნიერო" საგნების (ანუ მეცნიერებათა საფუძვლების) მასწავლებლები ვალდებული არიან დაიცვან სასწავლო სახელმძღვანელოში მოცემული შინაარსი და რეკომენდაციები.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი სკოლაში მეცადინეობის შემდეგ მონაწილეობენ სხვადასხვა დამატებითი კურსების მუშაობაში, ან მეცადინეობენ კერძო რეპეტიტორებთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინგლისურ ენასა და მათემატიკას.

მოსწავლეები სახლში გვიან საღამოს ბრუნდებიან.

კორეის სკოლებში განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ტექნიკურ უზრუნველყოფასთან. 2011 წელს კორეის სკოლები მთლიანად გადავიდნენ ელექტრონულ სახელმძღვანელოებზე და უარყვეს ქაღალდის სახელმძღვანელოები, რაც მათ დიდ მიღწევად მიაჩნიათ.

პროგრამების ცვლილებათა შესახებ

სასკოლო პროგრამები მუდმივად იცვლება და კორექტირებას განიცდის მთელ მსოფლიოში. ეს ობიექტური პროცესია, რომელიც ასახავს სკოლის რეაქციას იმ ცვლილებებზე, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში განუწყვეტლივ მიმდინარეობს. სასკოლო პროგრამების მყარ, თითქმის უცვლელ ბირთვს წარმოადგენს მშობლიური ენა, ბუნებისმცოდნეობა, მათემატიკა, ფიზიკური მომზადება, უცხოური ენები და ზოგი სხვა საგანიც.

1970 წელს აშშ-ში ჩატარდა საერთაშორისო თათბირი, რომელმაც შეიმუშავა პედაგოგიური რეკომენდაციები. ამ რეკომენდაციების შესაბამისად, ეკოლოგიური განათლება უნდა მოიცავდეს შემდეგ რუბრიკებს: "სივრცე", "ატმოსფერო და კოსმოსი", "რელიეფი და სასარგებლო წიაღისეული", "მცენარეულობა და ცხოველები", "წყლები", "მოსახლეობა", "სოციალური სტრუქტურები", "ეკონომიკა", "ეთიკა, ესთეტიკა, ენები". შვეიცარიაში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციაზე (1971) განისაზღვრა საგანმანათლებლო მიზნებში ეკოლოგიაში სამი მიმართულებით: ფიზიკური გარემო, ცოცხალი ორგანიზმები, ადამიანის საქმიანობა ამ გადაწყვეტილებას ერთგვარად ამაგრებს ევროპის საბჭოს რეკომენდაცია, რომელიც ურჩევს ევროპის ქვეყნებს, ყველა დონის სასწავლო პროგრამაში შეიტანონ ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის თემატიკა.

მსოფლიოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში არსებობს რამდენიმე ტიპის სასწავლო პროგრამა. ტრადიციული ტიპის პროგრამაა - სავალდებულო კურსი. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სავალდებულო სასწავლო კურსი ათამდეა. ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი საგნებია წარმოდგენილი სპეციალურ პროგრამებში, რომელიც გათვალისწინებულია მოსწავლეთა კონტინენტის ამა თუ იმ ნაწილისათვის.

სპეციალური პროგრამების გამოყენების მასშტაბები დამოკიდებულია მათ შინაარსსა და კონკრეტული ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე. მაგალითად, აშშ-სა და ინგლისში, რომელთა სახელმწიფო ენა ყველაზე მეტად არის გავრცელებული მსოფლიოში, უცხოურ ენას სწავლობს მოსწავლეთა მხოლოდ 50% (უფროსკლასელები). ევროპის ქვეყნებსა და იაპონიაში კი უცხოური ენები სავალდებულო საგნების ციკლში შედიან. ამ ენებს დიდი ადგილი უკავიათ აგრეთვე სპეციალურ პროგრამებში.

ცალკეული პროგრამები შეიძლება სავალდებულო ციკლიდან სპეციალიზებულში გადავიდეს სწავლების საფეხურისა და ამ საგნის მნიშვნელობის გათვალისწინებით. ამის მაგალითია შრომითი სწავლება.

აშშ-ს საშუალო სკოლის უფროს საფეხურზე მოსწავლეთა ერთი მეოთხედი ორიენტირებულია პროფესიულ მომზადებაზე. მოზარდებს საშუალება აქვთ დასპეციალდნენ მწარმოებლური შრომის ამა თუ იმ დარგში: მშენებლობაში, ავტომექვეთებლობაში, საზოგადოებრივ საქმეში და ა. შ.

ინგლისში შრომითი სწავლების პროგრამები სკოლების 60% გამოიყენება, სადაც მათ ათვისებაზე იხარჯება სასწავლო დროის 20%. აქ გამოიყენება შრომითი სწავლების პროგრამის რამდენიმე ვარიანტი: "პროფესია", "ინდუსტრიული პროექტი", "ინდუსტრიის შესწავლის მოკლე კურსი" და სხვ.

გერმანიაში ძირითადი სკოლების 70%-ზე მეტი ასე თუ ისე იძლევა შრომით და პროფესიამდელ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. საფრანგეთის ზოგადსაგანმანათლებლო

ლიცეუმში შრომითი სწავლება ფაკულტატურია. ტექნოლოგიურ და პროფესიულ ლიცეუმებში შრომითი სწავლების პროგრამები აუცილებელ საგანთა ნუსხაშია მოქცეული.

იაპონიაში მოსწავლეთა (უფროსკლასელთა) 27% მეტი გადის შრომით და პროფესიულ მომზადებას.

რუსეთში 90-იანი წლებიდან შრომითი სწავლება საშუალო სკოლებში სავალდებულოდ არ ითვლება. იგი ხორციელდება ცალკეული სასწავლო დაწესებულების სპეციფიკისა და შესაბამისად მატერიალური ბაზის გათვალისწინებით.

70-იანი წლების დასაწყისიდანვე დასავლეთში (მათ შორის ჩვენშიც) სპეციალური პროგრამებით აკადემიურ დისციპლინებს სწავლობდნენ განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვები. მაგალითად აშშ-ში მათთვის იქმნებოდა მრავალრიცხოვანი "ახალი კურსები" საბუნებისმეტყველო და ფიზიკა-მათემატიკური ციკლის საგნებში. ამ პროგრამებში ისეთი შინაარსი იყო შეტანილი, რომელიც ადრე მხოლოდ სპეციალისტებისათვის იყო მისაწვდომი. ამან იმ მოსწავლეთა განთესვა გამოიწვია, რომლებიც მათემატიკას, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებას ვერ სწავლობდნენ.

სიტუაციის გამოსწორების მიზნით დასავლეთის სკოლებში შემოიღეს გაიოლებული სპეციალური კურსები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფუძვლებში. ამან მოსწავლეებში დადებითი გამოხმაურება ჰპოვა. მათ გამოთქვეს მზადყოფნა შეესწავლათ, მაგალითად, მათემატიკა, მაგრამ არა მაქსიმალური სიძნელის დონეზე.

ტრადიციულის პარალელურად მსოფლიო სასკოლო პრაქტიკაში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება **ინტეგრირებული პროგრამები**. ინტეგრირებული კურსის კლასიკური მაგალითია დაწყებითი სკოლის ბუნებისმცოდნეობის კურსი. ამ კურსში გაერთიანებულია ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ზოგან, ასტრონომიის, გეოლოგიის, მინეროლოგიისა და ეკოლოგიის ელემენტები. ამგვარი პროგრამებით სწავლების ხანგრძლივობა მერყეობს 2-დან 6 წლამდე.

(შევნიშნავთ, რომ ქართულ პედაგოგიკას აქვს ინტეგრირებული კურსის შექმნის ტრადიცია. ამის მაგალითია იაკობ გოგებაშვილის "ბუნების კარი").

ინტეგრირებული პროგრამის ამოცანაა გააცნოს მოსწავლეებს შესაბამისი მეცნიერების ძირითადი მოვლენები და ფაქტები, გამოუმუშაოს მათ შესწავლილ მოვლენების კლასიფიკაციისა და შეფასების უნარ-ჩვევები, განუვითაროს მეცნიერული ინტუიცია. მათი ავტორები ცდილობენ მიუახლოვონ განათლება თანამედროვე მეცნიერული ცოდნის დონეს. ამიტომ არის, რომ ამ პროგრამებში რადიკალურადაა შემცირებული, ზოგჯერ სულაც ამოღებულია ზოგიერთი ტრადიციული თემა, სამაგიეროდ შეტანილია მასალები უახლესი ცოდნისა და გამოცდილების მარაგიდან.

ამ პროგრამებში არის ცდა იმისა, რომ მასალები გაერთიანდეს ძირითადი იდეის გარშემო, დაიძლიოს ფრაგმენტულობა განათლებაში, ხელი შეეწყოს მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

ამ ამოცანის გადაწყვეტა რთულია, რადგან ინტეგრირებული კურსები, როგორც წესი, გათვალისწინებულია მოსწავლეთა მასობრივი კონტინგენტისათვის და იგი ვერ ითვალისწინებს სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეთა მიდრეკილებებსა და მოთხოვნილებებს.

სასკოლო პროგრამების გარდაქმნა ორი მიმართულებით ხორციელდება: ექსტენსიური და ინტენსიური მიმართულებებით. პირველი მიმართულება ტრადიციულია. იგი გულისხმობს დანაწილებულ, საგნობრივ სწავლებას. რაოდენობრივად რომ იზრდე-

ბა (ახანგრძლივებენ სწავლების პერიოდს, ზრდიან ცოდნის მოცულობას), ხარისხობრივად ასეთი სწავლება ერთნაირია ყველა სასწავლო დისციპლინისათვის. ინტენსიური მიმართულება გულისხმობს ახალი მიზნების, სტრუქტურებისა და შინაარსის პროგრამების შექმნას. ინტენსიური პროგრამები ორიენტირებულია სასწავლო მასალის აღქმის, გააზრებისა და განცდის სისრულეზე.

სასკოლო პროგრამების ცვლილებები მეტყველებენ იმაზე, რომ ნაკლოვანია ენციკლოპედისტური სწავლება, როცა ცდილობენ გვერდი აუარონ სასწავლო მასალის ფაქტოლოგიურ ჩამოთვლას და აყალიბებენ მოთხოვნებს, რამაც უნდა განსაზღვროს სწავლების სტრატეგია. ამავე დროს აუცილებლად არის მიჩნეული მყარი საბაზო მომზადება.

წამყვან ქვეყნებში სასკოლო განათლების პროგრამებს თუ ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ, რომ დღეისათვის არსებობს ორი სხვადასხვა პოზიცია სავალდებულო და ელექტიური განათლების პროპორციულობისადმი მიდგომაში. აშშ-სა და ინგლისში საბაზისო გეგმები მოიცავენ შედარებით ნაკლებ წრეს საგნებისა საშუალო განათლების დონეზე, ვიდრე ეს არის გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიასა და რუსეთში.

იმ ქვეყანათა შორის, რომლებმაც 60-იან წლებში დაიწყეს სასკოლო განათლების შინაარსის შეცვლა, პირველი იყო ამერიკის შეერთებული შტატები. 60-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში განათლების შესახებ იმდენი საკანონმდებლო აქტი მიიღეს, რამდენიც ამ ქვეყნის მთელი ისტორიის განმავლობაში არ მიუღიათ.

აშშ-ში დაწყებითი სკოლის პროგრამების რეფორმა მიმდინარეობდა "ძირითადი ჩვევების" კონცეფციის აშკარა ზეგავლენით. ეს კონცეფცია გულისხმობს პირველ ყოვლისა, მოსწავლეთა მიერ ძირითადი ჩვევების - კითხვის, წერის, ანგარიშის, აშშ-ს სოციალურ-პოლიტიკური წყობის შესახებ ფუნდამენტური წარმოდგენების, საზოგადოებრივი მორალისა და ქვეყნის ნორმების მტიცედ დაუფლებას, ხელს უწყობდნენ "წინმსწრები პროგრამების" განხორციელებას იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ცოდნას ღებულობდნენ სტანდარტებს ზევით. საერთოდ, პროგრამები გართულდა. მაგალითად, დაწყებით სკოლაში გადმოიტანეს ცოდნის ის ელემენტები, რომელიც ტრადიციულად საშუალო სკოლაში ისწავლებოდა (ალგებრის ელემენტები, გრამატიკის საკითხები და ა. შ.). ყველა საგანში დამუშავდა მეთოდოლოგიური რეკომენდაციები, სადაც განისაზღვრა, არა მარტო სასწავლო მასალის მიზნები და შინაარსი, არამედ აგრეთვე მოცემული იყო საკონტროლო ტესტებიც.

პროგრამების მოდერნიზაციას ძირითადი ყურადღება მიექცა საშუალო სკოლის რეფორმის პროცესშიც. მომზადდა ახალი პროგრამები მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში. მათში შევიდა ეკოლოგიის, გენეტიკის, ბიოქიმიისა და სხვა თანამედროვე მეცნიერული საკითხები. ახალი პროგრამები ორიენტირებული იყო მოსწავლეთა ინტელექტუალურ ელიტაზე.

1961 წელს აშშ-ი დაიწყო უფროსი საშუალო სკოლის რეფორმა "ხუთი ბაზისის" პრინციპის საფუძველზე. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ სავალდებულო სწავლება მცირდებოდა 5 კონცენტრამდე: ინგლისური ენა და ლიტერატურა (4 წელი: 1 წელი უმცროს, 3 წელი უფროს საშუალო სკოლაში), მათემატიკა (4 წელი: 1 წელი უმცროს, 3 - უფროს საშუალო სკოლაში), ბუნებისმცოდნეობა (3 წელი უფროს საშუალო სკოლაში), სოციალური მეცნიერებები (3 წელი უფროს სკოლაში), კომპიუტერული სწავლება (0,5 წელი უფროს საშუალო სკოლაში). ყოველი მიმართულება რამდენიმე ნაწილისაგან შედ-

გებოდა. მაგალითად, ბაზისი "მათემატიკა" - ალგებრის, გეომეტრიის, ტრიგონომეტრიის, საქმის წარმოებისა და ინფორმატიკისაგან. ხუთი სავალდებულო მიმართულებები-სათვის შეიქმნა ახალი სასწავლო კურსები სრული და შეკვეცილი პროგრამებით, ისე, რომ სრული პროგრამით მხოლოდ მოსწავლეთა ერთი ნაწილი სწავლობდა.

80-იანი წლების დასაწყისში "ხუთი ბაზისის" მიხედვით მუშაობდა უფროსი საშუალო სკოლის 90%.

"ბაზისების" შემოღება ნიშნავდა არა მარტო სავალდებულო განათლების შეკვეცას, არამედ ამავე დროს ხელს უწყობდა ელექტიური (არჩევითი) კურსების დანერგვასაც. ამის შედეგად 80-იანი წლების დასაწყისში ელექტიურმა კურსებმა დაწყებით სკოლაში სასწავლო დროის ბიუჯეტის 35% დაიკავა.

აშშ-ს ზოგიერთ სკოლაში, მაგალითად, სან-ფრანცისკოს სკოლებში სავალდებულო ბაზისის რაოდენობა სამ კონცენტრამდე შემცირდა: ინგლისური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა და სოციალური მეცნიერებები. ამავე დროს მკვეთრად გადიდდა ვიწროსპეციალური მეცნიერებები, უტილიტალური კურსების რაოდენობა (ოჯახური ცხოვრებისათვის მომზადება, სპორტი, ავტომობილის მართვა და ა. შ.). ასე, რომ აკადემიურმა განათლებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა. ამ ნეგატიური ტენდენციის შედეგად აშშ-ს 36 შტატში 1983 წელს საშუალო სკოლებში მათემატიკის სწავლების ხანგრძლივობა ერთ წლამდე შემცირდა. ანალოგიურად შემცირდა ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის კურსები, არცერთ შტატში სავალდებულოდ აღარ ითვლებოდა უცხოური ენის შესწავლა. მხოლოდ მოსწავლეთა უმცირესობა ეუფლებოდა სრული პროგრამით ისეთ სამეცნიერო დისციპლინებს, როგორც არის ფიზიკა (16%), ქიმია (35%), ბიოლოგია (35%).

გაირკვა, რომ არჩევითობის (ელექტიურობის) პრინციპი ეფექტიანია მაღალი ინტელექტის მოსწავლეებთან დაკავშირებით. მართლაც, სწორედ ისინი შეადგენდნენ იმ კონტინენტის მასის ძირითადად ნაწილს, რომლებიც ჩვეულებრივი (შეუმცირებელი) და გაფართოებული პროგრამებით მუშაობდნენ. მოსწავლეთა ძირითადმა მასამ (75%) უარი თქვა საერთოდ აკადემიურად დისციპლინებში სტანდარტის ზევით ცოდნის დაუფლებაზე.

საბაზო განათლების დონისა და მოცულობის შემცირებამ სწავლების ხარისხი არა თუ არ აამაღლა, არამედ დასცა კიდევ. ჟურნალ "ნიუს-უიკის" მონაცემებით, 1988 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მესამედმა არაფერი იცოდა მოლეკულის შესახებ, ექვსიდან ხუთს წარმოადგენა არ ჰქონდა გენურ ინჟინერიაზე, ორ მესამედს - რადიაციაზე და ა. შ.

რეფორმის ამგვარი მოვლენების ფონზე ამერიკაში დაიწყო მოძრაობა - "უკან საფუძვლებისაკენ". რომლის მიზანი იყო არსებული მდგომარეობის გამოსწორება. ამ მიზნით დაიწყო სრული საშუალო განათლების სავალდებულო ნაწილის გაფართოება.

ახალი რეფორმის ერთ-ერთი ორიენტირი გახდა ვისკონსინის უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული კონცეფცია. მისი უმთავრესი თეზისები იყო განათლების ხარისხის სრულყოფა, მოსწავლეთა ზოგადმეცნიერული ცოდნის დონის ამაღლება, ტექნოლოგიური განათლების მიღწევა, ე. ი. დაგეგმვის, კრიტიკული აზროვნების, თვითგანათლების უნარების განვითარება. ისინი მხარს უჭერენ პროგრამებში ჰუმანიტარული ასპექტების გაძლიერებას.

რეფორმა ხორციელდებოდა საერთო ეროვნულ დონეზე და ცალკეულ სასწავლო დაწესებულებებში. 1982 წლიდან სახელმწიფო საშუალო სასწავლო დაწესებულებებში

დაიწყეს რიგი დამატებითი სასწავლო დისციპლინების დაბრუნება საბაზისო განათლების რანგში. 1984 წლისათვის სასწავლო ოლქების ნახევარზე მეტმა განხორციელა ეს ღონისძიება, შესაბამისად ამაღლეს ზოგადი მომზადების სტანდარტებიც.

სასკოლო პროგრამების ჰუმანიტარიზაციის იდეის რეალიზაციის მაგალითია სენტ-ჯონის კოლეჯის (ქ. ანაპოლისი, მერილენდის შტატი) საქმიანობა. ჰუმანიტარიზაციის პროგრამას საფუძვლად დაედო დასავლურ ცივილიზაციასთან დაკავშირებული 130-ზე მეტი ტექსტის შესწავლა. ამასთან ერთად სენტ-ჯონის კოლეჯში უარი თქვეს ელექტიურ კურსებზე. აღნიშნული სასწავლო მასალები განიხილებოდა არა როგორც უწყვეტი ჭეშმარიტებანი, არამედ როგორც საკაცობრიო აზრის განვითარების ეტაპები.

დასავლეთ ევროპაში სასკოლო პროგრამების რეფორმები ისეთსავე პოლიტიკას მიჰყვება, როგორც აშშ-ში ხორციელდება.

ინგლისში სიახლეები ძირითადად გაერთიანებულ სკოლებს შეეხო. აქ სასწავლო დროის ნახევარი დაეთმო ე. წ. ბირთვის - სავალდებულო საბაზო სასწავლო დისციპლინების სწავლებას. მეორე ნახევარი დაიკავა არჩევითი სავალდებულო საგნების სწავლებამ. 1988 წლამდე საბაზო ბირთვში შედიოდა 4 საგანი: ინგლისური ენა და ლიტერატურა, მათემატიკა, რელიგია, ფიზიკური აღზრდა. შემდეგ ბირთვის შემადგენლობა შეიცვალა ფიზიკური აღზრდის ადგილი ბუნებისმცოდნეობამ დაიკავა. პროგრამის დანარჩენი ნაწილი ძველებურად არჩევითი კურსების მიხედვით არის შედგენილი.

გერმანიაში საქმე ამგვარადაა: ძირითად სკოლაში, რეალურ სასწავლებელში, გიმნაზიაში გამოიყენება ისეთი პროგრამები, რომლებშიც საბაზო დისციპლინებთან ერთად შეტანილია ასარჩევ საგანთა მნიშვნელოვანი რაოდენობა.

გიმნაზიური განათლება ექვს ძირითად პროფილს გულისმობს: ტექნიკურს, სასოფლო-სამეურნეოს, ტექნიკურ-ტექნოლოგიურს, საზოგადოებრივ-სამეცნიეროს, მუსიკალურს და კომუნალურ-სამეურნეოს. გიმნაზიის დაბალ საფეხურზე გიმნაზიელები ირჩევენ სასწავლო დისციპლინათა ერთ-ერთ "პაკეტს", რომელიც შემდგომში: სავალდებულოა მათთვის. სწავლების მთელ მანძილზე მოსწავლეებს სთავაზობენ დიდი რაოდენობით არჩევით კურსებს. გიმნაზიური განათლების პროფილები დიდ შესაძლებლობებს უქმნის მოსწავლეებს. მაგალითად, საზოგადოებრივ-სამედიცინო მიმართულების პროგრამაში გათვალისწინებულია საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფიის, ისტორიის, პედაგოგიკის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, იურისპრუდენციის, თეოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის სწავლება. ამ განხრის უფროს კალსებში სავალდებულოა ორი პროფილური პროგრამის ათვისება: მათემატიკის ან უცხოური ენისა და საბუნებისმეტყველო დისციპლინების პროგრამისა.

70-90-იან წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა ზოგადი განათლების პროგრამები **საფრანგეთში**. კერძოდ, სამჯერ განხორციელდა დაწყებითი სკოლის პროგრამების რეფორმა. 70-იან წლებში იგი ორ ნაწილად იყო გაყოფილი: საბაზოდ (ფრანგული ენა და ლიტერატურა და მათემატიკა) და განმავითარებლად (ისტორია, გეოგრაფია, საზოგადოებათმცოდნეობა, ბუნებისმცოდნეობა, შრომითი სწავლება, ფიზიკური და ესთეტიკური აღზრდა). სასწავლო კვირა სამი ნაწილისაგან შედგებოდა: საბაზო დისციპლინებში - 10+5 საათი, განმავითარებელ დისციპლინებში - 12 საათი. პროგრამებში მოცემული იყო ორი განყოფილება სავალდებულო და სარეკომენდაციო.

1985 წელს მიღებულ იქნა ახალი სასწავლო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა 7 პრიორიტეტული მიმართულება: ფრანგული ენა, მათემატიკა, ბუნებისმცოდნეობა და ტექ-

ნოლოგია, ისტორია და გეოგრაფია, საზოგადოებათმცოდნეობა, მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდა, ფიზიკური აღზრდა 80-იან წლებში პროგრამაში შეიკვეცა შრომითი სწავლება და იგი ტექნოლოგიის კურსს შეუერთდა. პროგრამაში შეიტანეს უცხოური ენის სწავლება.

კოლეჯების შექმნასთან დაკავშირებით შემუშავდა ახალი პროგრამები. კოლეჯში სწავლება ოთხწლიანია. იგი ორ-ორ წლიან ციკლებს მოიცავს: დაკვირვებას და ორიენტაციებს. მთელი სწავლების პერიოდში მოსწავლეები შეისწავლიან საერთო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებს: ფრანგული ენა, მათემატიკა, უცხოური ენა, ინტეგრირებულ კურსებს - ისტორია - გეოგრაფია - ეკონომიკა. საზოგადოებათმცოდნეობა, ფიზიკა - ქიმია - ბიოლოგია, ხელოვნება, ტექნიკურ-შრომითი სწავლება, ფიზიკური აღზრდა და სპორტი. მეორე ციკლში შეისწავლება ერთ-ერთი არჩევითი საგანი: ლათინური ენა, ბერძნული, მე-2 უცხოური ენა, ტექნოლოგიური დისციპლინა.

70-80-იან წლებში ჩამოყალიბდა 3 ტიპის პროგრამები ზოგადი განათლების დამთავრებელი ეტაპისათვის: ზოგადსაგანმანათლებლო ლიცეუმისათვის (3 წელი), ტექნოლოგიური ლიცეუმისათვის (3 წელი), პროფესიული ლიცეუმისათვის (2 წელი).

თავისებურად ხორციელდება სასკოლო პროგრამების რეფორმა იაპონიაში. აქ სხვაგვარად უდგებიან სავალდებულო განათლების პროგრამების შეკვეცის იდეას. სასწავლო პროგრამები ითვალისწინებენ სავალდებულო საგნების ფართო წრესა და ცოდნის დიდ მოცულობას. როგორც იაპონელი მეცნიერი კაძუო ისიძალა აღნიშნავს, თუ ამერიკულ საშუალო განათლებას შეიძლება ზედმეტი მრავალფეროვნება ვუსაყვედუროთ, იაპონური სკოლისადმი მხოლოდ გადაჭარბებული უნიფორმიზმის გამო გვექნება პრეტენზიები.

60-90-იან წლებში ზოგადი განათლების პროგრამებმა იაპონიაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. მიღებულ იქნა დაწყებითი, უმცროსი და საშუალო სკოლების ახალი პროგრამები.

რეფორმის შედეგად დაწყებითი სკოლის პროგრამაში შეიტანეს ახალი საგნები: საზოგადოებათმცოდნეობა და მორალი, სეიკაცუ (სიცოცხლის შესახებ), უცხოური (ინგლისური) ენა. შემუშავდა საგანმანათლებლო სტანდარტები იაპონურ ენაში, მათემატიკაში, ბუნებისმცოდნეობაში.

მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა უფროსმა საშუალო სკოლამ. რეფორმის ერთ-ერთი ამოცანა იყო სასწავლო პროგრამების დივერსიფიკაციის საშუალებით სხვადასხვა მახასიათებლების მქონე სასწავლო დაწესებულებების ჩამოყალიბება.

90-იან წლებში უფროს საშუალო სკოლაში სტანდარტებით გათვალისწინებული იყო სავალდებულო და არჩევითი საგანმანათლებლო პროგრამები. სავალდებულო პროგრამა 8 კონცენტრისაგან შედგებოდა: იაპონური ენა, საზოგადოებათმცოდნეობა, მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ფიზიკური აღზრდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, ფიზიკური აღზრდა, ოჯახისმცოდნეობა და ეკონომიკა. მისი ათვისებისათვის გამოყოფილი იქნა მთელი სასწავლო დროის 90%. ამას გარდა, დიდი დრო დაეთმო კლასგარეშე სასწავლო მეცადინეობებს. არჩევითი საგნების სწავლებას დარჩა სასწავლო დროის მხოლოდ 10%.

ეროვნულ სტანდარტებში გათვალისწინებულ იქნა სავალდებულო პროგრამების 2 კატეგორია: ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური. პირველი კატეგორია გათვალისწინებული იყო იმათთვის, ვისაც განზრახული აქვს სწავლის განგრძობა უნივერსი-

ტეტში ან მუშაობა კონკრეტულ საქმიანობაზე ორიენტაციის გარეშე. სპეციალური პროგრამები კი იმათთვის, ვინც სწავლას აპირებს პროფესიულ-ტექნიკური განხრით. ვინც უკვე აირჩია საქმიანობის განსაზღვრული სფერო - სოფლის მეურნეობა, ინდუსტრია, კომერცია და ა. შ.

ყოველ სკოლას მიეთითა იმის თაობაზე, რომ ერთმანეთს უნდა შერწყმოდა სავალდებულო და სპეციალური მომზადება. ყველასათვის აუცილებელი გახდა სავალდებულო განათლების განსაზღვრული მინიმუმის ათვისება.

უფროს საშუალო სკოლაში დიფერენცირებული პროგრამების უფრო ფართოდ დანერგვის მიზნით 1991 წელს შემუშავდა ახალი მიდგომა, რომლის მიხედვითაც მოსწავლეთა უმრავლესობას საშუალება აქვს თავისი ინდივიდუალური მონაცემების მიხედვით აირჩიოს საგნები და არ ისწავლოს ორენოვანი, ყველასათვის ერთიანი პროგრამებით.

ახალ პროგრამებში კვლავაც პრიორიტეტი აქვს მინიჭებული საბაზო განათლებას. გათვალისწინებულია 3 ტიპის (სახის) პროგრამა: სავალდებულო, სპეციალური და ინტეგრირებული.

სავალდებულო პროგრამა ითვალისწინებს 9 სავალდებულო კონცენტრს. ამასთან, რესტრუქტურისებულია მანამდე არსებული კონცენტრები. ზოგიერთი არჩევითი კონცენტრი სავალდებულოდ იქცა. შემოღებულია ახალი კონცენტრი - "ინტეგრირებული სამეცნიერო ცოდნა", რომლის თემატიკაში ყურადღებაა გამახვილებული ენერგორესურსების, ენერგეტიკისა და ბიოტექნოლოგიის აქტუალურ საკითხებზე.

1994 წლამდე დიფერენცირებული კურსი დაშვებული იყო მხოლოდ ერთ სავალდებულო კონცენტრში - "ხელოვნებაში". ამჟამად მოსწავლეებს უფლება აქვთ ასეთი არჩევანი გააკეთონ 4 სავალდებულო კონცენტრში: "გეოგრაფია და ისტორია", "მოქალაქეობათმცოდნეობა", "ოჯახისმცოდნეობა", "ინტეგრირებული სამეცნიერო ცოდნა". ამავდროს, ისინი ვალდებული არიან აირჩიონ 11-12 კურსი სავალდებულო კონცენტრებიდან. მაგალითად, "ინტეგრირებული სამეცნიერო ცოდნის" კონცენტრიდან შეიძლება აირჩიონ ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის ან გეოლოგიის კურსი.

უფროს საშუალო სკოლაში სიახლეა ინტეგრირებული პროგრამები. ამ პროგრამების დანერგვა დაიწყო 1994 წლიდან. მათი მიზანია მოსწავლეებს ერთდროულად მიეცეთ ზოგადი და სპეციალური მომზადება.

90-იან წლებში არსებითად შეიცვალა სასკოლო პროგრამები **რუსეთში**.

პროგრამების რეფორმა ითვალისწინებდა სავალდებულო სასწავლო მასალის შეკვეცას და კურსების არჩევითობის (განსაკუთრებით უფროს კლასებში) წახალისებას. ამასთან ერთად, განზრახული იქნა პროგრამების აგება სამი კომპონენტის გათვალისწინებით: ფედერალური, ეროვნულ-რეგიონალური და სასკოლო კომპონენტებით.

ფედერალური კომპონენტი უზრუნველყოფს ქვეყანაში სასკოლო განათლების ერთიანობას და მოიცავს განათლების შინაარსის იმ ნაწილს, რომელსაც ზოგადკულტურული და ზოგადსახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს: რუსული ენა, მათემატიკა, ინფორმატიკა, ფიზიკა, ასტრონომია და ქიმია; **ეროვნულ-რეგიონალური** კომპონენტი ასახავს რუსეთის ფედერაციის სუბიექტების მოთხოვნილებებს (კულტურის ეროვნულ და რეგიონალურ თავისებურებებს: მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია, რეგიონის გეოგრაფია და ა. შ.); **სასკოლო კომპონენტი** ასახავს კონკრეტული საგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას.

პროგრამები სულ უფრო ვარიანტული გახდა. მაგალითად, მოსკოვის დაწყებითი სკოლების პროგრამებში 2 საბაზისო პროგრამაა გათვალისწინებული: ოთხი და სამწლიანი დაწყებითი სკოლებისათვის. მათში შედის: რუსული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, ისტორია და საზოგადოებათმცოდნეობა, ხელოვნება, გარესამყარო, გეოგრაფია, მათემატიკა, ინფორმატიკის საფუძვლები, ფიზიკა და ასტრონომია, ქიმია, ბიოლოგია, შრომითი სწავლება და სპორტი. სამწლიან სკოლაში ამ საგნებში დაშვებულია არჩევითი სპეცკურსები (2-3 საათი კვირაში).

საშუალო განათლების საბაზისო დონე შეიძლება მიღწეულ იქნას მრავალფეროვანი ვარიანტული პროგრამების საშუალებით. ასეთი ვარიანტულობა ძლიერდება უფროს კლასებში, თუ დაწყებით კლასებში ჭარბობს სავალდებულო სასწავლო მასალა, საშუალო სკოლაში ძლიერდება პროგრამების დივერსიფიკაცია.

სრული საშუალო სკოლის საბაზო გეგმა მოიცავს იგივე საგანმანათლებლო დარგებს, როგორსაც ძირითადი სკოლის საბაზო გეგმა, მაგრამ საშუალო სკოლის საფეხურზე სწავლება ხორციელდება პროფილური დიფერენცირების საფუძველზე.

სასკოლო სტანდარტი პროგრამების კორექტირების 2 გზას სახავს: ელექტიური (არჩევითი) კურსების შემოღებას და სასწავლო მასალის შემოტანას სკოლის ეთნიკური შემადგენლობის გათვალისწინებით.

სავალდებულო პროგრამების შეკვეცა მძიმედ მიმდინარეობს. უმრავლესი საშუალო სკოლების პედაგოგები მიიჩნევენ, რომ ასეთი შეკვეცა უარყოფითად იმოქმედებს მოსწავლეთა საერთო მომზადებაზე.

ასევე ნელა იწერება 3 კომპონენტის პროგრამები. ამ შეფერხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად სპეციალისტები კადრების ნაკლებობას მიიჩნევენ.

სასკოლო პროგრამების რეფორმირება, - როგორც მსოფლიოს გამოჩენილი მეცნიერები მიიჩნევენ, დროის მოთხოვნებს შეესაბამება და გამართლებულია სოციალური და პედაგოგიური თვალსაზრისით. ამასთან, არის იმის საშიშროება, რომ მეტისმეტად ადრე განხორციელდეს სწავლების დიფერენციაცია, გაუმართლებელად შემცირდეს სავალდებულო ცოდნის მოცულობა და გაიზარდოს არჩევითი კურსების სწავლების მასშტაბები. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ერთობ ღრმად წავიდა ამგვარი რეფორმები (აშშ, ინგლისი), უკვე დაისახა საბაზო პროგრამების გაფართოების ტენდენციები.

სასკოლო პროგრამების რეფორმირების მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საჭიროა, თავი ავარიდოთ უკიდურესობებს. ყველაზე სწორია, - როგორც სპეციალისტები მიიჩნევენ, - ისეთი პროგრამების შემუშავება, რომლებიც დაბალანსებული იქნება სავალდებულო, სპეციალიზაციისა და ინტეგრაციის პრინციპების შესაბამისად.

განათლების სისტემა ფინეთში

ფინეთში ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს წინასწარი დაწყებითი განათლება, რაც, როგორც წესი, იწყება სავალდებულო დაწყებითი განათლების დაწყებამდე ერთი წლით ადრე. წინასწარი ანუ წინმსწრები განათლება შეიძლება მიიღოს ბავშვმა სკოლაში ან საბავშვო ბაღში, საოჯახო საბავშვო ბაღში ან სხვაგან. ამას მუნიციპალიტეტები წყვეტენ.

სავალდებულო სწავლებას ბავშვი იწყებს მაშინ, როდესაც მას შვიდი წელი უსრულდება და იგი 16-17 წლამდე გრძელდება. სახელმწიფო უზრუნველყოფს უფასო ძირითად განათლებას. ამაში შედის სწავლება, სახელმძღვანელოები, რვეულები, ძირითადი საკანცელარიო ნივთები. სკოლებში კვებაც, აგრეთვე, უფასოა.

მესამე კლასიდან იწყება ინგლისური ენის სწავლება. მეოთხე კლასში ბავშვები ირჩევენ უცხოური ენის ფაკულტატიურ კურსებს (ფრანგულს, ინგლისურს ან რუსულს). მე-7 კლასში იწყება სავალდებულო შვედური ენის შესწავლა.

მეორე საფეხური.

ძირითადი განათლების მიღების შემდეგ მოსწავლეები არჩევიანის წინაშე დგებიან:

- ერთი გზა არის პროფესიული განათლების მიღება და მუშაობის დაწყება ათვისებული სპეციალობის შესაბამისად. პროფესიული განათლება ხორციელდება პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, კერძოდ, პროფესიულ სასწავლებლებში. ამას გარდა შეიძლება პროფესიული განათლება მიიღო უშუალოდ საწარმოში ხელშეკრულების საფუძველზე.
- მეორე გზაა სწავლის გაგრძელება ლიცეუმში, სადაც ხდება უმაღლეს სასწავლებელში მიღებისათვის სერიოზული მომზადება. იმ მოსწავლეებმა, რომლებიც ლიცეუმში მიდიან, უნდა აჩვენონ საკმაოდ მაღალი ხარისხის მომზადების დონე. ფინეთში ლიცეუმის კურსდამთავრებული ამავე დროს აბიტურიენტიც არის. ამიტომ, ჯერ კიდევ ლიცეუმის მოსწავლეს უფლება აქვს საბუთები შეიტანოს უმაღლეს სასწავლებელში.

საინტერესოა ის, რომ ფინეთში, ისევე როგორც ზოგიერთ სხვა ქვეყანაშიც არსებობს საშუალო განათლების ზოგიერთი ფორმის "დახურული გადასახადი". მაგალითად, თუ საერთო სკოლაში სახელმძღვანელოები უფასოა, გიმნაზიაში იგი უნდა შეიძინო, რაც დაახლოებით 500 ევრო ჯდება, რაც ერთბაშად უნდა გადაიხადო. რაც შეეხება კერძო სკოლებს, იქ სწავლის გადასახადი 30-40 ათასი ევროა წელიწადში.

ევროპის ქვეყნები საკუთარი საგანმანათლებლო სისტემების რეფორმის პროცესში ეძებენ იმ ორიენტირებს, რაც ყველაზე ეფექტური იქნება მათთვის. ასეთი დილემის წინაშეა, მაგალითად, რუსეთი. რომელი სისტემა შეეფერება ყველაზე მეტად რუსეთის საშუალო განათლებას? სვამს კითხვას რუსეთის უმაღლესი ეკონომიკური სკოლის დირექტორი ი. აბანკინა და პასუხობს: ეს რთული საკითხია. მოკლედ თუ ვიტყვით, არცერთი სისტემა მთლიანად არ შეგვეფერება. ამიტომ რომელიმე სისტემის მექანიკური გადმონერგვა სასარგებლო არ იქნება. ჩვენი საგანმანათლებლო სისტემის ფესვები გერმანული განათლების წიაღშია, ეს ყველამ იცის, მაგრამ თვითონ გერმანიაში ახლა ერთობ აქტიურად მიმდინარეობს საშუალო სკოლის რეფორმა. დიდ ბრიტანეთშიც მათი ტრა-

დიციული სასკოლო მოდელი რადიკალურად იცვლება. ისე, რომ რომელიმე ქვეყნის გამომცდილების კოპირება სასარგებლო არ არის.

საერთაშორისო ტესტების მიხედვით, უკანასკნელ წლებში განათლების დარგში წარმატების მონაცემებით წინა პლანზე გამოჩნდნენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები. სასწაულები მოახდინა შანხაიმ - ჩინეთის განათლების სისტემის ავანგარდმა; შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია ტაივანმა, ასევე წინ გაიჭრნენ სამხრეთ კორეა და იაპონია.

ისე, რომ, განათლების აღმოსავლური მოდელი ყურადღებას იმსახურებს. ეს მოდელი მაინც და მაინც გულზე არ ეხატებათ ევროპელ და ამერიკელ დამკვირვებლებს. ეს არის გადატვირთული კლასები - 40 მოსწავლე ჯგუფში. ეს არის მკაცრი დისციპლინა, რაც საბჭოთა კავშირის არსებობის ოქროს წლებს მოგაგონებთ.

ინდივიდუალური - ფასიანი - მეცადინეობის გარეშე მოსწავლეთა კარგი მომზადება ძალიან ძნელია. როგორც შანხაის უნივერსიტეტის პროფესორი მარკ ბრეირი ადასტურებს, რეპეტიტორთა ბაზარს შანხაიში 2,5% უკავია. ბევრი ოჯახის ბიუჯეტს განათლებისათვის დამატებითი ხარჯების გაღება მძიმე ტვირთად აწევს.

ახალი სკოლის მშენებლობა ნებისმიერ ქვეყანაში კომბინირებულ მიდგომებს უნდა დაეფუძნოს.

ნორვეგიის განათლების სისტემა

განათლების სისტემის ყველა საფეხური სახელმწიფოს მიერ ფინანსდება. 1993 წელს დაწყებულმა განათლების რეფორმამ, სავარაუდოდ, უნდა გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი.

სავალდებულო განათლების პროგრამა დაყოფილია სამ საფეხურად: სკოლამდელი სწავლებიდან IV კლასამდე, V-VII კლასები და VIII-X კლასები. მოზარდებს 16 წლიდან 19 წლის ასაკამდე სრული საშუალო განათლება უნდა მიეცეთ, რაც აუცილებელია სავაჭრო სასწავლებლებში, უმაღლეს სკოლაში (კოლეჯში) ან უნივერსიტეტში შესასვლელად. ქვეყნის სასოფლო რაიონებში ფუნქციონირებს 90-ზე მეტი უმაღლესი სახალხო სკოლა, სადაც ზოგადსაგანმანათლებლო საგნები ისწავლება. ამ სკოლების უმეტესობა სახსრებს ღებულობენ რელიგიური თემებიდან, კერძო პირებიდან ან ადგილობრივი ხელისუფლებისაგან.

სასკოლო განათლება.

სავალდებულო სასკოლო განათლების სისტემა ნორვეგიაში 13 წლიანია (10 წლიანი დაწყებითი და საშუალო სკოლა და 3 წელი უფროსი სკოლა). ქვეყნის თითქმის ყველა სკოლა სახელმწიფოშია და მათში სწავლა უფასოა. დამახასიათებელი თავისებურება არის მკაცრი ასაკობრივი დაყოფა. სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების ერთ მენობაში სწავლა მიზანშეწონილად არ არის მიჩნეული.

დაწყებითი და საშუალო სკოლები.

დაწყებით სკოლებში, როგორც წესი, მოიაზრება I-IV კლასები, უფროს დაწყებით სკოლაში - V-VII კლასები, საშუალო სკოლაში - VIII-X კლასები.

დაწყებითი სკოლის სავალდებულო საგნების ნუსხაში მათემატიკასთან, მშობლიურ და ინგლისურ ენასთან, ხატვა-მუსიკასთან არის ისეთი საგნები, როგორც არის ქრისტიანული რელიგიის საფუძვლები და ზნეობრივი აღზრდა, საოჯახო ეკონომიკა და ერთი არჩევითი საგანი. სავალდებულო საგნების პარალელურად მოსწავლეები სწავლობენ მეორე უცხო ენას, აგრეთვე მონაწილეობენ საპროექტო სამუშაოებში.

სკოლაში შესვლის პირველი დღეებიდანვე ბავშვებს უნერგავენ აზრს იმის შესახებ, რომ პიროვნება ვითარდება მხოლოდ სხვა პიროვნებასთან ურთიერთობის პროცესში. ამიტომ, სწავლება იმგვარად არის ორგანიზებული, რომ ბავშვებმა ისწავლონ ამა თუ იმ გადაწყვეტილების შედეგების ერთობლივი შეფასება. ყოველი მოსწავლე მასწავლებელთან ერთად ადგენს საკლასო და საშინაო დავალებების ერთკვირიან პირად გეგმას. მასწავლებელი ბავშვის წარმატებებს ყოველი დღის ბოლოს აღნიშნავს სპეციალურ რვეულში და თუ აუცილებელია, მშობლებს წერილობით ატყობინებს თავის შენიშვნებს.

პირველიდან მეშვიდე კლასამდე ნორვეგიულ სკოლაში არ ჰქაჩანებს ისეთი ცნება, როგორც არის "შეფასება". სამაგიეროდ არის სხვა: "რაზმში მუშაობა", "განხილვა", "გადაწყვეტილების მიღება". მხოლოდ VIII კლასიდან შემოდის სწავლებაში ახალი საგნები - ეკონომიკა, ეკოლოგია, დისციპლინა, პროფესიული ორიენტაცია.

დიდი ყურადღება ეთმობა მასწავლებლისა და მოსწავლეების ერთობლივი საქმიანობის დაგეგმვას. ამ ეტაპზე მთავარია მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ საკუთარი შესაძლებლობების ოპტიმისტური შეფასება.

უფროსი სკოლები.

16 წლის ასაკიდან ნორვეგიელი ახალგაზრდები შედიან უფროს სკოლაში, რომელსაც 3 წლის შემდეგ ამთავრებენ. უფროსი სკოლების უმრავლესობას აქვს ორი განყოფილება: აკადემიური და პროფესიული ოსტატობის განყოფილებები.

არც თუ იშვიათია ისეთი სკოლები, რომლებსაც აქვთ მესამე განყოფილებაც - ინვალიდი ბავშვებისათვის.

ტიპური მესამე განყოფილებიანი უფროსი სკოლა არის ქალაქ ლილესტრემში, რომელიც დაარსდა 1986 წელს. ამ სკოლის აკადემიური განყოფილებაზე 350 მოზარდისწავლობს ყველასათვის ცნობილ საგნებს - მათემატიკას, ფიზიკას, ლიტერატურას, გეოგრაფიას და სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებს.

სწავლების პირველ წელს აკადემიურ დისციპლინებზე გათვალისწინებულია 30 საათი კვირაში. შემდგომში აკადემიური საგნების ხვედრითი წილი მცირდება: მეორე წელს სავალდებულო საგნებისათვის გამოყოფილია 18 საათი კვირაში და 12 საათი არჩევით საგნებზე, მესამე წელს ეს შეფარდება ისევ იცვლება და, შესაბამისად, ხდება 14 და 16 საათი.

ამრიგად, უფროსი სკოლის სტუდენტს შესაძლებლობა აქვს ყოველ წელს სულ უფრო დიდი დრო დაუთმოს იმ საგნებს, რომელიც მას აინტერესებს და რომლის შესწავლასაც აპირებს შემდგომში უნივერსიტეტში ან კოლეჯში.

ნორვეგიის უფროს სკოლაში სტუდენტები გამოცდას აბარებენ შერჩევით. პირველი წლის ბოლოს გამოცდაზე გადის მოსწავლეთა 10%, მეორე წლის ბოლოს - 25%, დამთავრებისას - 50%. იმაზე, თუ ვის მოუწევს გამოცდაზე გასვლა და რა საგნები უნდა ჩააბაროს მოსწავლემ, ორი დღით ადრე განცხადებას აკეთებს სკოლის დირექცია. გამოცდაზე გამსვლელ სტუდენტებს არჩევს ნორვეგიის საგამოცდო სამდივნო, რომელსაც არავითარი ცნობები არ აქვს არც მოსწავლეებზე და არც მათი აკადემიური წარმატების შესახებ.

იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებშიც გამოცდებს აბარებენ მოსწავლეები, პრაქტიკულად უცვლელია. ეს არის ინფორმატიკა, ეკონომიკა, მათემატიკა (ზეპირი და წერილი) და ინგლისური ენა. გამოსაშვებ გამოცდებზე გამოცდა ბარდება ნორვეგიულ ენაში და ერთ-ერთ არჩევით საგანში.

უფროსი სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეთა 80% სწავლას განაგრძობს უნივერსიტეტებში, დანარჩენი 20% შედის კოლეჯში, რაც სასკოლო განათლების მაღალ დონეზე მიუთითებს.

უფროს სკოლებში ერთობ პოპულარულია პროფესიული ოსტატობის განყოფილებები. აქ ორი წლის განმავლობაში სწავლობენ ზეინკლის, დურგლისა და მშენებლის პროფესიებს, მომდევნო ორ წელიწადს პრაქტიკას გადიან საწარმოებში. ამის შემდეგ ლეზულობენ ახალგაზრდები უფროსი სკოლის დამთავრების დიპლომს და ენიჭებათ პროფესიული კვალიფიკაცია. პროფესიული ოსტატობის განყოფილებები დიდი პოპულარობით სარგებლობენ, რადგან ამ განყოფილების კურსდამთავრებულები ლეზულობენ კარგ, მაღალანაზღაურებად სამუშაოს.

სახალხო სკოლები.

სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ უნი-

ვერსიტეტსა თუ კოლეჯში ან ერთი წელი ისწავლონ სახალხო სკოლაში. ამ ტიპის სასწავლო დაწესებულებას ზოგჯერ "ჩრდილოეთის ფენომენსაც" უწოდებენ. პირველი ასეთი სკოლა ჩამოყალიბდა დანიაში 150 წლის წინ. შემდეგ ამ ტიპის სკოლები მთელ სკანდინავიაში გავრცელდა. დღეს მათი რიცხვი 400-ს აღწევს.

სახალხო სკოლის ნიმუშად გამოდგება რომერიკეს სკოლა, რომელიც ოსლოსთან ახლოს მდებარეობს და სპეციალიზებულია თეატრალური ხელოვნების დარგში. ეს სკოლა ნორვეგიაში ერთ-ერთი უძველესია. აქ შეიძლება ისწავლოთ თეატრალურ, მუსიკალურ, სცენოგრაფიის ფაკულტეტებზე, ან აითვისოთ ხმის რეჟისორის ოსტატობა, თეატრალური გრიმიორის ხელოვნება ან გახდეთ თეატრალური განათების ტექნიკოსი. სტუდენტები წელიწადში 30-მდე თეატრალურ სპექტაკლებს დგამენ, სადაც სცენარიდან დაწყებული გრიმის გაკეთებამდე მოსწავლეების შემოქმედებაა. დადგმებს უჩვენებენ ახლო დასახლებებსა და სკოლის მოსწავლეებს. ამას გარდა ამ სკოლის მოზარდები აწყობენ სხვადასხვაგვარ ექსპოზიციებს.

პროფესიული განათლება.

ნორვეგიაში ყველა რაიონსა და ქალაქში ფუნქციონირებს ასზე მეტი სახელმწიფო და კერძო კოლეჯი. ნორვეგიაში ძალიან გავრცელებულია ის კოლეჯები, სადაც მმართველებსა და სოციალურ მუშაკებს ამზადებენ. როგორც წესი, ეს სასწავლო დაწესებულებები საზოგადოებას სთავაზობენ სხვადასხვა ხანგრძლივობის (1-დან 3 წლამდე) პროგრამებს. კოლეჯის დიპლომი უფლებას აძლევს მის მფობელს, სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტის ასპირანტურაში.

უმაღლესი განათლება.

უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ნორვეგიაში წარმოდგენილია ოთხი უნივერსიტეტით, ექვსი სპეციალიზებული უმაღლესი სკოლით (კოლეჯით) და ორი სახელმწიფო მხატვრული სკოლით. ამას გარდა არსებობს 26 სახელმწიფო კოლეჯი და ზრდასრულთა დამატებითი განათლების კურსები.

ნორვეგიის უძველესი უმაღლესი სასწავლებელია ოსლოს უნივერსიტეტი, რომელიც 1811 წელს დაარსდა. მის რვა ფაკულტეტზე 33 ათასი კაცი სწავლობს, მათ შორის 2 ათასი აუცხოელია. დანარჩენი 3 უნივერსიტეტი XX საუკუნის შუა ხანებში გაიხსნა ქალაქებში - ბერგენში, ტრომსოში და ტრონხეიმში.

ნორვეგიაში უმაღლესი განათლების დიპლომს ღებულობენ როგორც უნივერსიტეტის, ისე კოლეჯის კურსდამთავრებულები. განსხვავება ის არის, რომ კოლეჯი სპეციალიზებული პროფესიული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა, უნივერსიტეტი კი მუდამ ითვლებოდა სამეცნიერო-კვლევით ცენტრად.

უნივერსიტეტები ამზადებენ სახელმწიფო მოსამსახურეებს, კულტის მსახურებსა და უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებს. ამას გარდა, უნივერსიტეტები თითქმის მთლიანად უზრუნველყოფენ ქვეყანას ექიმთა კადრებით, აგრეთვე ინჟინრებითა და მეცნიერ მუშაკებით. უნივერსიტეტები ეწევიან ფუნდამენტურ სამეცნიერო კვლევებს. ოსლოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ნორვეგიის უდიდესი ეროვნული ბიბლიოთეკაა.

კოლეჯი არის სპეციალიზებული პროფესიული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომელიც კურსდამთავრებულებს აძლევს განათლებას ერთ-ორ სპეციალობაში. მაგალითად, ნორვეგიის მუსიკის სახელმწიფო აკადემია, ეკონომიკისა და საქმიანი ად-

მინისტრირების სკოლა და სხვ.

ნორვეგიაში სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში სწავლა თითქმის უფასოა. საჭიროა მხოლოდ ჩარიცხვისას 30 და ყოველი სემესტრის ბოლოს 37 დოლარის გადახდა.

ნებისმიერი ნორვეგიელ, მათ შორის უცხოელ სტუდენტს შეუძლია აიღოს კრედიტი ან სტიპენდია. კრედიტს, ჩვეულებრივ, 20 წლის განვადებით აძლევენ და იგი შეიძლება ნაწილობრივ უნივერსიტეტმა დაფაროს სტუდენტის სწავლის პერიოდში.

უნივერსიტეტებთან არსებობენ სტუდენტური ორგანიზაციები, რომელთა გამგებლობაში არის სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, სასადილოები, სამედიცინო მომსახურების პუნქტები. ყველაფერ ამას აფინანსებს სახელმწიფო. ამიტომ სტუდენტებს მათით სარგებლობა ძალიან იაფი უჯდებათ. თუმცა "სტუდენტური ბინა" არც ისე ბევრია და იაფფასიან საცხოვრებელს ყველა სტუდენტი ვერ ღებულობს.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლა.

მისაღები გამოცდები ნორვეგიის უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში არ არის და, არსებითად, აქ სასკოლო ატესტატების კონკურენსი ტარდება.

უნივერსიტეტში სწავლის ხანგრძლივობა 3,5-4 წელია. ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებთან შედარებით სწავლის ხანგრძლივობა ნახევარი წლით მეტია. ამჟამად ნორვეგიაში ყველაზე პოპულარული ინფორმატიკის, ჟურნალისტიკის, იურიდიული და ეკონომიკური დარგებია.

სწავლის დამთავრებისას ყველა სტუდენტი წერს სადიპლომო ნაშრომს და აბარებს გამოცდას ფილოსოფიაში, იმის მიუხედავად, რომელ სპეციალობას სწავლობდა. ამის შემდეგ ენიჭება მაგისტრის კანდიდატის ხარისხი. 1981 წლიდან სახელმწიფო კოლეჯებსაც მიეცათ უფლება, თავიანთ კურსდამთავრებულებს მიანიჭონ მაგისტრის კანდიდატის ხარისხი.

სრულიად განსხვავებულია საუნივერსიტეტო პროგრამები მედიცინაში, სამართალში, ეკონომიკაში, საინჟინრო მეცნიერებებში. ეს სპეციალობები უფრო პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადია. აქ ჩამოთვლილ სპეციალობებში ხარისხის მიღებისათვის საჭიროა სპეციალური პროგრამით 4,5-6 წელი სწავლა.

ნორვეგიის უნივერსიტეტებში სწავლება ნორვეგიულ ენაზეა. უცხოელებს ენას ასწავლიან უფასოდ. ნორვეგიული ენის შესწავლის კურსები არსებობენ მუნიციპალიტეტებთან და მუშაობენ მთელი სასწავლო წლის განმავლობაში.

ნორვეგიაში არის ორი უნივერსიტეტი, სადაც საუნივერსიტეტო პროგრამები ხორციელდება ინგლისურ ენაზე. ეს უნივერსიტეტებია ბერგენეში (ეკონომიკისა და საქმიანი ადმინისტრირების სკოლა) და ოსლოში (მენეჯმენტის სკოლა).

დიპლომისშემდგომი განათლება.

დიპლომისშემდგომ განათლებას ყველა უნივერსიტეტი სთავაზობს სტუდენტებს. ორწლიანი კურსის გავლის შემდეგ მსმენელებს ენიჭებათ კანდიდატის ხარისხები: ჰუმანიტარებს ფილოსოფიაში, საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენლებს - პოლიტიკაში, მათემატიკოსებსა და ბუნებისმეტყველებს - ზუსტ მეცნიერებაში.

ვისაც სურს მეცნიერების სფეროში მოღვაწეობა, მათ უნდა დაიცვან დისერტაცია და მოიპოვონ დოქტორის ხარისხი.

განათლების სისტემა პოლონეთში

მსოფლიოს საგანმანათლებლო სისტემების მკვლევართა შორის გავრცელებულია აზრი, რომ პოლონეთის საგანმანათლებლო სისტემა, ტრადიციულად, ერთ-ერთი საუკეთესოა ე. წ. სოციალისტურ ბანაკშიშემავალი ქვეყნების ანალოგიურ სფეროსთან მიმართებაში.

ბუნებრივია, დგება საკითხი იმის თაობაზე თუ რა განაპირობებს აღნიშნულ მდგომარეობას და რა პარამეტრებით გამორჩევა საგანმანათლებლო სფეროს პოლონელ სპეციალისტთა მუშაობა მეზობელ ქვეყნების კოლეგებთან მიმართებაში.

სპეციალისტთა საერთო აზრით, პოლონური საგანმანათლებლო სისტემას საფუძვლად უდევს მრავალმხრივი არჩევანის შესაძლებლობები, რაც სხვა ქვეყნებისათვის დამახასიათებელი არ არის. აღნიშნულ სფეროში დაკავებულ მკვლევარებს კარგად ახსოვთ, რომ ე. წ. საბჭოთა საგანმანათლებლო ინსტიტუტები თავის ყველა დონეზე იყო ტიპური, რაც ადამიანებს, უბრალოდ, არჩევანის შესაძლებლობებს უზღუდავდა. ამისგან განსხვავებით, პოლონეთში, მისი საგანმანათლებლო სტრუქტურების ყველა დონეზე იმთავითვე იყო შენარჩუნებული არა მარტო ერთმანეთისაგან განსხვავებული საგანმანათლებლო დაწესებულებათა ტიპები, არამედ სწავლების მეთოდების განსხვავებული ვარიანტებიც. უფრო მეტიც, სისტემებისა და მეთოდების ნაირგვარი ვარიანტები ერთმანეთთან მიმართებაში ქმნიდნენ კონკრეტულ გარემოს, რომელსაც სახელმწიფო ხელს არ უშლიდა, პირიქით აძლიერებდა და ამით ქმნიდა სასკოლო განათლების სისტემის ეფექტურობის ზრდის წინაპირობას.

ანალოგიური მიდგომა იყო შენარჩუნებული უმაღლესი სკოლის დონეზეც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლონეთის უმაღლესი განათლების სისტემა იმთავითვე ორიენტირებული იყო დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებაზე, იქ არსებულ წეს-რიგსა და სწავლების ფორმებზე. სოციალიზმის მარცხისა და ახალი ევროპული ყაიდის ეკონომიკური ურთიერთობების დამკვიდრების შემდეგ, ზემოაღნიშნული საგანმანათლებლო სისტემის მეოხებით, პოლონეთმა შეძლო ეკონომიკის წინ წაწევა, განსაკუთრებული რყევებისა და ჩავარდნების გარეშე.

ევროპის სხვა დაწინაურებული ქვეყნების მსგავსად, პოლონური განათლების სისტემა რამდენიმე საფეხურს მოიცავს. პირველი მათ შორის, ბუნებრივია, არის სკოლამდელი განათლების საფეხური. ეს უკანასკნელი სადღეისოდ სკოლამდელი განათლების საერთო ევროპული სისტემის მიხედვით ვითარდება. სწორედ ამის გამო, პოლონელთა ოჯახებს, აქვთ შესაძლებლობა გააკეთონ არჩევანი და მიიღონ გადაწყვეტილება მიაბარონ ბავშვი საბავშვო ბაღში. იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი ასეთ გადაწყვეტილებას. მიიღებს მას კდევ რჩება არჩევანი, რაც იმაში გამოიხატება, რომ შეუძლია ბავშვი ან მოკლე დროით მიიყვანოს ბაღში, ან კდევ დღის ბოლომდე დატოვოს იქ. ეს წესი არ ვრცელდება საბავშვო ბაღის ბოლო დამამთავრებელ წელიწადზე, რადგან იგი სკოლისათვის მოსამზადებელია და ამდენად თუ ბავშვი ბაღში ირიცხება, მან იქ სრული დღე უნდა დაჰყო.

პოლონეთში საბავშვო ბაღების უმეტესობა მუნიციპალურ დაქვემდებარებაში იმყოფება და სახელმწიფოს მაღალი ყურადღებითაც სარგებლობს. ამგვარი დაწესებულებების გვერდით საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ე. წ. საზოგადოებრივი საბავშვო

ბაღები, რომლებიც განკუთვნილია ისეთი მოზარდებისათვის, რომლებიც მოკლებულნი არიან მშობელთა მზრუნველობას, ან კიდევ სპეციალური საჭიროებების მქონეთა რიცხვს მიეკუთვნებიან.

პოლონეთში არის კერძო პროფილის საბავშვო ბაღები, სადაც მოზარდების რაოდენობა ჯგუფებში საკმაოდ მცირეა, თუმცა მათ აღზრდელ-მასწავლებელთა დიდი რაოდენობა ემსახურება. ასეთი დაწესებულებები გამოირჩევიან მაღალი დონის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და შესაბამისი აღჭურვილობით, თუმცა პირობების სიმცირისა თუ ნაკლებობას არც სხვა ტიპის ბაღებში უჩიავიან. აღსანიშნავია, რომ კერძო ბაღების მომსახურებით, ძირითადად, მოსახლეობის მდიდარი ფენა სარგებლობს.

საგულისხმოა, რომ პოლონეთში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბავშვო ბაღის ბოლო დამამთავრებელი კლასი სავალდებულოა ყველასთვის, მათ შორის იმ მოზარდებისთვისაც კი, რომელთა მშობლები ქვეყნის მოქალაქეთა სიაში არ ირიცხებიან.

პოლონური დაწყებითი სკოლა საბავშვო ბაღის კურსგამოვლილ მოსწავლეს 6 წლის ასაკიდან იღებს თავის რიგებში. პირველი კლასი აქ მოსამზადებლად ე. წ. ნულოვან კლასად ითვლება. ამ ეტაპზე სასკოლო რეჟიმი ისეა შედგენილი, რომ მოსწავლეები ერთმანეთს ეცნობიან, იწყებენ ურთიერთობებს, სწავლობენ ელემენტარულ მათემატიკურ პროცედურებს. მომდევნო კლასებში ოპერაციები, ცხადია, ნელ-ნელა რთულდება და ასე გრძელდება 6 წლის განმავლობაში, რადგან დაწყებითი სკოლის ხანგრძლივობა სწორედ ასეთი პერიოდის გავლას მოითხოვს. ამის მერე მოსწავლეები გადადიან გიმნაზიაში. დაწყებითი სკოლის ბოლოს მოსწავლეთა მომზადების დონე მოწმდება სპეციალური ტესტების დახმარებით. ამ გზით გამოვლენილი შედეგები მხოლოდ სორიენტაცოა და ისინი სერიოზულ გავლენას არ ახდენენ მოსწავლეთა არჩევანზე.

გიმნაზიის ეტაპი პოლონურ საგანმანათლებლო სისტემაში სამ წელიწადს გრძელდება. ეს პერიოდი სრულდება საკმაოდ სერიოზული საგამოცდო ეტაპით, რომლის დროსაც მოწმდება მოსწავლეთა მომზადების დონე ისტორიაში, ბუნებისმცოდნეობაში, ფიზიკაში, მათემატიკაში და ქიმიაში. აღნიშნული გზით მიღებული შედეგები, არსებითად წყვეტს მოსწავლის შემდგომ ბედს. ეს იმაში გამოიხატება, რომ მიღებული შეფასებების მიხედვით წყდება საით წავა მოსწავლე, ზოგიერთს ეძლევა რეკომენდაცია წავიდნენ კოლეჯში, ზოგიერთი ლიცეუმის გზას გაუყვება, ზოგი კი საშუალო განათლების კურსს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კედლებში გააგრძელებს.

კოლეჯებსა და ლიცეუმში სწავლა 3-4 წელიწადს გრძელდება, აქაც კურსმოსმენილი აბარებს გამოცდებს და თუ ეს ბარიერი დაძლეულ იქნება, მოსწავლეებს ავტომატურად ენიჭებათ საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

რაც შეეხება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსმოსმენილებს, ისინიც ჩვეულებრივად აბარებენ გამოცდას, ოღონდ პროფესიული სწავლების მიმართულებით და წარმატების შემთხვევაში უწყებათმორისი კომისია მათ ანიჭებს დიპლომს, რომელიც ახალგაზრდას საშუალებას აძლევს ჩააბაროს უმაღლეს სასწავლებელში.

ლიცეუმის უპირატესობა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთან შედარებით ისაა, რომ მისი დიპლომი ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს უმაღლესში შევიდნენ მხოლოდ უმნიშვნელო, საკმაოდ იოლი ტესტირების გზით, სპეციალური გამოცდების ჩაბარების გარეშე.

რაც შეეხება საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემას პოლონეთში, სხვა ქვეყნების მსგავსად მოქმედებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო უნივერსიტეტების ქსე-

ლი. ორივეგან სწავლების დონე და ხარისხი საკმაოდ მაღალია, რადგან თავიანთ საქმიანობას აგებენ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მიღებული სასერტიფიკაციო მოთხოვნებზე დაყრდნობით. ეს კი ქმნის იმის წინაპირობას, რომ პოლონეთის უმაღლესი სასწავლებლების მიერ გაცემული დიპლომი აღიარებულია მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში.

პოლონურ უმაღლეს სკოლაში მისაღები გამოცდილების ჩაბარებისა და იქ სწავლის, ასევე სტიპენდიის მიღების უფლება აქვს არა მარტო ქვეყნის მოქალაქეს, არამედ ნებისმიერ უცხოელს, რომელსაც გააჩნია ე. წ. სიმწიფის ატესტატი.

სწავლება ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში პოლონეთის მასშტაბით ერთიან სახელმწიფო ენაზე - პოლონურზე ხორციელდება. იმისათვის, რომ უცხო ქვეყნების წარმომადგენლებმა ამ მიმართულებით არსებული სიმწიფის გადალახვა შემდონ, უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედებს ენის შემსწავლელი 6 თვიანი კურსები, რომლებშიც სწავლა საშუალოდ 1000-დან 2000 ევრომდე ღირს. აღსანიშნავია, რომ პოლონეთის ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლება ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს.

პოლონეთის უმაღლეს სკოლებში სწავლების სამსაფეხურიანი სისტემა მოქმედებს, რაც გულისხმობს ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის წოდების მოპოვებას. ეს წესი არ ვრცელდება ისეთ სპეციალობებზე, როგორც სამართალმცოდნეობა, ფსიქოლოგია და სამედიცინო მიმართულებებია. აღნიშნულ სფეროში ორსაფეხურიანი სისტემა მოქმედებს.

ხოლო მას ვისაც ამ მიმართულებებზე დოქტორობა სურს, მას უკვე უნდა ჰქონდეს მაგისტრის ხარისხი და შემდეგ გაიაროს 4 წლიანი სადოქტორო კურსი.

ბაკალავრის დიპლომის მისაღებად 3-3,5 წლიანი სწავლების კურსის გავლაა საჭირო, ინჟინერ-ბაკალავრმა 4-4,5 წელი უნდა ისწავლოს. მაგისტრის დიპლომის მოსაპოვებლად კოლეჯდამთავრებულები 2-2,5 წელი სწავლობენ, ხოლო არქიტექტორობის, კბილის ექიმის, ვეტერინარის, საინჟინრო საქმის მაგისტრის წოდება მხოლოდ 5-6 წლის სასწავლო კურსის შემდეგ მოიპოვება. რაც შეეხება დოქტორის წოდებას, იგი როგორც უკვე აღინიშნა 4 სასწავლო წლის გავლისა და დისერტაციის დაცვის შემდეგ შეიძლება იქნეს მოპოვებული.

პოლონური საგანმანათლებლო სივრცე უმაღლესი სკოლის დონეზე ე. წ. ბოლონის პროცესის მოთხოვნებითაა მოწყობილი და კრედიტთა ტრანსფერის ევროპულ სისტემას ეყრდნობა. ეს არის სწორედ ერთგვარი გარანტია იმისა, რომ აქაური უმაღლესი სასწავლებლების დიპლომი ნდობით სარგებლობს სხვა ქვეყნებში.

უმაღლესი პროფესიული განათლების მსოფლიო სისტემის დახასიათება

რუსეთის უმაღლესი განათლების რეფორმირება მიმართულია იქითკენ, რომ მოამზადოს თაობა, რომელსაც ექნება უნარი ქვეყნის ეკონომიკა კონკურენტუნარიანი გახადოს. თანამედროვე, ადაპტირებული და შედეგიანი საგანმანათლებლო სისტემის აგების მიზნით რუსები ინტენსიურად სწავლობენ ყველაზე განვითარებული ქვეყნების უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემების გამოცდილებას. ასეთ ქვეყნებად მიჩნეულია აშშ, იაპონია, ევროკავშირის ქვეყნები - დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი.

აშშ-ი განათლების სახელმწიფო და კერძო სექტორების დაფინანსებაზე იხარჯება ბიუჯეტის 7,5%, სადაც სახელმწიფოს დომინირებული პოზიცია უკავია (5,4%). კერძო შემოწირულებებსა და გრანტებს დაფინანსების 14% უკავია, 20% კი სხვა წყაროებს. საბუნებისმეტყველო, ზუსტი და საინჟინრო მეცნიერებათა სფეროში ბაკალავრების რაოდენობა საერთო რაოდენობის 1/3-ია, მაგისტრებისა - 20%, დოქტორებისა - 47%. ამასთან, ამერიკელთა წილი იმათ შორის ვინც მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიიღო, 2005 წლის მონაცემებით 64,6% შეადგენს, მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ეს წილი არსებითად დაბალია და შეადგენს 33%-ს, ფიზიკის დარგში - 51%, მათემატიკაში - 42%, კომპიუტერულ ტექნიკაში - 37%-ს.

2005-2006 წლებში აშშ-ში 48,5 ათას კაცს მიენიჭა დოქტორის ხარისხი (53% კაცი, 47% ქალი) და 580 ათასს - მაგისტრის ხარისხი. 2006 წელს ამერიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს 1,5 მილიონი ბაკალავრი (ქვეყნის სტუდენტური ასაკის მოსახლეობის 5%), 614 ათასი მაგისტრი (2%) და 55 ათასი დოქტორი (0,2%) ცოდნის სხვადასხვა დარგებში.

აშშ-ში სწავლობს უცხოელ სტუდენტთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, დაახლოებით 600 ათასი კაცი.

2006 წელს აშშ-ს მოზრდილი მოსახლეობის (25 წლისა და მეტის) 85%-ს ჰქონდა საშუალო განათლება, 28%-ს კი სრული უმაღლესი განათლება. ქვეყნის საგანმანათლებლო პოტენციალის დამახასიათებელი განათლების ინდექსი შეადგენს 97-ს; 2006 წელს სტუდენტთა აბსოლუტური რაოდენობა 13,2 მილიონს შეადგენდა, რაც მთელი მოსახლეობის 44%-ია.

განათლების წილი **იაპონიის** ბიუჯეტში 2006 წლის მონაცემით 3,4%-ს შეადგენს, რაც 2005 წელთან შედარებით 0,1%-ით არის შემცირებული. განათლებაზე დანახარჯებითელი სახელმწიფო დანახარჯების 9,5%-ს შეადგენს, რაც ბევრად ნაკლებია ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან შედარებით, სადაც ეს მაჩვენებელი 13,2%-ის ტოლია. მეორე მხრივ, კერძო პირთა დანახარჯები განათლებაზე იაპონიაში 31,4%-ია, ზემოაღნიშნულ საერთაშორისო გაერთიანების წევრ ქვეყნებში კი 14,5%-ია.

იმ ქვეყნებს შორის, სადაც ყველაზე მაღალია უმაღლესი განათლების მქონეთა წილი მთელი მოსახლეობის საერთო რაოდენობაში, იაპონიას მესამე ადგილი უკავია (აშშ-სა და რუსეთის შემდეგ). სტუდენტთა საერთო რაოდენობა სამ მილიონზე მეტია (2,3%). 25-64 წლის ასაკის მოქალაქეთა 22% აქვს უმაღლესი განათლება.

იაპონიაში ძალიან მაღალია კერძო უმაღლეს სასწავლებელთა წილი, 600 უნივერ-

სიტეტიდან 425 კერძო სექტორს განეკუთვნება.

ასპირანტებისა და დოქტორანტების რაოდენობით იაპონიას ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია მსოფლიოში (დაახლოებით 3%).

ევროკავშირის ქვეყნებში უმაღლეს განათლებაზე, საშუალოდ, ერთიანი შიდა პროდუქტის 1,18% იხარჯება. უმაღლესი განათლების დაფინანსებაში სახელმწიფოს წილი 79,9%-ია, 5,4% მოდის კომერციულ ორგანიზაციებსა და ფირმებზე, 11,5%-ს შეადგენს სწავლის გადასახადი. უმაღლესი განათლების დაწესებულებების ბიუჯეტების სტრუქტურაერთობ მრავალფეროვანია, მაგრამ მათ სუბსიდირებაში სახელმწიფოს ხვედრითი წილი ძალიან მაღალია. დანიაში, პორტუგალიაში, საბერძნეთსა და ფინეთში საბიუჯეტო ასიგნებანი შეადგენს უნივერსიტეტების მთელი დანახარჯის 90%-ს. ბულგარეთში, კვიპროსში, პოლონეთში სახელმწიფოს წილი შედარებით დაბალია: უმაღლესი სასწავლებლების დანახარჯების 30% მოდის სწავლის გადასახადზე. ბიზნეს-კორპორაციები და საქველმოქმედო ორგანიზაციები, როგორც წესი, იშვიათად რიცხვენ ფულს პირდაპირ უმაღლესი სასწავლებლის ბიუჯეტში. უნგრეთში, ნიდერლანდებში, შვეიცარია და დიდ ბრიტანეთში სწავლის გადასახადი უმაღლესი სასწავლებლების ბიუჯეტის 11-16%-ს შეადგენს.

უმაღლესი განათლების მქონენი ინგლისის მოსახლეობის 21%-ს აღწევს; სტუდენტთა საერთო რაოდენობა 1,7 მილიონია (მოსახლეობის 2,8%). ქვეყანაში ფუნქციონირებს 90 უნივერსიტეტი და 64 სხვა უმაღლესი სასწავლებელი, როგორც სახელმწიფოებრივი, ისე კერძო. ინგლისში ყველა უმაღლესი სასწავლებელი ფასიანია. უცხოელ სტუდენტთა წილი ინგლისის უმაღლესებში 2007 წელს 17,6%-ს შეადგენდა. განათლების ინდექსი - 97.

გერმანიაში უმაღლესი განათლების მქონეთა ხვედრითი წილი 15%-ს აჭარბებს, სტუდენტთა საერთო რაოდენობა 1,9 მილიონია, რაც მოსახლეობის 2,3% შეადგენს. გერმანიაში უმაღლეს სასწავლებელში სწავლება როგორც გერმანიის მოქალაქეთათვის, ისე უცხოელთათვისაც უფასოა, მაგრამ უმაღლეს სასწავლებელში სწავლას თან ახლავს დამატებითი დანახარჯები, ისეთი, როგორც არის საცხოვრებელი ბინის ქირა, დაზღვევა, გზის ფული, სასწავლო მასალები. უნივერსიტეტებში სწავლობს 160000 უცხოელი. განათლების ინდექსია 95.

საფრანგეთში მოსახლეობის 15%-ს უმაღლესი განათლება აქვს. მთელი მოსახლეობის 2,6% სტუდენტია. საფრანგეთის თითქმის ყველა უნივერსიტეტი სახელმწიფოებრივია. სწავლის გადასახადი წელიწადში 130-დან 700 ევრომდე მერყეობს. საფრანგეთის უმაღლეს სასწავლებლებში უცხოელ სტუდენტთა წილი სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10%-ია, რაც 170 ათას კაცს შეადგენს. განათლების ინდექსია 98.

წამყვან ქვეყნებში უმაღლესი განათლების შედარებითი მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

მაჩვენებლები	ქვეყნები				
	აშშ	იაპონია	ინგლისი	გერმანია	საფრანგეთი
უმადლეს განათლებაზე გაწეული დანახარჯები, %-ში	7,5	3,4	1,18	1,18	1,18
უმადლეს განათლების მქონეთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში, %-ში	28	22	21	15	15
სტუდენტთა წილი ქვეყნის მოსახლეობაში, %-ში	4,4	2	2,8	2,3	2,6
უცხოელ სტუდენტთა წილი, %-ში	4,5	3,9	13,9	8,4	10
განათლების ინდექსი	97	95	97	95	98

კვლევებმა დაადასტურა, რომ განათლების სისტემებს სხვადასხვა ქვეყნებში აქვთ როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები, რომელთა შესწავლა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენს ქვეყანაში პროფესიული განათლების სრულყოფისათვის (ცხრილი 2).

ცხრილი 2

აშშ	იაპონია	ევროპის ქვეყნები
ძლიერი მხარეები		
<ol style="list-style-type: none"> ლიბერალურობა, განათლების ინდივიდუალიზაცია, უნივერსიტეტების თავისუფლება პროგრამების არჩევაში. ადგილობრივი თავისებურებებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინება. ერთნაირი ყურადღება სამეცნიერო-კვლევით და გამოყენებით სფეროებს. სპეციალურ მომზადებაზე აქცენტირება, განათლების პრაქტიკული მიმართულების დონე. სამეცნიერო კვლევების მაღალი დონე. დისტანციური განათლების განვითარების მნიშვნელოვანი მასშტაბები. სამეცნიერო-ტექნიკური 	<ol style="list-style-type: none"> შესასვლელი გამოცდების მაღალი სიმძნელე, მოსწავლეთა ფუნქციონალური წერა-კითხვის დონე. უცხოელებისათვის სწავლების მოკლევადიანი ფორმების გამოყენება. შრომითი მოწყობის მაღალი დონე. 	<ol style="list-style-type: none"> სწავლების ფორმებისა და პროგრამების მოქნილობა და მრავალფეროვნება, სადამოს უმაღლესი სასწავლებლების დიდი რაოდენობა, უფროსების განათლების ცენტრები, დაუსწრებელი სწავლების სისტემის გამოყენება, მაგისტრატურის მრავალფეროვანი მიმართულებანი. სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობრივი უპირატესობა. მასწავლებლები ითვლებიან სახელმწიფო მოხელეებად, განათლებას არეგულირებს სახელმწიფო. ”აკადემიური თავისუფლების” პრინციპი. უმაღლესი სასწავლებლების თავისუფლება, მათი

<p>სპეციალისტების, მაგისტრებისა და დოქტორების ხვედრითი წილის მაღალი დონე.</p> <p>8. განათლების სახელმწიფოებრივი ფინანსირების უპირატესი ხასიათი.</p>		<p>ტიპების მრავალფეროვნება; ავტონომიურობა.</p> <p>5. უფასო განათლების არსებობა და სტუდენტთა დაფინანსება სხვადასხვა პროგრამებით.</p> <p>6. ბაზარზე ორიენტირება, სტაჟირების პრაქტიკა, გამოყენებითი და ტექნიკური სპეციალობების უპირატესი განვითარება.</p> <p>7. მეცნიერული კვლევების მაღალი დონე.</p>
სუსტი მხარეები		
1. განათლების მაღალი საფასური		
<p>2. არ არის სტუდენტთა გეგმიური მიღება სახელმწიფოს მასშტაბით.</p> <p>3. სისტემის დეცენტრალიზაცია, მკაცრი ფედერალური სტანდარტების არარსებობა სკოლებისათვის, დაფინანსების საერთო წყაროები.</p> <p>4. მოსწავლეთა დაბალი ფუნქციონალური ცოდნა.</p> <p>5. კერძო უმაღლესი სასწავლებლების სიმრავლე.</p> <p>6. სახელმწიფოსაგან კვლევითი უნივერსიტეტებისადმი უპირატესი მხარდაჭერა.</p> <p>7. საინჟინრო,სამეცნიერო, პედაგოგიური კადრების ნაკლებობა.</p>	<p>2. უმაღლესი სასწავლებლებისდამოუკიდებლობის დაბალი დონე.</p> <p>3. დევერსიფიკაციის დაბალი დონე.</p> <p>4. კერძო უმაღლესი სასწავლებლების სიმრავლე, სახელმწიფოებრივი ფინანსირების მცირე წილი.</p> <p>5. ჰუმანიტარული სპეციალისტების სიჭარბე ტექნიკურთან შედარებით.</p> <p>6. სამეცნიერო კვლევების დაბალი დონე, ასპირანტების დაბალი პროცენტი.</p> <p>7. ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინებზე აქცენტირება.</p> <p>8. უმაღლესი სასწავლებლების მკაცრი იერარქია; ბიუროკრატიის მაღალი დონე.</p> <p>9. სწავლების პროცესში სტუდენტთა მოტივაციის ნაკლებობა.</p>	<p>2. ზოგიერთ ქვეყანაში უმაღლესში შესასვლელი გამოცდების არარსებობა.</p> <p>3. ზოგიერთ ქვეყანაში საწარმოო პრაქტიკის ნაკლებობა სწავლების პროცესში.</p> <p>4. ჰუმანიტარული სპეციალობებისათვის კრედიტების მიღების სიძნელე.</p> <p>5. სწავლების ხარისხის შეფასების ერთიანი მოთხოვნების არარსებობა.</p> <p>6. სწავლების პროცესის სავარაუდო გახანგრძლივება; უმაღლესების გადატვირთულობა.</p> <p>7. ბევრ ქვეყანაში განათლების ზედმეტად დეცენტრალიზაცია.</p> <p>8. განსხვავება ხარისხებში; დიპლომების შესაბამისობის განსაზღვრაში არსებული სიძნელეები; სასწავლო წლის ციკლებად დაყოფაში შეუთანხმებლობა.</p>

ჩატარებული კვლევების მონაცემთა საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ყველაზე არსებითი ორგანიზაციული ასპექტები წამყვანი ქვეყნების პროფესიული განათლების სისტემებისა.

1. სწავლების ხანგრძლივობის ვარირება შეესაძლებელია. სტუდენტების უნივერსიტეტში სწავლების ხანგრძლივობა მერყეობს 3-დან 7 წლამდე. ზოგიერთ ქვეყანაში (გერმანია, ავსტრია) იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოს დაწესებული აქვს სწავლების ოფიციალური ვადები, სინამდვილეში შეიძლება სწავლის ხანგრძლივობა ერთნახევარჯერ მეტი იყოს, იმდენად, რამდენადაც სტუდენტები თვითონ განსაზღვრავენ თავიანთ სასწავლო დროს, რის გამოც სწავლის ხანგრძლივობა გაწელილია.
2. სწავლების პროცესი გრადუალურია. იმის მიუხედავად, რომ ბევრ ქვეყანაში მნიშვნელოვანი თავისებურებები შეინიშნება, როგორც წესი, რეკომენდებულია სწავლების შემდეგი საფეხურები:
 - ბაკალავრიატი, 3-4 წლის ხანგრძლივობით.
 - მაგისტრატურა, 1 წლიანი სწავლებით, იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს ბაკალავრის ხარისხი აქვს.
 - ასპირანტურა 2-3 წლიანი სწავლებით. ზოგჯერ ასპირანტურაში სწავლება 5-7 წლიანია.
3. ბაკალავრიატი ითვალისწინებს საბაზო ცოდნას სპეციალობების მიხედვით, მეთოდურ ჩვევებსა და ფართო პროფესიულ ორიენტაციას. მაგისტრატურა აქცენტს აკეთებს უფრო ღრმა სპეციალიზაციაზე და მეცნიერული უნარების განვითარებაზე; მასალების თავმოყრის, სინთეზისა და ანალიზის მონაცემების შეჯერების უნარების გამომუშავებაზე. ასპირანტურა და დოქტორის ხარისხის მოპოვება გულისხმობს დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევას რამდენიმე წლის განმავლობაში, შემდგომში კი პედაგოგიურ საქმიანობას უმაღლეს სკოლაში.
4. სასწავლო პროცესი მოიცავს მოდულთა სისტემას. აკადემიური დატვირთვა შეადგენს 6-12 საათს კვირაში. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში სესიები, როგორც ასეთი, არ არსებობს, მაგრამ, როგორც წესი, სტუდენტები აბარებენ გამოცდებს ყოველი კურსის დამთავრების შემდეგ. ყველა ქვეყანაში გამოიყენება კრედიტთა სისტემა.
5. განყოფილებათა მიხედვით საგანთა ჯგუფს ადგენს ან სახელმწიფო (სახელმწიფო სასწავლო გეგმა ან საგანმანათლებლო სტანდარტები), ან ადგილობრივი ხელისუფლება, ან თვითონ უმაღლესი სასწავლებელი. უნივერსიტეტს აქვს უფლება შეცვალოს პროგრამა დადგენილ საზღვრებში. უმაღლესი სასწავლებლები ავტონომიურები არიან სამეცნიერო პროგრამების ათვისებაში; აგრეთვე, უნივერსიტეტს აქვს უფლება თვითონ აირჩიოს სასწავლო და პედაგოგიური საქმიანობის ფორმები, თუმცა ამ საქმეში უმაღლეს სასწავლებელს სრული თავისუფლება არ აქვს. ზოგჯერ სასწავლო პროგრამები შემოწმებას გადიან საერთაშორისო სააგენტოებში.
6. უნივერსიტეტებში არსებობს დისციპლინათა შემდეგი ბლოკები: ზოგადსაგანმანათლებლო, სპეციალობის საგნები, ძირითადი საგნები, ფაკულტატივები. სპეციალობის საგნებს თვითონ სტუდენტები ირჩევენ; ეს საგნები ქმნიან სწავლების საფუძვლებს. ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისათვის გამოყოფილია ყველაზე მეტი დრო - ერთი ან ორი წელი; ზოგიერთ ქვეყანაში (ნიდერლანდები) ეს საგნები საერთოდ არ ისწავლება, რამდენადაც ამ საგნებს გადიან საშუალო სკოლის ბოლო ორ წლებში. ძირითადი საგნების სწავლა აუცილებელია.

7. სტუდენტები თვითონ ადგენენ საკუთარ სასწავლო გეგმებს მათთვის შეთავაზებული დისციპლინათა პაკეტის საფუძველზე. როგორც წესი, ამ საგნების ერთი ჯგუფი სავალდებულოა, დანარჩენი საგნები შეიძლება იყოს არჩევითი ან ფაკულტატიური.
8. სასწავლო დროის განაწილებისას, მისი დიდი ნაწილი დამოუკიდებელი საქმიანობისათვის არის განკუთვნილი (როგორც წესი, 70-90%), დანარჩენი დრო ეთმობა ლექციებს, სემინარებს. ზოგიერთ ქვეყანაში აქცენტი გაკეთდა თეორიულ მომზადებაზე და სააუდიტორიო სწავლების საფუძველად მიიჩნიეს ლექცია (საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი), სხვა ქვეყნებში (ავსტრია, აშშ) უპირატესობა ენიჭება პრაქტიკულ მეცადინეობებს.

მსოფლიო პრაქტიკის გათვალისწინებით, რუსეთის უმაღლესი პროფესიული განათლების სასწავლო პროცესის ორგანიზაციაში გათვალისწინებულია შემდეგი:

1. სწავლების ვადის მკაცრი რეგლამენტაცია (ბაკალავრიატი - 4 წელი) იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტს მიეცეს შესაძლებლობა თვითონ შეადგინოს საკუთარი სასწავლო გეგმა;
2. საბაზო და ვარიანტული დისციპლინების შემოღება: საბაზო, როგორც სავალდებულო, ვარიანტული, როგორც არჩევითი;
3. სწავლების მედულური სისტემის შემოღება, რაც შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ ეფექტურად მოხდეს საკრედიტო სისტემის რეალიზაცია, რაც სტიმულს მისცემს სტუდენტებს დამოუკიდებელი საქმიანობისათვის;
4. პროფესიული ციკლის საგნების უპირატესობა ზოგადპროფესიულ საგნებთან შედარებით;
5. სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის წილის გაზრდა. საკრედიტო სისტემა უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო მოსმენილ კურსებს, არამედ საშინაო დავალებებს, საკურსო სამუშაოებს, პრობლემის დამოუკიდებლად კვლევას.

ამრიგად, წამყვან ქვეყნებში უმაღლესი პროფესიული განათლების სისტემის შესწავლა საშუალებას გვაძლევს ჩამოვავალიბოთ შემდეგი დასკვნები:

- არ არის იმის საფუძველი, რომ ამჟამად ვილაპარაკოთ ერთიან მსოფლიოს (ასევე ევროპულ) საგანმანათლებლო სისტემაზე;
- ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს პროფესიული განათლების კარგად დაბალანსებული, ერთიანი და მიზანშეწონილი სისტემა;
- თითოეული ქვეყნის განათლების სისტემა გამოირჩევა იმით, თუ რა მასშტაბით მოიცავს მოსახლეობას უმაღლესი განათლება, როგორი ტიპის უმაღლესი სკოლები აქვს, როგორ არის ორგანიზებული სასწავლო პროცესი, როგორ რეგულირდება სამართლებრივად თუ პოლიტიკურად განათლების სისტემა;
- თითოეული ქვეყანა თავის საგანმანათლებლო სივრცეს აგებს თავისი ეროვნული ინტერესების, კულტურული ტრადიციების, ისტორიულად ჩამოყალიბებული მენტალიტეტის, აგრეთვე ქვეყნის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად.
- სხვადასხვა ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემების სუბიექტური თავისებურება არ გამორიცხავს უმაღლესი პროფესიული განათლების ინტეგრაციის პროცესებს საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნების საგანმანათლებლო სისტემებთან.

განათლება შვეიცარიაში

შვეიცარიის განათლების სისტემა შეესაბამება მის პოლიტიკურ მოწყობას. ცენტრის უფლებამოსილება არსებითად იზღუდება რეგიონების მხრივ. უფრო ლოგიკური იქნება ვილაპარაკოთ შვეიცარიის 26 სრულიად დამოუკიდებელ განათლების სისტემის შესახებ, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება ზოგადი პრინციპებით. შვეიცარიის ყოველ კანტონში ცალკე განათლების სისტემა არსებობს, თუმცა განათლების ხარისხს და ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ფედერალური ხელისუფლება. შვეიცარიის კონსტიტუცია აცხადებს საყოველთაო სავალდებულო საშუალო განათლებას 6-დან 16 წლამდე. საშუალო განათლება შვეიცარიაში უფასოა. ფედერალური და კანტონების ხელისუფლების გამიჯვნა ხდება შემდეგნაირად:

- სკოლამდელი, დაწყებითი და საშუალო განათლების I საფეხური მთლიანად ექვემდებარება რეგიონალურ ხელისუფლებას. სახელმწიფო პასუხს აგებს მხოლოდ საყოველთაო ხელმისაწვდომობაზე და უფასო განათლებაზე, აგრეთვე იძლევა განათლების ხარისხის გარანტიას.
- საშუალო განათლების მეორე საფეხური (სრული საშუალო განათლება) კანტონების მთავრობათა დაქვემდებარებაშია. გამონაკლისია მხოლოდ პროფესიული განათლება, რომელსაც ფედერალური ხელისუფლება არეგულირებს. ყველა სახელმწიფო სკოლები და გიმნაზიები კანტონების დაქვემდებარებაშია. კერძო სკოლებთან მიმართებაში სხვა სიტუაციაა: ამ სკოლების კურსდამთავრებულები აბარებენ არა კანტონების, არამედ ფედერალურ გამოცდებს. სახელმწიფო სკოლების დიპლომები აღიარებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით, კერძო სკოლების კი საერთაშორისო მასშტაბითაც.
- უმაღლესი განათლება რეგულირდება ერთობლივად ცენტრიდან და რეგიონებიდან: უმაღლესი პროფესიული განათლება რეგულირდება ფედერალური ხელისუფლების მიერ, კანტონები კი პასუხისმგებელია საუნივერსიტეტო განათლებაზე. ამასთან, უნივერსიტეტების ფინანსურ უზრუნველყოფის გარანტიას იძლევა ცენტრალური ხელისუფლება. უმაღლესი განათლება შვეიცარიაში მთლიანად გარდაქმნილია ბოლონის შეთანხმების საფუძველზე და სწავლების ორ საფეხურს ითვალსიწინებს - ბაკალავრიატსა და მაგისტრატურას.

შვეიცარიის განათლების სისტემის მთავარი თავისებურება არის მისი მოქნილობა. ქვეყანაში არის სკოლები, რომლებიც მუშაობენ საერთაშორისო აღიარებული სტანდარტების მიხედვით, შვეიცარიის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები მომხმარებელს სთავაზობენ აკადემიურ პროგრამებს ოთხ ენაზე: გერმანულ, ფრანგულ, იტალიურ და ინგლისურ ენებზე. სწავლება ამ ქვეყანაში ეფუძნება პედაგოგ-რეფორმატორთა იდეებს: შვეიცარიის სკოლის მთავარი ამოცანაა სწავლების პროცესი გახადოს ყველა მოსწავლისათვის საინტერესო და მომხიბლავი. შვეიცარიის საგანმანათლებლო სისტემა უნივერსალურია: მასში შერწყმულია ანგლო-ამერიკული, ფრანგული და გერმანული სკოლების საუკეთესო ნიშნები. ისეთი მრავალფეროვანი არჩევანის საშუალება მსოფლიოს არც ერთი ქვეყნის განათლების სისტემა არ იძლევა.

შვეიცარიის განათლების სისტემის განვითარების ისტორია.

პირველი უნივერსიტეტი შვეიცარიაში დაარსდა 1460 წელს, ქალაქ ბაზელში. მისი ისტორია იწყება სამედიცინო ფაკულტეტის აღმოჩენებით. დღეს, ინარჩუნებს რა ისტორიულ ტრადიციებს, ბაზელის უნივერსიტეტში მიმდინარეობს მთელი რიგი სერიოზული სამეცნიერო გამოკვლევები ქიმიისა და მედიცინის სფეროში. ამჟამად შვეიცარიაში გახსნილია 10 უნივერსიტეტი, 2 პოლიტექნიკური სკოლა, რომლებსაც უნივერსიტეტის სტატუსი აქვთ. ამას გარდა, არსებობს გამოყენებითი განათლების 7 ცენტრი (იგულისხმება უმაღლესი პროფესიული განათლება). ცენტრებს მთელ ქვეყანაში აქვთ სხვადასხვა ფილიალები.

მეცნიერთა დიდი ნაწილი, რომლებსაც შვეიცარიის უნივერსიტეტები აქვთ დამთავრებული, ან მუშაობენ ამ უნივერსიტეტებში, დაჯილდოებულია ნობელის პრემიით. 113-ზე მეტ ადამიანს მიენიჭა ეს პრესტიჟული პრემია. ამას გარდა ნობელის პრემია მიენიჭა 9 ორგანიზაციას, რომლებიც შვეიცარიის ტერიტორიაზეა განთავსებული. ჟენევაში მდებარეობს მაღალი ენერჯის ფიზიკის უდიდესი ლაბორატორია - ატომური კვლევის ევროპული ორგანიზაცია, ციურიხში მეცნიერებისა და ტექნიკის გამოყენებითი მასალების შვეიცარიის კვლევითი ინსტიტუტი და პაულ შერერის ინსტიტუტი.

შვეიცარიის საგანმანათლებლო სისტემა მრავალი საუკუნეა მსოფლიოს ყურადღებას იქცევს. სწორედ ამ ქვეყანაში შეიქმნა რეფორმატორული პედაგოგიკა; აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ გამოჩენილი პედაგოგები: იოჰან პერსტალოცი, ჟან პიაჟე, რუდოლფ შტაინერი, მარია მონტესორის მიმდევრები. ეს განსხვავებული პედაგოგიური სკოლები გაერთიანებულნი არიან რამდენიმე მნიშვნელოვანი ფუნდამენტური პრინციპით. კერძოდ, სწავლებისა და აღზრდის მთავარი მიზანია თითოეული ბავშვის ინდივიდუალობის განვითარება, მათში შემოქმედებითი უნარების სტიმულირება. ერთი სიტყვით, შვეიცარიის განათლების სისტემა დღესაც დიდი რეფორმატორი პედაგოგების იდეებს ეფუძნება.

სკოლამდელი აღზრდა.

როგორც ბევრ ევროპულ ქვეყანაში, შვეიცარიაშიც სკოლამდელი განათლება სავალდებულო არ არის. თუმცა მშობელთა დიდ ნაწილს ბავშვები შეჰყავთ სკოლამდელ დაწესებულებებში. საბავშვო ბაღებში ხდება ბავშვების სოციალიზაცია და სწავლისათვის მათი მომზადება. შვეიცარიაში საბავშვო ბაღში ბავშვები შედარებით გვიან შეჰყავთ.

შვეიცარიაში არის როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სკოლამდელი დაწესებულებები. სკოლამდელი დაწესებულებები შვეიცარიაში სრულიად უფასოა. იგი ფინანსდება ქალაქის ხაზინიდან. კერძო საბავშვო ბაღები და ბაგები მოქნილად მუშაობენ: ბავშვები შეიძლება გვიანობამდე დატოვო ბაღში. სადღეღამისო ბაღები შვეიცარიაში არ არის.

სკოლამდელი ასაკის ბავშვების სწავლება შვეიცარიაში პედაგოგ-ნოვატორთა მოძღვრების შესაბამისად არის ორგანიზებული - თამაშით სწავლება, დევიზი კი არის - "ხელი არ შეუშალო"; ბავშვისნიჭიერება თვითონ გამოვლინდება, აღმზრდელმა კი მხოლოდ უნდა შეამჩნიოს იგი. მათემატიკასა და წერა-კითხვას საბავშვო ბაღებში არ ასწავლიან, სამაგიეროდ ბევრს ათამაშებენ სუფთა ჰაერზე, ანბანის სწავლის ნაცვლად, ვარჯიშობენ სიტყვებისა და წინადადებების გამეორებაში; ასევე იმეორებენ სიმღერებსა და ლექსებს. თუმცა მათ ბევრად ნაკლები იციან, ვიდრე მათმა თანატოლმა რუსმა სკოლამდელებმა, მაგრამ სამაგიეროდ ფიზიკურად უკეთ არიან განვითარებულნი, არშეინიშნე-

ბა სქოლიოზი, სიბეცე და მუდამ კარგ ხასიათზე არიან.

შვეიცარიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გართიანებულია 154000 ბავშვი, მათგან 48% გოგონაა; უცხოელი ბავშვები შეადგენენ 27,2%. აღმზრდელად მუშაობს 13600 ადამიანი, მათგან 86% ქალია. ქვეყანაში 4949 სკოლამდელი დაწესებულებაა, მათ შორის 301 კერძოა.

დაწყებითი განათლება.

შვეიცარიის დაწყებით სკოლაში ბავშვები ადრეულ ასაკში შეჰყავთ. სკოლებთან, როგორც წესი, არსებობს მოსამზადებელი განყოფილებები. ამჟამად შვეიცარიაში მიდის სკოლამდელი დაწყებულებების სკოლებთან გაერთიანების პროცესი.

სახელმწიფო დაწყებითი სკოლა შვეიცარიაში სავალდებულო და უფასოა. კანტონთა უმეტესობაში დაწყებითი სკოლები 6 წლიანია. დაწყებითი სკოლა ყველასათვის ხელმისაწვდომია: სკოლაში მიღება ყოველგვარი ტესტური შემოწმების გარეშე ხდება. სასწავლო პროგრამა გათვლილია 23-32 საათზე კვირაში.

შვეიცარიის განათლების ძლიერი მხარეა მრავალენობრიობა. სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების მიხედვით, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა სამი ენა უნდა იცოდეს: ორი სახელმწიფო ენა და ერთი არჩევითი და ინგლისური. ენების შესწავლა იწყება ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში, უცხოური ენისა კი დაწყებით სკოლაში და იგი ერთ-ერთი ძირითადი საგანია.

საშუალო განათლება.

შვეიცარიაში სავალდებულო საშუალო განათლებად ითვლება დაწყებითი სკოლადა და საშუალო სკოლის პირველი საფეხური. ეს არის სამი (ზოგიერთ კანტონში 4) კლასი. ამრიგად, სავალდებულო სწავლებაში ჩაბმული არიან 6-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები.

სრული საშუალო განათლება განსაზღვრულია დამატებით 3-4 წლიანი სწავლებით უფროს საშუალო სკოლაში; სიმწიფის ატესტატს მოსწავლეები ღებულობენ 18-19 წლის ასაკში.

საშუალო განათლების პირველი საფეხურის ბოლოს ხდება მოსწავლეთა გაყოფა: ერთი ნაწილი ნიჭიერი ბავშვები არიან, რომლებიც წარმატებით სწავლობენ აკადემიური პროგრამებით და ემზადებიან უნივერსიტეტში სწავლისათვის და მეორენი, რომლებიც წარმატებას ვერ აღწევენ აკადემიური პროგრამებით სწავლაში. ისინი გადიან სკოლიდან და ემზადებიან საშუალო პროფესიული განათლების ატესტატის მისაღებად.

შვეიცარიული განათლების სისტემა დემოკრატიულია, ყველას აქვს შანსი მიიღოს ნებისმიერი განათლება. უმაღლესი განათლება ორი სახისაა: აკადემიური (საუნივერსიტეტო) და გამოყენებითი (პროფესიული).

პროფესიული პროფილის სკოლების კურსდამთავრებულებს აქვთ საშუალება სწავლა განაგრძონ გამოყენებითი პროფილის უმაღლეს სასწავლებლებში (ყველა უმაღლესში უნივერსიტეტის გარდა).

ის, ვინც გადავიდა სასკოლო განათლების შემდეგ დონეზე (II საფეხურზე), 3 წლიანი კურსის შემდეგ მზად არიან ჩააბარონ გამოცდები სიმწიფის ატესტატის მისაღებად.

შვეიცარიული სასკოლო განათლების თავისებურება ის არის, რომ ამ ქვეყანაში არ

არსებობს სასკოლო განათლების ერთიანი სტანდარტი. აქ არის ისეთი სკოლები, რომლებიც მუშაობენ, როგორც საკუთრივ შვეიცარიული სტანდარტებით, ისე მსოფლიოს ყველა დიდი სახელმწიფოს სტანდარტითაც. ეს აიხსნება იმით, რომ ტრადიციულად შვეიცარიაში მუდამ ბევრი უცხოელი მუშაობდა, თვითონ შვეიცარიაც სამი ნაწილისაგან შედგება - გერმანული, ფრანგული და იტალიური ნაწილებისაგან. შვეიცარიის განათლების სისტემაში წარმოდგენილია მთელ მსოფლიოში აღიარებული ქვეყნების სახელმწიფო სტანდარტები.

შვეიცარიის ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად აუცილებლად უნდა მოიპოვო გამსვლელი ქულები და ცნობა იმის შესახებ, რომ მისაღებ დონეზე იცი სწავლების ენა.

განათლება ბულგარეთში

სასკოლო განათლება ბულგარეთში თორმეტწლიანია და 2 ეტაპად იყოფა: **ძირითადი განათლება** (ორ ეტაპად - დაწყებითი განათლება I-IV კლასები და პროგიმნაზია V-VIII კლასები); **საშუალო განათლება** (გიმნაზია IX-XII კლასები).

ბულგარეთში სკოლები რამდენიმე სახისაა:

- დაწყებითი სკოლა - I-IV კლასები;
- პროგიმნაზია - V-VIII კლასები;
- ძირითადი სკოლა - I-VIII კლასები;
- გიმნაზია - IX-XII კლასები;
- საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა - I-XII კლასები;
- პროფილირებული (პროფესიონალური) გიმნაზიები, სპორტული, სახელოვნებო, კულტურის, ტექნიკური და ა. შ.

საშუალო განათლება დასრულებულად ითვლება 12 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ. ამის შემდეგ ახალგაზრდები ღებულობენ გადაწყვეტილებას, სად განაგრძონ სწავლა - კოლეჯსა თუ უნივერსიტეტში.

ბულგარეთში უმაღლესი განათლების მიღებას ის უპირატესობა აქვს, რომ იქაური უმაღლესი განათლების დიპლომი მთელს ევროპაშია აღიარებული. ამას გარდა, ბულგარეთი სწავლებისადმი ინდივიდუალური მიდგომებით, ორიგინალური ენობრივი კურსებით, უცხოელ სტუდენტთა ადაპტაციის დონით, მათი ჩართვით სასწავლო პროცესში ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად ითვლება. ბულგარეთში სწავლების უპირატესობად ითვლება ისიც, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრების საფასური ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნებში.

უმაღლესი სკოლები ბულგარეთში ავტონომიურები არიან, რაც გამოიხატება აკადემიური საზოგადოების ინტელექტუალური თავისუფლებითა და საგანმანათლებლო, კვლევითი და მხატვრული პროცესების შემოქმედებითი ხასიათით.

ბულგარეთში უმაღლესი სკოლები არის სახელმწიფო და კერძო. უმაღლესი სასწავლო დაწესებულებანი რამდენიმე ხასიათისაა:

- **უნივერსიტეტები**, სადაც სწავლება ხორციელდება სამი ან ოთხი ძირითადი მეცნიერული მიმართულებით (ჰუმანიტარულ, ბუნებისმცოდნეობით, საზოგადოებრივ და ტექნიკურ დისციპლინებში). უნივერსიტეტებს უნდა ჰყავდეთ პროფესორთა აკადემიური შემადგენლობა მუდმივი შრომითი კონტრაქტის საფუძველზე. იმის მიხედვით, თუ სწავლების რომელი საფეხური დაამთავრა, სტუდენტები ღებულობენ "ბაკალავრის", "მაგისტრის" ან "დოქტორის" ხარისხს.
- **სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებლები** ახორციელებენ სამეცნიერო-კვლევით ან მხატვრულ-შემოქმედებით საქმიანობას და ამასთან ერთად ეწევიან ახალგაზრდების განათლებას ოთხი ძირითადი დარგიდან ერთ-ერთში - მეცნიერების, ხელოვნების, კულტურისა და სამხედრო საქმეში. სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებლის დასახელება აღნიშნავს იმ სპეციფიკურ დარგს, რომელშიც იგი სპეციალისტებს ამზადებს.

- **კოლეჯები** ახორციელებენ სწავლებას საგანმანათლებლო-საკვალიფიკაციო ხარისხის "ბაკალავრის" მისაღებად. კოლეჯის აკადემიური პერსონალი უნდა ჩამოყალიბდეს მუდმივ შრომით ხელშეკრულების საფუძველზე და განახორციელოს თეორიული და პრაქტიკული სწავლების არა ნაკლები ნახევარი, მთელი სასწავლო მოცულობისა.

უმაღლესი განათლების სარისხები ბულგარეთში:

- პროფესიონალი ბაკალავრი - არანაკლებ 3 წლიანი სწავლებით;
- ბაკალავრი - არანაკლებ 4 წლიანი სწავლებით;
- მაგისტრი - არანაკლებ 5 წლიანი სწავლებით;
- დოქტორი - დოქტორანტურა ახორციელებს დამოუკიდებელ სასწავლო გეგმას და გულისხმობს გამოცდებისათვის მომზადებასა და დისერტაციის დაცვას.

ბულგარეთის ძირითადი უმაღლესი სასწავლებლები:

"წმინდა კლიმენტი ორხიდელის" სოფიის უნივერსიტეტი.

ეს არის პირველი უმაღლესი სკოლა ბულგარეთში, რომელიც 1888 წელს შეიქმნა. სოფიის უნივერსიტეტი ყველაზე დიდი და პრესტიჟული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია.

სოფიის ტექნიკური უნივერსიტეტი.

ბულგარეთის ყველაზე დიდი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი 80 წლიანი ისტორიის მქონეა. აქ მზადდება საინჟინრო კადრები. სპეციალისტები მზადდება ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

ნაციონალური და მსოფლიო მეურნეობის სოფიის უნივერსიტეტი.

უმაღლესი სკოლა, რომელიც ამზადებს ბულგარეთის სახელმწიფო, პოლიტიკურ და ბიზნეს ელიტას.

თეატრალური და საფილმო ხელოვნების სოფიის აკადემია.

სასცენო და ეკრანული ხელოვნების ერთ-ერთი პრესტიჟული ევროპული საგანმანათლებლო ინსტიტუციის პირველი უმაღლესი სკოლა ბულგარეთში. შეიქმნა 1948 წელს.

არქიტექტურის, მშენებლობისა და გეოდეზიის სოფიის უნივერსიტეტი.

ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ისწავლება სპეციალობა "არქიტექტურა". იგი ოფიციალურად ცნო საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ და გაერთიანებული სამეფოს არქიტექტურის ბრიტანულმა ინსტიტუტმა RIBA. კურსდამთავრებულებს ენიჭებათ "ევროარქიტექტორის" ხარისხი, რადგან ეს უმაღლესი სასწავლებელი აკრედიტებულია ყველაზე დიდი პროფესიული ორგანიზაციის მიერ ევროპაში FEANI. აქ ისწავლება ქვეყნისათვის უნიკალური სპეციალობები. აქ შესაძლებელია 2 დიპლომის მიღება, ბულგარულისა და ავსტრიულის, თუ სწავლას განაგრძობთ გერმანულ ენაზე ბულგარულ-ავსტრიული თანამშრომლობის პროგრამით.

”პაისა ხილენდარსკის” პოლოდივის უნივერსიტეტი.

ბულგარეთის რესპუბლიკის წამყვანი კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი.

ნ. ი. ვაიცაროვის სახელობის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი.

130 წლის სასწავლებელი; სპეციალიზირებულია სამხედრო-საზღვაო მეცნიერების დარგში კვლევა-ძიებაზე.

ვარნის სამედიცინო უნივერსიტეტი.

50 წლიანი ისტორიით. ევროპული უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

ვარნის ტექნიკური უნივერსიტეტი.

60 წლიანი ისტორიის მქონე. სპეციალიზირებულია მანქანათმშენებლობაში, ელექტრო-ტექნიკასა და ხომალდმშენებლობაში.

ეკონომიკური უნივერსიტეტი (ვარნა).

დაარსდა 1920 წელს. უნივერსიტეტში რეგულარულად მუშაობს 260 პედაგოგი. სასწავლო პროცესი ხორციელდება 17 სპეციალობაში.

განათლება ჩეხეთში

განათლება ჩეხეთში რეგულირდება კანონით "სკოლის შესახებ". განათლება 3 დონედ იყოფა საშუალო სკოლიდან უმაღლეს სკოლამდე.

სკოლამდელი განათლება ნებაყოფლობითია. 3-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვები მშობლებს საბავშვო ბაღში შეჰყავთ (ჩეხურად Matersha shola).

საბაზო სკოლა. საბაზო სასკოლო განათლება უზრუნველყოფილია საშუალო სკოლების ქსელით, მშობლები კანონით ვალდებული არიან შეიყვანონ თავიანთი ბავშვები და უზრუნველყონ მათი სწავლა 9 წლის განმავლობაში. საბაზო სკოლაში სწავლობენ 6-14 წლის მოზარდები.

უფროსი სკოლა. 9 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები გადადიან უფროსი სკოლის საფეხურზე, რომელიც სხვადასხვა ფორმით ხორციელდება:

- საშუალო სასკოლო განათლება - 1-2 წლიანი სწავლებით უფროს სკოლაში;
- საშუალო პროფესიული განათლება - 2-3 წლიანი კურსი საშუალო სპეციალურ სასწავლებელში;
- საშუალო განათლება (მოწმობის მიღებით) – 4 წლიანი გიმნაზია ან საშუალო სპეციალური სკოლა.

უმაღლესი სკოლა.

ჩეხეთს უმაღლესი განათლების დიდი ტრადიციები აქვს. პირველი უნივერსიტეტი ჩეხეთის ტერიტორიაზე გახსნა 1348 წელს, კარლოვის უნივერსიტეტი. ჩეხეთის ტექნიკური უნივერსიტეტი გაიხსნა 1707 წელს. იგი მსოფლიოში პირველი ტექნიკური პროფილის სპეციალიზებული უმაღლესი სასწავლებელია. ამჟამად ჩეხეთში ფუნქციონირებს 26 სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებელი, 2 საუწყებო უმაღლესი სკოლა (პოლიციისა და თავდაცვის სამინისტროსი) და სხვადასხვა ტიპის 48 კერძო უმაღლესი სასწავლებელი. სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა ჩეხურ ენაზეა და მთლიანად უფასოა, სტუდენტებმა მხოლოდ საცხოვრებლისა და კვების გადასახადი უნდა გადაიხადონ, თუმცა საერთო საცხოვრებლებსა და სტუდენტურ სასაბუღალტრო სახელმწიფო დოტაციას აძლევს და სტუდენტები დანახარჯის მხოლოდ მცირე ნაწილს იხდიან.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ გიმნაზიისა და საშუალო სპეციალური სკოლის კურსდამთავრებულებს. ამრიგად, უმაღლესში შესვლის უფლების მოპოვებას სჭირდება 13 წლიანი სასკოლო განათლების მიღება.

ჩეხეთის განათლების სისტემა თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს როგორც ჩეხეთის მოქალაქეებს, ისე უცხოელებს. ეს ეხება განათლების ყველა დონესა და საფეხურს. სასწავლებელში შესასვლელად აუცილებელია ენის ცოდნა BQCEFR დონეზე და ნოსტრიფიკაცია უცხოეთში განათლების მიღების შესახებ.

უმაღლესი განათლება ჩეხეთში შეიძლება მიიღო სრული საშუალო განათლების შემდეგ. შესაბამისად უნდა გქონდეს სიმწიფის ატესტატი. სტუდენტმა თუ საშუალო სკოლა ჩეხეთის ფარგლებს გარეთ დაამთავრა, მან უნდა მოახდინოს თავისი სიმწიფის

ატესტატის ნოსტრიფიკაცია. ზოგ შემთხვევაში, შეიძლება საჭირო გახდეს გამოცდების ნოსტრიფიკაცია (ნოსტრიფიკაცია არის სრული სამუალო ან უმაღლესი განათლების დიპლომის ცნობა კონკრეტული (ამ შემთხვევაში, ჩეხეთის) სწავლების პროგრამის შესაბამისად).

უცხოელები ჩეხეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ იმავე პირობებით, რითაც ადგილობრივი მოქალაქენი, თუ, რა თქმა უნდა, უცხოელებს შეუძლიათ ჩეხურ ენაზე სწავლა. ამ შემთხვევაში, სწავლება უცხოელებისთვისაც უფასოა. კერძო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება ფასიანია, როგორც ადგილობრივების, ისე უცხოელებისათვის. ფასიანია აგრეთვე უცხოურ ენაზე სწავლება, რომელიც ხორციელდება ჩეხეთის უმაღლესი სასწავლებლების ზოგიერთ ფაკულტეტზე ან საერთაშორისო სასწავლო დაწესებულებებში, რომლებსაც აკრედიტაცია ჩეხეთში აქვთ გავლილი.

ჩეხეთში უმაღლესი განათლების მიღებას აქვს რიგი უპირატესობანი:

1. 2007 წლიდან ჩეხეთი არის შენგენის ზონაში და ამიტომ ჩეხეთში მოსწავლე სტუდენტებს შეუძლიათ უპრობლემოდ იმოგზაურონ მთელ ევროპაში;
2. სასკოლო განათლების პროგრამა, პრაქტიკულად, პოსტსაბჭოთა ქვეყნების განათლების სისტემების პროგრამების იდენტურია. ამიტომ, ჩეხეთის უმაღლესკოლებთან დსთ-ს ქვეყნების უმაღლესი სკოლების ადაპტაცია სხვა ქვეყნებთან შედარებით ადვილია;
3. უცხოელი აბიტურიენტებისათვის ასაკობრივი შეზღუდვები არ არის;
4. ჩეხეთში უმაღლესი განათლების ყველა დონე შეესაბამება განათლების კლასიფიკაციის ყველა ნორმასა და ევროკავშირის სტანდარტებს;
5. ცხოვრების დაბალი საფასური, ცხოვრების მაღალი დონის პირობებში;
6. საერთაშორისო გაცვლისა და სტაჟირების სისტემის წყალობით, სტუდენტებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ აშშ-ს პარტნიორ რომელიმე უნივერსიტეტში;
7. ჩეხური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ შეიძლება სწავლა განაგრძო ევროპის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში;
8. ევროკავშირში ჩეხეთის შესვლის შემდეგ მკვეთრად გაიზარდა უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტთა დეფიციტი, რადგან გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ ჩეხმა სპეციალისტებმა სამუშაო იშოვნონ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებში.

უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს აქვთ მყარი გარანტია იმისა, რომ იმუშაონ თავიანთი სპეციალობის მიხედვით და ჰქონდეთ ღირსეული ანაზღაურება. ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომლებმაც 2-3 უცხოური ენა იციან, ყოველთვის აქვთ უპირატესობა შრომით მოწყობაში. ბევრმა მსოფლიო კომპანიამ ჩეხეთში ააშენეს თავიანთი ქარხნები: ტოიოტა, სიტროენი, პეჟო, ფოლკსვაგენი, მიცუბიში, მოტოროლა, პანასონიკი, სიმენსი და ა. შ.

სწავლება ჩეხეთში (ენის სწავლება).

პროგრამის ოფიციალური პარტნიორია სამხრეთ ჩეხეთის უნივერსიტეტი.

ინაბიჯი. ჩეხური ენის 3 თვიანი კურსები, 90 საათი. სკაიპით მეცადინეობას ატარებს უნივერსიტეტის წარმომადგენელი. 1 აკადემიური საათის ღირებულება 10 ევრო.

მეცადინეობა ტარდება კვირაში 2-3-ჯერ; თითოეული მეცადინეობის ხანგრძლივობა 3 საათია. კურსის დამთავრების შემდეგ ტარდება გასაუბრება.

II ნაბიჯი. 4 კვირიანი სასერტიფიკაციო კურსი ჩეხურ ენაში, სამხრეთ ჩეხეთის უნივერსიტეტში (A1-A2 დონეები). კურსების დამთავრების შემდეგ სტუდენტი დაიშვება გამოცდაზე ევროპული სერტიფიკატის CEFR მისაღებად. II ნაბიჯზე სწავლება 10 საათიანი პროგრამით ხორციელდება. სწავლის საფასური 2850 ევრო. მეცადინეობას ატარებენ უნივერსიტეტის ენების კათედრის პროფესორები.

საფასურში შედის:

- აბიტურიენტებთან შეხვედრა და მათი განთავსება საერთო საცხოვრებელში 4 კვირით;
- სატრანსპორტო მომსახურების შეღავათების გაფორმება - OPEN CARD;
- ვალუტის გაცვლა და ადგილობრივ ქსელურ ოპერატორთან ჩართვა;
- სრული ინფორმაციის მიცემა მიმდინარე საკითხებზე (ჩეხეთში ჩამოსვლა, სწავლება, შენგენის ზონაში გადაადგილება);
- შინაგან საქმეთა სამინისტროში რეგისტრირება;
- საერთაშორისო სერტიფიკატის მიღებისათვის ევროპული გადასახადის გადახდა;
- მეთოდური ლიტერატურით უზრუნველყოფა;
- აბიტურიენტთა ცოდნის რეგულარული კონტროლი;
- ყველა აუცილებელი ფორმულარის შევსება ჩეხურ ენაზე;
- სამედიცინო დახმარების სამართლებრივი მხარდაჭერა და ორგანიზაცია (გადახდა და სამედიცინო დაზღვევის გაფორმება);
- სურვილისამებრ: პირადი საბანკო ანგარიშის გახსნა (18 წლის ასაკის ზევით);
- სურვილისამებრ: საცხოვრებლის - ბინის ინდივიდუალური ვარიანტის შერჩევა;

საფასურში არ შედის:

- 4 კვირიანი ტურისტული ვიზა;
- ავიაბილეთები;
- აბიტურიენტის კვება;
- აბიტურიენტის პირადი მონაცემები (ჩეხეთში 4 კვირიანი ყოფნის დეკლარირებული საშუალებების დონე, დეკლარაცია კეთდება მუდმივი საცხოვრებელი ქვეყნის ტერიტორიიდან).

III ნაბიჯი. საშუალო განათლების ატესტატის ან ბაკალავრის დიპლომის ნოსტრიფიკაცია. მისაღები გამოცდების ჩაბარება და შესვლა ჩეხეთის არჩეულ უმაღლეს სასწავლებელში. უნივერსიტეტში შესატანი საბუთების მომზადება. საფასური 1250 ევრო.

ჩეხეთის უმაღლესი სასწავლებლის მომავალი აბიტურიენტი ჯერ ერთი წლის განმავლობაში სწავლობს ჩეხურ ენას. ამგვარი სწავლების მიზანია მიიღოს საერთაშორისო სერტიფიკატი CEFR-A2, რომელიც აკმაყოფილებს აუცილებელ საკომუნიკაციო მოთხოვნებს ჩეხეთის რესპუბლიკაში. ჩეხეთის უნივერსიტეტებში მისაღები გამოცდების ჩაბარება, როგორც წესი, შესაძლებელია მხოლოდ ამგვარი სერტიფიკატის წარდგენის შემდეგ. შეიძლება თუ არა საერთაშორისო ენობრივი სერტიფიკატის მიღება ერთწლიანი

დანაკარგის გარეშე? დიახ, შეიძლება!

სამხრეთ ჩეხეთის უნივერსიტეტი მომხმარებელს სთავაზობს სერთიფიკატის მიღების საკმაოდ ხელსაყრელ დროებით პარამეტრებს: 3 თვიანი მეცადინეობა სკაიპში ენების კათედრის პასუხისმგებელ წამრომადგენელთან + 2 თვიანი კურსები უშუალოდ კათედრაზე. მეცადინეობის ასეთი გრაფიკი არ მოითხოვს ერთწლიან დანაკარგს და ათავისუფლებს აბიტურიენტს აუცილებელი ფინანსური დანახარჯებისაგან, რაც აუცილებელია საცხორებლის დაქირავებისა და სხვა საჭიროებისათვის.

ცხოვრება და სწავლა ჩეხეთში არის ახალი ევროპული ქვეყნის ყოველმხრივი გაცნობის ყველაზე მოსახერხებელი საშუალება. ჩეხეთში მუშაობა შეიძლება სწავლის პერიოდშიც.

თანამედროვე ინოვაციური განათლების სისტემები

ინოვაცია ლათინური წარმომავლობის ტერმინია და სიახლის შემოტანას ან სიახლეში შესვლას ნიშნავს. ჩვენს შემთხვევაში მისი მთავარი მახასიათებელია სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის განვითარებაში უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციებსა და მასობრივ პრაქტიკასთან შედარებით ახალი საწყისების შემოტანა. ამიტომ, ინოვაცია განათლების სისტემაში დაკავშირებულია ცვლილებების შემოტანასთან:

- მიზნებში, შინაარსში, მეთოდებში, ორგანიზაციის ფორმებში და მართვის სისტემაში;
- პედაგოგიური საქმიანობის სტილში და სასწავლო-შემეცნებითი პროცესის ორგანიზაციაში;
- კონტროლის სისტემასა და განათლებულობის დონის შეფასებაში;
- სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფის სისტემაში;
- დაფინანსების სისტემაში;
- აღმზრდელობითი მუშაობის სისტემაში;
- სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში;
- მასწავლებლისა და მოსწავლის მოქმედიანობაში.

ისტორიულ პლანში სიახლის მასშტაბი (მოცულობა) ყოველთვის შედარებითია. სიახლე კონკრეტულ-ისტორიული ხასიათისაა, ანუ იგი შეიძლება წარმოიშვას "თავის დროზე" ადერე, თანდათან იქცეს ნორმად ან აქტუალობა დაკარგოს და მოძველდეს. სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლის განვითარებაში ან მთელ საგანმანათლებლო სისტემაში გათვალისწინებული უნდა იყოს:

- აბსოლუტური სიახლე, რომელსაც ანალოგი ან პროტოტიპი არ მოეძებნება;
- შედარებითი სიახლე;
- ფსევდოსიახლე (ორიგინალურობა), გამომგონებლობითი წვრილმანები.

ახალშემოდებული მიმართებები სკოლასა და უმაღლეს სასწავლებლებში ჯგუფდება სხვადასხვა საფუძველზე. პირველი კლასიფიკაცია ეფუძნება ახლის შეთანაწყობას პედაგოგიურ პროცესთან, რომელიც მოცემულ მომენტში ხორციელდება. ამ მხრივ, გამოყოფენ შემდეგი სახის ახალ მიდგომებს:

- განათლების მიზნებსა და შინაარსში;
- პედაგოგიური პროცესის მეთოდიკაში, საშუალებებში, ხერხებში, ტექნოლოგიებში;
- სწავლებისა და აღზრდის ორგანიზაციის ფორმებსა და საშუალებებში;
- ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და მოსწავლეთა მოქმედიანობაში.

მეორე კლასიფიკაცია დაკავშირებულია სიახლის შემოტანის მასშტაბების გამოყენების ნიშნებთან. აქ გამოიყოფა შემდეგი გარდაქმნები:

- ლოკალური და ცალკეული, რომლებიც დაკავშირებული არ არის ერთმანეთთან;
- კომპლექსური, ერთმანეთთან დაკავშირებული;
- სისტემატური, რომელიც მთელ სკოლას ან უმაღლეს სასწავლებელს მოიცავს.

მესამე კლასიფიკაცია ხორციელდება ინოვაციური პოტენციალის ნიშნით. ამ შემთხვევაში გამოიყოფა:

- ცნობილისა და მიღებულის მოდიფიკაცია, რაც დაკავშირებულია სრულყოფას-

თან, რაციონალიზაციასთან, სახეცვლილებასთან (საგანმანათლებლო პროგრამაში, სასწავლო გეგმაში, სტრუქტურაში);

- კომბინატორული სიახლეები;
- რადიკალური გარდაქმნები.

მეოთხე კლასიფიკაცია ეფუძნება მის წინამორბედთან დამოკიდებულების ნიშნებს. ამგვარი მიდგომისას სიახლეებს მიაკუთვნებენ შემცვლელ, უარყოფელ, აღმომჩენ ან რეტროს ტიპის ცვლილებებს.

სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის განახლების იდეის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს:

- ქვეყნის, რეგიონის, ქალაქის, რაიონის მოთხოვნილება, როგორც სოციალური დაკვეთა;
- სოციალური დაკვეთის განხორციელება კანონებში, დირექტივებსა და ნორმატიულ დოკუმენტებში ფედერალურ, რეგიონალურ ან მუნიციპალურ დონეზე;
- მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება;
- საცდელ-ექსპერიმენტული მუშაობა;
- უცხოური გამოცდილება.

მსოფლიოში ყველაზე ცნობილი "ახალი სკოლები", ისეთები, როგორც არის "თავისუფალი სასკოლო თემი" (შეიქმნა გერმანიაში. ავტორები ჰ. ლიტცი და პ. გეხეზომი). ეს არის სკოლა-ინტერნეტი, რომლის ცხოვრების ორგანიზაცია იგება თავისუფალი განვითარების პრინციპზე და მცირე საზოგადოებრივი წარმონაქმნის წევრთა თანამშრომლობის საფუძველზე. სწავლება აქ ეფუძნებოდა აუცილებელ შრომით საქმიანობასა და სასწავლო მეცადინეობათა არჩევითობას.

სწავლების ორგანიზაცია ითვალისწინებდა საკურსო სისტემას, არ იყო სტაბილური სასწავლო გეგმები. ამ სკოლის მოსწავლეთა მეხუთედი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა შვილები იყვნენ.

- "შრომითი სკოლა" პირველად შეიქმნა გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში. რუსეთში ამ ტიპის სკოლას მიეკუთვნება მოსწავლეთა შრომითი კომუნები, რომელიც ა. მაკარენკომ ჩამოაყალიბა. საფრანგეთში ასეთი ტიპის სკოლა დე რომის სახელს უკავშირდება. ამ ტიპის სკოლები უზრუნველყოფდნენ მოსწავლეთა პროფესიულ მომზადებას და ნაწილობრივ ახორციელებდნენ სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების პედაგოგიურ პრინციპს.
- "თავისუფალი აღზრდის" სკოლა (ლაიფციგი) ეფუძნებოდა მოზარდის დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის მომზადების პრინციპს. ამ სკოლის იდეოლოგებს მიაჩნდათ, რომ მიზანშეწონილია მოსწავლეს ასწავლო ერთი რომელიმე საგანი და რაიმე ხელობა, რაც საკმარისია მისი დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისათვის. აქ არ იყო სასწავლო გეგმა და კლასები; არც მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობის დრო იყო რეგლამენტირებული. მათი ურთიერთობის განმსაზღვრელი იყო მოსწავლის ინტერესებზე ორიენტაცია მათი განვითარების მიზნით. "თავისუფალი აღზრდის" სკოლის საქმიანობა მიმართული იყო მოსწავლის აზროვნების განვითარებაზე. აქ ცდილობდნენ ჩაერთოთ ბავშვი შემეცნებით პროცესებში: დაკვირვების, გაანგარიშება-გაზომვების, ძიების, აზრის გამოხატვისა და ასოციაციების გამოყენების პროცესებში.
- "ქმნადობის სკოლა" (დამაარსებელი ჯ. დიუი) მისწრაფვოდა იქითკენ, რომ

სწავლების პროცესი დაახლოებოდა ცხოვრებასა და ბავშვების გამოცდილებას, ხელს უწყობდა მათ ბუნებრივ განვითარებას.

- "ლაბორატორიული სკოლა" (ჯ. დიუი), "თამაშის სკოლა" (კ. პრატი) მიმართული იყო ბავშვის აქტივობის რაციონალურ პედაგოგიურ მართვაზე. მათი მუშაობა ეფუძნებოდა თამაშის დიდაქტიკურ პოტენციალსა და სწავლების პროცესში დრამატიზაციის გამოყენებას.
- "საბავშვო სკოლა" (მ. ნაუმბერგი) ხელმძღვანელობდა პრინციპით: ბავშვი უნიკალური ინდივიდია და უპირატესობას ანიჭებდა ინდივიდუალურ მეცადინეობებს.
- "ორგანული სკოლა" (მ. ჯონსონი) ორიენტირებული იყო ჯგუფურ მეცადინეობებზე.
- ვალდორფის სკოლა (რ. შტაინერი) მიზნად ისახავს ბავშვის ყოველმხრივ განვითარებას ინტენსიური სულიერი მოქმედიანობის საფუძველზე. სკოლა ორიენტირებულია სოციალური სამყაროდან გამოცალკევებასა და სრულ ავტონომიაზე. სწავლების პროცესი ეფუძნება თვითმმართველობას. ამ მიზნით იქმნება საბჭო, რომელშიც შედიან მასწავლებლები, მოსწავლეები, მათი მშობლები და სკოლის მეგობრები. სწავლების პროცესში ჩართული არიან მშობლებიც. შეფასებისას გათვალისწინებულია მხოლოდ შესაფასებელი მოსწავლის ინდივიდუალური წარმატებები.

ამ სკოლის საქმიანობის მთავარი მიმართულებაა ემოციურ-ესთეტიკური განვითარების ახალი ფორმების ძიება.

"პროექტების მეთოდის" შესაბამისად მოწყობილი სკოლა (უ. კილპატრიკი (აშშ), ბ. რასელი (ინგლისი) მოსწავლეებს აძლევს მეცადინეობის თავისუფალი არჩევანის უფლებას. სასწავლო პროგრამა განიხილება, როგორც ურთიერთდაკავშირებული გამოცდილებების ერთობლიობა.

"დალტონ-გეგმით" მომუშავე სკოლები (ჯერ აღმოცენდა ინგლისში, შემდეგ გავრცელდა აშშ-ში) ხელმძღვანელობენ პრინციპით: ბავშვის თავისუფლება, მისი ჯგუფთან თანამშრომლობა, სასწავლო დროის რაციონალური განაწილება. ბავშვის თავისუფლება იმით გამოიხატება, რომ მას ეძლევა საშუალება აირჩიოს ამა თუ იმ საგნის შესწავლის ინდივიდუალური რიტმი. ჯგუფთან ურთიერთობა ითვალისწინებს ყველა ასაკის ბავშვებთან ურთიერთობას; სასწავლო დროის განაწილება გულისხმობს სასწავლო დავალების მიცემას თვის დასაწყისში და მერე ამ დავალების შესრულების ვადების საკუთარი შეხედულებებით განსაზღვრასა (რა თქმა უნდა, სტანდარტით გათვალისწინებულ დროში).

"ღია სკოლები" გაჩნდა დიდ ბრიტანეთში 1970 წელს. ამ სკოლებში ამკვიდრებდნენ სწავლების ინდივიდუალურ შინაარსს, რაც ფაქტობრივად სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე უარის თქმას ნიშნავდა. ეს ასევე იყო საკლასო-საგაკვეთილო სისტემაზე ხელის აღება. ასეთ პირობებში სრულიად უსარგებლო ხდებოდა შეფასების სისტემა და კონტროლის სხვა მექანიზმები.

ასეთ სკოლებში გაკვეთილების ტრადიციული ცხრილი არ არის და მეცადინეობების მოქნილი რიტმი არსებობს. მასწავლებელი და მოსწავლე ერთობლივად გეგმავენ შესასწავლ თემებსა და სხვადასხვა სახის სასწავლო მოქმედიანობის შესრულების ვადებს. ასეთმა მუშაობამ მიიღო სახელწოდება - "ინტეგრირებული დღე". ამ ტიპის სკო-

ლებში სწავლების ძირითადი ფორმაა აღმოჩენის ხერხები.

ასეთ კლასებში გაერთიანებულ ბავშვთა ასაკში შეიძლება იყოს 2 წლიანი განსხვავება. მსგავსი სკოლები, როგორც წესი, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებად ითვლება.

”ღია სწავლების” იდეა რეალიზებული იქნა მთელ რიგ ექსპერიმენტებში: ”ქალაქი როგორც სკოლა” (ბერლინი), სანკტ-პეტერბურგი, 1990-იანი წლები). ”თოვლისა და საზღვაო კლასები” (საფრანგეთი), ”სკოლა კედლების გარეშე” (დიდი ბრიტანეთი, აშშ), ”არაგრაფირებული სკოლები” (აშშ), ეს ისეთი სასწავლო დაწესებულებებია, სადაც ე. წ. კლასების წლიური დაყოფა არ ხდება.

ინოვაციები უმაღლეს სკოლაში.

თანამედროვე მსოფლიოს აერთიანებს პლანეტის მოქალაქის აღზრდაზე ზრუნვა. ინტენსიურად ვითარდება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცე. ამიტომ, საერთაშორისო საზოგადოებრიობა ცდილობს შექმნას ადამიანის განათლების გლობალურისტრატეგია მისი საცხოვრებელი ადგილისა და განათლებულობის დონის მიუხედავად.

დღეს საუნივერსიტეტო განათლება პოლიკულტურული განათლების ნიშნებს იძენს. იგი ავითარებს იმის უნარს, რომ ადამიანმა შეძლოს მოვლენების შეფასება სხვა ადამიანის პოზიციიდან. ეს სხვა ადამიანი შეიძლება განსხვავებული კულტურისა და სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის წარმომადგენელი იყოს.

მსოფლიოში შეიმჩნევა სხვადასხვა ტიპის უმაღლესი სასწავლებლების ინტეგრაციის ტენდენციები სამეცნიერო-საგანმანათლებლო მეგაპოლისებში; ეს მეგაპოლისები შეიძლება იყოს კონტინენტალური, რეგიონთაშორისი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა.

ბევრ ქვეყანაში შეინიშნება უნივერსიტეტების გაერთიანება სამრეწველო კომპლექსებთან. ასე იქმნება თანამედროვე წარმოების უნიკალური სპეციალისტების მომზადების ბაზები.

რუსეთის ფედერაციის მაგალითზე, უნივერსიტეტების განვითარების მნიშვნელოვან პრინციპებად ითვლება:

- მეცნიერებისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი სპეციალისტების მომზადების პროცესში;
- მემკვიდრეობითობა განათლების დონეებს შორის, კულტურაშემოქმედება და უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მაღალი კორპორატიულობა;
- მოქალაქეობრივი აღზრდა;
- საუნივერსიტეტო ცხოვრების ინტელიგენტურობა და მაღალი სულიერება, ქვეყნის პოლიტიკური წყობისა და ეკონომიკური განვითარების დონის მიუხედავად;

როგორია დღევანდელ საუნივერსიტეტო განათლების სისტემაში ინოვაციები? მაგალითად, რუსეთში უმაღლესი განათლების რეფორმირების პროცესი ხასიათდება ჩამოყალიბებულ ტრადიციებსა და სიახლეთა შორის ოპტიმალური თანაფარდობის ძიებით, რაც დაკავშირებულია მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში შესვლის პროცესთან. ამ გზაზე შეინიშნება რიგი ტენდენციებისა.

პირველი დაკავშირებულია მრავალდონიანი სისტემის განვითარებასთან რუსეთის ბევრ უნივერსიტეტში. ამ სისტემის უპირატესობა ის არის, რომ უმაღლესი განათლების

მრავალდონიანობა უზრუნველყოფს სწავლების ტემპის მობილურობასა და მომავალი პროფესიის არჩევის საიმედოობას. აქ სტუდენტებს უყალიბდებათ იმის უნარი, რომ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის ბაზაზე აითვისოს ახალი სპეციალობები.

მეორე ტენდენცია არის უმაღლესი სასწავლებლების ორიენტაცია თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, ინტერნეტში ფართო ჩართულობაზე და სწავლების დისტანციური ფორმების განვითარებაზე.

მესამე ტენდენციაა უმაღლესი განათლების უნივერსიტეტიზაცია და უმაღლესი სასწავლებლების ქვეყნის წამყვან და მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებთან ინტეგრაცია.

მეოთხე ტენდენციაა (რუსეთის მაგალითზე) უმაღლესი სასწავლებლების გადაყვანა თვითდაფინანსებაზე.

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე.

მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცე აერთიანებს სხვადასხვა ტიპის ნაციონალურ საგანმანათლებლო სისტემებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ფილოსოფიური და კულტურული ტრადიციებით, მიზნებითა და ამოცანებით, თავიანთი ხარისხობრივი შემადგენლობით. ამიტომ, მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც ერთიან ორგანიზმზე, სადაც თითოეულ საგანმანათლებლო სისტემას აქვს გლობალური ტენდენციები და ამავე დროს ინარჩუნებს მრავალფეროვნებას.

მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემას ახასიათებს განსაზღვრული გლობალური ტენდენციები:

1. განათლების დემოკრატიული სისტემისაკენ სწრაფვა, ე. ი. განათლების ხელმისაწვდომობა მთელი მოსახლეობისათვის, მისი საფეხურებისა და დონეების მემკვიდრეობითობა, სასწავლო დაწესებულებებისათვის ავტონომიისა და დამოუკიდებლობის მინიჭება;
2. ყველა მსურველისათვის განათლების უფლების უზრუნველყოფა (ყველა ადამიანისათვის განათლების თანაბარი შესაძლებლობებისა და შანსების შექმნა, მიუხედავად მათი ეროვნული, რასობრივი, რელიგიური და სხვა მიკუთვნებულობისა);
3. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელოვანი გავლენა განათლების მიღებაზე (ცალკეული ეთნიკური უმცირესობების კულტურულ-საგანმანათლებლო მონოპოლია, სწავლების ფასიანი ფორმები, შოვინიზმისა და რასიზმის გამოვლინებები);
4. მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილებაზე მიმართული სასწავლო-ორგანიზაციული ღონისძიებების სპექტრის გაფართოება;
5. საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის ზრდა;
6. უმაღლესი განათლების ქსელის გაფართოება და ცვლილებები სტუდენტთა სოციალურ შემადგენლობაში;
7. განათლების მართვის სფეროში მკაცრ ცენტრალიზაციასა და სრულ ავტონომიას შორის კომპრომისების ძიება;
8. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში განათლების დარგის თანდათან გადაქცევა დაფინანსების პრიორიტეტულ ობიექტად;

9. სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივი განახლება და კორექტირება;
10. "საშუალო მოსწავლეზე" ორიენტაციიდან თანდათან განსვლა და ძირითადი ყურადღების მიმართვა ნიჭიერ ბავშვებზე, მათი უნარების განვითარების ხელშეწყობაზე;
11. განვითარების ნორმალური დონიდან გადახრის მქონე ბავშვების განათლებით-სათვის დამატებითი რესურსების მიება; ინვალიდი ბავშვებისადმი საგანგებო ყურადღების დათმობა.

მსოფლიო განათლება პოლიკულტურულია; მისთვის დამახასიათებელია სივრცული (ტერიტორიული) და ორგანიზაციული სტრუქტურები. მსოფლიო განათლების პრობლემების გადაწყვეტაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსხვილ საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებს, რამდენადაც ისინი მოითხოვენ მათს განხორციელებაში საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მონაწილეობას.

მსხვილ საერთაშორისო პროექტებს განეკუთვნება:

- **ერზამუსი**, რომლის მიზანია ევროსაბჭოს ქვეყნების სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა (მაგალითად, მისი პროგრამა ითვალისწინებს, რომ სტუდენტთა 10%-მა სწავლების კურსი უნდა გაიაროს ევროსაბჭოს სხვა წევრი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში);
- **ლინგვა** - ეს არის უცხოური ენების შესწავლის ეფექტიანობის ამაღლების პროგრამა. პროგრამის განხორციელება იწყება უმცროს კლასებში;
- **ევრიკა** არის პროექტი, რომელიც მოწოდებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინაციას შეუწყოს ხელი;
- **ესპრიტი** წარმოადგენს საერთო ევროპულ პროგრამას, რომელიც გულისხმობს ევროპული უნივერსიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, კომპიუტერული ფირმების საერთო ძალისხმევის გაძლიერებას ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების შექმნის მიზნით;
- **ეიკადასი** არის არაბულ ქვეყნებში განათლების დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების პროგრამა;
- **ტემპუსი** - ეს არის საუნივერსიტეტო განათლების მობილურობისაკენ მიმართული საერთო ევროპული პროგრამა;
- **ირისი** არის პროექტთა სისტემა, რომელიც მიმართულია ქალთა პროფესიული განათლების შესაძლებლობათა კვლევაზე.

უკანასკნელ ათწლეულში წარმოიშვა ინტერნაციონალური შინაარსის ახალი ორგანიზაციული სტრუქტურები: საერთაშორისო და ღია უნივერსიტეტები. მსოფლიოგანათლების პოლისტრუქტურა საშუალებას იძლევა განხორციელდეს მეტაბლოკების, მაკრორეგიონებისა და ცალკეულ ქვეყნებში განათლების მდგომარეობის ანალიზი.

მსოფლიოში გამოჰყოფენ რეგიონთა ტიპებს საგანმანათლებლო სისტემების ურთიერთდაახლოებისა და ურთიერთზეგავლენის ნიშნით.

პირველ ტიპს შეადგენენ ის რეგიონები, რომლებიც ინტეგრაციული პროცესების გენერატორებს წარმოადგენენ. ასეთი რეგიონის მაგალითია დასავლეთი ევროპა. ერთიანობის იდეა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 1990-იანი წლების ყველა საგანმანათლებლო რეფორმის ქვაკუთხედი გახდა. "ევროპული იდენტურობისა" და "მოქალაქეობრიობის" დამკვიდრებისაკენ სწრაფვა განმტკიცებულია მთელი რიგი ევროპული პროექტებით,

რომლებიც განათლებისა და კულტურის სფეროებში ხორციელდება: ეროვნული ლიტერატურის პოპულარიზაცია, უცხოური ენების სწავლება, ბიბლიოთეკების ქსელის გაფართოება და სხვ.

ევროპული ინტეგრაციული პროცესების მნიშვნელობის არეალი არ ამოიწურება მხოლოდ დასავლეთ ევროპის ტერიტორიით. ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება და იმპულსები პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს მსოფლიოს სხვა ნაწილებზეც.

პრიველი ტიპის რეგიონებს მიეკუთვნებიან, აგრეთვე, აშშ და კანადა, თუმცა, მათი ინტერნაციონალური ძალისხმევა განათლების სფეროში, სხვაგვარ სიტუაციაში რეალიზდება.

მსოფლიოში ყალიბდება ახალი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონი - ინტეგრაციული პროცესების ახალი გენერატორი. მასში შედიან შემდეგი ქვეყნები: კორეის რესპუბლიკა, ტაივანი, სინგაპური და ჰონკონგი, აგრეთვე, მალაიზია, ტაილანდი, ფილიპინები და ინდონეზია. ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია სწავლებისა და კადრების მომზადებისადმი მაღალი მომთხოვნელობის სტრატეგია.

”აზიურ ეკონომიკურ სასწაულებს” აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში საფუძვლად უდევს მთელი რიგი ფაქტორები. ერთ-ერთი მათგანია განათლების ფინანსური პრიორიტეტულობა. ამ ქვეყნების უმრავლესობაში ჩამოყალიბდა უმაღლესი განათლების განვითარებული სისტემა. მაგალითად, კორეის რესპუბლიკაში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა 1/3 შედის უნივერსიტეტებში. ტაივანის სკოლის კურსდამთავრებულთა 30% ასევე სწავლას აგრძელებენ უნივერსიტეტებში. შედარებისათვის: გერმანიაში ანალოგიური მონაცემები 18%-ს არ აჭარბებს, იტალიაში - 26%, დიდ ბრიტანეთში - 7%). ამჟამად, მსოფლიოში ყოველი მესამე უცხოელი სტუდენტი აზია-წყნარი ოკეანის ქვეყნებიდან არის. XX საუკუნის დასასრულისათვის მოცემული რეგიონის საგანმანათლებლო პოტენციალი საკმაოდ გაიზარდა. იაპონიაში მსოფლიოში ყველაზე მაღალი პროცენტია სამეცნიერო ხარისხის მქონეთა რაოდენობის მიხედვით - 68%. შედარებისათვის: აშშ-ი იგი 25%-ს ტოლია. კორეის რესპუბლიკას პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში დოქტორის ხარისხის მქონეთა მიხედვით. განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს მიერ განათლებაზე გაწეული ხარჯები წელიწადში 650 მილიარდი დოლარის ოდენობისაა, ერთ მოსწავლეზე კი საშუალოდ 1120 დოლარი იხარჯება.

მეორე ტიპს განეკუთვნებიან ის რეგიონები, რომლებიც პოზიტიურად რეაგირებენ ინტეგრაციულ პროცესებზე. პირველ ყოვლისა, ეს არის ლათინური ამერიკის ქვეყნები.

ამჟამად ლათინური ამერიკის ქვეყნები იმყოფებიან აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციული იმპულსების მოქმედების ზონაში.

ლათინური ამერიკის ქვეყნები ევროპასთან კავშირს განიხილავენ როგორც აშშ-ზე დამოკიდებულების შესუსტების საშუალებას. სხვა განვითარებად ქვეყნებთან შედარებით, ამ რეგიონისათვის დამახასიათებელია განათლების ინფრასტრუქტურის ელემენტთა მაღალი დონე. მაგალითად, 1 მილიონ მცხოვრებზე გაანგარიშებით წიგნების გამოცემის რაოდენობა 2-4-ჯერ აჭრებს განვითარებული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს. განათლების ყველა საფეხურზე მასწავლებელთა რაოდენობა 1,5-ჯერ მეტია საშუალო მსოფლიო მაჩვენებელზე და პრაქტიკულად განვითარებული ქვეყნების მონაცემებს უთანაბრდება. შეიმჩნევა წერა-კითხვის უცოდინარობის თანდათან შემცირება, დაწყებითი განათლების განვითარება. თუმცა, ამ რეგიონში განათლების განვითარებას, უპირატესად, ექსტენსიური, ერთგვარად მასიფიცირებული ხასიათი აქვს.

ლათინურ ამერიკაში ხორციელდება ეგრეთ წოდებული "იუნესკოს ძირითად პროექტ ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის აუზში განათლების შესახებ". ამ პროგრამის ჩარჩოებში 2000 წლისთვის გამიზნული იყო წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია, სასკოლო ასაკის ყველა ბავშვისთვის რვა ან ათწლიანი განათლების მიცემა, მსოფლიო ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა.

სუბრეგიონალურ დონეზე ინტეგრაციული პროცესები მოიცავს იმ ქვეყნების ჯგუფებს, რომლებსაც ერთმანეთთან აქვთ ტერიტორიული, ისტორიული და კულტურული ერთობა: "ანდების ჯგუფი", "კონტადორის ჯგუფი", "რიოს ჯგუფი", "სამთა ჯგუფი" - მექსიკა, კოლუმბია, ვენესუელა.

პროექტს - "ცოდნის საერთო ბაზარი" - ლათინოამერიკული ქვეყნები ახორციელებენ რეგიონალურ დონეზე. მისი კოორდინაციის მიზნით შექმნილია შესაბამისი ორგანო - განათლების მინისტრთა სათათბირო, რომლის სხდომები პერიოდულად სხვადასხვა ქვეყანაში იმართება.

განათლებაზე სახელმწიფოს დანახარჯები ლათინოამერიკულ ქვეყნებსა და კარიბის ზღვის აუზის სახელმწიფოებში დაახლოებით 50 მოლიარდი დოლარია.

მესამე ტიპის ჯგუფს ის რეგიონები მიეკუთვნებიან, სადაც ინერტულები არიან ინტეგრაციული საგანმანათლებლო პროცესის მიმართ. ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან აფრიკის ქვეყნები, რომლებიც ძირითადად საჰარის უდაბნოს სამხრეთით მდებარეობენ (სამხრეთ აფრიკის კავშირის გარდა) და სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები. სასკოლო სწავლების ხანგრძლივობა აფრიკის ბევრ ქვეყანაში მინიმალურია - 4 წელი. ამ რეგიონებში მოსახლეობის დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია. მაგალითად, 140 მილიონი აფრიკელი, რომლებიც საჰარის სამხრეთით ცხოვრობენ, წერა-კითხვის უცოდინარები არიან. სასკოლო სწავლება ყველაზე ხანმოკლეა ნიგერიაში - 2, 1 წელი, ამას მოსდევს ბურკინა-ფასო - 2, 4 წელი, გვინეაში - 2, 7, ჯიბუტიში - 3,4 წელი.

იუნესკოს მონაცემებით, ისეთი ქვეყნების დაწყებით სკოლებში, როგორც არის ნიგერია ან გვინეა, სასწავლო წიგნები აქვს მოსწავლეთა 30%-ს. განათლების მატერიალური ბაზა უადრესად ღარიბია. შეფარდება "მოსწავლეები - მასწავლებელი (მოსწავლეთა საშუალო რაოდენობა 1 მასწავლებელზე გაანგარიშებით) ამ რეგიონის ქვეყნებში ყველაზე მაღალია. მაგალითად, ბურუნდიში ეს მაჩვენებელი არის 49, კენიაში - 39, ნამიბიაში - 38, მაშინ როდესაც მსოფლიო საშუალო მაჩვენებელია 16.

ამ რეგიონებში არ არის უმაღლესი განათლების ნაციონალური სისტემის ჩამოყალიბების წანამძღვარები. მსოფლიოს სამეცნიერო და საგანმანათლებლო სამყაროსთან კავშირი ხორციელდება სტუდენტების გაგზავნით უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ისეთ ქვეყნებში, როგორებიც არის ბურკინა-ფასო, მოზამბიკი, რუანდა, ყოველ 100 000 მოსახლეზე 16-დან 60 სტუდენტამდე მოდის. შედარებისათვის: კორეის რესპუბლიკაში - 100 000 ადამიანზე 4000, ლიბანში - 3000, არგენტინაში - 3300, ვენესუელაში - 3000, აშშ-ში 6000.

აფრიკის ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ერთი მოსწავლის განათლებაზე საშუალოდ 70 დოლარი იხარჯება.

XX საუკუნის ბოლოს გამოირჩა ის რეგიონები, სადაც რიგი ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიზეზების გამო დაირღვა საგანმანათლებლო და ინტეგრაციული პროცესების თანმიმდევრობა. ასეთ რეგიონებს მიეკუთვნებიან არაბული ქვეყნები, აღმოსავლეთი ევროპა და ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნები.

არაბულ ქვეყნებში შეიმჩნევა ოთხი სუბრეგიონის გამოყოფისაკენ მისწრაფება, რომლებიც შინაგანი ინტეგრაციისაკენ არიან მიდრეკილნი, მათ შორის განათლების სფეროშიც. ეს რეგიონებია მალრიბი (ლიბიის ჩათვლით), ახლო აღმოსავლეთი (ეგვიპტე, ერაყი, სირია, ლიბანი, იორდანია), სპარსეთის ყურის რეგიონი (საუდის არაბეთი, კუვეითი, არაბთა გაერთიანებული ემირატი, ყატარი, ომანი, ბახრეინი), წითელი ზღვის სანაპიროს ქვეყნები და მავრიტანია.

ამ ქვეყნებში შეიმჩნევა უკიდურესი უთანაბრობა საშუალო და უმაღლესი საფეხური განათლების განვითარებაში. ეგვიპტეში, სუდანში, მავრიტანიაში და ალჟირში თავმოყრილია არაბული სამყაროს წერა-კითხვის უცოდინარი მოსახლეობის 2/3.

არაბულ ქვეყნებში განათლებაზე გაწეული დანახარჯები 25 მილიარდ დოლარს უტოლდება, ერთ მოსწავლეზე კი 300 დოლარი იხარჯება წელიწადში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებში პოლიტიკური არასტაბილურობის გამო სახეუა განათლების განვითარების მნიშვნელოვანი შეფერხება.

აშშ-სა და სხვა სახელმწიფოთა გავლენით ამ ქვეყნების განათლება თანდათან გადადის მრავალსაფეხურიან და მრავალდონიან განათლების სისტემაზე. აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნებში განხორციელდა განათლების "გარდაქმნის" პროცესი, რომლის მიზანი იყო სისტემის დემოკრატიზაცია. 1980-90-იან წლებში რუსეთში ჩამოყალიბდა მასობრივი ინოვაციური მოძრაობა სასკოლო განათლების სფეროში. იგი გამოვლინდა სიახლის ძიებაში: სკოლის მოდელებში, სწავლების შინაარსში, საგანმანათლებლო ტექნოლოგიებში. მიუხედავად თანდათაობითი შიდა რეგიონალური ინტეგრაციისა, აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს ქვეყნები ინარჩუნებენ განათლების ინფრასტრუქტურის ზოგად ელემენტებს. ეს ქვეყნები პრიორიტეტს ანიჭებენ დასავლეთის ან თავიანთი "უცხოელი" ისტორიული მეზობლების სასწავლო დაწესებულებებთან კავშირს; ძლიერდება საერთაშორისო საგანმანათლებლო კონტაქტები აშშ-სა და სხვა განვითარებულ სახელმწიფოსთან საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში შესვლის მიზნით.

უმაღლესი განათლების განვითარების დონის საერთაშორისო შეფასების პროცესში გამოიყო ქვეყნების ჯგუფები შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: ერთიანი ნაციონალური პროდუქტის წილი ქვეყნის თითოეულ სულ მოსახლეზე და სტუდენტთა პროცენტული რაოდენობა 100 000 სულ მოსახლეზე. პრაქტიკულად, უმაღლესი განათლება შეუზღუდავად ხელმისაწვდომია I ჯგუფის ქვეყნების მოსახლეობისათვის. ეს ქვეყნებია აშშ, კანადა, გერ, იაპონია, ფინეთი.

XX საუკუნის ბოლოსათვის მოსწავლეთა რაოდენობა მსოფლიოში 1060 მილიონია, წერა-კითხვის მცოდნენი კი 15 წლის ასაკის ზევით - 75%. 1960 წლის მონაცემებთან შედარებით 1990 წელს უცხოელ სტუდენტთა, ასპირანტთა და სტაჟიორთა რაოდენობა ყველა ქვეყანაში თითქმის რვაჯერ გაიზარდა და მილიონ ორასიათასს გადააჭარბა.

განვითარებული ქვეყნების პედაგოგიური სისტემებისათვის თანამედროვე ეტაპზე დამახასიათებელია მეცნიერების, განათლებისა და წარმოების სინთეზი, რაც მსხვილი ტექნოპოლისების საშუალებით ხორციელდება.

განათლება ლათინურ ამერიკაში

უკანასკნელ წლებში განათლება ლათინურ ამერიკაში ახალ სიმაღლეზე ავიდა და თავისი ხარისხით მიუახლოვდა ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებს. შესწავლის, ანალიზისა და რეცეპციის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სწავლების მეთოდები, რომლებიც დამუშავებულია იმ უცხო ქვეყნებში, სადაც ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური კონსერვატიზმის ტენდენციები მინიმალურია და სადაც, კერძოდ, განათლების ფსიქოლოგია მნიშვნელოვანწილად ადაპტირებულია მსოფლიოში არსებული ტრადიციების სინთეზთან. ამ მხრივ ყველაზე საუკეთესო მაგალითებია **ბრაზილია, მექსიკა, ვენესუელა, ურუგვაი, არგენტინა და ჩილე.**

ლათინური ამერიკის ქვეყნების განათლების სისტემა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. განათლების სისტემის ჩამოყალიბებაზე დიდი გავლენა XVII-XVIII საუკუნეების იდეებმა, რაც დაკავშირებული იყო მეცნიერებისა და განმანათლებლობის განვითარებასთან.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში დაწყებითი განათლება მოიცავს 2 საფეხურს: საბავშვო ბაგასა და საბავშვო ბაღს და ხორციელდება სკოლამდელ დაწესებულებებში. სახელმწიფო აქტიურად უწყობს ხელს სკოლამდელი დაწესებულებების სასწავლო ფუნქციონის სრულყოფას, ფინანსურ დახმარებას უწევს მათ.

ლათინურ ამერიკაში ბევრია სასკოლო პროგრამები. ბევრი ევროპული ქვეყნისაგან განსხვავებით, იქ არ არის ერთიანი სასწავლო გეგმები. სკოლაში სავალდებულო საგნებია - მათემატიკა (არჩევით - ალგებრა, გეომეტრია ან ტრიგონომეტრია), ერთ-ერთი საგანი საბუნებისმეტყველო ციკლიდან (ფიზიკა, ქიმია ან ბიოლოგია), ინგლისური, უცხოური ენა (ჩვეულებრივ ესპანური ან ფრანგული), ლათინური ამერიკის ისტორია. კიდევ ერთი საგანი უნდა აირჩიონ: კომპიუტერი, ეკონომიკა, ინგლისური ან მსოფლიო ლიტერატურა, ფილოსოფია, ხატვა, დრამა. არის სკოლები, სადაც არჩევით საგნებად ათეულობით კურსებია წარმოდგენილი.

კოლეჯი ლათინურ ამერიკაში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დაწესებულება ან რომელიმე მსხვილი უმაღლესი სასწავლებლის შემადგენელი ნაწილი. კოლეჯები, როგორც წესი, ანიჭებენ ბაკალავრის, უნივერსიტეტები კი მაგისტრისა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხებს. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე.

ბრაზილიის განათლების სისტემის სტრუქტურა.

ბრაზილიის მთელი განათლების სისტემა ეფუძნება კონსტიტუციურ "სახელმძღვანელო პრინციპებისა და საფუძვლების კანონს", რომელიც მიიღეს 1996 წლის დეკემბერში. ძალიან ხშირად ამ კანონს მოიხსენიებენ, როგორც "დარსი რიბეიროს კანონს", დიდი ბრაზილიელი სოციოლოგისა და პედაგოგის პატივსაცემად. ოფიციალური საგანმანათლებლო ციკლები მოიცავენ რვაწლიან ძირითად, იგივე დაწყებით განათლებას, სამწლიან საშუალო სკოლას და უმაღლესი ბრაზილიური განათლების ციკლს, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს ოთხი ან ექვსი წელი, რაც დამოკიდებულია უმაღლესი სასწავლებლის ტიპსა და არჩეულ სპეციალობაზე, ასევე სხვა ფაქტორებზეც. მოსწავლეს

თუ სურვილი აქვს, მას შეუძლია გაიაროს დამატებითი განათლების ციკლი. აღსანიშნავია, რომ სკოლამდელი განათლება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს, მაგალითად, საბავშვო ბაღს, ბრაზილიაში სავალდებულო არ არის. ბრაზილიის კანონმდებლობით, კერძოდ, კონსტიტუციის 208-ე მუხლის საფუძველზე, ქვეყანაში სავალდებულოდ ითვლება დაწყებითი განათლება, რომელიც უფასოა მთელი მოსახლეობისათვის.

განათლების კანონის შესრულებაზე პასუხისმგებელია, როგორც სახელმწიფო, მაგალითად, ფედერალური მთავრობა, ფედერალური ოლქი, შტატი და მუნიციპალიტეტი, ასევე იმ ბავშვების მშობლები, რომლებიც სწავლების ციკლს გადიან. კონსტიტუციის 208-ე მუხლის მეორე პარაგრაფში ლაპარაკია იმაზე, რომ სწორედ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი, თუ მოქმედი მთავრობა უარს იტყვის სავალდებულო ძირითადი დაწყებითი განათლების განხორციელებაზე, ან ქვეყნის მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი არ არის განათლება. ბრაზილიის პრაქტიკაში ცნობილია ისეთი შემთხვევები, როდესაც სამართლოს გადაწყვეტილებით ღარიბი ოჯახის ბავშვები, რომელთა მშობლები ვერ უზრუნველყოფენ ჩვეულებრივ სკოლებში მათ სწავლას, სწავლობენ კერძო სკოლებში და მათი სწავლების საფასურს სახელმწიფო იხდის ბიუჯეტიდან.

ყველაზე სერიოზული პრობლემა ბრაზილიის განათლების სისტემაში არის ის, რომ ბევრი ბავშვი, უბრალოდ, არ დადის სკოლაში იმის გამო, რომ მშობლები ყურადღებას ვერ აქცევენ მათ. ღარიბი ოჯახის მშობლები ვერ უზრუნველყოფენ სკოლისათვისთანავე შვილების მომზადებას. ასეთი ოჯახის ბავშვები სკოლაში სწავლის ნაცვლად მუშაობას იწყებენ. იმის მიუხედავად, რომ ბრაზილიაში დაწყებითი განათლება სავალდებულოა, ხოლო თექვსმეტ წლამდე მოზარდის სამუშაოზე მიღება კანონით აკრძალულია, იქ მაინც ფართოდ გამოიყენება ბავშვთა შრომა. ამის მიზეზი ბანალურია: ღარიბ ოჯახებს ფული სჭირდებათ, რასაც ბავშვები გამოიმუშავენ. ბრაზილიის ტელევიზიით არა ერთხელ იქნა ნაჩვენები, როგორ მუშაობენ სამ წლის ბავშვები კაკლის დამტვრევაზე, ათი წლის ბავშვები კი შემას ეზიდებიან.

უკანასკნელ წლებში ბრაზილიის მთავრობის აქტიური მოქმედების შედეგად, განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. გამოვიდა ორი ოფიციალური პროგრამა ბავშვების განათლების შესახებ. პირველი მათგანის მიხედვით, მშობლები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ და აკონტროლებენ იმას, რეგულარულად დადიან თუ არა ბავშვები სკოლაში, იღებენ მცირე მატერიალურ დახმარებას. ეს ერთგვარი კომპენსაციაა იმისა, რომ ღარიბი ოჯახის ბავშვებმა არ იმუშაონ და სამაგიეროდ განათლება მიიღონ. მეორე პროგრამის მიხედვით, მუნიციპალიტეტები ღებულობენ დოტაციებს იმის შესაბამისად, თუ რამდენი მოსწავლეა რეგისტრირებული სკოლაში. ბრაზილიის კონსტიტუციის 11-ე მუხლის მეორე და მესამე პარაგრაფის მიხედვით, დაწყებითი სკოლები ფინანსდებიან მუნიციპალიტეტის ან შტატის ბიუჯეტიდან. ამასთან, შტატი ვალდებულია დაწყებით განათლებაზე დახარჯოს იმ საბიუჯეტო ხარჯის 25%, რაც, საერთოდ, განათლებისთვის არის გამოყოფილი. ეს მდგომარეობა ახალ პრობლემას ჰქმნის. საქმე ის არის, რომ მდიდარი შტატები და მდიდარი ქალაქები ფლობენ დიდ ფინანსურ საშუალებებს ხარისხიან განათლებაში ინვესტირებისათვის. ასეთი შტატების სკოლებში მუშაობენ მაღალანაზღაურებადი პედაგოგები, რომლებსაც შესაბამისად მაღალი კვალიფიკაცია აქვთ, სკოლების ინფრასტრუქტურა კი მნიშვნელოვნად უკეთესია, ვიდრე ღარიბი ქალაქების სკოლებისა. ამასთან ერთად, განათლების ხარისხი გასულ ათწლეულში მნიშვნელოვნად გაუარესდა თვით მდიდარ ქალაქებში.

სა და შტატებშიც კი. ბრაზილიის მთავრობა ყოველწლიურად სულ უფრო ამცირებდა ქვეყნის განათლების სისტემის დაფინანსებას, რის შედეგადაც სახელმწიფო განათლების სტანდარტები დადაბლდა. ამის გამო, ბრაზილიელების საშუალო ფენამ ამჟობინა შვილები კერძო სკოლებში შეყვანა, სადაც განათლების დონე მნიშვნელოვნად მაღალია, სწავლების შესაბამისად მაღალი დონის გამო. ამჟამად, ბრაზილიური ოჯახების უმეტესობა, რომელთა ეკონომიკური მდგომარეობა საშუალოდ შეიძლება შეფასდეს, თავიანთ შვილებს დაწყებითი განათლების მისაღებად კერძო სკოლებში აბარებენ. სწავლების საფასური ამ სკოლებში 50 ბრაზილიური რეალის ფარგლებში მერყეობს ქვეყნის პატარა ქალაქებში, ხოლო მსხვილ ცენტრებში, როგორც არის სან-პაულო ან რიო-დე-ჟანეირო, სწავლის გადასახადი ხუთას რეალს აღწევს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ბრაზილიაში განათლება ღიაა კერძო მეწარმეებისათვის, ამიტომაც არის იქ დიდი რაოდენობით კერძო სკოლები. ამავე დროს, კერძო სკოლები მკაცრად კონტროლდება ხელისუფლების მიერ. ბრაზილიაში ხორციელდება ღარიბი ოჯახის ბავშვების უზრუნველყოფის პროექტი, რაც, ძირითადად, იაფფასიანი ნოუთბუკების დარიგებით გამოიხატება.

საშუალო განათლება ბრაზილიაში სავალდებულო არ არის. მაგრამ კონსტიტუციის 208-ე მუხლი მიუთითებს იმაზე, რომ მთავრობა ვალდებულია ეძებოს გზები უფასო საშუალო განათლების გავრცელებისათვის. თუმცა ამ ნორმატიულ დოკუმენტში ვადები მითითებული არ არის. ამიტომ, არავინ იცის როდის მოიძებნება უფასო საშუალო განათლების განხორციელების გზები.

საშუალო განათლების ხანგრძლივობა ბრაზილიაში სამი წელია. საშუალო სკოლების დიდი ნაწილი ფინანსდება მუნიციპალიტეტებისა და შტატების ხარჯზე. სწორედ ამ მიზეზით, სწავლებისა და განათლების ხარისხის საშუალო სკოლებში დამოკიდებულია ხელისუფლების საინვესტიციო შესაძლებლობებზე. ქვეყნის საშუალო სკოლების უმეტესობა ვერ უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებას, თუმცა ბრაზილიაში არის ტექნიკური სკოლებიც, რომლებიც რეგულარულ განათლებასთან ერთად პროფესიულ ჩვევებსაც უყალიბებენ მოზარდებს. ფედერალური მთავრობა მხარს უჭერს ისეთი სკოლების განვითარებას, რომლებიც ქვეყანაში საუკეთესოდ არის მიჩნეული. ტექნიკურ სკოლებს აფინანსებენ SESI-ისა და SENAI-ის ორგანიზაციები, რომლებიც თავის მხრივ მრეწველობის სხვადასხვა დარგებიდან ფინანსდებიან და სწავლებას ახორციელებენ ამ დარგებთან შეთანხმებული პროგრამებით. ამის მიუხედავად, ბრაზილიაში დიპლომიან სპეციალისტთა შორის საშუალო დონის ტექნიკის სპეციალისტები არ არიან. იმისათვის, რომ დიპლომი მიიღოს, ბრაზილიელები ცდილობენ შევიდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ამისათვის აუცილებელია გამოცდების ჩაბარება. ეს გამოცდები უმეტეს შემთხვევაში გასაუბრების დონეზე ტარდება.

საშუალო განათლების მიღების შემდეგ უნივერსიტეტში შესასვლელად მომზადებისათვის ბრაზილიელები კერძო კროკებს - გაკვეთილებს (cursinhos) ეძებულობენ, რაც მიანცდამაინც ვერ იძლევა უმაღლესში შესვლის გარანტიას. ამ გაკვეთილების (კროკების) სრული კურსის დამთავრების შემდეგ (არ გაიცემა) ოფიციალური დიპლომი მისი დამთავრების შესახებ. ამავე დროს, ეს კურსები ბრაზილიის განათლების სისტემის ერთიანი ჯაჭვის მნიშვნელოვანი რგოლია. კერძო გაკვეთილები ეძლევათ საშუალო სკოლის ყველა კურსდამთავრებულ მოსწავლეს. ასეთი კურსები არის ბრაზილიის ყველა დიდი ქალაქის საშუალო სკოლებში. ამ საქმეში დიდი როლი აკისრია რეკლამასა და მარკეტინგს. სწორედ ამის წყალობით ვლინდება მოსწავლეთა დიდი ნაწილი, რომელსაც სურს სწავ-

ლის განაგრძობა უნივერსიტეტებში. ამ კურსებზე მომუშავე მასწავლებლები ვალდებული არიან მთელი პროგრამა გაიარონ ერთი წლის განმავლობაში, რომლის გავლას ჩვეულებრივ პირობებში სამნახევარი წელი სჭირდება. ზოგიერთმა კოკეზმა დიდ წარმატებასა და პოპულარობას მიაღწიეს. მათი ფილიალები და განყოფილებები ბრაზილიის ბევრ ქალაქში ფუნქციონირებს. როგორც დაწყებით განათლება, ისე საშუალო სკოლაც ღიაა კერძო მეწარმეობისთვის, თუმცა იგი ოფიციალური ხელისუფლების მკაცრი კონტროლის ქვეშაა. საშუალო კლასის წარმომადგენელი ბრაზილიური ოჯახები ამჯობინებენ, რომ მათმა შვილებმა კერძო საშუალო სკოლაში ისწავლონ. ეს იმიტომ არის ასე, რომ მეტ წილ შემთხვევაში კერძო სკოლები შედარებით მაღალი დონის განათლებას უზრუნველყოფენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კერძო სკოლები ხშირად ისეთ საგნებს სთავაზობენ მოსწავლეებს, რომელსაც ეფუძნება უნივერსიტეტსა და კოლეჯებში მისაღები გამოცდები. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ სტუდენტთა უმრავლესობა, რომლებიც ჩაირიცხნენ უმაღლეს სასწავლებელში, მანამდე კერძო საშუალო სკოლების მოსწავლეები იყვნენ. უმეტესწილად, ასეთ სკოლებში, ძირითადი საგნების გარდა, ისწავლება დამატებითი საგნებიც, მაგალითად, ენები, სხვადასხვა ხელოვნება, სპორტის სახეობები. კერძო სკოლებში სწავლების საფასური დამოკიდებულია სწავლების ხარისხზე და ამ სასწავლებლის რეპუტაციაზე. მაგალითად, ჩვეულებრივ კერძო საშუალო სკოლაში სწავლება ღირს ორასი-სამასი ბრაზილიური რეალი, მაგრამ ქვეყნის ყველაზე პრესტიჟულ საშუალო სკოლებში სწავლება, ისეთებში, როგორც არის "დანტე ალიგიერი", "ბრაზილიის ამერიკული სკოლა" და სხვები, სწავლის საფასური შეიძლება თვეში რამდენიმე ათასი აშშ-ს დოლარი ღირდეს. ამის გამო ბრაზილიელი მოსწავლეები, რომლებიც საუკეთესო საშუალო სკოლებში და სპეციალურ კურსებზე სწავლობდნენ, უფასო საზოგადოებრივი უნივერსიტეტების სტუდენტები ხდებიან, ხოლო ისინი, რომლებმაც ვერ შეძლეს ხარისხიანი დაწყებითი და საშუალო განათლების მიღება, სწავლას აგრძელებენ დაბალი ხარისხის კერძო უნივერსიტეტებში.

მიუხედავად იმისა, რომ ბრაზილიაში უმაღლესი განათლება სავალდებულო არ არის, მთელი ფედერალური ინვესტიციები სწორედ უმაღლესი განათლებისკენაა მიმართული. ქვეყანაში არის საზოგადოებრივი, აგრეთვე კერძო კოლეჯები. ბრაზილიის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა მთლიანად უფასოა. სასწავლებლები არსებობენ ფედერალური მთავრობის, შტატების ან მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით. სხვა ქალაქიდან ჩამოსულ სტუდენტებს, ჩვეულებრივ, გამოეყოფათ საცხოვრებელი, წიგნები და სხვა სასწავლო მასალები. საზოგადოებრივ უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტების მომზადების დონე უფრო მაღალია, ვიდრე კერძო სასწავლო დაწესებულებებში.

დიდი ხნის განმავლობაში სახელმწიფო იყო ერთადერთი ინვესტორი, რომელიც დიდ ფულას ხარჯავდა მაღალი კლასის სასწავლო დაწესებულებების შექმნასა და ფუნქციონირებაზე. ყველა სამეცნიერო გამოკვლევები ხორციელდება საზოგადოებრივ უნივერსიტეტებში, კერძო უმაღლეს სასწავლებლებში კი ძალიან მცირე მოცულობის კვლევითი სამუშაოები ხორციელდება. საზოგადოებრივი უნივერსიტეტები ქირაობენ მაღალკვალიფიციურ პროფესორებს და ყიდულობენ ახალ, ძვირადღირებულ მოწყობილობებს, რაც აუცილებელია საკვლევო მუშაობისათვის. ამავე დროს, კერძო უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში ხორციელდება მიღება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგებში, მაგალითად, იურისპოდენციაში, ადმინისტრირებისა და აღრიცხვის დარ-

გებში.

საზოგადოებრივი უნივერსიტეტები ამზადებენ აგრეთვე სპეციალისტებს მედიცინისა და საინჟინრო დარგებში.

სწავლების დამთავრების წინ ტარდება ტესტური შემოწმებები. ამ ტესტური შემოწმების შედეგები საჯაროა და მათ საფუძველზე კერძო უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს დასკვნები კონკრეტული სასწავლო დაწესებულების კურსდამთავრებულის მომზადების ხარისხის შესახებ. სწორედ ამის გამო იწვევენ კერძო უმაღლეს სასწავლებლებში მაღალკვალიფიციურ პროფესორებსა და მასწავლებლებს, აუმჯობესებენ ინფრასტრუქტურას. საზოგადოებრივი ძალისხმევის შედეგად, სტუდენტების მომზადებაში საზოგადოებრივ და კერძო უნივერსიტეტებში განსხვავება არსებითი უკვე აღარ არის.

ბრაზილიის უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, ჩვეულებრივ, მიღებულია ზეპირი გამოცდები, ანუ გასაუბრება. ვერბალური ტექსტები თავიანთი სტრუქტურით ამერიკულ GMAT-ს ჰგავს, მაგრამ ბრაზილიურ და ამერიკულ ტესტებს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება შედეგების შეფასების სისტემაში.

აბიტურიენტების მიღებისას საზოგადოებრივი უნივერსიტეტები მხედველობაში ღებულობენ მხოლოდ ინტელექტუალური განვითარების დონეს, აგრეთვე ანგარიშგასაწევ ფაქტორებსაც, მაგალითად, სპორტულ მიღწევებს. კერძო უმაღლესებში საპირისპირო სიტუაციაა, აქ მიღებულია მაღალი მიღწევების მქონე სპორტსმენთა მხარდაჭერა.

დამატებით განათლებას ბრაზილიელები ღებულობენ საზოგადოებრივ უნივერსიტეტებში. აქ არის კონცენტრირებული სამაგისტრო და სადოქტორო კურსები. მაგისტრატურა შეიძლება იყოს ფასიანიც და უფასოც. ამ საფეხურებზე მოსწავლეთა ჩარიცხვის მნიშვნელოვანი ფაქტორია სარეკომენდაციო წერილი, აგრეთვე მომავალი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს გეგმა.

განათლება აფრიკის კონტინენტზე

აფრიკა, სიდიდით მეორე კონტინენტია ევრაზიის შემდეგ. აფრიკის ტერიტორიის ფართობი 29,2 მილიონი კვადრატული კილომეტრია, კუნძულებიანად კი 30,3 მილიონ კილომეტრს შეადგენს. აფრიკას მთელი დედამიწის ფართობის 6% უკავია, ხოლო მართლ ხმელეთის თუ ვიანგარიშებთ, მაშინ აფრიკაზე მოდის ხმელეთის 20,4%. აფრიკის ტერიტორიაზე მდებარეობს 54 სახელმწიფო.

აფრიკის მოსახლეობა ერთ მილიარდ კაცს უტოლდება. აფრიკა ტრადიციულად კაცობრიობის აკვნად იწოდება.

აფრიკის კონტინენტი კვეთს ეკვატორსა და რამდენიმე კლიმატურ ზონას. ეს არის ერთადერთი კონტინენტი, რომელიც გადაჭიმულია ჩრდილო სუბტროპიკული ზონიდან სამხრეთ სუბტროპიკულ ზონამდე. ნალექებისა და ბუნებრივი დატენიანების მუდმივი ნაკლებობა დამახასიათებელია ამ კონტინენტისათვის. ამ მხრივ ნორმალური მდგომარეობა მხოლოდ ზღვისპირეთშია.

აფრიკის კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებს შეისწავლის მეცნიერება აფრიკანისტიკა.

განათლება.

ტრადიციული განათლება აფრიკაში გულისხმობს მოზარდების მომზადებას აფრიკული საზოგადოების რეალობაში ცხოვრებისათვის. კოლონიამდელ აფრიკაში სწავლება გულისხმობდა თამაშების, ცეკვის, სიმღერის, ხატვის, ცერემონიისა და რიტუალების სწავლებას. სწავლებას ახორციელებდნენ უფროსები; საზოგადოების თითოეულ წევრს თავისი წვლილი შეჰქონდა ბავშვის სწავლებაში ბიჭები და გოგონები სწავლობდნენ ცალ-ცალკე. სწავლების აპოგეა იყო გადასვლის რიტუალი, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა ბავშვობის დამთავრებასა და დიდობაში გადასვლას.

კოლონიური პერიოდის დაწყების შემდეგ, განათლების სისტემამ ცვლილება დაიწყო ევროპული მიმართულებით, რათა აფრიკელებს შეძლებოდათ კონკურენცია გაეწიათ ევროპელებისა და ამერიკელებისათვის. აფრიკა ცდილობდა საკუთარი სპეციალისტების მომზადების საქმის აწყობას.

ამჟამად განათლების მიხედვით, აფრიკა მნიშვნელოვნად ჩამორჩება მსოფლიოს მხარეებს. 2000 წელს შავი კონტინენტის ბავშვთა მხოლოდ 58% სწავლობს სკოლაში. ეს არის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მსოფლიოში. ამჟამად აფრიკაში 40 მილიონი ბავშვი ცხოვრობს, რომლის ნახევარი ვერ ღებულობს სასკოლო განათლებას.

პოსტკოლონიურ პერიოდში აფრიკის ქვეყნების მთავრობებმა ძალისხმევა განათლებაზე მიმართეს, დაარსდა ბევრი უნივერსიტეტი, თუმცა მათი განვითარება და მხარდაჭერა ძნელი იყო სათანადო ფინანსების უქონლობის გამო. ამის მიუხედავად უნივერსიტეტები გადატვირთულია. სასწავლებლებში დაბალი ანაზღაურების გამო, შეიმჩნევა კადრების დიდი დენადობა. აუცილებელი ფინანსური დახმარების უქონლობასთან ერთად, აფრიკულ უნივერსიტეტებს სხვა სიმწლეებიც აქვთ. კერძოდ აქ დაურეგულირებელია ხარისხების სისტემა, აგრეთვე არ არის სამართლიანობა პედაგოგთა კარიერულ წინსვლაში. ხშირად მხედველობაში არ მიიღება პედაგოგთა პროფესიული დამსახურება. ეს ხშირად იწვევს უკმაყოფილების გამომხატველ პროტესტებს, არც თუ იშვიათად გა-

ფიცვებს.

აფრიკის მოსახლეობა 1 მილიარდამდეა. ამ კონტინენტზე მოსახლეობის ზრდის ტემპი ყველაზე მაღალია მსოფლიოში: 2004 წელს მან 2,3% შეადგინა. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 39-დან 54 წლამდე გაიზარდა.

მოსახლეობა, ძირითადად, ორი რასის წარმომადგენლებისაგან შედგება: ნეგროიდები, რომლებიც საჰარის სამხრეთით ცხოვრობენ და ევროპეიდები, რომლებსაც ჩრდილო აფრიკის ტერიტორია უკავიათ (არაბები). სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ცხოვრობენ ბურები და ანგლოსამხრეთაფრიკელები. შედარებით მრავალრიცხოვანი ხალხები არიან ჩრდილოაფრიკელი არაბები.

კონტინენტის კოლონიური ათვისების დროს ბევრი სახელმწიფო საზღვარი ისე გაავლეს, რომ არავითარი ანგარიში არ გაუწიეს ეთნიკურ თავისებურებებს, რაც დღემდე ეთნიკური კონფლიქტების მიზეზად რჩება.

აფრიკაში მოსახლეობის სიმჭიდროვე არის 30,5 ადამიანი 1 კვ. კმ-ზე. ეს ბევრად ნაკლებია, ვიდრე ევროპასა და აზიაში.

ურბანიზაციის დონით აფრიკა ჩამორჩება სხვა რეგიონებს - 30% ნაკლებია, თუმცა ურბანიზაციის ტემპი აქ ყველაზე მაღალია. ბევრი აფრიკული ქვეყნისათვის დამახასიათებელია ყალბი ურბანიზაცია. აფრიკის კონტინენტზე ყველაზე მსხვილი ქალაქებია ქაირო და ლაგოსი.

რელიგია აფრიკაში.

მსოფლიო რელიგიათა შორის აფრიკაში უპირატესად ორი რელიგიაა გავრცელებული - ისლამი და ქრისტიანობა (ყველაზე ფართოდ გავრცელებული კონფესიებია კათოლიკობა, პროტესტანტიზმი, ნაკლებად - მართლმადიდებლობა და მონოფიზიტობა). აღმოსავლეთ აფრიკაში აგრეთვე ცხოვრობენ ბუდისტები და ინდუსები (ბევრი მათგანი ინდური წარმოშობისანი არიან). არიან აგრეთვე ტრადიციული აფრიკული რელიგიების მიმდევრებიც (იფა ან ბვიტა).

კულტურის თვალსაზრისით, აფრიკა ორ ძირითად რეგიონად იყოფა - ჩრდილო აფრიკა და საჰარის სამხრეთი აფრიკა. ჩრდილოეთ აფრიკაზე მნიშვნელოვანი გავლენები მოახდინა ევოპამ და მცირე აზიამ, მაშინ, როდესაც საჰარის სამხრეთი დიდხანს ინარჩუნებდა თვითმყოფადობას.

რაც შეეხება ლიტერატურას, რაც განათლების ერთ-ერთი საყრდენი და მაჩვენებელია, თვითონ აფრიკელები მასში მოიაზრებენ, როგორც წერით, ისე ზეპირ ლიტერატურულ ნიმუშებს.

ზეპირი ლიტერატურა არსებობს როგორც სალექსო ფორმით, ისე პროზის სახით. პოეზია, ძირითადად, სასიმღერო ფორმისაა და მოიცავს საკუთრივ ლექსებს, ეპოსს, რიტუალურ, საქებად, სასიყვარულო სიმღერებს და სხვ. პროზას, მეტწილად, წარსულის შესახებ იქმნებოდა და მოიცავდა მითებსა და ლეგენდებს.

პირველი წერილობითი ლიტერატურა აფრიკაში დაფიქსირებულია ეგვიპტის პაპირუსებზე. აქ ლიტერატურა იქმნებოდა, როგორც ეგვიპტურ, ისე ბერძნულ, ლათინურ და ფინიკიურ ენებზე.

კოლონიური პერიოდის აფრიკული ლიტერატურა ძირითადად მონობის თემას ეხება. პირველ ინგლისურენოვან ნაწარმოებად ითვლება ჯოზეფ ეფრახიმის "თავისუ-

ფალი ეთიოპია: ნარკვევები რასობრივი ემანსიპაციის შესახებ”, რომელიც 1911 წელს გამოიცა.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის თემა სულ უფრო ხშირად მუშავდებოდა კოლონიური პერიოდის დასასრულში. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აფრიკულმა ლიტერატურამ, გიგანტური ნაბიჯები გადადგა. გამოჩნდა ბევრი მწერალი, რომელთა ნაწარმოებებმა ფართო აღიარება მოიპოვეს. ნაწარმოებები იწერება როგორც ევროპულ, ძირითადად ფრანგულ, ინგლისურ და პორტუგალურ, ისე ავტოქტონურ აფრიკულ ენებზე.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის განათლების თავისებურებანი. განათლების სისტემა არაბეთში მოიცავს სამ ძირითად საფეხურს:

დაწყებითი განათლება (ექვსი წლის ხანგრძლივობით); საშუალო განათლება (ზოგადი და პროფესიულ-ტექნიკური) 3-დან 6 წლამდე ხანგრძლივობით; უმაღლესი განათლება ორიდან შვიდ წლამდე ხანგრძლივობით.

საშუალო განათლება.

სკოლაში დებულობენ ექვსი წლის ასაკის ბავშვებს. სკოლაში სწავლა სავალდებულოა 12 წლის ასაკის მიღწევამდე. სრული საშუალო განათლების ხანგრძლივობა 12 წელია.

დაწყებითი სკოლის დასრულების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად საჭიროა წარმატებით გაიარო რთული საგამოცდო სისტემა. დაწყებითი სკოლის კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნახევარი განაგრძობს სწავლას საშუალო სკოლაში. კიდევ უფრო მცირე ნაწილი ახერხებს უნივერსიტეტებში შესვლას.

უმაღლესი განათლება.

ეგვიპტის უმაღლესი სკოლის სისტემა აერთიანებს 150 სასწავლო დაწესებულებას, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სპეციალისტების მომზადების დონითა და პროფილით. ამ სისტემაში თავმოყრილია უნივერსიტეტები და სპეციალიზებული ინსტიტუტები, აგრეთვე 100-ზე მეტი პედაგოგიური კოლეჯი, ტექნიკური სკოლა და ინსტიტუტი, რომლებიც ახორციელებენ სპეციალისტების მომზადებას საშუალო სპეციალური განათლების დონეზე.

როგორც დამოუკიდებელი რგოლი, ეგვიპტეში არ არის საშუალო სპეციალური მომზადების დარგი.

სასწავლო დაწესებულებები, ახორციელებენ ახალგაზრდობის მომზადებას სპეციალური მომზადების დონეზე ორი-სამწლიანი სწავლების ფორმატში. ამის შემდეგ გასცემენ დიპლომს სპეციალობის მითითებით და ანიჭებენ კვალიფიკაციას.

უნივერსიტეტებსა და ინსტიტუტებში მიღება ხორციელდება სასკოლო მომზადების პროფილის გათვალისწინებით.

ინსტიტუტებში მიიღებიან ის პირები, ვისაც აქვს სრული საშუალო პროფესიულ-ტექნიკური განათლების მოწმობა და წარმატებით ჩააბარებს მისაღებ გამოცდებს. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულებთან ერთად ინსტიტუტში მიიღებიან, აგრეთვე, პედაგოგიური სასწავ-

ლებლების კურსდამთავრებულებიც.

უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადებაში მთავარი როლი აკისრია უნივერსიტეტებს, სადაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 80% სწავლობს. ეგვიპტის უნივერსიტეტებში მიღებული ცოდნა ევროპის ბევრ სამეცნიერო ცენტრის მიერაა აღიარებული.

14 სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლობს 700 ათასი სტუდენტი. ამას გარდა, აქ მოქმედებს ამერიკული უნივერსიტეტი ქაიროში, რომელიც განმანათლებელმა მისიონერებმა დაარსეს, აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების აკადემია.

ეგვიპტის მსხვილი უნივერსიტეტებია ქაიროს, აინ-შამას, ალექსანდრიის და ალ-აზხარის მუსულმანური უნივერსიტეტი. ეს უკანასკნელი დაარსდა X საუკუნეში და მსოფლიოს უძველეს მუსულმანურ უნივერსიტეტად ითვლება.

პირველი თანამედროვე საერო უნივერსიტეტი ეგვიპტეში 1907 წელს გაიხსნა.

სახელმწიფო უნივერსიტეტებთან ერთად, ქვეყანაში არსებობს ათეულობით პედაგოგიური, ტექნიკური, კომერციული და სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლო დაწესებულება. 1996 წელს გაიხსნა ოთხი კერძო უნივერსიტეტი.

უნივერსიტეტებში სწავლება სამი თანამიმდევრობითი ეტაპისაგან შედგება.

პირველი ეტაპი - ძირითადია, სადაც ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო და ზოგადპროფესიული მომზადება, სრულდება ბაკალავრის ხარისხის მინიჭება და შესაბამისი დიპლომის გაცემა, სადაც მითითებულია სწავლების პროფილი.

სწავლების ხანგრძლივობა ჰუმანიტარული პროფილისათვის ოთხ წელს შეადგენს, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებები - სათმის - ხუთი წელი. მედიცინის ბაკალავრის დიპლომი გაცივმა შვიდწლიანი კურსის დასრულების შემდეგ.

უმაღლესი სასწავლებლების დამთავრების სხვა დოკუმენტების დონე განისაზღვრება ბაკალავრის დიპლომისაგან დამოკიდებულების მიხედვით. მაგალითად, ბაკალავრის დიპლომის ექვივალენტურად არის მიჩნეული უმაღლესი პედაგოგიური ინსტიტუტის დიპლომი, აგრეთვე დაგეგმვის უმაღლესი ინსტიტუტის დიპლომი.

უნივერსიტეტებში სწავლების მეორე და მესამე ეტაპები განეკუთვნება დიპლომის შემდგომ განათლებას.

მეორე ეტაპი - სპეციალიზაცია და ინდივიდუალური კვლევითი მუშაობა - გრძელდება ორი წლის განმავლობაში ბაკალავრის დიპლომის მიღების შემდეგ. პირველი წელი თეორიული დისციპლინების შესწავლას ეთმობა, მეორე კი კვლევით საქმიანობას. ეტაპი მთავრდება მაგისტრის ხარისხის მინიჭებით. იმ პირებს, რომლებსაც ბაკალავრის დიპლომი აქვთ, ერთი წლის დამატებითი მომზადების შემდეგ შეუძლიათ მიიღონ სპეციალიზაციის დიპლომი განსაზღვრულ პროფესიულ დარგში.

საუნივერსიტეტო განათლების მესამე ეტაპი, რომელიც არანაკლებ ორი წელი გრძელდება მაგისტრატურაში სწავლის დასრულების შემდეგ, წარმოადგენს გაღრმავებულ სპეციალიზაციას. მესამე ეტაპზე გაწეული კვლევითი მუშაობის შედეგების განზოგადების საფუძველზე ფორმდება სადოქტორო დისერტაცია, რომელსაც სპეციალიზებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე იცავენ. დისერტაციის დაცვა სრულდება ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მინიჭებით, სადაც მითითებულია მომზადების პროფილიც.

ეგვიპტის უნივერსიტეტები საუნივერსიტეტო განათლების საგანმანათლებლო

პროგრამებს ახორციელებენ ყველა დონეზე, რითაც უზრუნველყოფენ ქვეყანას სპეციალისტებით. ისინი ამზადებენ როგორც სახელმწიფო მოსამსახურეებს (ჩინოვნიკებს), ისე თანამედროვე კვლევის მეთოდებით შეიარაღებულ სპეციალისტებს.

უნივერსიტეტები ეგვიპტეში მიაჩნიათ არაბული კულტურის აღორძინების და ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბების უმთავრეს საშუალებად. სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებსა და საგანმანათლებლო ინსტიტუტებთან ინტენსიური კულტურული და სამეცნიერო კონტაქტების ფონზე, მთავრობა უზრუნველყოფს უნივერსიტეტების დამოუკიდებლობას.

ყველა უნივერსიტეტს აქვს თავისი ბიუჯეტი და იგი იმართება საბჭოს მიერ, რომელსაც სათავეში უდგას უნივერსიტეტის პრეზიდენტი. ქვეყანაში ფუნქციონირებს უნივერსიტეტების უმაღლესი საბჭო, რომელსაც უმაღლესი განათლების მინისტრი ხელმძღვანელობს. ამ საბჭოს შემადგენლობაში შედიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, რომლებიც განსაზღვრავენ საუნივერსიტეტო განათლებას, სამეცნიერო კვლევების პოლიტიკას, კოორდინაციას უწევენ უნივერსიტეტების პროგრამებს, არეგულირებენ აბიტურიენტთა მიღების პრაქტიკას.

სახელმწიფო საგანმანათლებლო ინსტიტუტებში განათლება ყველა დონეზე უფასოა.

განათლების სისტემა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა შედარებით ახალგაზრდა სახელმწიფოა, რომელსაც რთული ისტორია და დღევანდელი აქვს. ამის მიუხედავად, "შავი კონტინენტის" ქვეყნებს შორის სწორედ მას აქვს მყარი ეკონომიკა, განვითარებული მრეწველობა, განათლების დარგის უკეთესი დაფინანსება. ქვეყანა ფინანსური ხარჯების 20% განათლების მოდერნიზაციაზე ხარჯავს, მათ შორის შეღავათიან სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარებაზე.

სასკოლო განათლება.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში დაწყებითი განათლება მოსამზადებელი კლასებით (R კლასით) იწყება, სადაც სწავლა სავალდებულო არ არის, მაგრამ უკანასკნელი წლების დინამიკა მიუთითებს ბავშვის განვითარებაში მისი როლის მზარდ მნიშვნელობაზე. პირველ კლასში ბავშვები 5,5-6 წლის ასაკში შედიან. დაწყებითი განათლება 9 კლასს მოიცავს და სავალდებულოდ ითვლება. იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფო დიდ ფინანსურ ზეგავლენას ახდენს განათლებაზე, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში განათლება მთლიანად უფასო მაინც არ არის: მოსწავლეთა მშობლები მაინც ვალდებული არიან გადაიხადონ განსაზღვრული თანხა განათლებისათვის, თუმცა უკანასკნელ წლებში კანონით დადგინდა იმ სკოლების სია, რომლებიც გაძლიერებულ ფინანსურ უზრუნველყოფას იღებენ და იქ სწავლის გადასახადი არ არის. ეს სია ყოველწლიურად იზრდება. ამრიგად, დაწყებითი განათლება 9 წელს მოიცავს და სამწლიან საფეხურებად არის დაყოფილი, რომლის თითოეული საფეხურის დამთავრებისას ტარდება ტესტირება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შემოწმების მიზნით. მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად გამოცდების ჩაბარება სავალდებულო არ არის.

სწავლების პროგრამები იმდენად სტანდარტულია, რომ განსაკუთრებული განსხვავებები არ შეიმჩნევა ცალკეულ საგანთა პროგრამებსა და სწავლების მეთოდებში.

თუმცა უნდა ითქვას, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 11 ოფიციალური ენაა. სახელმძღვანელოები ყველა ამ ენაზე გამოდის, იმის მიუხედავად, რომ სწავლების ძირითადი ნაწილი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს.

9 კლასიანი განათლების მიღების შემდეგ იწყება სწავლება საშუალო სკოლაში, რომელიც უფრო სპეციალიზებულია და საბუნებისმეტყველო საგნების გაღრმავებულ სწავლებას გულისხმობს. ასევე გაღრმავებულად ისწავლება უცხოური ენები. საშუალოსკოლები დაყოფილია რამდენიმე ტიპად, რომლებსაც კოლეჯებს უწოდებენ და პროფესიულ განათლებაზე არიან ორიენტირებულნი. 12 კლასის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები აბარებენ გამოცდებს საშუალო განათლების ნაციონალური ატესტატის მისაღებად, რაც უფლებას აძლევს მათ სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებელში.

კერძო სკოლების წილი სასკოლო განათლების სისტემაში 10-15%-ია. სახელმწიფო სკოლების მოსწავლეთა ჩაცმულობა და თმის ვარცხნილობა მკაცრად რეგლამენტირებულია, კერძო სკოლებში კი გარკვეულად ლიბერალური დამოკიდებულებები სჭარბობს, თუმცა აქაც ვალდებულნი არიან მოსწავლეები ანგარიში გაუწიონ სახელმწიფო სტანდარტებს.

სასწავლო წელი გრძელდება იანვრიდან ნოემბრის ბოლომდე.

უმაღლესი განათლება.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში 24 სასწავლო დაწესებულება არსებობს: 11 უნივერსიტეტი, 6 ტექნიკური ინსტიტუტი და 6 უმაღლესი პროფესიული განათლებისზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულება. უმაღლესში შესასვლელად აუცილებელია, რომ ნაციონალური ატესტატში მაპროფირებელ საგნებში უმაღლესი შეფასება ეწეროს. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებელში დამატებითი მოთხოვნებიც აქვთ: მაგალითად, მისაღები გამოცდების ჩაბარება, შესრულებული სამუშაოების პორტფელი, დეკანთან გასაუბრება და ა. შ. ხელმისაწვდომია სხვადასხვა სასწავლო პროგრამები სერტიფიკატის ან დიპლომის მისაღებად; ასევე ითქმის ბაკალავრის, მაგისტრის, ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხების მისაღებ პროგრამებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ განათლების ხარისხობრივი დონე, ისე როგორც სტუდენტთა რაოდენობა წლითიწილობით იზრდება. 24 უმაღლეს სასწავლებელს შორის არის რამდენიმე უნივერსიტეტი, რომლებმაც მსოფლიო დონეს მიაღწიეს, მაგალითად, ქეიფ-თაუნის, პრეტორიის ან ნელსონ მანდელას სახელობის უნივერსიტეტები.

უცხოელ სტუდენტებს უნივერსიტეტებში შესასვლელად მოეთხოვებათ სრული საშუალო განათლების დამადასტურებელი დიპლომი (საერთო ბალი 4), ასევე, სერტიფიკატები TOEFL-სა და IELTS-ს. მოთხოვნები განსხვავებულია კონკრეტული უნივერსიტეტისა და სპეციალობის გათვალისწინებით.

სწავლის გადასახადი მერყეობს სასწავლო პროგრამების დონეებთან დაკავშირებით, ამას გარდა, არსებობს სარეგისტრაციო მოსაკრებლები და სხვა აუცილებელი გადასახადები.

სასკოლო განათლება ურუგვაიში

სასკოლო განათლება ურუგვაიში სავალდებულოა ყველა ბავშვისათვის, მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი მიკუთვნებულობისა. ურუგვაიში წერა-კითხვის მცოდნე ახალგაზრდები შეადგენენ 97,7%-ს. ეს არის მაღალი მაჩვენებელი, თვით განვითარებულ ქვეყნებთან შედარებითაც კი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ურუგვაის განათლების სისტემა საკმაოდ ეფექტურია.

ურუგვაელ სკოლის მოსწავლეებს აცვიათ დიდი ლურჯბაფთიანი თეთრი ხალათები. ურუგვაიში ბავშვები სწავლობენ 4 საათს დღეში, სადილამდე და სადილობის შემდეგ. შემოკლებული სასწავლო დღე იმას ნიშნავს, რომ ბავშვს საშუალება აქვს დაისვენოს, სპორტში იმეცადინოს, ფიზიკური აქტივობანი განახორციელოს, თანატოლებთან იურთიერთოს. ამ აზრით, ურუგვაის საგანმანათლებლო სისტემა სასიკეთოდ გამოირჩევა ჩრდილო ამერიკის საგანმანათლებლო სისტემისაგან, კერძოდ, კანადის განათლების სისტემისაგან. კანადაში პატარები, პირველი კლასიდანვე სკოლაში სწავლობენ 9 საათიდან ოთხის ნახევრამდე. ამ ასაკის ბავშვები ასეთი ხანგრძლივი მეცადინეობებისათვის ჯერ კიდევ მზად არ არიან. ასეთი ხანგრძლივი სასწავლო დღე არაეფექტურია. ბავშვები ვერ ასწრებენ დასვენებას, თამაშს, უბრალოდ სუფთა ჰაერზე ყოფნას, საჭირო ფიზიკურ აქტივობას. ამგვარი მდგომარეობით არის განპირობებული ჩრდილოამერიკელ ბავშვებში ბევრი სამედიცინო პრობლემის არსებობა, მაგალითად, ფართოდ გავრცელებული აუტიზმი.

საინტერესოა ურუგვაის საგანმანათლებლო სისტემისათვის დამახასიათებელი ერთი ფაქტი: ყოველ მოსწავლეს უფასოდ ეძლევა პორტატიული კომპიუტერი, რომელიც ინტერნეტის ქსელშია ჩართული. ამ მხრივ ურუგვაი ერთადერთი ქვეყანაა მსოფლიოში. მას ფეხდაფეხ მისდევს კუბა. ეკონომიკური თვალსაზრისით სახელმწიფოს ასეთი გულუხვობა გაუგებარია. ურუგვაი და კუბა მესამე სამყაროს ღარიბი ქვეყნები არიან. ამერიკასა და კანადაში მხოლოდ ზოგიერთ კერძო სკოლაში მოახერხეს უფასო პორტატიული კომპიუტერების დარიგება მოსწავლეთათვის.

ურუგვაის სკოლებში სწავლობენ ესპანურ ენას, მათემატიკას, ისტორიას (მთავარი აქცენტი ურუგვაის ისტორიაზე კეთდება) და მეცნიერებას, რომელიც მოიცავს ქიმიას, ფიზიკას და სხვა საგნებს. გარკვეული ყურადღება ეთმობა ხელოვნებასა და ფიზიკურ კულტურას (ფიზგანათლებას).

დისციპლინის პრობლემები ურუგვაის სკოლებში არც ისე მწვავედ დგას, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, სადაც ზოგიერთ სკოლაში იძულებულნი არიან პოლიციელების მორიგეობა შემოიღონ, რომელებიც ხელბორკილებით არიან შეიარაღებულნი. აშშ-ს სკოლებში იყენებენ მეტალის საძიებელ ხელსაწყოებს, რათა სკოლაში მოსწავლეთა მიერ შემოტანილი ცივი და ცეცხლსასროლი იარაღადმოაჩინონ.

ურუგვაის სკოლებში მასწავლებლები შემოიფარგლებიან ზნეობრივი შინაარსის ლექციებით. მოსწავლეთა ფიზიკური დასჯა, რა თქმა უნდა, დაუშვებელია. ყოველ დილით მასწავლებელი მოსწავლეს პირზე კოცნით ხვდება და ასევე ხვევნა-კოცნით ემშვიდობება სასწავლო დღის ბოლოს.

ხვევნა-კოცნა ერთობ ფართოდ არის გავრცელებული მთელ ლათინურ ამერიკაში, რაც, შეიძლება, არც ისე დადებითად ფასდებოდეს ჩრდილო ამერიკის ქვეყნებში, იმის მიუხედავად, რომ ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლები სწორედ იქ დამუშავდა გასუ-

ლი საუკუნის შუა ხანებში.

ურუგვაის საზოგადოებრივ სკოლებში შეიძლება კლასები დიდი ზომისა იყოს. კანონის მიხედვით, თუ კლასში 39 მოსწავლეზე მეტია, მაშინ საჭიროა მეორე მასწავლებელიც, ანუ კლასი უნდა გაიყოს. ბევრი სკოლა ურუგვაიში გამოყენებულია, როგორც სტაჟირების ადგილი, სადაც პედაგოგიური კოლეჯის სტუნდეტები ერთწლიან სტაჟირებას გადიან გამოცდილი პედაგოგების ხელმძღვანელობით. აქ ერთმანეთს ერწყმის ახალგაზრდული ენთუზიაზმი და გამოცდილების სიბრძნე, რაც ურუგვაის სკოლის სასიკეთოდ გამოიყენება.

ურუგვაის ყოველ სკოლაში არის მშობელთა საბჭო. ამ ქვეყნის განათლების სისტემის ნაკლი ის არის, მასწავლებლებს დაბალი ხელფასები აქვთ, ამიტომ ბევრი მასწავლებელირამდენიმე სკოლაში მუშაობს შეთავსებით. ამის გამო მოსწავლეებს აკლდებათ ყურადღება, რაც სასიკეთოდ არ აისახება მათ განათლებულობაზე.

ავსტრალიის განათლების სისტემა

ავსტრალია არის სახელმწიფო, რომელსაც მთელი კონტინენტი უკავია, მაგრამ ათვისებული მხოლოდ ერთი მესამეა. ეს ქვეყანა დღემდე რჩება სურვილის სინონიმად, ზღაპრულ მიწად, სამოთხედ დედამიწაზე. თავისი უნიკალური ბუნებითა და შესანიშნავი კლიმატით, ცხოვრების მაღალი დონითა და მრავალწახნაგოვანი კულტურით, იგი ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ქვეყანაა მსოფლიოში. ავსტრალიის განათლების სისტემა ჩამოყალიბდა ბრიტანული განათლების სისტემის მიხედვით, ამიტომ მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში იგი ითვლება მაღალხარისხიანი სწავლების კლასიკურ ნიმუშად. ავსტრალიის სასწავლო დაწესებულებათა დიპლომები საყოველთაოდ არის აღიარებული. ამასთან, ავსტრალიის საგანმანათლებლო სისტემას აქვს ზოგიერთი ისეთი თავისებურება, რაც სწავლებას უფრო მეტ მოქნილობას ანიჭებს და სხვაზე უკეთ პასუხობს დამსაქმებელთა თანამედროვე მოთხოვნებს.

ავსტრალიაში ფუნქციონირებს 40 უნივერსიტეტი და 350-ზე მეტი კოლეჯი, რამდენიმე ათასი სახელმწიფო და კერძო სკოლა, 500-მდე ინგლისური ენის შემსწავლელი ცენტრი. ავსტრალიას მსოფლიოში მესამე ადგილი უკავია უცხოელი სტუდენტების რაოდენობის მიხედვით. მას მხოლოდ აშშ და დიდი ბრიტანეთი უსწრებენ. მოსახლეობის განათლების დონის მიხედვით, ავსტრალია მესამეა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა შორის. სწავლების საფასური ავსტრალიაში 40%-ით უფრო იაფია, ვიდრე დიდ ბრიტანეთში და 15-20% უფრო ნაკლები ვიდრე კანადაში.

სკოლები ავსტრალიაში.

საშუალო განათლება ავსტრალიაში 12 წლიანი ხანგრძლივობისაა. სკოლაში სწავლება იწყება 5 წლის ასაკიდან, 6-7 წელი დაწყებით განათლებას ეთმობა. 11-12 წლის ასაკის ბავშვები გადადიან საშუალო სკოლის საფეხურზე, სადაც კიდევ 6-7 წელი სწავლობენ (სხვადასხვა შტატში სწავლის ხანგრძლივობა სხვადასხვაა). ეს პერიოდი მოიცავს სასკოლო განათლების ბოლო საფეხურსაც XI-XII კლასებს, რომლის დამთავრების შემდეგ მოზარდებს შეუძლიათ სწავლა განაგრძონ კოლეჯში ან უნივერსიტეტში. ავსტრალიის თითოეულ შტატში მოქმედებს ატესტაციის საკუთარი სისტემა, აქვთ საკუთარი ტიპის დიპლომები სრული საშუალო განათლების შესახებ.

ავსტრალიაში სასწავლო წელი იწყება იანვარში და მთავრდება დეკემბერში, თუმცა შესაძლებელია სკოლაში მოსწავლეთა მიღება შუა სასწავლო წელს. სასწავლო წელი იყოფა სემესტრებად. წელიწადში ოთხი სემესტრია და თითოეული მათგანი 12 კვირა გრძელდება.

სკოლის ბოლო ორ კლასში (XI-XII კლასებში) სწავლებას თავისებურება ახასიათებს, რამდენადაც პროგრამა მოწოდებულია მოამზადოს მოსწავლეები უმაღლეს სასწავლებლებსა და კოლეჯებში შემდგომი სწავლისათვის. სასწავლო დისციპლინები იყოფა ე. წ. საკვანძო და არჩევით საგნებად. სავალდებულოდ ითვლება ინგლისური ენა, მათემატიკა, საზოგადოებრივი მეცნიერებები და მეცნიერებები გარემოს შესახებ, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული მეცნიერებანი, უცხოური ენა, პიროვნული განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესი და ფიზიკური აღზრდა.

ავსტრალიაში სახელმწიფო სკოლების გვერდით მოქმედებს 950 კერძო სკოლა, სადაც ძირითადად უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები სწავლობენ. ბევრი სკოლაპანსიონის ტიპისაა, სადაც ბავშვები არა მარტო სწავლობენ, არამედ ცხოვრობენ კიდევ. ისინი სახლში მიდიან მხოლოდ გამოსასვლელ დღეებსა და არდადეგებზე.

ქვეყანაში არის აგრეთვე 35 საერთაშორისო საშუალო სკოლა, რომლის კურსდამთავრებული ღებულობს საერთაშორისო ბაკალავრის დიპლომს. საერთაშორისო სახის დოკუმენტი უფლებას აძლევს მის მფლობელს სწავლა განაგრძოს არა მარტო ავსტრალიის, არამედ ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და აზიური ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

ავსტრალიური სკოლები უცხოელ მოსწავლეებს ღებულობენ მე-6 კალსიდან. ამ სკოლებში შემსვლელთა მიმართ უმთავრესი მოთხოვნაა ინგლისური ენის კარგი ცოდნა. ბევრ სკოლებთან არსებობს სპეციალური ენის შემსწავლელი პროგრამები. ამ პროგრამის შესრულების შემსეგ მოსწავლე იწყებს ძირითად საგნებში მეცადინეობას.

მოსამზადებელი პროგრამები.

მოსამზადებელი პროგრამები ავსტრალიის სკოლებში, არის ერთგვარი ხიდი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელს შორის. ამ პროგრამების მიზანია უზრუნველყოს უცხო ქვეყნის სტუდენტების მოხვედრა ავსტრალიის უმაღლეს სასწავლებლებში. ასეთი პროგრამები ხორციელდება კონკრეტულ უმაღლეს სასწავლებლებთან და, ცხადია, ამ სასწავლებლის მოთხოვნებს ითვალისწინებს.

პროგრამა მოიცავს სამ აუცილებელ კომპონენტს: ინგლისური ენა, სპეციალური დისციპლინები და განსაკუთრებული საგანი, რომლის ანალოგი სხვა ქვეყნებში არ არის - სწავლის ჩვევების გამომუშავება.

მოსამზადებელი პროგრამის ფარგლებში ენის სწავლებას ორი მიზანი აქვს:

- პირველი, დაეხმაროს იმ სტუდენტებს, რომლებმაც საერთაშორისო გამოცდებზე ვერ მოაგროვეს საჭირო რაოდენობის ქულები, მოამზადოს ისინი სათანადო დონეზე (ამ შემთხვევაში გამოცდებზე განმეორებით გასვლა საჭირო არ არის).
- მეორე, მოამზადოს სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის, დაეხმაროს მათ სპეციალური ტერმინების ათვისებაში პროფილური დისციპლინის ფარგლებში.

სპეციალური დისციპლინების რიცხვში, ჩვეულებრივ, მოიაზრება სავალდებულო მათემატიკა და იმ საგნების ჯგუფი, რომელიც არჩეული პროფესიის პროფილს განსაზღვრავს. მაგალითად, მედიცინის დარგისათვის ეს იქნება ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ბიზნესისათვის - ბუღალტერიისა და მენეჯმენტის საფუძვლები და ა. შ.

რაც შეეხება აკადემიურ წერას, ამ საგნის ფარგლებში ისწავლება კონსპექტების წერა, ესესა და მოხსენებების შედგენა, ლექსიკონით მუშაობა, პროექტების მომზადება და დაცვა. ერთი სიტყვით, სკოლის კურსდამთავრებულს ასწავლიან სწავლას, თვალსაჩინოდ უჩვენებენ, თუ როგორი იქნება მისი სწავლება უმაღლეს სასწავლებელში.

ხშირად, მოსწავლეთა მომზადება ხორციელდება უნივერსიტეტების ტერიტორიაზე. ეს ხელს უწყობს საუნივერსიტეტო ცხოვრებასთან მოსწავლის დაახლოებას, მითუფრო, რომ მოსწავლეებს საშუალება აქვთ ისარგებლონ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკებით, კომპიუტერული დარბაზებით, სპორტული ნაგებობებით.

კოლეჯების სისტემა ავსტრალიაში.

ავსტრალიური განათლების სისტემის მიღწევად ითვლება საშუალო პროფესიული განათლების განშტოებული ქსელის ჩამოყალიბება. ერთ მილიონზე მეტი სტუდენტი ყოველწლიურად სწავლობს საშუალო პროფესიული მომზადების პროგრამით ამგვარ ქსელში, მათ შორის 38 ათასი უცხოელია. სპეციალობათა სპექტრი ძალიან ფართოა და ბევრ მიმართულებას მოიცავს - ბუღალტერიიდან დაწყებული სამაცივრო დანადგარების რემონტამდე, საზღვაო ტურიზმიდან კოსმეტოლოგიამდე.

კოლეჯში სწავლების პროგრამა მოქნილი და მრავალსაფეხურიანია. პროფესიული მომზადების პროგრამა ეტაპებად იყოფა, რომლის თითოეული საფეხურის დამთავრების შემდეგ სტუდენტი ღებულობს სათანადო დოკუმენტს (სერტიფიკატს): IV ხარისხის პროფესიულ სერტიფიკატს სასწავლო წლის პირველი ნახევრის დამთავრებისას ღებულობს სტუდენტი, პროფესიული დიპლომი გაიცემა 1-2 წლიანი კურსის გავლის შემდეგ და, ბოლოს, მაღალი დონის დამადასტურებელ დიპლომს კოლეჯის სტუდენტები ორსამწლიანი კურსის გავლის შემდეგ მიიღებენ. თვით პირველივე დოკუმენტის მიღების შემდეგ, სტუდენტს უფლება აქვს ეძებოს შესაბამისი სამუშაო თავისი სპეციალობის მიხედვით. სწავლების პირველი წლის დამთავრების შემდეგ კოლეჯის სტუდენტს შეუძლია როგორც სწავლის გაგრძელება იმავე კოლეჯში, ისე უნივერსიტეტში შესვლა, თანაც მეორე კურსზე.

სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების ქსელის პარალელურად, ავსტრალიაში არის კერძო კოლეჯების ქსელიც.

უნივერსიტეტები ავსტრალიაში.

ავსტრალიის თითქმის ყველა უნივერსიტეტი სახელმწიფოს საკუთრებაა, მხოლოდორი მათგანი ეკუთვნის კერძო მფლობელებს. მთელ ქვეყანაშია გაფანტული 180 უნივერსიტეტების კორპუსები. ზოგი მათგანი შტატების დედაქალაქებში მდებარეობენ, ზოგი კი ლამაზ გარეუბნებსა და მსხვილ პროვინციულ ქალაქებში.

უმაღლესი განათლების ავსტრალიური სისტემა, ისევე როგორც სხვა ინგლისურენოვან ქვეყნებში, მრავალსაფეხურიანია. მისი მაღალი ეფექტიანობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში ეს სისტემა ინერგება ევროკავშირის ქვეყნებში და თვით რუსეთშიც კი.

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურია ბაკალავრიატი, რასაც ავსტრალიაში ათასობით სპეციალისტი წარმოადგენს. უცხოელ სტუდენტებს უმაღლეს სასწავლებლებში მხოლოდ დღის სწავლების განყოფილებებზე ღებულობენ. იგი განისაზღვრება 3 წლის ვადით. ზოგიერთ სპეციალობაზე სწავლის ხანგრძლივობა შეიძლება 4, 5 და 6 წელიც კი იყოს. ინგლისური ენის ცოდნისადმი მოთხოვნა ძალიან მაღალია, თუმცა არის ერთი "შემამსუბუქებელი გარემოება": არასაკმარისი ქულების დაგროვების შემთხვევაში შეიძლება ნება დაერთოს სტუდენტს პირობითად ჩაირიცხოს უმაღლესში, გაიაროს ენობრივი კურსი და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგეს აკადემიურ მეცადინეობებს და ინგლისურ ენაში აღარ გაიაროს განმეორებითი ტესტირება.

ძალიან პოპულარულია ავსტრალიაში ე. წ. "ორმაგი ხარისხი". მაგალითად, ოთხწლიანი კურსის გავლის შემდეგ სტუდენტს შეუძლია მიიღოს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ბიზნესის, ან ვაჭრობის სამართლისა და კომერციის ბაკალავრის ხარისხი. ამ უნიკალურ პროფესიებზე (სპეციალობებზე) მოთხოვნა შრომის ბირჟაზე ძალიან

მაღალია.

სტუდენტმა თუ მაღალ აკადემიურ წარმატებებს მიაღწია, მას ენიჭება ფრიადოსანი ბაკალავრის წოდება. ამ ხარისხის მიღება მაშინ შეიძლება თუ სწავლის პერიოდს ერთი წლით გაიხანგრძლივებ. "ფრიადოსანი" გარკვეული უპირატესობით სარგებლობს საოსტატო პროგრამებში ჩართვისას და შრომითი მოწყობის დროს.

შემდეგი საფეხურია უმაღლესის შემდგომი განათლება. იგი შეიძლება ნახევარი წელი ან ერთი წელი გაგრძელდეს, რომლის დამთავრების შემდეგ სტუდენტი ღებულობს უმაღლესის შემდგომი განათლების დამადასტურებელ დიპლომს; სტუდენტი კიდევ თუ განაგრძობს სწავლას, მაშინ 1,5 ან 2 წლიანი კურსის გავლის შემდეგ მას მიენიჭება მაგისტრის ხარისხი.

იმათთვის, ვისაც აქვს ფრიადოსანი ბაკალავრის ხარისხი, სამაგისტრო პროგრამა შეიძლება შემცირდეს ერთი წლით. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ ბაკალავრის ხარისხის მქონეს შეუძლია სამაგისტრო პროგრამა გაიაროს, როგორც თავის პროფესიაში, ისე სხვაშიც, რომელიც გარკვეულ კავშირშია ბაკალავრიატში მიღებულ სპეციალობასთან. მაგალითად, ბიზნეს-ფაკულტეტის კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში საზოგადოებასთან ურთიერთობის განხრით, ელექტრო ინჟინერს კი შეუძლია ისწავლოს საინფორმაციო ტექნოლოგიის სპეციალობაზე. ეს ეხება უცხოელსტუდენტებსაც, რომლებსაც აკადემიურ წარმატებებთან ერთად მოეთხოვებათ ინგლისური ენის სრულყოფილი ცოდნა.

უმაღლეს სასწავლებელში ზოგიერთ პროგრამაზე მოხვედრისათვის აუცილებელია მუშაობის გარკვეული გამოცდილება. ამ გამოცდილებას ზოგჯერ ბაკალავრის დიპლომის მაგივრობის გაწევაც კი შეუძლიათ.

სამაგისტრო პროგრამები სამი სახისაა: პროფესიული სპეციალიზაცია; იგივე, მაგრამ დისერტაციის დაცვით; კვლევითი მუშაობა დისერტაციის დაცვით.

სწავლების მესამე, ბოლო ეტაპია (საფეხურია) სადოქტორო პროგრამები. ესეც იყოფა ორი ტიპის პროგრამებად: პირველი პირდაპირ ანალოგიურია ჩვენში წარსულში არსებული ასპირანტურისა: მაძიებელი სამი წლის განმავლობაში ეწევა კვლევით საქმიანობას, წერს დისერტაციას და მისი დაცვის შემდეგ ღებულობს ხარისხს. დასავლეთის ქვეყნებში დოქტორის ხარისხს ნებისმიერ დარგში ფილოსოფიის დოქტორი ეწოდება. მეორეს გამოყენებითი ხასიათი აქვს და მისი მიზანია კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენება.

სასწავლო წელი გრძელდება თებერვლიდან ნოემბრამდე და ორ სემესტრად იყოფა. ზოგიერთ უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ ზაფხულის არდადეგები, რომელიც დეკემბრიდან თებერვლამდე გრძელდება. სწორედ ამ დროს მუშაობენ საზაფხულო ენობრივი სკოლები უცხოელთათვის. წელიწადში ორი საარდადეგო პერიოდი არსებობს: ხანმოკლე - თვეზე ნაკლები ივნის-ივლისში და ხანგრძლივი - სამი თვე, ნოემბრიდან თებერვლამდე. ასევე, მოკლევადიანი შესვენებები ეძლევათ შუალედური გამოცდების შემდეგ და დღესასწაულებზე.

ავსტრალიის ყველა სასწავლო დაწესებულება (არა მარტო უმაღლესი) - კერძოც და სახელმწიფოებრივიც ფუნქციონირებენ განათლების სამინისტროს კონტროლქვეშ და იცავენ სწავლებისა და სწავლის მაღალ სტანდარტებს.

ავსტრალიაში, მიუხედავად ზემოთქმულისა, გამოიყოფა საუკეთესო უნივერსიტეტების ჯგუფი, ე. წ. "რვიანის ჯგუფი", რომელშიც შედიან: ავსტრალიის ნაციონალური

უნივერსიტეტი, მონასის უნივერსიტეტი, ადელაიდის უნივერსიტეტი, მელბურნის უნივერსიტეტი, ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი, კვინსლენდის უნივერსიტეტი, სიდნეის უნივერსიტეტი, დასავლეთ ავსტრალიის უნივერსიტეტი. ესენი არიან უძლიერესი უნივერსიტეტები, რომლებიც მუდამ საპატიო ადგილზე ჩანან მსოფლიო უნივერსიტეტთა რეიტინგებში. სამი მათგანი - მელბურნის უნივერსიტეტი, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტი და კვინსლენდის უნივერსიტეტი - უნივერსიტეტების საერთაშორისო კონსორციუმის წევრები არიან (იქ სულ 21 უნივერსიტეტია გაერთიანებული).

ფართო საგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად ეს უნივერსიტეტები ეწევიან უზარმაზარ კვლევით მუშაობას და ავსტრალიური მეცნიერების ცენტრებს წარმოადგენენ.

ბიზნეს-სკოლები.

ავსტრალიის გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ აქ ხორციელდება უაღრესად მრავალფეროვანი ბიზნეს-პროგრამების და ბიზნეს-ფაკულტეტებს მნიშვნელოვანი ავტორიტეტი აქვთ საერთაშორისო მასშტაბით, ამასთან ავსტრალია დამაკავშირებელი ხიდია აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ქმნის იმის წანამძღვარებს, რომ ავსტრალიის განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ბიზნეს-განათლებამ. დამახასიათებელია ის, რომ ბიზნეს-სპეციალობები ხშირად ისწავლება სპეციალურ სკოლებსა და ცენტრებში, რომლებიც უნივერსიტეტებთან არსებობს.

ყველა პროგრამა მოიცავს როგორც საბაზრო დისციპლინებს (ეკონომიკა, ფინანსები, საბუღალტრო აღრიცხვა, მარკეტინგი, სტატისტიკა და ა. შ.), ასევე არჩევითს. მაგალითად, საქმიანი ქალაქების ბაზარი ან მართვის ფსიქოლოგია და ა. შ.

ბიზნეს-სკოლები სთავაზობენ მთელ რიგ ტრადიციულ ეკონომიკურ სპეციალობებს. მაგალითად, საფინანსო მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა და სხვ. აგრეთვე, სთავაზობენ პოპულარულ კომბინირებულ სწავლების პროგრამებს, როგორც არის ეკონომიკა და კომპიუტერული ტექნოლოგიები, ფინანსები და სამართალი და სხვ.

ენობრივი სკოლები ავსტრალიაში.

ყოველწლიურად 45 ქვეყნის 35 ათასი სტუდენტი ჩადის ავსტრალიაში ინგლისური ენის შესასწავლად. ავსტრალიაში არის 200-ზე მეტი ენის შემსწავლელი სკოლა, რომლებიც მზად არიან უცხოელ სტუდენტებს მრავალფეროვანი კურსები შესთავაზონ ინგლისური ენის შესწავლის პროგრამის ფარგლებში.

ქვეყანაში არის, როგორც დამოუკიდებელი კერძო ენობრივი სკოლები, ასევე უნივერსიტეტებთან არსებული სკოლები და კოლეჯები. ყველა ეს სასწავლებლები მუშაობენ ერთიანი პროგრამებით.

სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში

ჩვენს საზოგადოებაში არასწორი წარმოდგენაა დამკვიდრებული სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის თაობაზე. კერძოდ, მიჩნეულია, რომ ჩვენი ტრადიციული სასკოლო განათლება ცალსახად ანტიდემოკრატიული იყო, ხოლო განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი სანიმუშო დემოკრატიული საგანმანათლებლო სისტემებია. უცხოელ მეცნიერთა ნაშრომებისა და სასკოლო პრაქტიკის შესახებ არსებული ინფორმაციის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ეს ასე არ არის.

ამას რამდენიმე მიზეზი აქვს, მათ შორის, ცხადია, სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორებიც იგულისხმება, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ჯერ ერთი, სასკოლო განათლების დემოკრატიზაცია რაიმე ერთჯერადი ამოცანა არ არის. იგი განუწყვეტელი პროცესია და, მეორე, დემოკრატიზაციის ცნების გაგებაში ერთიანობა სულაც არ არის მსოფლიოში.

სწორედ ამიტომ, სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების საზოგადოების ყურადღების ცენტრში კვლავაც რჩება. ამ პრობლემის განხილვაში აქტიურად მონაწილეობენ როგორც პროფესიონალი მეცნიერი პედაგოგები, ისე პოლიტიკური პარტიების, პროფკავშირების, მშობელთა ასოციაციის წარმომადგენლები. ისეთი კლასიკური დემოკრატიის ქვეყანაში, როგორც საფრანგეთია, სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემაზე აქტიურად მუშაობენ გავლენიანი პედაგოგიური ასოციაციები - ახალი აღზრდის ჯგუფი, თანამედროვე სკოლის კოოპერატივი, მასწავლებელთა ფედერაცია, საზოგადოებრივი სკოლების მოსწავლეთა მშობლების ფედერაცია და სხვები.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სკოლა მთელ მსოფლიოში დემოკრატიზაციისაკენ მიემართება. ამ პროცესს აქვს როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იქცევს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დემოკრატიზაციისადმი ორი ურთიერთსაპირისპირო მიდგომა.

პირველი მიდგომა ეფუძნება **ეგალიტარიზმისა** (გათანაბრების) და ერთსახოვნების იდეას. ამგვარი მიდგომა გაბატონებული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და იაპონიაში. თუმცა ამ ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური სისტემები არაფრით ჰგვანდნენ ერთმანეთს. ამ იდეის გავრცელების აშკარა ტენდენცია შეიმჩნეოდა გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, რაზეც არაერთი უცხოელი ავტორი მიუთითებს.

ეგალიტარისტული მიდგომა ჩვენთვის უცხო არ არის. როგორც ცნობილია, იგი ეფუძნება იმ იდეას, რომ ყველა ბავშვი დაბადებიდან ერთნაირია და მათი შემდგომი განვითარების ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ იქნება ორგანიზებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი.

ეგალიტარისტული მიდგომის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ შეუძლებელია თითოეული მოსწავლის მაღალხარისხოვანი განათლების უზრუნველყოფა, ამიტომ გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ჯგუფების ინტერესები და შესაძლებლობანი, რაც ერთსახოვანი განათლების პრინციპს ამკვიდრებს.

უკანასკნელ ათწლეულში სულ უფრო მეტი მომხრე უჩნდებათ განათლების სისტემის დემოკრატიზაციის გაგებისადმი ანტიეგალიტარისტული მიდგომის მომხრეებს. მაგა-

ლითად, ცნობილი იაპონელი მეცნიერი პედაგოგი იოსიკი კანემაცუ წერს, რომ განათლების ნებისმიერი სისტემა ორ ფუნქციას ასრულებს - საკუთრივ სწავლებისა და სოციალური შერჩევის ფუნქციებს. დროა გავიგოთ, - ამბობს კანემაცუ, - რომ სკოლამ ეფექტიანად უნდა შეასრულოს ორივე ფუნქცია და ამით გადაჭრას დემოკრატიული განათლების ამოცანები. ამ მეცნიერის აზრით, თუ პირველი ფუნქციის დანიშნულებაა ყველასათვის საერთო განათლების მიცემა, მეორე ფუნქცია გულისხმობს განათლების დივერსიფიკაციას, ე. ი. სწავლებას ინდივიდუალური უნარების, მიდრეკილებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინგლისელ მეცნიერს ჯ. ჰოლდენს მიაჩნია, რომ ეგლიტარიზმი საფრთხეს უქმნის სასკოლო განათლების დემოკრატიზაციას. მისი აზრით, ფორმალურად ერთიანი სკოლის კონცეფციამ, რომლის მიხედვითაც ბევრი რეფორმა განხორციელდა XX საუკუნეში, ზიანი მიაყენა ყველა მოსწავლეს, რადგან იგი ხელს უშლიდა მათი უნარების განსხვავებულობის გათვალისწინებას.

სასკოლო განათლების დემოკრატიზაციისადმი ანტიეგალიტალური მიდგომა განათლების საფეხურების მემკვიდრეობითობას ეფუძნება და ამასთან ერთად, ემხრობაზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ვარიანტულობის, პლურალიზმისა და დივერსიფიკაციის იდეას. ამ მიდგომას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები იზიარებენ, რაც იმის პერსპექტივას ქმნის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სტრუქტურაში ჩამოყალიბდეს მიზნების, შინაარსისა და ტიპების მიხედვით მრავალმნიშვნელოვანი სასწავლო დაწესებულებები.

”სასკოლო განათლების სისტემის დემოკრატიზაციის” ცნების ახსნა რამდენიმე პირობის გათვალისწინებას მოითხოვს. ცხადია, აქ ცალსახად ერთნაირი შეხედულება არც უცხოელ მეცნიერთა შორის არსებობს. ჩვენ საყურადღებოდ მიგვაჩნია ჰოკაიდოელი პროფესორის ტაკედა მასანოს მოსაზრება. იგი დემოკრატიული განათლების სისტემის რამდენიმე არსებით ნიშანს გამოჰყოფს. დემოკრატიულობის პირველ ნიშნად მასანოს მიაჩნია საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობა განათლების მიღებაში. მეორე ნიშნად იგი ასახელებს სასკოლო სისტემის დეცენტრალიზაციას, რაც გულისხმობს ადგილობრივი ორგანოების უფლებათა გაფართოებას: მათ დამოუკიდებლად უნდა შეემოლოთ ფინანსების განაწილება და კადრების შერჩევა. შემდეგ ნიშნად მიჩნეულია სისტემის ღიაობა, რაშიც იგი სისტემის ყველა საფეხურის მემკვიდრეობითობას გულისხმობს. დემოკრატიულობის მნიშვნელოვან ნიშნად არის მიჩნეული მშობლებისა და მოსწავლეთა უფლება აირჩიონ სასწავლო დაწესებულება, და ბოლოს, დემოკრატიული სკოლისათვის დამახასიათებელია სწავლებისა და აღზრდის პროცესის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბებას.

დაახლოებით ასეთი პრინციპები დაედო საფუძვლად პოსტსაბჭოურ სივრცეში არსებული სახელმწიფოების უმრავლესობაში მიმდინარე სასკოლო რეფორმებს, მათ შორის, საქართველოშიც.

რა თქმა უნდა, ყველა ზემოაღნიშნული ნიშანი ჯერჯერობით არ ახასიათებს ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას, რაც სოციალურ-ეკონომიკური პირობებით არის გამოწვეული. თუმცა, ზოგჯერ შეინიშნება იმის მავნე ტენდენცია, რომ სათანადო უზრუნველყოფის გარეშე, ხელოვნურად მიაკუთვნონ ესა თუ ის ”დემოკრატიული ნიშანი” ჩვენს განათლების სისტემას. მაგალითისათვის დავასახელებთ სისტემის რეგიონალიზაციას, რისი პირობებიც, იაპონიისაგან განსხვავებით, საქართველოს არ გააჩნია.

განათლების თანამედროვე დასავლურ თეორიებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დემოკრატიზაციის კონტექსტში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა განათლების უფლების უზრუნველყოფის გარანტიები. ამ პრობლემას დასავლელი ავტორები (ბ. საიმონი, ს. ფრენიე, ნ. ჰანსი და სხვ.) თანამედროვე მსოფლიოს რეალურ პირობებთან კავშირში განიხილავენ. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასავლური სასკოლოგანათლების სისტემა შორსაა დემოკრატიულობისაგან, რისი ილუზიაც მესამე სამყაროში დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა "საყოველთაო კეთილდღეობის" პოლიტიკური დოქტრინის პროპაგანდის შედეგად.

დასავლეთის პედაგოგთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი უმრავლესობა აღიარებს ყველა მოქალაქის თანაბარ უფლებას განათლების მიღებაზე (ცხადია საქმე ეხება ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას). განათლების მიღების თანაბარი შანსი მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს ისწავლოს ნებისმიერ სასწავლო დაწესებულებაში, არამედ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მისთვის სრულფასოვანი განათლების მიცემა. ამ თვალსაზრისს ბევრი იზიარებს. როგორც ა. ჯურინსკი აღნიშნავს თავის ნაშრომში "განათლების განვითარება თანამედროვე მსოფლიოში", ამ იდეას მხარიდაუჭირა გამოკითხულ ამერიკელთა 80%-მა და მოითხოვა მისი დაუყოვნებლივ რეალიზაცია.

ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ დასავლეთში მწვავედ დგას მოსწავლეთა სოციალური უთანასწორობის პრობლემა. თუ ეგალიტარიზმი ხელს უშლის მოსწავლეთა ინდივიდუალურ უნარ-შესაძლებლობათა სრულყოფილ რეალიზაციას, სოციალური უთანასწორობის რეციდივები განათლების სისტემაში მნიშვნელოვნად ზღუდავს მომავალი თაობის წარმატებით სწავლების შესაძლებლობებს. ამას აღიარებენ უცხოეთის ავტორიტეტული მეცნიერები: კოლემანი, ჯენქსი (აშშ), დუგლასი (ინგლისი), პერნუ, გონვერსი (შვეიცარია) და სხვები. ისინი მიუთითებენ იმ მჭიდრო კავშირზე, რომელიც არსებობს მოსწავლეთა სასწავლო-აკადემიურ წარმატებებსა და მათი მშობლების პროფესიულ-სოციალურ სტატუსს შორის. როგორც მათმიაჩნიათ, ასეთი ურთიერთკავშირი მოსწავლის ასაკობრივ ზრდასთან ერთად ძლიერდება. მეცნიერებმა, კერძოდ იტალიელებმა - ჩეკინიმ და ტონუჩიმ, წამოაყენეს ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ აკადემიური წარუმატებლობის მიზეზია არა ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან მიკუთვნებულობა, არამედ "სოციალური უკმარისობა" (მშობელთა ყურადღების დეფიციტი, სოციალურ ურთიერთობათა უკმარისობა, მატერიალური დაუკმაყოფილებლობა და ა. შ.).

დასავლეთში ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ თანამედროვე ეპოქამ წარმოშვა ახალი წინააღმდეგობა სასკოლო სისტემის შედარებით დემოკრატიზმსა და განათლების მიღების სოციალურ ფაქტორებს შორის. როგორც ევროპარლამენტის კომისიის მოხსენებაშია აღნიშნული, ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ბავშვები წინააღმდეგობას აწყდებიან განათლების მიღების პროცესში. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ბევრ მოსწავლეს არ აქვს საშუალება მიიღოს სრულყოფილი განათლება.

ასეთი მოსაზრება ობიექტურ გამოკვლევებს ეფუძნება. მაგალითად, გერმანიის შრომისა და პროფესიების ინსტიტუტის მეცნიერებმა გაანალიზეს გერმანული სკოლების მუშაობის შედეგები 90-იანი წლების დასაწყისში და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ხარისხიანი განათლების მიღების ტრადიცია, რაც განპირობებული იყო სოციალური მდგომარეობით, დღესაც უცვლელია.

ამგვარი უთანასწორობის დაძლევის ერთ-ერთ გზად "განათლების თეთრი წიგ-

ნის” (სტრასბურგი, 1995) ავტორები საზოგადოებას სთავაზობენ წახალისონ ”მეორე შანსის სასწავლო დაწესებულებების” საქმიანობა. იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყონ იმ ახალგაზრდების მომზადებას, რომლებმაც სათანადო განათლება ვერ მიიღეს განათლების ტრადიციულ სისტემაში. ასეთი ტიპის სკოლებს მიეკუთვნება ”დაჩქარებული სკოლები” (აშშ), ლტოლვილთა სკოლები (ისრაელი), იმიგრანტთა სკოლები (ნიდერლანდები, საფრანგეთი, ესპანეთი და სხვ.).

სასკოლო განათლების დემოკრატიზმის არსებითი ნიშანია სავალდებულო განათლება. ეს ასე ესმოდა ჩვენს ტრადიციულ პედაგოგიკას და ასე ესმით დღევანდელ დასავლეთშიც. სავალდებულო განათლების მნიშვნელოვანი მახასიათებელი კი არის დასწრებადობა.

დასწრებადობა ნაკლებია იმ ქვეყანებში, რომლებიც მძიმე ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდნენ. მაგალითად, იაპონიის სკოლებში არ დადის სასკოლო ასაკის ბავშვთა 2%, მასინ, როდესაც რუსეთში მათი რიცხვი 7%-ს აჭარბებს. საქართველოში ამგვარი სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს. სავარაუდო კი არის, რომ იგი იმედისმომცემი ვერ იქნება.

უცხოელი მეცნიერები იმასაც ფიქრობენ, რომ სკოლიდან განთესვა მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორებით არ უნდა იყოს გამოწვეული, რადგან მაღალგანვითარებულ ქვეყნებში საიმისო გასაჭირი არ არის, რომ ბავშვმა სკოლაში ვერ იაროს. ისინი ამის მიზეზად სრული საშუალო განათლების საყოველთაობას ასახელებენ. იქ, სადაც საყოველთაო საშუალო განათლების პრაქტიკა ხორციელდება, ცუდ ტონად ითვლება თუ ბავშვი საშუალო სკოლას ვერ დაამთავრებს. არა და, ყველა ბავშვს მართლაც არ შესწევს უნარი დაამთავროს ამ ტიპის სასწავლო დაწესებულება. ეს კი ამ კატეგორიის ბავშვებში იწვევს სწავლისადმი, მეცადინეობისადმი გულგრილობასა და სკოლისაგან გაუცხოებას.

ამგვარი დამოკიდებულება ჩვენთვის ნაცნობია და, რა თქმა უნდა, უცხოელი ავტორები ამაზე ცამდე მართლები არიან, მაგრამ ისინი ამ პრობლემის კონსტატაციით როდი იფარგლებიან. ინტენსიური კვლევა-ძიება მიმდინარეობს, იმ მიმართულებით რომ მოინახოს გამოსავალი, რათა არ დაირღვეს დემოკრატიზაციის პროცესი განათლების სისტემაში და თანაც ჭეშმარიტად იქნეს უზრუნველყოფილი ყველა ბავშვისათვის სრულფასოვანი ცოდნის მიცემა. ამის მაგალითია აშშ-ს სამთავრობო მოხსენება (1991) – ”ამერიკა 2000: სტრატეგია და განათლება”, სადაც ნათქვამია, რომ ”საჭიროა ყველა ამერიკელს მიეცეთ ადგილი ხარისხიანი ცოდნისაკენ მისი ხანგრძლივი მოგზაურობისათვის”.

ამერიკის შეერთებულ შტატებს, რა თქმა უნდა, აქვს ამ იდეის განხორციელების ყველა საშუალება, რასაც ვერ ვიტყვით მრავალ ქვეყანაზე, მათ შორის საქართველოზეც.

სასკოლო განათლების შედარებით დემოკრატიზმსა და სოციალურ უთავასწორობას შორის არსებული წინააღმდეგობის ყველაზე მწვავე შედეგების დაძლევის მიზნით, დასავლეთის მეცნიერები რეფორმის ორ მიმართულებას გვთავაზობენ:

1. ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების მხარდაჭერის სოციალური ღონისძიებების განსაზღვრა;
2. თვით სასკოლო სისტემების სრულყოფა.

სოციალური ღონისძიებებს განეკუთვნება ცალკეული მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა, დამატებითი სუბსიდიების გამოყოფა იმ რეგიონებისათვის, სადაც ყველაზე დაბალია სწავლების ხარისხი.

ამგვარი პრაქტიკა ხორციელდება აშშ-ში, საფრანგეთში და სხვა მაღალგანვითარებული ქვეყნებში.

დემოკრატიზაციის მომხრეები მიჩნევენ, რომ სკოლას შეუძლია უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მასობრივი მიცემა. "ყველა მოსწავლეს შეუძლია წარმატებით ისწავლოს, თუ მათ კვალიფიციურად ვასწავლით", - ასეთი ოპტიმისტური დასკვნა გაკეთებული ამერიკის კონგრესში წარდგენილ სამთავრობო მოხსენებაში 1983 წელს.

(აქვე შევნიშნავთ, რომ ეს განცხადება არაფრით განსხვავდება საბჭოური პედაგოგიური დოქტრინისაგან, რომელიც ათეული წლების განმავლობაში საფუძვლად ედო საყოველთაო სავალდებულო განათლების ტრადიციულ პრაქტიკასა და თეორიას).

მიუხედავად ამისა, უცხოეთის (დასავლეთის) საგანმანათლებლო თეორიებში მყარად დამკვიდრდა სწავლების დიფერენციაციის (დიფერენციაციის) იდეა. ამჟამად სწავლების დიფერენციაციის აუცილებლობაში პედაგოგთა უმრავლესობას ეჭვი არ ეპარება. ცნობილი გერმანელი მეცნიერი, პედაგოგი რ. ვინკლერი აღნიშნავს რომ "დიფერენციაცია გულისხმობს სასწავლო-ორგანიზაციული ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომლის საშუალებითაც კმაყოფილდება ერთი მხრივ - საზოგადოების მრავალფეროვანი მოთხოვნები. დიფერენციაცია ორ ფუნქციას ასრულებს: ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალურობის რეალიზაციას და ბიძგს აძლევს საზოგადოების შემდგომ განვითარებას".

ამჟამად, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში სწავლების დიფერენცირების პრინციპზე იგება მთელი სასწავლო პროცესი უფროს კლასებში. "ახალი აღზრდის ჯგუფის" საფრანგეთის საზოგადოების პრეზიდენტი ი. ბასისი წერს: "ახალი აღზრდის სასწავლო ის არის, რომ ადამიანი თავის თავში აღმოაჩენს იმ უნარებს, რომელზეც მანამდე წარმოდგენაც არ ჰქონდა".

მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პედაგოგიურ თეორიებში მიჩნეულია, რომ სწავლების დიფერენცირება მოსწავლეთა ინტერესების, უნარებისა და მიდრეკილებების დაკმაყოფილების რეალური საფუძველია. ამასთან, დასავლეთელ მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ იმ აკადემიურ დისციპლინებში, რომლებიც არ შედის სავალდებულო პროგრამებში, ისეთი მაღალი მოთხოვნები უნდა იყოს, რომ ნაკლებადუნარიან მოსწავლეებს მათი შესწავლის სურვილიც არ აღეძრათ (ჯ. კონანტი, აშშ). ამრიგად, დასავლური სწავლების თეორია საბოლოოდ როდი იღებს ხელს განათლების ელიტარულობის პრინციპზე, თუმცა ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა ერთობ თვალსაჩინოა. მაგალითად, ცნობილ კანადელ პედაგოგს ლ. მორენს მიაჩნია, რომ თუნდაც მცირერიცხოვანი ელიტარული სკოლების არსებობამ შეიძლება პირივილეგირებული კლასების წარმოშობამდე მიგვიყვანოს, რაც, ცხადია მიუღებელია დემოკრატიული საზოგადოებისათვის.

სამწუხაროა, რომ თანამედროვე დასავლურ პედაგოგიკურ თეორიებში არსად ფიგურირებს ქართული სკოლისა და პედაგოგიკის გამოცდილება. სწავლების დიფერენცირების პრაქტიკასა და თეორიასთან დაკავშირებით თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული პედაგოგიური აზროვნება მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ავანგარდში დგას. დასანანია, რომ ქართველმა პედაგოგებმა თავიანთ ნოვატორულ საქმიანობას ამ მიმართულებითსაერთაშორისო რეზონანსი ვერ მისცეს. ნაწილობრივი ეს იმჟამინდელი ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის ბრალიც იყო, თუმცა იმ პირობებშიც ასე თუ ისე შეიძლებოდა გარკვეული ინფორმაციის გავრცელება მსოფლიო მასშტაბით.

მკითხველს შევახსენებთ, რომ გასული საუკუნის 70-იან წლებში საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველები ქართველი პედაგოგები იყვნენ, რომლებმაც ინტენსიურად დაიწყეს სწავლების დიფერენცირების იდეის დამუშავება. 80-იან წლებში იგი ექსპერიმენტის სახით აქტიურად ინერგება სკოლებში ცნობილი პედაგოგისა და განათლების დარგის ორგანიზატორის ლევან ჩიქვანაიას ხელმძღვანელობით. სწავლების დიფერენცირების პრობლემასთან დაკავშირებით შეიქმნა თეორიული და პრაქტიკულ-მეთოდოლოგიური ნაშრომები. მიუხედავად იმისა, რომ სწავლების დიფერენცირების იდეას ჩვენში სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავდნენ, იგი მაინც თითქმის საყოველთაოდ მისაღები გახდა. თუმცა იქამინდელი განათლების ტოტალიტარული სისტემის ჩარჩოებში იგი ბოლომდე სრულყოფილად ვერ განხორციელდა.

ამდენად, სწავლების ინვერსიფიკაციის იდეები, რაც დასავლეთისათვის თეორიული სიახლეა, ჩვენი პედაგოგიკისათვის კარგა ხანია ცნობილი და მისაღებია, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ დასავლურ საგანმანათლებლო სისტემებთან ჩვენ შეგვიძლია სავსებით თანასწორუფლებიანი თანამშრომლობა.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-ში, ინგლისში, იაპონიაში დიფერენციაციის განხორციელებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ტესტირებას მოსწავლეთა უნარების გამოკვლევის მიზნით. სკოლის დემოკრატიზაციის მომხრეები ეწინააღმდეგებიან ასეთისა-ხის ტესტირებას. მაგალითად, ინგლისის ლეიბორისტული პარტიის სასკოლო იდეოლოგიები აკრიტიკებენ ტესტირების ასეთ პრაქტიკას და მიაჩნიათ, რომ ტესტირებით შეიძლება მხოლოდ ინფორმაციის მიღება მოსწავლის უნარების განვითარების დონის შესახებ, რაც საკმარისი არ არის მოსწავლეთა სელექციისათვის სწავლების დიფერენცირების პირობებში.

დემოკრატიზაციის მომხრეები ტესტებს იყენებენ როგორც სწავლების შედეგების გაზომვის საშუალებას. მიჩნეული იყო (მაგალითად, საფრანგეთში), რომ თუ ადამიანის გონებრივი განვითარება მხოლოდ გენეტიკურად არის განპირობებული, მაშინ შერჩეული ბავშვების სასკოლო წარმატებებში პრინციპული სხვაობა არ იქნება (საუბარია დიფერენციაციის პირობებში შერჩეულ ბავშვებზე). სწავლების დასაწყისსა და დასასრულს ჩატარებულმა ტესტირებამ, უარყო ასეთი ვარაუდი. ამან ერთხელ კიდევ დაადასტურა სწავლების დიფერენციაციის მიზანშეწონილობა, რაც ქართველ პედაგოგებს, პირველ ყოვლისა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკებს კარგა ხანია დასაბუთებული აქვთ.

სასკოლო განათლების დემოკრატიზაცია უცხოეთში მჭიდროდ არის დაკავშირებული სკოლის მართვასთან. ეს პროცესი მიმდინარეობს "ოქროს შუალედისაკენ" მოძრაობის ჩარჩოში. "ოქროს შუალედისაკენ" მიემართება დღეს მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემა, როგორც ამას უცხოელი სპეციალისტები აღნიშნავენ. რა არის ეს "ოქროს შუალედი" განათლების მართვაში? ეს არის შუალედი ცენტრალიზებულ მართვასა და რეგიონებისათვის დიდი უფლებების გადაცემას შორის. დასავლეთ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც განათლების მკაცრად ცენტრალიზებული სისტემები იყო (საფრანგეთი, გერმანია) და იაპონიაში "ოქროს შუალედის" ძებნა აშკარაა. ნაკლებად შესამჩნევია ეს იქ, სადაც არსებითად დეცენტრალიზებული სისტემები არსებობდა. ევროპის დიდ სახელმწიფოთაგან გამონაკლისია რუსეთი, სადაც ძალაში რჩება მართვის ცენტრალიზებული სისტემა.

განათლების სისტემის მართვის ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციაზე დასავ-

ლეთელ მეცნიერთა შორის აზრთა ერთიანობა არ არის. მეცნიერთა ერთი ნაწილი თუ მიიჩნევს, რომ მართვის დეცენტრალიზაცია სასკოლო განათლების დემოკრატიზმის აუცილებელი ნიშანია, მეორე ნაწილს სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს. ისინი თვლიან, რომ განათლების სისტემის ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციას არსებითად ეკონომიკური შინაარსი აქვს და იგი არ არის დაკავშირებული აკადემიური პროცესების ორგანიზაციასთან. მათი შეხედულებით (ბ. საიმონი და სხვები), განათლების სისტემის მართვის დეცენტრალიზაცია ქვეყანაში არსებული თავისუფალი კაპიტალის განათლების სისტემაში მოზიდვის საშუალებაა. ქვეყანას თუ ეკონომიკურიკეთილდღეობა აკლია, მაშინ ცენტრალიზებული მართვა ბევრად უფრო ეფექტიანია.

აქედან გამომდინარე, რუსეთის პოზიცია ამ საქმეში გამართლებულია, რადგან, როგორც რუსი ავტორები წერენ (ტ. ცირილინა, ა. ჯურინსკი), რუსეთში არ არის იმის ეკონომიკური პირობები, რომ დეცენტრალიზაციის შედეგად რეგიონებში საგანმანათლებლო საქმე გაუმჯობესდეს. პირიქით, დეცენტრალიზაციის პირობებში რუსეთში შეიძლება ერთიანი საგანმანათლებლო სივრცეც კი მოიშალოს.

უცხოეთის ქვეყნების სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის შესახებ არსებული მასალების ანალიზი, მეცნიერთა სხვადასხვა ჯგუფების მოსაზრებათა ურთიერთშეჯერება იმის ულფებას გვაძლევს, დავასკვნათ:

1. ეჭვს არ იწვევს სასკოლო განათლების სისტემის დემოკრატიზაციის აუცილებლობა და იგი მსოფლიო საგანმანათლებლო პოლიტიკაში შეუქცევადი მოვლენაა;
2. უფროს კლასებში (ჩვენს სისტემაში, სწავლების მესამე საფეხურზე) აუცილებელია სწავლების დიფერენციაცია, რაც მოსწავლეთა ნიჭის, უნარის, მიდრეკილებებისა და ინტერესების უფრო სრულყოფილად დაკმაყოფილების პირობებს ქმნის;
3. სისტემის მართვა და ორგანიზაცია უნდა შეესაბამებოდეს კონკრეტული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს, არსებულ ტრადიციებსა და ეროვნულ ინტერესებს. ამ სფეროში ერთიანი მსოფლიო რეცეპტი შემუშავებული ვერ იქნება და საჭიროც არ არის.
4. სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის შინაარსი და მიმართულება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის უფლებების დაცვას, რაც დღევანდელი დემოკრატიული სამყაროს უმთავრესი პრიორიტეტია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ე. ი. ბრაჟნიკოვი, შედარებითი პედაგოგიკის კვლევის მეთოდოლოგიის თავისებურებანი; მ., 2005 (რუსულ ენაზე).
2. ბ. ლ. ვულფსონი, ზ. ა. მალკოვა, შედარებითი პედაგოგიკა; მოსკოვი-ვორონეჟი, 1996 (რუსულ ენაზე).
3. ვ. ა. ტიტოვი, საზღვარგარეთის ქვეყნების პედაგოგიკა; მ., 2010 (რუსულ ენაზე).
4. ზ. ცუცქირიძე, ნ. ორჯონიკიძე, განათლების თანამედროვე თეორიები; თბ., 2005.
5. ლ. ნ. გონჩაროვი, სკოლა და პედაგოგიკა აშშ-ში მეორე მსოფლიო ომამდე; მ., 1972 (რუსულ ენაზე).
6. ვ. პ. ლაპჩინსკაია, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა თანამედროვე ინგლისში, მ., 1977 (რუსულ ენაზე).
7. ზ. ა. მალკოვა, ბ. ლ. ვულფსონი, თანამედროვე სკოლა და პედაგოგიკა კაპიტალისტურ ქვეყნებში; მ., 1975 (რუსულ ენაზე).
8. ა. ე. შირინსკი, განათლება განვითარებად ქვეყნებში; მ., 1977 (რუსულ ენაზე).
9. www.ped.vslovar.ru/1974/html
10. www.interidfestudy.ru
11. www.edu.glavprav.ru
12. www.studentur.ru
13. www.ef.kz/upa/education-systems
14. www.intelstudy.ru/obr_sys.php
15. www.ef_russia.ru

შინაარსი

განათლება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში (მიმოხილვა) _____	4
განათლება ამერიკის შეერთებულ შტატებში _____	10
განათლების სისტემა დიდ ბრიტანეთსა და გერმანიაში _____	16
საფრანგეთის განათლების სისტემა _____	20
რსფსრ განათლების სისტემა _____	26
უცხოური თეორიები განათლების გზების შესახებ _____	32
ჩინეთის განათლების სისტემა _____	37
განათლების სისტემა ინდოეთში _____	42
განათლება სისტემა იაპონიაში _____	45
განათლება სისტემა სამხრეთ კორეაში _____	50
პროგრამების ცვლილებათა შესახებ _____	53
განათლების სისტემა ფინეთში _____	61
ნორვეგიის განათლების სისტემა _____	63
განათლების სისტემა პოლონეთში _____	67
უმაღლესი პროფესიული განათლების მსოფლიო სისტემის დახასიათება _____	70
განათლება შვეიცარიაში _____	76
განათლება ბულგარეთში _____	80
განათლება ჩეხეთში _____	83
თანამედროვე ინოვაციური განათლების სისტემები _____	87
განათლება ლათინურ ამერიკაში _____	96
განათლება აფრიკის კონტიტენტზე _____	101
სასკოლო განათლება ურუგვაიში _____	107
ავსტრალიის განათლების სისტემა _____	109
სასკოლო განათლების დემოკრატიზაციის პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში _____	114
გამოყენებული ლიტერატურა _____	121